

გიორგი წიბახაშვილი

**თარგმანის თეორიისა და
პრაქტიკის საკითხები
ღამხარე სახელმეღვანელო**



**თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 2000**

წიგნში მოკლედ არის განხილული თარგმანის თეორიულ და პრაქტიკული არსი. ძირითადი ყურადღება ექცევა თარგმანის შეფასების ობიექტური კრიტერიუმების დადგენას ხეადასხვა ჟანრის მხატვრული ტექსტების თარგმნის სპეციფიკას და თარგმანის ანალიზის ხელსაწყოებს.

ნაშრომს ერთვის ტექსტები და თარგმანები, აგრეთვე თარგმნი ტექსტები. ეს მასალა გამოდგება როგორც დღევანდელი თარგმანის შედარების, ისე მთარგმნელობითი პრაქტიკისათვის. წარმოდგენილი ტექსტების ჟანრობრივი მრავალფეროვნება ხელს შეუწყობს სტილის საკითხებში გარკვევა განკუთვნილია თარგმანის სპეციალობის სტუდენტებს და თარგმანის პრობლემებით დაინტერესებული მკითხველსათვის.

რეცენზენტები: პროფ. ზ. ჭუმბურიძე
პროფ. გ. გოგოლაშვილი

რედაქტორი: პროფ. ო. ბაქანიძე

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2000

4601000000
წ 608(06) – 00

ISBN 99928-77-96-0

შინაარსი

შესავალი	4
ზოგი რამ თარგმანის შესახებ	10
როგორი უნდა იყოს თარგმანი. დასაბუთების ცდა	25
ფორა'ხეოლოგიური ერთეულები და მათი თარგმნის საკითხები	65
ონომასტიკური ლექსიკის ენიდან ენაზე გადატანის თავისებურებანი	74
ხალხური ზღაპარი როგორც თარგმნის ობიექტი	83
რას მოგვითხრობენ მსოფლიოს მეზღაპრეები	107
ქართული ხალხური ზღაპრის რუსული თარგმანების ანალიზი	121
„უთარგმნელი“ მასალა და მისი თარგმნის პრობლემები	147
მასალები პრაქტიკული მუშაობისათვის	159
თარგმანთან დაკავშირებული ზოგიერთი ტერმინის განმარტება	190

ბითი, ხსენობრივი ზემოქმედება ეგზომ დიდია ყოველი თაობისათვის. ასე რომ, თარგმანისადმი მიდგომაში ისეთივე პრაქტიციზმი ბატონობდა, როგორც საერთოდ ლიტერატურაში და თარგმანიც ისევე განიცდიდა (და ყოველთვის განიცდის) გაბატონებული იდეოლოგიის ზეგავლენას, როგორც ლიტერატურა საერთოდ. ასე რომ, ხელოვნების მარადისობა ვერ იფარავს მას წარმატებით მსოფლენების ზეწოლისაგან. ამ ზეწოლის შედეგები თარგმანში ელვინდება იმაში, თუ რას შევარჩევთ სათარგმნელად, ვინ არის მთარგმნელი და რა სულისკვეთებას ჩადებს იგი თარგმნილ ნაწარმოებში. თავის დროზე მთელ ევროპაში გახმაურდა საბჭოთა მწერლის ანატოლი კუხნეცოვის საჩივარი ერთი ფრანგული გამოცემლობის მიმართ. ამ გამოცემლობამ ფრანგულად გამოსცა მისი იმ დროს პოპულარული რომანი „ლეგენდის გაგრძელება“. მთარგმნელი იყო ვილაც სასულიერო პირი, ხოლო რომანს თარგმანში ეწოდებოდა „ვარსკვლავი ბურუსში“. საჩივარი აღიძრა იმიტომ, რომ მკაფიოდ გამოხატული საბჭოთა სულისკვეთების ნაწარმოები თარგმანში ჟღერდა როგორც მკვეთრად ანტისაბჭოური. არადა თითქოს დაცული იყო ტექსტის ყველა კომპონენტი, განსხვავება იჩინდა თავს დეტალებში, წერილმანებში, ფრაზის ინტონაციაში, მოვლენის, ფაქტის შეფასების ნიუანსებში, პატარ-პატარა ჩამატებებში ან გამოკლებებში. „დეკამერონი“ ქართულ თარგმანებში თავშეკავებულად ჟღერს, ვიდრე დედანში. მთლიანად არის მოხსნილი თხრობის ის ფრივოლური ტონი, რომელიც იმდენად სიტყვებით არ გამოიხატება, რამდენადაც ე.წ. ქვეტექსტით და რომელმაც თავის დროზე აღაშფოთა ეკლესიის მსახურები და აღაფრთოვანა საერო მკითხველი. თარგმანი თითქმის მთლიანად იმეორებს დედანს, აკლია მხოლოდ ე.წ. „მეორე ჟღერადობა“, რითაც მიიქცია ყურადღება ბოკაჩიოს ენამ. თორემ თავისთავად ქალთა და მამაკაცთა ვნება მრავალჯერ აუწერიათ ბოკაჩიოსე უფრო ადრე. სწორედ ეს ბოკაჩიოსეული თხრობის ტონის შენარჩუნება იყო მთარგმნელის უმთავრესი ამოცანა, ნოდარ დუმბაძის თხრობის მთელი ხიბლი ტრაგიკულისა და კომიკურის გასაოცრად დახვეწილ შერწყმაშია. სასიხარულოში იგი ყოველთვის

ამჩნევს რაღაც სევდიანსაც, ხოლო სევდიანში — რაღაც ოპტიმიზტურს, ღიმილის მომგვრელს, გამამხივებელს. ასეა. სიტყვაში, სიტუაციაში, მოვლენის შეფასებაში; ამ მწერლისათვის დამახასიათებელია ღრმა ქვეტექსტი, რომელიც ხშირად აზრობრივად უფრო დატვირთულია, ვიდრე ე.წ. ღია ტექსტი. და თუ თარგმანში ნაწარმოების ეს თვისებები დაიკარგა ან შესუსტდა, წარმატებაზე ლაპარაკი უნიადგო იქნება.

ამასთან დაკავშირებით, აქტუალობას არ კარგავს ფრანგი თეორეტიკოსების მიერ თითქმის ასი წლის წინ დასმული კითხვა — რას თარგმნის მთარგმნელი — სიტყვას, წინადადებას, აბზაცს თუ კიდევ რომელიმე სხვა სიდიდეს. მაშინ გაჩნდა ტერმინი — თარგმანის ერთეული.¹ ენის ერთეულები დიდი ხანია დადგენილია: ფონემა, მორფემა, სიტყვა, შესიტყვება, მარტივი წინადადება, რთული წინადადება. მთარგმნელი იღებს ტექსტს, შლის მას რაღაც ერთეულებად და აი, ამ ერთეულებს თარგმნის. ეს ერთეული შეიძლება იყოს ერთი სიტყვა, ერთი წინადადება, წინადადებათა ჯგუფი, რომელიც შეკრულია აზრის, სახის, ემოციის, განწყობილების მთლიანობით; მთელი დიალოგი, რომელშიც მთელის გაგება შესაძლებელია მხოლოდ ნაწილთა ურთიერთკავშირში. განსაკუთრებით ეს ეხება ხუმრობას, სადაც ხშირად მთელი წინასწარი ტექსტი არის ერთგვარი მოსამზადებელი მასალა, რომ ბოლოს გაიფლავოს, გაიბრწყინოს ერთმა სიტყვამ ან რეპლიკამ, რომელმაც უნდა გამოიწვიოს მხიარული სიცილი. და თუ ბოლო რეპლიკა არ აღმოჩნდა ასეთი „ფეთქებადი“, ჩაუთვალათ, რომ თარგმანი არ გამოვიდა.

თარგმანის განხილვის სხვადასხვა ხერხი არსებობს. ამა თუ იმ ხერხის ამორჩევა დამოკიდებულია ორ ფაქტორზე: რა მიზნით ხდება თარგმანის განხილვა და რა დონის, შესაძლებლობის არის ის, ვინც განიხილავს თარგმანს. იშვიათი როდია, სამწუხაროდ, რომ თარგმანის შეფასება მთარგმნელთან ანგარიშსწორების, მისი განქიქებისა და მოთხრის საშუალებად იქცევა ხოლმე. ამგვარი „ანალიზი“ ჩვეულებრივ

¹ Ж. Вюге, Ж. Дарбелье, Стилистика французского языка, М., 1948.

ექებს მიყვრილა, მოულოდნელ შეცდომებსა და უზუსტობებს, რაც უთუოდ ახდენს ეფექტს მკითხველ-მსმენელზე. ამგვარი შეცდომები, (ჩხაღია, არ აჩქობს თარგმანს, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, თუ თარგმანის საერთო მხატვრული დონე რამდენად უტოლდება დედნისას. ხშირია შემთხვევა, როდესაც თარგმანში არ არის არც ერთი სიტყვიერი შეცდომა, მაგრამ ის მაინც დიდად ჩამორჩება თავის პირველწყაროს – ან მეტად უფერულია, უღიმღამოა, ან ქლერადობაა სრულიად შეცვლილი. ასე დაემართა, მაგალითად, „კაცია-ადამიანში?“ სუტკენინას ცნობილ მონოლოგს ლუარსაბის დედასთან მეგობრობის შესახებ. ეს მონოლოგი შინაარსის მიხედვით თავიდან ბოლომდე სიცრუეა. ავტორი პირდაპირ არსად არ უსვამს ხაზს ამ გარემოებას, მაგრამ მთელი თხრობა გაქლენთილია ამ სიცრუის შეგრძნებით. თარგმანში ყველაფერი თითქოს სუსტად არის გადაცემული, აკლია მხოლოდ სიცრუის, სიყალბის შეგრძნება და გამოდის, თითქოს ამ გაქნილი მაგანკლის ქაქანი სიმართლე იყოს. ეს, ეტყობა, იგრძნო მთარგმნელმაც და თხრობის ტონის გადარჩენის მიზნით აქა-იქ ჩაუმატა ისეთი „დაუსუსტებები“, რაც დედანში არ არის. თარგმანის კრიტიკის ძირითადი პათოსი კი, ჩვენი აზრით, სწორედ თხრობის სულისკვეთების, ქლერადობის შენარჩუნებისათვის ბრძოლა უნდა იყოს. რა თქმა უნდა, ცალკეული სიტყვიერი შეცდომებიც არ უნდა დარჩეს უყურადღებოდ, მაგრამ მთავარი საზომი მაინც ერთია – თარგმანის მთლიანობა უდრის თუ არა დედნის მთლიანობას? მთლიანობის ტოლყასი მხოლოდ მთლიანობაა და არა ცალკეული ნაწილები. მართალია, მთლიანობა რაღაც ნაწილებისაგან შედგება, მაგრამ ნაწილების ურთიერთშერწყმის ფორმას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგანაც მხოლოდ ასე წარმოიქმნება მთლიანობა.

მხატვრული მთლიანობის შემადგენელი ნაწილები, კომპონენტები სწორედ ის მონაკვეთებია, რომელთაც ჟ. ვინე და ჟ. დარბელნე თარგმანის ერთეულებს უწოდებენ. იგულისხმება, რომ სათარგმნად აღებული მონაკვეთი უნდა იყოს აზრობრივად, ენობრივად და სტილისტურად დასრულებული და ამივე დროს შეუძლოს ორგანულად შეერწყას როგორც წინმსწრებ

ტექსტს, ისე მომდევნოს. ტექსტიდან ასეთი დასრულებული მონაკვეთების გამოყოფა საკმაოდ რთული საქმეა და მოითხოვს სათარგმნი ტექსტის ყოველმხრივ ანალიზსა და გააზრებას, რაც თარგმნითი პროცესის საწყის ეტაპად უნდა ჩაითვალოს, თანაც აუცილებელ ეტაპად.

ტექსტის თარგმანის ერთულებად დაყოფა საკმაოდ სუბიექტური ქმედებაა და მათი საზღვრების დადგენა დამოკიდებულია მთარგმნელის ერუდიციასა და გემოვნებაზე. მაგრამ ყოველი ტექსტის სტრუქტურაში არის რაღაც 'ზღვრები, რომელთა არ შემსწევაც არ შეიძლება. მკითხველი აშკარად გრძნობს, რომ ზღვარს აქეთ რაღაც დამთავრდა (აზრობრივად, ინტონაციურად, განწყობით, ტონით) და ზღვარს იქით იწყება რაღაც ახალი, განსხვავებული, დამოუკიდებელი ღირებულებისა და მნიშვნელობის მქონე, რაც უნდა ითარგმნოს მისივე ჩარჩოებში, ყოველგვარი გადაადგილების გარეშე.

შეიძლება გაჩნდეს კითხვა — საჭირო კია თარგმანის ერთულების ძებნა? ღირს ეს დახარჯულ დროდ და ენერგიად? მით უმეტეს, რომ იგი მნიშვნელოვნად სუბიექტური ხასიათის შრომაა. სახელდახელო საქმეში მართლაც უფლები ფუფუნება იქნებოდა რაღაც ელემენტების ძებნა. მაგრამ ვისაც პრაქტიკულად უმუშავია თარგმანზე, უთარგმნია, განუცდია, რა ძნელი საქმეა რამდენიმე ვარიანტიდან უკეთესის დადგენა და მისი ტექსტში ჩასმა, მან ისიც იცის, როგორ თავისით გამოიკვეთება ხოლმე რაღაც მონაკვეთი, რომელშიც შესაძლებელი ხდება ტექსტის კომპონენტური ანალიზი, მისი არსის ყოველმხრივი გაგება და მეორე ენაში ამ კომპონენტთა სრულფასოვანი ეკვივალენტების ძებნა. ასე რომ, წინასწარ ანალიზზე, ანუ თარგმნის წინა მოსამზადებელ სამუშაოზე დახარჯული დრო და ენერგია თარგმანის ხარისხში უნდა განსახიურდეს. ცნობილია, რომ მაღალხარისხოვანი თარგმანი არა მარტო ნიჭტევადია, არამედ შრომატევადიც. ამის მაგალითებით სავსეა ნებისმიერი ლიტერატურა, რომელიც მდიდარია თავმნილი ნაწარმოებებით. რუსულმა მთარგმნელობითმა პრაქტიკამ XIX საუკუნის პირველ ნახევარში ერთი ბრწყინვალე ექსპერიმენტი ჩაატარა: წარუვალა მნიშვნელობის

ერთი და იგივე ნაწარმოები თარგმნა რამდენიმე პირმა. ეს თარგმანები გამოქვეყნდა და როგორღაც თავისთავად, ბუნებრივად მოხდა საუკეთესოს დადგენა და მისი საყოველთაო აღიარება. ასე დაემართა პორაციუსის ლექსის – „მე ძეგლი დავიდგი“ – პუშკინისეულ თარგმანს (გადმოკეთებას), გოეთეს აღიარებული „მგზავრის სიმღერის“ თარგმანს, ჰაინეს ლექსის „ჟიჯკისა და პალმის“ ლერმონტოვისეულ თარგმანს და სხვა. ასეთ „ამორჩეულთა“ რიგს ეკუთვნის კრილოვის აკაკი წერეთლისეული თარგმანები, რომლებმაც დაჩრდილეს და დაკვიწყებას მისცეს ყველა სხვა თარგმანი.

დღეს მთარგმნელობითი ხელოვნება იმდენად ამაღლდა და დაიხვეწა, რომ მხოლოდ ნიჭი ან მხოლოდ პროფესიონალიზმი აღარ არის საკმარისი. დღეს იმარჯვებს, წარმატებებს აღწევს ის მთარგმნელი, რომელმაც ღვთით მომადლებული ნიჭი გაამდიდრა და გააძლიერა დარგის ღრმა ცოდნითა და უშურველი შრომით. მოხალისე მთარგმნელების დრო გავიდა, დადგა ნიჭიერი პროფესიონალების დრო. მხოლოდ ისინი უნდა ემსახურებოდნენ მხატვრულ სიტყვას, რომელსაც სიტყვის დიდოსტატმა კონსტანტინე გამსახურდიამ „მრისხანე ღმერთი“ უწოდა. და კიდევ ერთი რამ: იდეალური თარგმანი უნდა იყოს ორიგინალის სრულფასოვანი ასლი, ოღონდაც სხვაენოვანი. ნებისმიერი სხვა ვარიანტი დედნისაგან გადახვევაა, მაშასადამე, თარგმანი კი არა, რაღაც სხვაა, რაც შეიძლება თავისთავად ცუდი არ იყოს, მაგრამ თარგმანის პრეტენზიის უფლება არ ექნება.

გომი რამ თარგმანის შესახებ

თარგმანი ადამიანის ინტელექტუალური საქმიანობის ერთ-ერთი უძველესი სახეობაა და მის შესახებ უზარმაზარი ლიტერატურაა შექმნილი უძველესი დროიდან მოყოლებული დღემდე. და მაინც ინტერესი თარგმანის ფენომენის მიმართ კი არ ნელდება, არამედ უფრო ძლიერდება, რადგანაც მრავალი საკითხი დღესაც საკამათოა.

ჯერ კიდევ XIX საუკუნეში მტკიცედ იყო ფეხმოკიდებული შეხედულება, რომლის მიხედვითაც თარგმანი წმინდა პრაგ-

მატული საქმიანობაა, რადგანაც იგი სრულდება იმ მიზნით, რომ ნაწარმოები მივიდეს იმ მკითხველამდე, ვინც არ ფლობს დედნის ენას. ეს მოსახრება იმდენად გამჭვირვალეა და დამაჯერებელი, რომ იგი არასოდეს ითვლებოდა საკამათოდ. ამიტომ სახელმძღვანელოებშიც კი უპირველეს ამოცანად არის გამოცხადებული.¹ წმყოვე საუკუნეში კი, განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ერთგვარმა პარადოქსმა იზინა თავი: თარგმანისადმი ინტერესს ეველაზე მეტად ისინი, ვისაც დედანშიც შეუძლია ნაწარმოების წაკითხვა. ასეთები კი დღევანდელ სა'სოგადოება'ში საკმაოდ მრავლად არიან, რადგანაც უცხო ენების შესწავლისადმი მისწრაფებამ გლობალური მასშტაბები მიიღო და შედეგებიც შთაბეჭდავია. ისიც უკვე ფაქტია, რომ ასეთი მკითხველი თარგმანს ეცნობა არა მხოლოდ შინაარსის გაგებისათვის, არამედ აფასებს კრიტიკულ-ესთეტიკური თვალსაზრისითაც: მან იცის, რა მხატვრულ-ემოციური ღირსებისაა დედანი და თარგმანში ეძებს ზემოქმედების ისეთსავე ეფექტსა და შედეგებს.

რა თქმა უნდა, თარგმანის მკითხველთა დიდი რაოდენობა მართლაც ის ხალხია, ვისთვისაც მთარგმნელი შუაგაცია ავტორსა და უცხოენოვან მთხრობელს შორის და ამ შუაგაცის ნიჭსა და ერუდიციასზეა დამოკიდებული, როგორ წარდგება უცხო მკითხველის წინაშე მწერალი, მისი ენა, სტილი, თხრობის მანერა, მხატვრულ სახეთა ძერწვის ხელოვნება, ასრთა და ემოციათა სიღრმე და სისტემა, ერთი რამ კი სრულიად აშკარაა: უცხო ენათა ცოდნის მასობრიობამ თარგმანისადმი ინტერესი გააძლიერა და მას, ამ ინტერესს, ახალი ნიუანსები შესძინა. ეს მოწმობს, რომ დღეს ადამიანებს აინტერესებთ არა მარტო ნაწარმოების ერთი კომპონენტი — შინაარსი, არამედ მოლიანად მხატვრული ქმნილება და ენათა ეკვივალენტობის საზღვრები და შესაძლებლობანი.

თარგმანი რთული და წინააღმდეგობრივი ფსიქოლოგიური ფენომენია. ამავე დროს უაღრესად ინდივიდუალური და სუ-

¹А.Федоров. Основы общей теории перевода. М., 1983, стр. 10. "Цель перевода — как можно ближе познакомить читателя (или слушателя), не знающего ИЯ, с данным текстом (или содержанием устной речи)".

ბიექტური ფაქტორებით განპირობებული. ამას ერთხმად აღნიშნავენ თარგმანის თეორეტიკოსებიცა და პრაქტიკოსებიც¹ ასე მაგალითად, თავის ნაშრომში „თარგმანის თეორია და პრაქტიკა“. დალი ფანჯიკიძე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „თარგმანი არ არის მონოლითური ნაწარმოები. იგი ამბივალენტურია თავისი ბუნებით. თარგმანში ერთმანეთს ერწყმის ორი სხვადასხვა კულტურა. ამასთან იგი გვევლინება როგორც ორი სხვადასხვა ენის პოტენციის რეალიზების ნაყოფი და ორი სხვადასხვა ინდივიდის შემოქმედებითი ენერჯის სხვადასხვა ენის ბაზაზე გამოქვლიანების შედეგი, სადაც უცხო და მშობლიური ერთ მხატვრულ თვისებრიობადაა ქცეული“.¹ ცნობილი მთარგმნელისა და თარგმანმცოდნის ეს დებულება ყოველმხრივ საყურადღებოა და გასაზიარებელი, თუცა ზოგი რამ, ჩვენი აზრით, ერთგვარ დაზუსტებას მოითხოვს. მაგალითად, „თარგმანში ერთმანეთს ერწყმის ორი სხვადასხვა კულტურა“. „ერთმანეთს“ ნიშნავს ორივე მხარის ურთიერთგამიდრებას. ვთქვათ, „ჰამლეტის“ თარგმნაშ მართლა შემოიტანა ქართულ კულტურაში ინგლისური კულტურის რაღაც ელემენტები, მაგრამ რა შეერწყო ინგლისურ კულტურას ამ თარგმანის შედეგად? სამწუხაროდ, თარგმანში „კულტურათა შერწყმის“ მომხრეები ამ კითხვაზე პასუხის გაცემას თავს არიდებენ.

კიდევ მაგალითი: ჰომეროსის პოემების თარგმნით ქართული კულტურა მართლაც ეზიარა მარადიულ ელინისტურ კულტურას. მაგრამ ეს არ გეაძლევს უფლებას ვამტკიცოთ, თითქოს ამ თარგმანების შედეგად ელინისტური კულტურაც ეზიარა ქართულს.

შემდეგ: „იგი (თარგმანი) გვევლინება როგორც ორი სხვადასხვა ენის პოტენციის რეალიზების ნაყოფი“. ვფიქრობთ, რომ აქ ან აზრის უზუსტობაა, ან მისი გამოთქმისა. გერმანული ენის გამომხატველობითი ძალა (ანუ პოტენცია) „უაუსტში“ გამჟღავნდა ამ ნაწარმოების თხზვის პროცესში. თარგმანში კი გამჟღავნდა, გამოჩნდა არა

¹ დალი ფანჯიკიძე. თარგმანის თეორია და პრაქტიკა, გამომც. „განათლება“, თბ., 1988, გვ. 9.

„გერმანული ენის პოტენცია“, არაქედ იმ ენისა, რომელზედაც მთარგმნა „ფაუსტი“ – ინგლისურის, ფრანგულის, რუსულის, ქართულის და სხვა, და ისიც მაშინ, თუ მთარგმანი მაღალ დონეზეა შესრულებული და მთარგმნელმა მართლაც შეძლო დაეძვინა თავის ენაში ეკვივალენტების ისეთი მარაგი, რომელიც ეყოფოდა გენიალური ნაწარმოების ახრთა, სახეთა, გრძობათა და მხატვრულ-ესთეტიკურ თვისებათა სრულფასოვანი გადმოღებისათვის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ენის შესაძლებლობანი „ყოველთვის აღემატება მთარგმნელის შესაძლებლობებს, რომელთა სიმდიდრე ან სიმწირე მთარგმნელის ვრუდიციანზე და ნიჭზეა დამოკიდებული“. და კიდევ: მთარგმნის აღიარება „უცხოთა და მშობლიურის ერთ მხატვრულ თვისებრიობად“ ხომ არ არის იმ თეორიის რეციდივი, რომელსაც მიაჩნია, რომ მთარგმნელს, როგორც შემოქმედს, უფლება აქვს მთარგმანში შეიტანოს ისეთი რამ, რაც დედანში არ არის, მაგრამ დამახასიათებელია მთარგმნელის პიროვნებისათვის და შემოქმედებისათვის? მთარგმნის ისტორიიდან ცნობილია, რომ ასეთი რამის დაშვება მთარგმნელის თვითნებობის გამართლების ცდაა და სხვა არაფერი. ნათქვამი სულაც არ ნიშნავს მთარგმნის როლის დაკნინებას კულტურათა დაახლოების საქმეში. პირიქით, სწორედ იმიტომ, რომ მთარგმანი ხალხთა და კულტურათა ურთიერთგაგების უმთავრესი საშუალებაა, უნდა დასუსტდეს, როგორ ხდება ეს, კულტურის რა ნაკადი როდის და საით მიემართება, ვინ რას გასცემს და ვინ რას იღებს. კულტურათა დაახლოება და ურთიერთგამდიდრება გლობალური და მარადიული პროცესია, მაგრამ ეს არ უნდა იყოს შერწყმა, რაც სულ სხვა რამეს ნიშნავს და შედეგებიც არ უნდა იყოს მთლად სასურველი და სახარბიელო თუნდაც ერთ-ერთი მხარისათვის.

კიდევ ერთი შენიშვნა: [მთარგმნის საზოგადოებრივ-კულტურული ფუნქცია შეიცავს საკითხს მისი ხარისხის, დონის შესახებ, მაგრამ არ განაპირობებს მათ. ფუნქცია, ესე იგი მთარგმნის წინაშე მდგარი ამოცანების სერიოზულობა, ერთნაირად ეხება კარგ მთარგმნისა და ცუდსაც, თუმცა უკუგზობა განსხვავებული: კარგი მთარგმანი ასრულებს თავის ფუნ-

ქციას, ცუდი (სუსტი) – ვერა. ამიტომ თარგმანის აკადრ-
გინობაზე მსჯელობისას მისი სოციალური მიზანდასახუ-
ლობა და კულტურული ღირებულების წინა პლანზე წამოწევა
ბევრს ვერაფერს შემატებს თარგმანის პრაქტიკული პრობლე-
მების გადაჭრის საქმეს, რადგან მიზანდასახულობა და რე-
ალური შედეგები განსხვავებული ასპექტებია და მათ შორის
მიზეზ-შედეგობრივი კავშირი თითქმის არ არსებობს! ჩვენ
ძალიან გეჭირდება ი. ილფისა და ე. პეტროვის უბერებელი
რომანების – „Двенадцать стульев“ და „Волотыи телемок“
კონგენიალური თარგმანები, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ არა
გვაქვს – ამ წიგნებს ჯერ ვერ მოუძებნათ თავისი ივანე მა-
ჩაბელი, ანუ, როგორც ძველები იტყოდნენ, პერაკლე გან-
დიდებულად წარმოჩნდა არა იმიტომ, რომ სწორუპოვარი
გმირი იყო, არამედ იმიტომაც, რომ განმადიდებელი შეხვდა
სწორუპოვარი. დღევანდელი თარგმანთმცოდნეობის არსებითი
ნაკლია ის, რომ ბევრს ლაპარაკობენ, როგორი უნდა იყოს
თარგმანი, მაგრამ იშვიათად ჩნდება კონკრეტული რეკომენ-
დაციები დასახული მიზნის მისაღწევად და კიდევ უფრო იშ-
ვიათად – რა ნიშნების მიხედვით შეიძლება თარგმანის თუნ-
დაც მიახლოებითი შეფასება დადებითად ან უარყოფითად.
სხვანაირად რომ ვთქვათ, შესაძლებელია თუ არა ისეთი
ობიექტური კრიტერიუმების დაძებნა, რომლებიც შედარებით
მაინც თავისუფალი იქნებიან განუკითხავი სუბიექტივიზმისა-
გან, რომელიც ხშირად ეშვება პრიმიტიულ – „მე მომწონს“ –
„მე არ მომწონს“ – დონემდე. არადა თარგმანთმცოდნეობაში
დღეს ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად სწორედ შეფასე-
ბის კრიტერიუმების დადგენა მიგვაჩნია, რადგანც არავენ არ
დავობს იმაზე, რომ თარგმანი დედნის იდენტური უნდა იყოს,
ოღონდაც ეს სავსებით გასაზიარებელი აზრი იხლინება
იდენტურობის გაგების სხვადასხვა ვარიანტების შეჯახებისას.
ხომ ცნობილია, რომ ყველა მთარგმნელს საკუთარი ნაღვაწი
დედნის ეკვივალენტად მიაჩნია. ასე იბადება სუბიექტივიზმი,
რომლის დადასტურება ან უარყოფა მხოლოდ ობიექტური
კრიტერიუმების საშუალებებით თუ შეიძლება. უამისოდ მო-
სახრება „მაინც იტყვის, ჩემი სჯობსო“ დაუძლეველი დარ-
ჩება.

ობიექტური კრიტერიუმების ძეგნა არ გამოორიცხავს მთარგმნელის ფაქტორს. თარგმანში მართლაც არის ჩაქსოვილი და შერწყმული ორი სუბიექტის - ავტორისა და მთარგმნელის - სულიერი და ინტელექტუალური სამყარო. ორივე ქმნის რაღაც ახალსა და მნიშვნელოვანს, რაც აქამდე არ არსებობდა არც გონებაში და არც გრძნობებში და რაც ამიერიდან სამუდამოდ შევა ამ ენაზე მოლაპარაკეთა ცნობიერებაში. მსგავსება თხზვლისა და თარგმნის შორის აღბათ ამით მთავრდება. მერე იწყება ისეთი განსხვავება, რომელსაც მიკროსკოპულ სიმცირემდე დაჰყავს მთარგმნელის ე.წ. „თავისუფლება“. ავტორი საკუთარი შეხედულების მიხედვით არწევს ნაწარმოების თემას, ჟანრს, შინაარსს, ტიპაჟს, სიუჟეტს, სტილს, მოცულობას, სახეთა სისტემას, იდეურ მიმართულებას და სხვა კომპონენტებს. მთარგმნელი ვალდებულია, ყველაფერი ეს უცვლელად გადაიტანოს თარგმანში. ვალდებულია, თუ ის მთარგმნელია და არა გადამკეთებელი. მთარგმნელის ერთადერთი და საპატიო უფლება სწორედ ეს არის - ნაწარმოების ყველა კომპონენტი მაქსიმალური სისრულით ასახოს თარგმანში. და თუ ეს მაქსიმალური სისრულე არ ხერხდება, იმიტომ კი არა, რომ გადახვევა-ცვლილებების შეტანა მთარგმნელის უფლებაა, არამედ იმიტომ, რომ მთარგმნელმა ვერ მოახერხა, ვერ შეძლო საჭირო სისრულისა და სიზუსტის მიღწევა. სხვა საქმეა, რატომ ვერ შეძლო. მაგრამ აქ „შემოქმედებითი თავისუფლება“ არაფერშია. იდეალურად უნდა ჩაითვალოს თარგმანი, რომელიც დედნისაგან მხოლოდ უნობრივი მასალით, როგორც იტყვიან, მხოლოდ ვერბალურად განსხვავდება, დანარჩენი ზემოთ ჩამოთვლილი ნიშნები კი ყველა უცვლელად არის გადმოღებული დედნიდან. შესაბამისად კონვენიალურად უნდა ჩაითვალოს მთარგმნელი, რომელიც სულ არა ჩანს თარგმანში და აღარ არსებობს ავტორსა და მკითხველს შორის ჩამდგარი მესამე პირის შეგრძნება. სამწუხაროდ, რეალურად ამისი მიღწევა შეუძლებელია - არ არსებობს იდეალური მთარგმნელი და, მაშასადამე, იდეალური თარგმანიც. ყველაზე სრულყოფილი თარგმანიც კი რაღაცით განსხვავდება დედნისაგან და იმიტომ დედანზე უარესია. აბსურდულია აზრი, რომ თარგმანი

შეიძლება დედანზე „უკეთესი“ იყოს; უარესი კი შეიძლება იყოს, თუ მას აკლია ან შეცვლილი აქვს რაღაც კომპონენტები, რაც დედანში იყო.

ლიტერატურის თეორია განასხვავებს მხატვრული ნაწარმოების კომპონენტთა რანგობრივ მნიშვნელობას, მათ როდეს ნაწარმოების შეფასებაში. და თუ ე.წ. „წამყვანი“, არსებითი კომპონენტების შენარჩუნება მოხერხდა, თარგმანი იმსახურებს დადებით შეფასებას. თუ რანაირად უნდა დადგინდეს, რა გადარჩა და რა დაიკარგა თარგმანში, ამასე ქვემოთ იქნება ლაპარაკი.

თარგმანის რაობაზე მრავალი აზრი გამოთქმულა და მრავალი განმარტებაა შექმნილი. მთარგმნელის საქმიანობას ზოგი ხელოსნობად თვლიდა, ზოგი ორიგინალური ნაწარმოების შექმნას უტოლებდა. მაგალითად, ე.წ. რეალისტური თარგმანის თეორიის შემქმნელები (ი. კაშკინი, გ. გაჩევილაძე და სხვები) მიიჩნეოდნენ, რომ თარგმანის პროცესი პრინციპულად თითქმის არ განსხვავდება ორიგინალური შემოქმედებისაგან, რომ მწერალსა და მთარგმნელს შორის უმთავრესი განსხვავება საწყისი მასალაა: მწერალი ცხოვრებისეული სინამდვილიდან იღებს ფაქტებს და აქცევს მხატვრულ ნაწარმოებად, მთარგმნელი კი სხვის მიერ შექმნილი მხატვრული ნაწარმოებისაგან კვლავ ქმნის ახალ მხატვრულ ნაწარმოებს, ოღონდაც სხვა ენაზე და განსხვავებული გამოცხადებითი საშუალებებით. ამ დებულებაში საკამათოდ გვეჩვენება მწერლისა და მთარგმნელის უფლებათა ასეთი გათანაწილება და მხატვრულ ნაწარმოებსა და ცხოვრებისეულ მასალას შორის ტოლობის ნიშნის დასმა. ეჭვს არ უნდა იწვევდეს გარემოება, რომ თარგმნა შემოქმედებითი ხასიათის შრომაა, მაგრამ არა ისეთი, როგორც ორიგინალური თხზულების შექმნა. არც ეს უნდა იწვევდეს დავას. დალი ფანჯიკიძის აზრით, „მხატვრული თარგმანი შემოქმედებაა, ოღონდ ფილოლოგიურ შრომასთან შერწყმული შემოქმედება“.¹ ალბათ ამ შემთხვევაში „ფილოლოგიური შრომა“ უნდა გაეგოს, როგორც სათარგმნი ტექსტის წინას-

¹ დალი ფანჯიკიძე. დასახელებული ნაშრომი, გვ. 3.

წარი შესწავლა, ეკვივალენტთა ძებნა-დადგენის სისტემის შემუშავება და დამქანცველი შაყი სამუშაოს შესრულება, რომლის გარეშეც მეტ-ნაკლებად სრულყოფილი თარგმანის შექმნა შეუძლებელია. ამგვარი „ფილოლოგიური შრომა“ შეიძლება არ სჭირდებოდეს ავტორს, მაგრამ მთარგმნელი-სათვის ის აუცილებელია, თუ სურს მართლა გახდეს ავტორის მეტოქე, როგორც ცნობილი პოეტი და მთარგმნელი გ. შუკოვსკი იტყოდა.

შაინც რა არის თარგმანი? პასუხი მრავალნაირია. ყველა მათგანი მჭიდროდ უკავშირდება სხვა საკითხს – როგორი უნდა იყოს თარგმანი. მაგრამ პრაქტიკულმა და თეორიულმა ძიებებმა ცხადყვეს, რომ თუ არ ვიცით, რა არის თარგმანი, ვერც იმას დავადგენთ, როგორი უნდა იყოს იგი.

სამეცნიერო ლიტერატურაში თარგმანს სხვადასხვა განსაზღვრება ახლავს: ზუსტი, ადეკვატური, ტოლფასოვანი, რეალისტური, ეკვივალენტური და სხვა. თვით ეს ტერმინ-განსაზღვრებები არაერთარ კამათსა და ეჭვს არ იწვევს. საკამათოა ის, თუ ვინ რა შინაარსს დებს ამ განსაზღვრებებში და რა პოზიციებიდან ჰდება ეს. თუ თარგმანს მივიჩნევთ ენის სამყაროში მოქმედებად ანუ თარგმანს ჩათვლით ღინგვის-ტურ დისციპლინად, ცნებები „ზუსტი“, „ტოლფასოვანი“, „ადეკვატური“, უნდა განვიხილოთ ტექსტის ენობრივი კომპონენტის საფუძველზე, ხოლო თუ უპირატესობა მიეცემა ნაწარმოების სახეობრივ-ემოციურ მხარეს, მაშინ შეფასების საფუძველიც წმინდა დიტერატურათმცოდნეობითი ხასიათისა იქნება. თარგმანის თეორიის ცნობილი სპეციალისტი ა. ფიოდოროვი უპირატესობას ანიჭებს თარგმანის შემდგენაირ გაგებას: 1. „პროცესი, რომელიც სრულდება ფსიქიკური აქტის ფორმით და მდგომარეობს იმაში, რომ სიტყვიერი ნაწარმოები (ტექსტი ან ზეპირი გამონათქვამი), რომელიც შეიქმნა ერთ – საწყის – ენაზე. კვლავ იქმნება მეორე – მთარგმნელ – ენაზე, 2. ამ პროცესის შედეგი, ესე იგი ახალი სიტყვიერი ნაწარმოები (ტექსტი ან ზეპირი გამონათქვამი)“.¹ აქ პატარა შენიშვნაა საჭირო: რუსულ период-ს ორი მნიშვნელობა

¹ А. Федоров. Основы общей теории перевода, М., 1983, стр. 9.

აქვს, რაც ქართულად ორი სიტყვით გადმოიკვება: თარგმნა და თარგმანი. ასე რომ, ამჟღერად ჩვენ გვაინტერესებს ცნება „თარგმნა“ როგორც პროცესი და არა „თარგმანი“ როგორც პროცესის შედეგი.

თარგმნის რაობის დადგენის ცდებში ყველაზე ხშირად გვიხედება „აზრის გადაცემის“ იდეა. მაგალითად: თარგმნა არის აზრის გადაცემა ერთი ენიდან მეორეზე. ან: თარგმნა არის ერთი ენით გადმოცემული აზრის მეორე ენით გადმოცემა. ასეთი განმარტების ძირითადი ნაკლი ის არის, რომ აზრი წარმოდგენილია როგორც ენისაგან დამოუკიდებლად არსებული რაღაც, რაც შეიძლება გადაიტანო ერთი სივრციდან მეორეში, რაც სინამდვილეს არ შეეფერება, რადგანაც აზრი სიტყვის, ენის გარეშე არ არსებობს, გონებისათვის მისაწვდომი აზრი ყოველთვის ვერბალურია, ანუ ენობრივი ხერხებით არის რეალიზებული.

ენათმეცნიერების იმ მიმართულებაში, სადაც ენა ნიშანთა სისტემად მიაჩნიათ, გაჩნდა თარგმნის ასეთი განმარტებაც: ენა არის თავისებური კოდი, რომელშიც შენახულია რაღაც ინფორმაცია. თარგმნა არის ამ ინფორმაციის ერთი კოდური სისტემიდან მეორე კოდურ სისტემაში გადატანა. თარგმნის ასეთი დეფინიცია არსებითად არ განსხვავდება აზრის ერთი ენიდან მეორეში გადატანისაგან. არც ის უნდა იყოს უდავო, რომ ცოცხალი, ბუნებრივი ენა თავისი მრავალი თავისებურებით, უნიკალური ლექსიკით, სინტაქსით, სინონიმიკით, სიტყვის თამაშით, სტილისტური ვარიანტებითა და ინტონაციური მრავალფეროვნებით გაფუთანაბროთ რომელიმე კოდს. შიფრს, სადაც ყველაფერი ხელოვნურად არის დადგენილი და ნორმირებული, მკაცრად და ცალსახოვნად გამიხნული მხოლოდ მშრალი, ემოციებისაგან სრულიად დაცლილი ინფორმაციის გადასაცემად. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ენის „კოდურობის“ თეორიის უარყოფა არც ისე ადვილია, რადგანაც კოდი შეიძლება იყოს პრიმიტიული და რთული. განა ბუნებრივ ენებში არა გვაქვს ასეთი განსხვავება?

თარგმანისა და თარგმნის არსის თეორიული ძიებანი სასარგებლო და საინტერესოა როგორც თეორიისათვის, ისე პრაქტიკისათვის. მაგრამ თეორიით ზედმეტად გატაცებამ

უარყოფითი შედეგიც მოგეცა – გამოინდნენ „თარგმანმცოდნეები“, რომელთაც საზოგადოება არ იცნობს როგორც მთარგმნელებს ან თარგმანის ანალიტიკოსებს, ხოლო მათი თეორიული პოსტულატები არსად არ დადასტურებულა. ამგვარი „თეორიების“ ღირებულება ნულის ტოლია, ზოგჯერ კი საქმისათვის საზიანოც, რადგანაც „მე ასე მიმანია“-ს პრინციპით ამართლებს და ამკვიდრებს თვითნებობას, უვიცობას, პროფანაციას.

ავიღოთ მაგალითი. „ბახტრიონის“ ერთი პერსონაჟი ამბობს:

ლაშქრობამ ჩამომაბერა,
ძაღლუმადურად გღებამა.
სულ ლაშქარსა ვარ, რაც კია
ქუქუს მამსხლიტა დელამა.

ამ ტაეპის რუსული აზრობრივი თარგმანი ასეთი იქნება:

Состарили меня походы
И лишения такой жизни.
Вечно в походах с тех пор, как мать
Отрвала меня от груди

ვლ. დერჟავინის პოეტური თარგმანი ასეთია:

С той поры, как бросил соску,
Я все время на войне.
Битвы старят. Как собака,
Лезу я куда попало

ერთგვარად ასატანია, რომ თარგმანში გადაადგილებულია სტრიქონები და ზოგჯერ აზრიც – პოეტურ თარგმანში სტრიქონი სტრიქონში ყოველთვის ვერ ჯდება: ხან სიტყვათა სიჭარბე მოითხოვს რაღაც ცვლილებებს, ხან იქმნება ერთგვარი ვაკუუმი, რომლის შესავსებადაც ხშირად უფუნქციო ლექსიკური ერთეული ჯდება. მაგრამ არაფრით არ შეიძლება გამართლება „бросил соску“ და „как собака, лезу я куда попало“-სი. ჯერ ერთი, соска არანაირად არ ვარგა „დედის ქუქუს“ სახედ, მეორე – „ძაღლუმადურად გღება“ მძიმე, დუხ-

პირ ცხოვრებას ნიშნავს და არა „ძალდივით ყველგან ძრომას“.

თავისმწონე ვაჟკაცი, გმირი მთიელი არ შეადარებს თავის თავს ძალს, ხოლო მოქმედებას – ძრომას. ეს აშკარა შეურაცხყოფაა, პოეზიასთან სიახლოვეს ხომ ღაპარაკიც ზედმეტია. დიდი პოეტის შემოქმედების თარგმნისას ასეთი ნაყარდნა ფრიად არასასიამოვნოა, მაგრამ საყვედური უპირველეს ყოვლისა უნდა ეუთხრათ არა ვლ. დერჟავინს, რომელმაც ქართული არ იცოდა – პწკარვლით მუშაობდა, არამედ იმ ქართველ რედაქტორებს, რომლებმაც ან ვერ შეამჩნიეს ეს სერიოზული ხარვეზი, ან დაუდევრად მოეკიდნენ და დაბეჭდვის დასტური მისცეს. ცხადია, მათ არც ერთი ამკობთ და არც მეორე.

ახლა სხვა მაგალითი, ოღონდაც შებრუნებული.

მ. შოლოხოვის ცნობილი მოთხრობის „Судьба человека“ პერსონაჟი ანდრეი სოკოლოვი ომის ველზე საბჭოთა ნაწილის უკან დახევას ასე აღწერს : „а тут гляжу – мать честная – пехотка наша и справа и слева от грейдера по чистому полю сыпет“. რ. ინანიშვილისა და გ. ხომერიკის თარგმანში ეს ადგილი ასეა გადმოქართულებული: „დედაო წმინდაო, – ვხედავ, ჩვენს ქვეითებს კაბდო მოეხვეტება და ფანტავს მარცხნივ და მარჯვნივ ტრიად მინდორზე“. ერთი შეხედვით, საკმაოდ მოხდენილი მეტაფორაა შექმნილი. მაგრამ ეს არ არის მ. შოლოხოვის მიერ შექმნილი სახე. არც ცხოვრებისაგან უკიდურესად გამწარებული კაცის მკაცრი სტილის მეტყველებაა. შეცდომა შემდეგშია: „გრეიდერი“ საერთოდ გზის სამშენებლო მანქანაა, ამ კონტექსტში კი „გრეიდერი“ ნიშნავს. ამ მანქანით გაყვანილ საველე გზას. ქვეითი ჯარი ამ გზის მარჯვნივ და მარცხნივ იხვევს უკან გაშლილი ფრონტით. ასეთი სურათი დაინახა ჯარისკაცმა და ჯარისკაცული ენით ყოველგვარი მეტაფორებისა და შელამაზების გარეშე ჰყვება დანახულის შესახებ. ეს პასაჟი ალბათ ასე იქნებოდა: „და რას ვხედავ, დედაო ღვთისაჲ – ჩვენი ქვეითი გზის მარჯვნივ და მარცხნივ გაშლილ მინდორზე მოილაღება“. სხვათა შორის, არც „мать честная“ არის „დედაო ღვთისაჲ“. აქ უკვე არა აზრობრივ სისუსტეზეა ღაპარაკი, არამედ მამაკაცის მეტყ-

ველების სტილზე. რუსულ მეტყველებაში *мать честная* გაკვირვების გამომხატველი შორისდებულია და ჯარისკაცი, მოფერი იოლად ხმარობს მას. ქართველი მამაკაცი – მოფერი, ნაფრონტალი, არ ჩართავს თავის ემოციურ საუბარში „დედაო დეთისაჲ“-ს.

იგივე პერსონაჟი განაგრძობს: „Видно, из дальнего большого тяжелый положил он мне возле машины“. თარგმანშია: „ქტუობა, შორსმსროლელიდან მომხედა. მძიმე ჭურვი და გამაწვინა მანქანის ახლოს“. გამჭვირვალე ასრი თარგმნილია დაუდევრად. მანქანას რომ ჭურვი (თანაც მძიმე) მოხვედროდა, მისგან და ადამიანებისაგანაც ნაფლეთებიც აღარ დარსებოდა. ჭურვი აფეთქდა მანქანის შორიახლოს (*возле машины*). აფეთქების ტალღამ კი ადამიანი გადაისროლა და არა „გააწვინა მანქანის ახლოს“. ასეთი უზუსტობა, თუ ხშირად გვხვდება, საკმაოდ აღარბებს და აუფერულებს ნაწარმოებს. კიდევ ერთი თითქოსდა უმნიშვნელო დეტალი. მოთხრობაში პერსონაჟის თხრობის სტილი შემოღობილია – მოწინააღმდეგეზე ლაპარაკობს მესამე პირში, ნაცვალსახელით, როგორც რაღაც უხსენებელზე, ტაბუდადებულზე: „тяжелый положил он мне возле машины“ – ეს მეტყველების ფსიქოლოგიური შტრიხია, რომელიც თარგმანში წაიშალა. არადა ამ ნაწარმოების გამომხატველობისა და მოქმედების ერთ-ერთი კომპონენტი პერსონაჟის მეტყველების თავისებურებაა – გამჭვირვალე, სხარტი, ზუსტი და ინდივიდუალური. დიდი სამამულო ომის დროს შემუშავებულმა ლექსიკამ და სტილმა მთელი ეტაპი შექმნა თანამედროვე რუსული ენის განვითარებაში და დაახლოებით ისეთივე როლი ითამაშა, როგორც თავის დროზე ლ. ტოლსტოის „სევასტოპოლურმა მოთხრობებმა“.

მ. შოლოხოვის ეს მოთხრობა ადრეც ითარგმნა, მაგრამ იმდენი უზუსტობა გაიპარა, რომ საჭირო გახდა მისი ხელახლა თარგმნა. სამწუხაროდ, არც მეორე თარგმანი აღმოჩნდა დაზღვეული შეცდომებისაგან.

საწყენი ან გასაკვირი ის კი არ არის, რომ მთარგმნელებმა რაღაც შეცდომა დაუშვეს – ასეთ რთულ საქმეში ეს გამორიცხებული არ არის. სწორედ ამიტომ დაარსდა თავის დროზე რედაქტორის ინსტიტუტი. თარგმანის რედაქტორის

დანისწრელება და მოვალეობა დედნის კარგი ცოდნა, თარგმანის ეურადღებით წაკითხვა და უზუსტობის შენიშვნაა, რათა წიგნის გამოშვებამდე გასწორდეს. აი, სამწუხაროდ ეს არ ხდება ხშირად.

აქ ეს მაგალითები მოვიყვანეთ იმიტომ, რომ თავის დროსე ეს თარგმანები დადებითად შეფასდა და შემფასებლები სწორედ ისეთი „თეორეტიკოსები“ იყვნენ, რომელთაც თარგმანში არაფერი გაუკეთებიათ. ცუდის კარგად გამოცხადება კი, როგორც ცნობილია, კარგის უარყოფასა და დამცირებას ნიშნავს.

დიდი ხანია ისმის კითხვა, რა არის თარგმანი? პასუხიც ბევრნაირი გაეცა ამ კითხვას და კითხვა მაინც ჯერჯერობით კვლავაც რჩება.

ხომ არ შეიძლებოდა ასეთი კითხვის დასმაც: რა მიმართებაშია თარგმანი დედანთან? ასე ვთქვათ, რა არის თარგმანი დედნისათვის? არსებობს ფერწერული ნაწარმოებების დედანი (ორიგინალი) და ასლი (პირი), ფერადი ფოტოს ან ფილმის შავ-თეთრ ასლს შავ-თეთრ ვარიანტს უწოდებენ. ასევე ვარიანტს უწოდებენ დიდი ლიტერატურული ნაწარმოების შემოკლებულ ნაირსახეობასაც. მაგალითად, შექსპირის რომელიმე დრამატული ნაწარმოების სრული ტექსტის სცენურ განსახიერებას ოთხი-ხუთი საათი სჭირდება. ამჟამად ორ მოქმედებად წარმოდგენილი ორსაათიანი დადგმა კი სრული ტექსტის შემოკლებული ვარიანტია. ასევე ცნობილია მხატვრული ტექსტების ადაპტირებული, განსახლდერული მიზნით გადაამუშავებული ვარიანტები (ვთქვათ, ნ. ზაბოლოცკის მიერ ახალგაზრდობისათვის თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“ და სხვა).

დავუშვათ, რომ თარგმანი არის ერთ ენაზე გამოთქმული აზრის სხვა ენის საშუალებით გამოთქმა (იგულისხმება აზრის შემცველი ტექსტის ყველა კომპონენტის მეტ-ნაკლები სისრულით შენარჩუნება, ესე იგი კარგი, სრულფასოვანი თარგმანი). მაინც ამ განმარტებაში თარგმანის დედანთან მიმართება არა ჩანს. ავიღოთ სხვა განმარტება: თარგმანი არის ტექსტის სხვაენოვანი ეკვივალენტური შესატყვისობა, მიმართება არც აქ ჩანს. ამ და სხვა მრავალ განმარტებაში თარგმანი ყოველთვის უთმობს დედანს, ზოგჯერ მეტად,

ზოგჯერ ნაკლებად, მარგამ მაინც უთმობს. რით? რის გამო? არის ასეთი გამოთქმა — კონგენიალური თარგმანი. აქ იგულისხმება, რომ თარგმანი დედანს არაფრით ან თითქმის არაფრით არ წამოუყვარდება. აქ ნნდება თავსატეხი კითხვა: დედნის რა კომპონენტებია გადაცემული იმდენად სრულყოფილად, რომ დედანსა და თარგმანს შორის ტოლობის ნიშანი დაისმის? უდაყო, რომ ერთი — იქნებ უმთავრესიც — კომპონენტი მთლიანად სხვაა. ეს არის ენობრივი მასალა მთელი თავისი განუმეორებლობითა და თავისებურებებით. აღარაყინ კამათობს, რომ ერთი ენა არ მეორდება რომელიმე მეორე ენაში; განსაკუთრებით როცა ლაპარაკია ენის მხატვრულ-ემოციურ გამომხატველობით ხერხებსა და საშუალებებზე. არ მეორდება ფრაზეოლოგიური და ე.წ. იდოლოქტური ლექსიკაც. მეტ-ნაკლებად შეიძლება მიუახლოვო სტილიც, მაგრამ სრულ გამეორებაზე ოცნება შეუძლებელია, რადგანაც თხრობის სტილი მთლიანად ენობრივი მასალით არის განპირობებული. ასევე ითქმის სახეთა სისტემაზე. დაგვჩნა რა? ნაწარმოების შინაარსი, სიუჟეტი, თემა და იდეა, პერსონაჟთა კონკრეტიზაცია. თარგმანის პრაქტიკამ მრავლად იცის ფაქტები, როდესაც ყველა ეს კომპონენტი კარგად არის შენარჩუნებული და მაინც თარგმანი უკმარისობის შთაბეჭდილებას ტოვებს.

მიემართოთ ანალოგიას. დაეუშვათ, მხატვარმა გააკეთა ნიკო ფიროსმანის სურათის „დათვი მთვარიან ღამეში“ იდეალურად ზუსტი ასლი (ასეთი რამეც ხდება — ისტორიამ იცის უნიჭიერების „კოპიისტები“). ექნება ამ ასლს დედნის ღირებულება? არა, რა თქმა უნდა. რატომ? ეს ასლიც ხომ ისეთსავე ესოტეიკურ შთაბეჭდილებას ახდენს მაყურებელზე? ალბათ იმიტომ, რომ ნაწარმოების ეფექტის უკან დგას რაღაც დიდი და განუმეორებელი, რაც ამ ეფექტს მრავალგზის აძლიერებს და ამტკიცებს. ეს არის დედნის (ორიგინალის) ერთადერთობა, განუმეორებლობა და კიდევ ის, რაც მხატვრის, ავტორის პიროვნებასთან არის დაკავშირებული და რასაც ასლთან არაფერი საერთო არა აქვს. რაღაც ამის მსგავსი რამ ხდება თარგმანშიც. ევრასდროს „მერანის“ თარგმანი ვერ ამალდდება დედნის ღირსებამდე არა მხოლოდ

იმიტომ, რომ თარგმანი არ არის დედნის მხატვრული შემოქმედების ჩქონე. არამედ იმიტომაც, რომ იგი არ არის ნ. ბარათაშვილის ქმნილება, არ გაკეთებულა გენიოსის ხელით და არ განათებულა მისი სულისა და გონების ნათელით. ამიტომ ყველაზე სრულყოფილი თარგმანიც კი დარჩება უკეთეს შემთხვევაში კარგ ასლად და მხოლოდ ასლად. ასლის ღირსება კი ყოველთვის ნაკლები იქნება, ვიდრე მისი დედნისა. და თუ ამ პრინციპს ვაღიარებთ, გამოვა, რომ თარგმანი დედნის ასლია, ორეულია მთელი მისი თანმდევი შედეგებით და მისი შეყვასების ობიექტური კრიტერიუმებიც ამის გათვალისწინებით უნდა ვეძებოთ.

აქვე უნდა ითქვას, რომ თარგმანის გაგება, როგორც დედნიდან გადაღებული ასლისა, ახალი არ არის. ჯერ კიდევ 1796 წელს გოეთე წერდა: „წიგნის თარგმნისასაც ისევეა, როგორც სურათის ასლის გადაღებისას: ერთსაც და მეორესაც ნამდვილად უცნობი მაშინ, როდესაც ჰბაძავე მას“.¹

სრულიად მართებულია აზრი, რომ თარგმანი ამდიდრებს არა მარტო კულტურას, არამედ თვით ენასაც — ახალი სიტყვებით, სტილისტური ხერხებით, ფრაზეოლოგიით, გამომხატველობითი საშუალებებით. და ხშირად გვავიწყდება, რომ თარგმნილი ლიტერატურა—თავისი მრავალფეროვნებითა და მრავალრიცხოვნობით სერიოზულად მოქმედებს ენის ლიტერატურული ნორმების დანერგვაზე, სიტყვის აზრის, ემოციის, უღერადობის გაგების უნარზე. თარგმანში დაშვებული აშკარა შეცდომები ან ძნელად შესამჩნევი უსუსტობები შეუმჩნეველად იკიდებს ფეხს და ვრცელდება ენის ყველა სტილში ამ მხრივ საგანგაშოა სასკოლო სახელმძღვანელოების. ენა მოჭარბებული უცხოენოვანი კალკებითა და სიტყვის არასწორი ხმარებით შექმნილი ბუნდოვანებით, სოცჯერ კი უაზრობით.

მხატვრული ლიტერატურის თარგმნის პრობლემებზე სრუენეა საჭიროა და აუცილებელი, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია სახელმძღვანელოების ენაზე სრუენვა, რადგანაც იგი, არსებითად, ხვალინდელი დღის ენაა, მისი

¹ (იტიტა გადმოთარგმნილია დევ კოპელევის ნაშრომიდან: Гете: Художественные переводы и мировая литература. "Мастерство перевода". Сб. десятый, 1973, стр. 110.

სიწმინდის, მკაფიოობის, გამართულობის საწინდარი. იქნებ დადგა დრო, სახელმძღვანელოების თარგმნის საკითხი ისევე პრინციპულად დაისყას, როგორც სიტყვაკაზმული მწერლობისა; იქნებ სასოგადოება დაინტერესდეს, რატომ და როგორ ჩაუვარდათ ხელში ქართული ენის არმცოდნეებს ფიზიკის, ქიმიის, მათემატიკის, ბოტანიკის, სოლოლოგიის, გეოგრაფიის და სხვა შინაარსის სახელმძღვანელოების თარგმნა და დაწერა? ან იქნებ სულაც არა გეყავს ჩამოთვლილი დარგების სპეციალისტები, რომლებმაც სათანადოდ იციან თავისი სპეციალობის ენა?

თუ სათანადო ლექსიკონების მიხედვით ვიმსჯელებთ, ეტყობა, ეს, სამწუხაროდ, ასეა.

როგორი უნდა იყოს თარგმანი. დასაბუთების ცლა

როგორი უნდა იყოს თარგმანი – ეს არის საკითხთა საკითხი თარგმანის თეორიაშიც, პრაქტიკაშიც და ისტორიაშიც. და არა იმიტომ, რომ აქამდე ამ საკითხს მკვლევართა ყურადღება აკლდა და ბევრი რამ ჯერ არ თქმულა. რაც თარგმანისადმი ინტერესი გაჩნდა, მისი მუდმივი თანამდევნი გახდა საკითხიც, როგორი უნდა იყოს იგი. უნდა ვივარაუდოთ, რომ თვით საკითხის დასმას წინ უსწრებდა უკმარისობის გრძნობა, რადგანაც, როგორც წესი, ახალი იდეების გაჩენა და დამუშავება ყოველთვის რაღაცის უკმარისობის, არყოფნის ემოციებით იკვებება.

თარგმანისა და თარგმნის ხარისხის შეფასების ცდები უძველესი დროის ლიტერატურაშიც გვხვდება. მაგალითად, ერთი ძველგვიპტელი მწიგნობარი რეკომენდაციას უწევს ჭაბუკს, როგორც ხორუ ხალხის ენის ზედმიწევნით მცოდნეს და ისეთ თარჯიმანს, რომლის თარგმანიც „ზუსტია აზრითა და მოსასმენად საამო“.¹ ამ ცნობაში ყურადღებას იქცევს დეტალები: 1. თარჯიმნობა იმ დროს უკვე პროფესია იყო; 2. თარჯიმანის საქმიანობის შეფასების კრიტერიუმებიც არსებ

¹ Сказки и мифы Древнего Египта. М., 1963, стр. 116.

ბობდა (აზრის სიზუსტე და „საამოდ მოსასამენობა“), 3. ხაზგასმა „მოსასამენად საამო“ იმის მინიშნებაა, რომ თარგმანის ესთეტიკურ მხარეს უკვე დიდი ყურადღება ექცეოდა.

კიდევ ერთი მაგალითი დედამიწის სულ სხვა რეგიონიდან. ძველი წელთაღრიცხვის მესამე საუკუნის ჩინელი პოეტის სუნ იუმოს ბიოგრაფი პოეტის დიდ დამსახურებად მიიჩნევს იმას, რომ IX საუკუნის ჰიმნები „ისევე გრძნობიერად თარგმნა დღეს გასაგებ ენაზე, რომ ყველაზე განათლებულებიც კი არ იწინებენ, სიამოვნებით კითხულობენ და ტაძრებშიც კი გალობენ სხვათა მოსასამენად“.¹

ეს ცნობა იმითაც არის საინტერესო, რომ იმდროინდელ ჩინეთში უკვე იცოდნენ, რა არის შიდაენობრივი თარგმანი: სუნ იუმომ თავისი დროის ჩინურზე თარგმნა ექვსი საუკუნით ადრე ასევე ჩინურ ენაზე დაწერილი ჰიმნები.

მოყვანილი მაგალითები მოწმობენ, რომ ძველი ცივილიზაციების ქვეყნებში 20-30 საუკუნის უწინაც უკვე დიდი ყურადღება ექცეოდა თარგმანის ესთეტიკურ მხარეს, რომ თარგმანის აკარგიანობის საში ძირითადი საზომი – აზრობრივი სიზუსტე, ემოციური ტოლფასოვნება და სტილისტური დახვეწილობა – უკვე ცნობილი იყო მრავალი საუკუნის წინ.

და მაინც თარგმანი, როგორც ცოცხალი ორგანიზმი, მოითხოვდა და მოითხოვს მუდმივ ყურადღებას, რადგანაც მსოფლიოს ხალხთა ლიტერატურების თვისებრივი და რაოდენობრივი ზრდა-გაღრმავება ისეთივე პროცესს იწვევს თარგმანშიც, როგორც სიტყვიერი ხელოვნების ერთ-ერთ სახეობაში. ახალ ნაწარმოებთა მოზღვაება, ცხადია, ააქტიურებს თარგმანისადმი ინტერესს. ხოლო თარგმანის გზით მოსული ნაწარმოები, თუ იგი ფასეულია და გამოხატავს ახალ იდეებს, სახეებს, ემოციებს, მიმდინარეობას, თვითონ იქცევა მთარგმნელ ენაში ლიტერატურული ცხოვრებისა და აზროვნების ახალი ეტაპის საწყისად. ისიც გასათვალისწინებელია, რომ მაღალმხატვრული ნაწარმოების ტოლფასოვან თარგმანს თან მოაქვს ახალი ლიტერატურული გამოყენებაც. ასე მაგალითად, ვ. უუოვსკის მიერ ბრწყინვალედ თარგმნილმა ევ-

¹ Китайская лирика. Кн. I, Древний период. М., 1951, стр. 97.

როკულენოვანმა პოეტიამ დიდად შეუწყო ხელი რუსული ლიტერატურული გემოვნების დახვეწას, ახალი პოეტური ხერხების დამკვიდრებას. სწორედ ამას უსვამდა ხაზს 1846 წელს ნ. გოგოლი ვ. ქუკოესკის თარგმანებზე საუბრისას: „Переводя, он оставил початки всему оригинальному, внес новые формы и размеры, которые потом стали употребляться все другие наши поэты“. გრიგოლ ორბელიანისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის რითმა, ქართული ლექსისათვის უწყველო, ნოვატორული, არსებითად დაეცლებულია რუსული ლექსის ე.წ. „გაჟური“ რითმით, რაც არც საპრახისია და არც დასაწუნი. ეს იყო ცდა, სიახლე, რომელიც ვერ შეიგუა ქართულმა ლექსმა, ამიტომაც მალე ამოწურა თავისი შესაძლებლობანი. თუმცა განსაზღვრული კვალი დატოვა ქართული ლექსის განვითარებაში.

თარგმანი ისტორიული კატეგორიაა და ამიტომ მისი ხარისხის შეფასებაც ცვალებადია და ეს ცვალებადობა მკაცრ კანონზომიერებათა ციკლს ემორჩილება. თარგმანის შეფასება დამოკიდებულია საზოგადოების ლიტერატურულ გემოვნებაზე, რაც თავის მხრივ იმავე საზოგადოების ესთეტიკური დონით არის განპირობებული. მართალია აღბათ, ბენედეტო კროჩე, რომელსაც მიაჩნია, რომ „არა მარტო თარგმანი ახდენს გავლენას ორიგინალური ლიტერატურის განვითარებაზე, არამედ ორიგინალური ლიტერატურის მხატვრულ-ესთეტიკური კრედო მნიშვნელოვნად განაპირობებს თარგმანის კულტურასა და ესთეტიკას“.¹ გემოვნება, რომელიც შემწყნარებლობას იწენს და ზოგჯერ იწონებს კიდევც მხატვრულად სუსტ ნაწარმოებს, ვერ გამოიჩენს მომთხოვნელობას თარგმანის მიმართ, რადგანაც შეფასების კრიტერიუმები მივიწყებული და უგულვებელყოფილი კი არ არის, „არამედ საერთოდ მოშლილია და შეიძლება აღდარც კი არსებობს. ლაპარაკია, ცხადია, ლიტერატურულ კრიტერიუმებზე, თორემ სუბიექტური „მე ასე მჭირდება“ ან „მე ასე ვფიქრობ“, ყოვე-

¹ Б. Кроче. Эстетика как наука о выражении и как общая лингвистика, ч. I, М., 1920, стр. 198.

ელთვის იყო და იქნება, რადგანაც უამისოდ თარგმანი ვერც შესრულდება და ვერც გამოქვეყნდება.

თარგმანის შეფასების კრიტერიუმებზე დიდი ხანია დავობენ. ეს დავა ჭრელია თავისი დონითა და ხასიათით. დამახასიათებელია, რომ თუ საქმეში ჩახედული სპეციალისტები მსჯელობენ ფრთხილად, მოსოშილად, მიღწეულის გათვალისწინებითა და პატივისცემით, არაჩკოდნენი და დიღუტანტები ლაპარაკობენ რიხსანად, კატეგორიულად, სამყაროს აღმოჩენის პრეტენზიებით, თუმცა არც არაფერი უთარგმნიათ და არც სხვისი თარგმანი გაურჩევიათ, ხოლო სტილზე და ეკვივალენტობაზე წარმოდგენა თითქმის არცა აქვთ. „თითოთ საჩვენებელი“ ქებად მიაჩნიათ, „шашная упря“ -ს თარგმნიან, როგორც „მოულოდნელად გასერილი ტყვია“, ხოლო „Тихий ход“ მიაჩნიათ „სიფრთხანა ცხერად“. ასეთი დონის თარგმანი საკმაოდ ხშირად გვხვდება და თავისი არსებობით ამართლებს მსგავსის გამოჩენას. ასეთი მდგომარეობის სერიოზულ მიზეზად მიგვაჩნია სტილისტიკის როგორც მეცნიერების სრული პროფანაცია სწავლების ეველა დონეზე.

იყო დრო, როდესაც თარგმანს შემოქმედებად არ თვლიდნენ და ცოტა უპატივცემულოდაც ეკიდებოდნენ – ხელოსნობააო. მეოცე საუკუნეში ეს აზრი თანდათანობით შეიცვალა და თარგმანი სრულიად დამსახურებულად გამოცხადდა ლიტერატურულ-შემოქმედებითი ხასიათის საქმიანობად. მაგრამ ამ ერთადერთ მართებულ აზრს მიეტმასნა და ამოეყარა დილექტანტიზმი, უვიცობა და თვითნებობაც, რის შედეგადაც მომრავლდა ე.წ. „შემოქმედებითი“ და „თავისუფალი“ თარგმანები, რამაც საკმაოდ შეუკრცია სახელი თარგმანს როგორც შემოქმედებას. ჯერ ერთი, ცუდის მომრავლებამ მოადუნა ცუდისა და კარგის გარჩევის უნარი, მეორე – დაიწყო განსოგადება სწორედ ცუდის გაფლენათ.

როდესაც მკითხველი ეცნობა ნაწარმოებს თარგმანში ისე, რომ ლედანზე ხელი არ მიუწვდება, მისი შთაბეჭდილება ნაწარმოების შესახებ ყალიბდება წაკითხულის ღირსების მიხედვით. შემდეგ იწყება განსოგადების ეტაპი და თარგმანიდან მიღებული შთაბეჭდილება ვრცელდება მწერალზე და არა მთარგმნელზე, რომლის გეარსაც კი არ

აქცევენ ყურადღებას. და *სიუ* თარგმანი შესრულებულია დაბალ დონეზე. უარყოფითი ემოციები გადადის მწერალსა და მის შემოქმედებაზე. ასე დაემართა, მაგალითად, ა. ჩეხოვის სამტიომიულს ქართულად, სადაც იმდენი და ისეთი ხარვესებია, რომ ქართველ მკითხველს გაუჭირდება აღიაროს ა. ჩეხოვის გენიალობა. აი ორიოდე მაგალითი, რომელიც მოწმობს არა მარტო რადაციის არცოდნას, არამედ, — და ეს არის სწორედ სამწუხარო, — დაუდევრობასა და ერთგვარ სიზარმაცესაც კი, რომ დაინტერესდეს და გაიგოს, რას ნიშნავს მთარგმნელისათვის გაუგებარი ადგილი. მოთხრობა „ტრამალი“, თავი VI. ღამეა, ტრამალზე მგაღლეები ისვენებენ. მოხუცი პანტელეი ჰყვება, თუ როგორ გადაარჩინეს მან და რამდენიმე გლეხმა მდიდარი ვაჭარი ყანალების ხელით სიკვდილს. მადლიერმა ვაჭარმა გლეხებს სამი ასმანეთიანი აჩუქა, გადარჩენის მოთავეს პანტელეის — *пять лобанчиков*. თარგმანის პირველ გამოცემაში *пять лобанчиков* თარგმნილია როგორც „ხუთი პაწაწკინტელა თევზი“. დავეუშვათ, რომ მთარგმნელმა ვერ გაიგო, რას ნიშნავს *лобанчик*, მაგრამ ის ხომ უნდა ეფიქრა, რომ „ხუთი პაწაწკინტელა თევზი“ ვერაფერი ჯილდოა სიცოცხლისა და სიმდიდრის გადაარჩენისათვის. მთარგმნელი კი სხვანაირად მოიქცა. მან ჩაიხვდა ლექსიკონში და ნახა, რომ *лобан* არის მდინარის პატარა თევზი, და გააკეთა დასკვნა: თუ *лобан* პატარაა, *лобанчик* უფრო პატარაა, პაწაწკინტელა იქნება. ამ შეცდომაზე ითქვა თავის დროზე და აი, თარგმანის მეორე გამოცემაში შეცდომა „გასწორდა“ — გაუგებარი „*лобанчик*“ საერთოდ გაქრა და პანტელეი ამბობს, ვაჭარმა მე ხუთი მანეთი მანუქაო. ესეც უახსრობაა, რადგან სიცოცხლის გადარჩენისათვის ხუთი მანეთი არაფერია, როცა სხვებმა, უბრალოდ დამხმარებმა, სამასი მანეთი მიიღეს. დედანში კი სულ სხვა რამაა ნათქვამი: იმდროინდელ ვაჭრულ ქარგონზე *лобанчик* ეწოდებოდა ოქროს ათმანეთიანს, რომელზედაც იმპერატორ ალექსანდრე III-ის დიდშუბლა პროფილი იყო ამოტვიფრული. მაშასადამე, გლეხი ტრაბახობს, რომ მან მადლიერი ვაჭრისაგან 50 ოქოს მანეთი მიიღო, რაც ქალაქის ფულზეც მეტი ღირდა (სხვებმა რომ მიიღეს) და თანაც მართლა მნიშვნელო-

ვანი იყო. ამ პასაჟის წამკითხველი, ცხადია, ვერ მიხედვება, რომ აქ უხეში უზუსტობაა დაშვებული, მაგრამ იმას ხომ იგრძნობს, რომ რაღაც უღლოვიკობაა. წააგო ნაწარმოებმა, წააგო მწერალმა და წააგო მკითხველმაც – მას სიყალბე შეაპარეს.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ რაც უფრო ღრმაშინაარსიანი და მაღალმხატვრულია ნაწარმოები, მით უფრო მეტად სიანდება იგი უპასუხისმგებლო მთარგმნელის ხელში. ეს სამწუხარო ჭეშმარიტებაა, რომელიც შემაშფოთებლად ხშირად დასტურდება ქართული კლასიკის რუსულ თარგმანებში.

ქართული კლასიკური პროზის რუსული თარგმანები უმეტესწილად ქართველების მიერ არის შესრულებული, ასე რომ, დედნის გაგების პრობლემა აქ არ დგას. რედაქტორებიც ქართველები არიან და მათაც იციან, რას წარმოადგენს ნათარგმნი ტექსტი დედანში. თარგმანში გაპარული უზუსტობები და შეცდომები შეიძლება აეხსნათ მთარგმნელის არასახარბიელო კვალიფიკაციით, მაგრამ რედაქტორს ხომ უნდა ეგრძნო, რომ „ხევისბერ გონაში“ მექორწილეების მიერ ნამღერი ხალხური ლექსი

გაუსვი და გამოუსვი,
ვითომ ჭიანურიო,
მეზობლის ქალს ხელს ნუ ახლებ –
ისიც შინაურიო...

არა მარტო ღვინით შეხურებული მაყრიონის ქილიკია, არამედ დიდი ზნეობრივი დატვირთვის მქონე კონტექსტიც. შეუძლებელია, რომ ქართველ ლიტერატორს ეს არ ესმოდეს. და მაინც ნაწარმოების ერთ თარგმანში ვკითხულობთ:

Эй, пляши без усталыи, пляшно,
Как смьчок на чиянури.
Не трогай жену сосседа,
Вель она тожс своя.

ეს „თარგმნა“ არც ლექსია, არც პროზა, აზრობრივად კი მასში ყველაფერი არეულია და გაბუნდოვანებული – შეგონე-
30

ბის ზნეობრივი დატვირთვაც და ჭიანურთან დაკავშირებული სახეც. მომდევნო, მეორე თარგმანში ჩანს მცდელობა ამ შეცდომების თავიდან აცილებისა. იგი ასე ელერს:

По струнам чкпнური,
Води смычком, и грая!
Не трошь жепу соседа,
Она - сестра родная!..

ვანის გავეყარე და უის შეეყვარეო, - ასე დაემართა ამ ოთხსტრიქონიან ლექსს: პირველ თარგმანში თუ ცეკვას გეთავაზობენ დაუღლეულად, თანაც *плавил, как смычок на чкпнური*, მეორეში მოგვიწოდებენ დაუეკრათ ჭიანურზე იმავე „смычок“-ით. ხოლო მორალის შემცველ მეორე ორ სტრიქონში მესობლის ცოლი ყიდაცის დვილ დად არის გამოცხადებული. დედნისეული „ვეითომ“-ის აზრობრივი დატვირთვა სულ არა ჩანს, რამაც „ჭიანურის“ როლი მეტად გაააქტიურა და წამკითხველის ყურადღებაც მიიპყრო, თუმც სინამდვილეში საქმე გვაქვს ხალხური შაირის მეტად დამახასიათებელ თვისებასთან - პირველი ორი სტრიქონი მხოლოდ ფონსა და ვერსიფიკაციულ პირობას ქმნის მეორე ორი ძირითადი სტრიქონის აზრის სახეობრივ-ემოციურად წარმოსადგენად. გასარკვევია, რას ნიშნავს დედნისეული „გაუსვი და გამოუსვი“ - ცეკვაში ფეხის გასმას თუ ჭიანურზე ხემის მოძრაობას. მთარგმნელებმა (და, ეტყობა, მათმა კონსულტანტებმა) ეს გაიგეს როგორც ჭიანურზე დაკვრა, რამაც განაპირობა საფონო მასალის წინა პლანზე წამოწევა და ამით მთავარი ნაწილის მეორეხარისხოვნით დანრდილეა. თუ „გაუსვი და გამოუსვი“ ცეკვას ნიშნავს, მაშინ ჭიანურთან შედარება არ გამოდის - ქართული ცეკვის ტემპი არ ჯდება ჭიანურის მელოდიის მდორე, დინჯ დინებაში, თანაც არ იწვევს ჭიანურზე დაკვრის ასოციაციებს. თუ მუსიკალური ინსტრუმენტის დაკვრაა ნაგულისხმევი, მაშინ რატომ „ვეითომ“- ხალხურ პოეზიას არ უყვარს ალოგიკური მსჯელობა და სახეები. უფრო სავარაუდო ხომ არ იქნებოდა, რომ „გაუსვი და გამოუსვი“ არის პოეტური ფიგურა და გულისხმობს საქმის დინჯ (როგორც ჭიანურია დინჯი),

ყოველმხრივ განსჯასა და აწონ-დაწონას, რის შემდეგაც კნუბით შეპყრობილმა მამაკაცმა უნდა ირწმუნოს, რომ არ შეიძლება „ხელი ახლოს“ მეზობლის ცოლს, რადგანაც ისიც შინაურად უნდა ჩაითვალოს მეზობლური ურთიერთობების იმ ნორმების მიხედვით, რაც საქართველოში იყო მიღებული, და რაც ხალხურ ანდახეობშიც აისახა: „მეზობლო კარისაო, სინათლე ხარ თვალისაო“, „ავი მეზობლის ჭირიმე, ნახე, კარგი რა იქნება“, „უმეზობლობა უძმობაზე უარესიაო“ და სხვა.

კიდევ ერთი უმნიშვნელო დეტალი: ქართული „ისიც შინაური“ ახლო ნაცნობობასა და კეთილ ურთიერთობას გულისხმობს. Она тоже своя და Она – сестра родная მეტისმეტად კატეგორიულია და ამიტომ ზნეობრივი ფასეულობა ირონიულობაში გადადის. მართლაც, მეზობლის ცოლს შეიძლება მოწიწებითა და პატივისცემით ექცეოდე, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ იგი ღვიძლი დის ასოციაციებს უნდა იწვევდეს.

აქ შეიძლება გავიხსენოთ ძველი ჭეშმარიტება: დაწუნება და გაკრიტიკება ადვილია, ვიდრე გაკეთება. მაგრამ დასაწუნი თუ არ დაეიწუნეთ, უკეთესის გაკეთების სტიმული არ შეიქმნება. ისიც აუხსნელი დარჩება, რას და რატომ ვიწუნებთ. ოღონდაც ეს უნდა გაკეოდეს დასაბუთებულად და დამაჯერებლად. ყოველგვარი კრიტიკა პრეტენზიულია. მაგრამ თუ იგი დაწუნებულის ნაცვლად რაღაც დასაბუთებულ ალტერნატივას გვთავაზობს, კრიტიკა უკვე გამართლებულია. არაარგუმენტირებული, მხოლოდ სუბიექტური განწყობილების ხასიათის კრიტიკაც და მოწონებაც მხოლოდ ზიანის მომტანია, რადგანაც უარყოფითად მოქმედებს გემოვნების ჩამოყალიბებაზე.

ერთ რუსულენოვან გაზეთში ქართული ენის გაკვეთილები იბეჭდებოდა და წამყვანმა ქართული ხალხური პოეზიის მასალა გამოიყენა:

ალაზნის ველზე მივდივარ,
უკან მაბრუნებს ქარიო.
შემომეყარა პეპელა,
წითლად უჩანდა მხარიო.
საყვარლის კაბას ვამსაგვსე, –
ღმერთო, დამწერე ჯვარიო.

და მისი რუსული თარგმანიც დაურთო:

Иду в долине Алазани.
Ветер возвращает назад.
Лицом к лицу встретила бабочка,
Плечо у псе было красное,
Как платье любимой.
Господи, обвенчай нас!

ძალიან გაბედული უნდა იყოს კაცი, რომ ეს ორი ტექსტი ერთმანეთის. ტოლფასად ჩათვალოს თუნდაც მიხელოვებით მაინც. „ღმერთო, დამწერე ჯვარიო“ მოულოდნელი ხილვისაგან შეიკრთალი კაცის წამოძახილია და არა ღმერთისაგან ჯურისწერის რიტუალის შესრულების მოთხოვნა. აღარაფერს ვამბობთ ფაქიზი მხატვრული სახეების უღვთოდ დასახიროების შესახებ, რაც ყოველ სტრიქონში ჩანს. ეს არა მარტო იმის მანუენებელია, რომ ადამიანს თარგმნა არ ეხერხება, არამედ იმისაც, რომ მას დედნის ელემენტარული შინაარსიც არ ესმის. ერთი ქართული ანდაზა ამტკიცებს, რომ არცოდნა არცოდეაო. არ უნდა იყოს ყოველთვის ასე და არც ამ შემთხვევაში.

კიდევ რამდენიმე მაგალითი ქართული კლასიკის თარგმანებიდან.

1. „ვეფხისტყაოსანი“. ტარიელი რომ პირველად ნახეს: მას ტანსა კაბა ემოსა, გარე – თმა ვეფხის ტყავისა, ვეფხის ტყავისა ქუდივე იყო სარქმელი თავისა.

ამ „ვეფხის“ რუსულად თარგმნამ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია, რაც ჯერაც არ დამთავრებულა – როგორ იქნება „ვეფხი“ რუსულად – барс თუ тигр? კ. ბალმონტმა პოემის სათაური თარგმნა როგორც „Витязь в барсовой шкуре“. შემდეგ დამკვიდრდა „Витязь в тигровой шкуре“. ისმის კითხვა: ღირს კი კამათად? არის კი ასეთი პრობლემა? ამ თემაზე ბევრი დაიწერა, მაგრამ ჯერჯერობით „тигр“-ის ტრადიცია ჭარბობს.

კ. ბალმონტი ტარიელის ჩაცმულობის აღწერისასაც ხმარობს „барс“.

Был в кафтан одет он бурый, сверху ж барсовою шкурой,
И сидел он так, понурый, в шапке барсовой склопьясь.

შალვა ნუცუბიძემ ამჯობინა ტიგრ („Витязь в тигровой
шкуре“). ტექსტშიც ასე აქვს:

Шерстью пестрою наружу, был в тигровом он кафтане,
Из такой же шкуры тигра голова его в тюрбане.

ა. პეტრენკო:

Шкуры тигра одсянье стан прекрасный облекло,
И шелом из той же шкуры облачал его чело.

ბ. ზაბოლოცკი:

Облаченный в шкурс тигра и в такой же шапке странной.

ს. იორდანიშვილის პუბლიცისტულ თარგმანშიც „ტიგრ“-ად
არის ნათარგმნი:

Он был облачен в одсяние из тигровой шкуры

мехом наружу,

Из тигровой шкуры же шапка покрывала его голову.

გამოდის, რომ ბარც-იც და ტიგრ-იც ორივე სწორია, მაგრამ
ტიგრ-ს რაღაც უპირატესობა აქვს. რაში გამოიხატება ეს უპი-
რატესობა? თუ ეს დამტკიცდა, კამათიც დამთავრებულად
უნდა ჩაითვალოს. მაგრამ სწორედ ეს დამტკიცება გაჭირდა.
ტიგრ-ის, ბარც-ისა და პანტერის ზოოლოგიურმა აღწერამ ვერ
გადაწყვიტა დავა იმის შესახებ, თუ რას ნიშნავს ქართული
„ვეფხი“ და რამდენად მნიშვნელოვანია ეს ზოოლოგია რუს-
თაველის პოემის სხვა ენაზე თარგმნის პროცესში. ირიბი არ-
გუმენტი: მ. ლერმონტოვის ცნობილ პოემაში „მწირი“
(მოქმედება საქართველოშია გაშლილი) მონასტრიდან
გაქცეული ჭაბუკი ტყეში გადაეყრება ბარც-ს. ან იქნებ ლერ-
მონტოვი ცდება?

2. ილია ჭავჭავაძე. „მგზავრის წერილები“. ყველა ლექსიკ-
ონის მეხედვით „მგზავრი“ არის „путник“. „წერილები“ კი –
письма. ნაწარმოების სათაური ითარგმნა როგორც „Записки

просажего". „წერილების“ ეკვივალენტად „записки“-ს მინიშნება უთუოდ სწორია. მაგრამ: ა) მოთხრობის შინაარსის მიხედვით ეს არც მთლად „записки“-ა. ბ) უფრო გაუგებარია, რატომ არის „მგზავრი“ „просажий“ და არა „путник“? ამას სემანტიკური არგუმენტაცია აკლია, რადგანაც „просажий“ გულისხმობს გამგელელს, რომელმაც რაღაცას ან ვიღაცას ჩაუარა, რაღაც კონკრეტულ ადგილზე გაიარა. ილიას „მგზავრი“ შეიძლება ასე გავიგოთ?

სოფჯერ უსუსტობის წყაროა ენებში ეკვივალენტობის არარსებობა. ასე დაემართა „ნამწყემსარის მოგონებების“ და „ოთარაანთ ქერივის“ თარგმანს. რუსულში არ აღმოჩნდა „ნამწყემსარის“ ზუსტი შესატყვისობა, ასევე „ოთარაანთ“-ისა „Отарова вдова“, „Отараант вдова“, „Вдова из дома Отаровых“, „Вдова Отарашвили“, „Вдова Отаровых“ – არცერთი მათგანი არ გამოხატავს იმას, რაც დევს ქართულ შესიტყვებაში „ოთარაანთ ქერივი“. სამწუხაროდ, ჯერჯერობით უკეთესი ვარიანტი ვერ დაიძებნა. ეს ისეთი დანაკარგია, რომლის გადარჩენა მთარგმნელს არ შეუძლია.

თარგმანის აეკარგიანობის დადგენისას ისიც გასათვალისწინებელია, თუ ვისთვის, რა კატეგორიის მკითხველისათვის არის იგი განკუთვნილი – მოზარდთათვის, მასობრივი მკითხველისათვის თუ სამეცნიერო-ისტორიული ხასიათის კვლევებისათვის. ამაზეა დამოკიდებული ხშირად თარგმანის სტილი, ენა, ლექსიკა, კომენტარების სიღრმე და სისრულე. ეკვივალენტობის დადგენის გამკაცრება ან შერბილება.

ნ. ზაბოლოცკიმ „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთ მისეულ თარგმანს უწოდა „Переложение для юности“ და ამით გაამართლა დედნისაგან თარგმანის ერთგვარი დაცილება ვერსიფიკაციულადაც და ადეკვატურობის თვლსაზრისითაც. ასევე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან უძველესი აღმოსავლური ეპოსის „გილგამეშის“ გერმანული, რუსული, ქართული თარგმანები. დანტეს „დეათებრივი კომედიის“ სამი რუსული თარგმანი, „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისურენოვანი თარგმანები და სხვა.

მიზანდასახულობის გავლენა თარგმანის ხარისხზე დიდი ხანია ცნობილია. ამის თაობაზე საგანგებოდ მსჯელობდა

დიდი გერმანელი პოეტი გოეთე: „თარგმნისას, როგორც მე მესახება, უნდა ვხელმძღვანელობდეთ ორი ძირითადი მოსახრებით: ერთ შემთხვევაში, თუ გსურს შენს ერს მიაწოდო მკაფიო წარმოდგენა უცხო ავტორზე და ამავე დროს თვალსაჩინოდ აჩვენო სხვა ქვეყნის ცხოვრების პირობები, ამ მისწრაფების გათვალისწინებით, სუსტად მიჰყვები დედანს. მკორე შემთხვევაში უცხოური ნაწარმოები განიხილება როგორც ერთგვარი ნედლი მასალა, რომელსაც მთარგმნელი გადაამუშავებს საკუთარი შეგრძნებისა და რწმენის შესაფერისად და გარდაქმნის იმდენად, რომ მიუახლოვოს საკუთარ ერს, რათა იგი აღიქმებოდეს როგორც ორიგინალური ნაწარმოები“.¹

თავისთავად იდეა – თარგმანის აყვანა ორიგინალური ნაწარმოების რანგამდე ფრიად მომხიბლავია, მაგრამ ამავე დროს მცდარი. იდეა, რომ თარგმანი უნდა ჟღერდეს როგორც ამ ენაზე დაწერილი ნაწარმოები, თავის დროზე მოსწონდათ ისეთ გამოჩენილ ლიტერატორებსაც, როგორებიც იყვნენ ბელინსკი და ჩერნიშევსკი. ი. სტრუგოვიშჩიკოვი კატეგორიულად იმეორებდა ბელინსკის აზრს, რომ „ოტელოს“ რუსული თარგმანი ისე უნდა ჟღერდეს, თითქოს ავტორს იგი რუსულ ენაზე დაეწეროს. მაგრამ მალე აღმოჩნდა, რომ ამ აზრის რეალიზაცია შეუძლებელია – მართლაც, ვინ იტყვის, როგორ დაწერდა შექსპირი თავის ტრაგედიას რუსულად? ან საერთოდ, შეიძლება კი ასეთი რამის დაშვება? აღმოჩნდა რომ – არა. თუ ამ აზრს გავყვებით, გამოვა, რომ ა. პუშკინის „ქვის სტუმარი“ უნდა ჩაითვალოს დონ-ჟუანის თემაზე დაწერილი რომელიღაც ნაწარმოების თარგმანად, რაც, რა თქმა უნდა, უაზრობაა.

არსებითი ხასიათის პარალელები დაიძებნება ვ. ჟუკოვსკის „სადღეგრძელოსა“ და გ. ორბელიანის „სადღეგრძელოს“ შორის. მაგრამ ვინ გაათამამდება და იტყვის, რომ ორბელიანის პოემა ჟუკოვსკის პოემის თარგმანია? ალბათ არავინ. ბევრ დიდ მწერალს დარჩა მონახაზები და ჩანაწერები ჩაფიქრე-

¹ ციკლა თარგმნილია ლევ კოპელევის წიგნიდან: Гете. Художественные переводы и мировая литература. "Мастерство перевода". Сб. десятый, 1973, стр. 109.

ბული ნაწარმოების შესახებ, მაგრამ თუ ჩანაფიქრი რაღაც მიზეზების გამო არ იქცევა რეალობად, ამიტომაც არც იმის თქმა შეიძლება, როგორი იქნებოდა ნაწარმოები.

თარგმნილი ნაწარმოები არის და დარსება სხვა სამკაროდან მოსულ ფენომენად. სხვანაირად არც შეიძლება. „რომიელ და ჯულიეტა“ იტალიაში მომხდარ ამბებს ეხება, მაგრამ ნაწარმოები ინგლისურია, ამიტომ იტალიურად იგი უღერს როგორც თარგმანი. ანა ანტონოუსკაიას ისტორიული რომანი „გიორგი სააკაძე“ ქართული ლიტერატურისათვის მაინც უცხო ენიდან ნათარგმნია და ვერაფერ იტყვის, როგორ დაიწერებოდა იგი ქართულად. საკითხის ასე დასმა არც სერიოზულია და არც მეცნიერული.

აქ ჩნდება ერთი ეჭვი: ხომ არ გვერევა ერთმანეთში ნათარგმნი ნაწარმოებისა და ორიგინალური თხზულების ენისა და სტილის საკითხები?

და კიდევ ერთი მთავარი კითხვათაგანი: როგორი ენით უნდა შესრულდეს თარგმანი – დედნის ენასთან მაქსიმალურად მიახლოებულით თუ მხოლოდ მთარგმნელი ენის თავისებურებათა გათვალისწინებით? ან იქნებ რაღაც „ოქროს შუალედის“ არსებობს, რომლის მოძებნაც მთარგმნელის უდიდესი მიღწევა იქნება?

მთარგმნელობითმა პრაქტიკამ თითქმის ყველა ხერხი მოინჯა და ყველა გზა გამოსცადა. ამის ერთ-ერთი მკაფიო მაგალითია სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუისას“ ორი რუსული თარგმანი, რომლებიც აბსოლუტურად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ერთი შესრულებულია თანამედროვე რუსული ენის ლექსიკურ-სტილისტური და სინტაქსური ნორმების სრული დაცვით, მეორე წარმოადგენს დედნისეული ენის სტილიზაციას, ზოგან მოხდენილს, ზოგან საკმაოდ წარუმატებელს. ორივე მიდგომის დაცვაც შეიძლება და დაწინებაც – გააჩნია, რა პოსიციებიდან შევაფასებთ. მარტო წიგნისა და იგავ-არაკების სათაურების თარგმნაა მთელი პრობლემა, რადგანაც ვარიანტებს შორის საკმაოდ პრინციპული განსხვავებაა.

ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანმა“ დიდი ხანია მიიზიდა მთარგმნელთა ყურადღება. მარტო 1966 წელს გამოცხადებულ

საკავშირო კონკურსზე წარმოდგენილი იყო ხუთასზე მეტი თარგმანი. მაშინ კონკურსის ჟიურიმ განაცხადა, რომ მის განკარგულებაშია 150-ზე მეტი გამოქვეყნებული თარგმანი (სხვათა შორის, საბჭოთა კავშირის ხალხთა და უცხო ენებზე შესრულებულ თითქმის ყველა თარგმანს საფუძვლად რუსული თარგმანები დაედო). ქართული პოეზიის ამ შედეგის რუსულად აქლერება სცადეს როგორც სახელოვანმა, ისე ნაკლებად ცნობილმა პოეტებმა. ყველა ეს თარგმანი განსხვავდება ერთმანეთისაგან მხატვრული დონითა და აზრობრივი სიზუსტის მიხედვით, მაგრამ ყველას სჭირს ერთი საერთო სენი – არც ერთი არ არის ორიგინალის თუნდაც ისეთი ორეული, რომ მკითხველმა ცოტათი მაინც იგრძნოს დედნის მომხიბლაობა და მიძზიდველობა. გავრცელებულია აზრი, რომ ყველაზე უკეთესი მაინც ბორის პასტერნაკისეული თარგმანია. ამ თარგმანს, ცხადია, ბევრი რამ აქვს მოსაწონი და შესაქები, მაგრამ იდეალისაგან იგი ძალიან შორსაა. შევეშვათ ვერსიფიკაციულ დაშორებას და შევხვთ ამ ლექსის მერვე სტროფს – ნაწარმოების აზრობრივ ფილოსოფიურ ხერხემალსა და პოეტის ზნეობრივ და ესთეტიკურ კრედოს:

ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირულის

სულის კვეთება,

და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო,

მაინც დარჩება;

დღე, ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სიძნელე

გზისა გაუადვილდეს,

და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი შავის ბედის

წინ გამოუქროლდეს!

ბორის პასტერნაკის თარგმანში ეს სტროფი ასე უღერს:

Пусть я умру, порыв не пропадет.

Ты протоптал свой след,

Мой конь крылатый,

И легче будет моему собрату

Пройти за мной когда-нибудь вперед.

კრიტიკული ჟინი არ გვალაპარაკებს, მაგრამ შევბედავთ დიდ პოეტსა და ვიტყვი: ეს თარგმანი მხოლოდ მკრთალი ანარეკლია ბარათაშვილის პოეტური და ფილოსოფიური შედეგისა. ეს ბრალდება არ არის, ეს საწყენი ფაქტის კონსტატაციაა. მთარგმნელმა გააკეთა ის, რის გაკეთებაც შეძლო და ამისთვის მან ქართველთა მადლობა და პატივისცემა დაიმსახურა. მაგრამ სხვებზე უკეთესი არ ნიშნავს საუკეთესოს. „მერანი“ კვლავ ელის ახალ, უფრო სრულყოფილ რუსულ თარგმანს. აქვე უნდა ითქვას, რომ ამ ლექსის სხვა მრავალრიცხოვანი თარგმანები ჯერაც არ არის სათანადოდ შესწავლილი. ვინ იცის, იქნებ რომელიმე მათგანი არც ჩამოუყარდებოდეს პასტერნაკისას. ცნობილია ასეთი კურორტული ფაქტი. დახურული კონკურსის შედეგად მოწონებულ ათ თარგმანს სხვადასხვა რანგის წამახალისებელი პრემიები და დაბეჭდვის რეკომენდაციები მიეცა. და უცნაური ის არის, რომ არ გამოქვეყნდა თარგმანი, რომელმაც მოწონებულთა შორის ყველაზე მეტი აღიარება მოიპოვა, ესე იგი პირველი ადგილი დაიკავა. ასეც ხდება ხოლმე, სამწუხაროდ.

ნაკლოვანებათა ქექვა თითქოს უფრო ადვილია, ვიდრე მათი აცილება. პოეტური თარგმანი მრავალმხრივ რთული და წინააღმდეგობრივი მოვლენაა. მთარგმნელს ყოველი სიტყვის, ყოველი წინადადების, ყოველი რითმისა და საზომის მოძებნა და, რაც მთავარია, მათი შეხამება ერთმანეთში და დედანთან პირდაპირ სისხლის ფასად უჯდება. ეს ყველაფერი გასაგებია, თარგმანში გაპარული უზუსტობების ახსნა შეიძლება, გამართლება — არა; საქმე ეხება ლიტერატურისა და, კერძოდ, ნაწარმოების პრესტიჟს, ღირსებას.

მოვლენის სუბიექტური შეფასება ყოველთვის შეიძლება სადავო გახდეს. ამიტომ ასე დაჟინებით ეძებს მთარგმნელობითი თეორია და პრაქტიკა რაღაც ობიექტურ საზომებს, კრიტერიუმებს, რომელთა გამოყენებაც დავას ფაქტად აქცევს, ფაქტი კი, როგორც ცნობილია, ჯიუტი რამ არის და ლოგიკურ კამათში მას ანგარიში უნდა გაეწიოს. ასეთ ობიექტურად არსებულ კრიტერიუმებად შეიძლება მივიჩნიოთ ეკვივალენტობის თეორიის მიერ შემოთავაზებული ცნებების

რეალიზაციის დონე დედანსა და თარგმანში (იდეა, სიუჟეტი, სტილი, აზრი, ლექსიკა, სინტაქსი, სახეთა სისტემა, თხრობის კილო, ჟანრი, პოეტიკა და მხატვრული ნაწარმოების სხვა ელემენტები). თარგმანი უნდა განიხილებოდეს ნაწილ-ნაწილ და მოლიანად ეკვივალენტობის თეორიის ფონზე: არის თუ არა შესატყვისობა თარგმანსა და დედანს შორის, თუ არის — რა დონეზე: ლექსიკურად, სტილისტურად, ემოციურად, სახეობრივად — ნაწილობრივ თუ მთლიანობაში. სადაც ეკვივალენტობა დარღვეულია თუნდაც რაღაც ნიუანსში, იქ უკვე უზუსტობაა ან აშკარა შეცდომა. მხატვრული ნაწარმოები ენობრივ მასალაზეა აგებული. ენობრივი უზუსტობების (შეცდომების) შემწნევა ძნელი არ არის მათთვის, ვინც იცის ენები. არც იმისი მიგნებაა ძნელი, რა ხასიათისაა უზუსტობა — აზრობრივი, სტილისტური თუ სხვაგვარი. თარგმანისადმი ასეთი მიდგომა მიუღებელი იქნება მათთვის, ვინც ტექსტის ენობრივ სტრუქტურას რატომღაც არ უწყევს ანგარიშს და, პოეტის თქმისა არ იყოს, „მაინც ამბობს, ჩემი სჯობსო“.

თარგმანის ანალიზი ეკვივალენტობის პრინციპით საშუალებას გვაძლევს მოეუბნოთ ობიექტური კრიტერიუმები ნაწარმოების ისეთ წმინდა ლიტერატურათმცოდნეობრივ კომპონენტებს, როგორცაა: ჟანრი, მხატვრული სახე, პოეტური ფიგურა, ეპითეტი, მეტაფორა, ალიტერაცია, რითმა, რიტმი და სხვა, რადგანაც ყველაფერი ეს ენობრივი მასალით გამოიხატება და ამიტომ მისი ანალიზი შესაძლებელია. პრინციპი: „მომწონს“ — „არ მომწონს“ მისაღები და ანგარიშგასაწვეია ინდივიდის გემოვნების ფარგლებში, მაგრამ თუ მას დასაბუთება არ მოეძებნება, იგი განზოგადების მეთოდად არ ვარგა, მაშასადამე, სასწავლო პროცესში ვერ ჩაირთვება. არ უნდა დაგვაფიწყდეს, რომ დახვეწილი, სანდო გემოვნება სულაც არ არის მხოლოდ სუბიექტური რამ. იგი, უპირველეს ყოვლისა, საკითხის ღრმა ცოდნას ემყარება, ისეთ ცოდნას, რომელშიც ყველაფერს მოეძებნება ლოგიკური ახსნა და დასაბუთება. ეს დებულება სულაც არ გამორიცხავს ბუნებრივი ნიჭის როლს, რადგანაც ნიჭის გარეშე სათანადო ცოდნის ათვისებაც შეუძლებელია. ლაპარაკია სიტყვის აზრისა და ჟღერადობის გაგების ნიჭზე, იმის ალღოზე. შეუძლია თუ არა ამა თუ იმ სიტყვას მეზობლობა და პარტ-

ნიორობა გაუწიოს სხვა სიტყვას. ასე, მაგალითად, საწყევარი გამოთქმები, როგორც წესი, უარყოფითი ემოციების შედეგი და ანარეკლია, მაგრამ ჩვეულებრივად შექმნილ გამოთქმებს: „Проклятая русская песня! Всю душу вышорачивает“ (М. Горький), ან ვაუას მიმართვას არაგვისადმი: „რა ღამაზია, წყეულო, შენთ სეირთთა ღაღნი ჩქერანი, გააფთრებულსა ტაღლასა კლდეს რო წაუვლენ თქერანი“. საჭირო კია იმის მტკიცება, რომ მოცემულ კონტექსტებში რუსული „проклятая“-ც და ქართული „წყეულო“-ც განუსომლად დიდი და ყელში მობჯენილი სიყვარულისა და მოფერების გამომხატველი სიტყვებია? მათი გაგება იოლია, გამოთქმას კი ხმის რაღაც განსაკუთრებული მოდულირება სჭირდება, რომ ამ საწყევარიდან წყეულამ კი არა, სიყვარულმა და აღფრთხილამ ამოხეთქოს. რატომ, როგორ, რა მანქანებით იცვლება ასე ძირეულად სიტყვის მნიშვნელობა, რათა როგორმე გამოხატოს ის ექსტაზი, რომლის ამსახავი საშუალებაც ენას ჯერ არ შეუქმნია?

აშკარაა, რომ ორივე მაგალითში ერთი და იგივე ემოციაა დაფიქსირებული და მის გამოსახატავად ასევე ერთი და იგივე ვერბალურ-სტილისტური ფიგურაა გამოყენებული. თავთავის ადგილას თითოეული მათგანი დიდებულად ქლერს, მაგრამ რამდენად შეენაცვლებიან ერთმანეთს თარგმანში? შეიძლება კი ამ ორი სიტყვის ეკვივალენტებად ჩათვლა? გაანია, რომელი მთარგმნელი როგორ შექმნის ისეთი კონტექსტის შექმნას, რომელიც დამუხტული იქნება იმ მოჭარბებული ემოციით, რაც ასე აშკარად იგრძნობა მოყვანილ მაგალითებში. ისიც უნდა გაეითვალისწინოთ, რომ რუსული „проклятая“-სთვის ქართულს ორი შესატყვისი აქვს – „წყეული“ და „დაწყველილი“. ამ სინონიმებიდან უკეთესის ამორჩევასაც რაღაც არგუმენტაცია სჭირდება, რადგანაც მათ შორის ნამდვილად არის სტილისტური განსხვავება: „წყეულში“ თითქოს თვისების რაღაც მუდმივობა, თანდაყოლილობა შეიმჩნევა, „დაწყველილში“ – თვისების მეორადობა, შემდგომინდევლობა. ან იქნებ ეს შეგრძნება სუბიექტურია? რაღაც მსგავსი განსხვავება შეაქვს მახვილის ადგილს რუსულ „проклятая“-შიც: შევადართ ორი გამოთქმა – „проклятый человек“ და „проклятый человек“.

განვიხილოთ კიდევ ერთი მაგალითი. ილია ჭავჭავაძის პოემაში „ზაქრო სულ რაღაც ორიოდე სიტყვით გადმოგვეცემს მისი ბატონის არაადაშიანურ სისასტიკეს. თანაც დარწმუნებულია, რომ არც სხვა ბატონები არიან მამა აბრამის ბატონები. ამიტომ მოკლედ და აფორისტულად ჭრის:

რა გაეაგრძელო, თავადის-შივილი
კარგი რა არის, ავი რა იყოს?!

ამ ორ სტრიქონში ბატონისა და ყმის ურთიერთდამოკიდებულების მთელი არსია ჩატეული: კარგი რა არის, ავი რა იყოს. „კარგი“ ბატონის ხელშიც გამწარებული ჰქონდათ სიცოცხლე ყმებსა და ავი რაღა დღეს დააყრიდა დამონებულებს?! ეს გამოთქმა დიდი ხანია აფორიზმად იქცა, დამოუკიდებელი სენტენციის სახით დაიმკვიდრა ადგილი ქართულ ენაში. ბატონყმობის სიმწარე ათქმევინებს ა. გრიბოდოვის ერთ პერსონაჟს:

Минуй нас пуще всех печалей
И барский гнев, и барская любовь.

მართალია, სიტუაციები განსხვავებულია, თქმის უშუალო მიზეზი და სტილიც სხვადასხვაა, მაგრამ დამოკიდებულება ბატონისადმი ერთნაირად უარყოფითია.¹

დაეუბრუნდეთ ზაქროს სიტყვებს: „თავადის-შივილი კარგი რა არის, ავი რა იყოს“. ილიას ეს პოემა რუსულად თარგმნა არსენი ტარკოვსკიმ. ბევრი კარგის თქმა შეიძლება ამ თარგმანზე, თუმცა არც ხარვეზებით არის იგი ღარიბი. საანალიზო სტრიქონები თარგმანში ასე ელვრს:

Многого и лучший князь не стоит,
Что распространяться о дурном!.

¹ საინტერესო დეტალი: ლიტერატურაში კლასობრივი ბრძოლის ასახვის მოწინააღმდეგეებმა 90-იან წლებში „კაკო ყანალი“ ამოაგდეს საშუალო სკოლის პროგრამებიდან იმ მოტივით, რომ ილია ჭავჭავაძე მეტიმეტად მუქ ყურებში ხატავს ქართულ თავადებსო. მაშ ასე: ილია ჭავჭავაძემ თურმე არ იცოდა, რა იყო ბატონყმობა ან შეგნებულად გააშუქა სურათი, ამიტომ „მცოდნეებმა“ გაათავისუფლეს ქართული სკოლა ამ ცდენებისაგან.

გასაგებია, რა სირთულეები ახლავს პოეტური ტექსტის თარგმნას, ამიტომ ზოგჯერ დანაკარგიც გარდაუვალია. მაგრამ მძინც უნდა აღინიშნოს ორი არსებითი ნაკლი ამ თარგმანში. 1. დედანში აფორიზმი ტექსტის ორგანული ნაწილიც არის და დამოუკიდებელი ესთეტიკურ-სწიგბრივი ღირებულებაც აქვს. თარგმანში ორივე ეს თვისება დაკარგულია. 2. დედანში დაპირისპირებას ქმნის ანტონიმური წყვილი „კარგი“ – „აეი“. ამას ზურგს უმაგრებს ფართოდ გაერცვლებული „აეი და კარგი“, „აეკარგიანობა“. აზრობრივი თარგმანი ასეთი იქნება: Что и говорить, каков барин, если даже добрый, и чего можно ждать от злого.

რუსულ თარგმანში დაპირისპირებას ქმნიან: „лучший“ და „дурной“. რუსული ენის სტილისტური ნორმების მიხედვით ეს უზუსტობაა, რადგანაც „лучший“-ს ანტონიმი იქნება „худший“, ხოლო „дурной“-ს ამ კონტექსტში ანტონიმი არ მოეძებნება.

სამწუხაროდ, მთლიანად ამ პასაჟში (ბატონის დახასიათება) თარგმანი არსებითად არის დაშორებული დედნისაგან: დარღვეულია აზრთა შინაგანი ლოგიკა და თანმიმდევრობა. მსჯელობა პირობითად სამ რგოლად შეიძლება გაიყოს. პირველი – ბატონის დახასიათება (კონკრეტულად – ზაქროს ბატონის), მეორე – ბატონების განზოგადებული დახასიათება, რაც გულისხმობს, რომ კონკრეტული ერთი პიროვნების არაადამიანური სისასტიკე გასაკვირი არ არის, რადგანაც ისიც ისეთია, როგორც ყველა სხვა; მესამე – აი, ასეთ ბოროტსა და გულქვა ადამიანს ეახლა მისი მოხუცი ყმა. ამგვარი ანალიზი წერილმანებში ქექვა არ არის – ლაპარაკია უმთავრესის შენარჩუნებაზე. თარგმანში ლოგიკური თანმიმდევრობა დაშლილია და განზავებული რაღაც სენტიმენტალური ტონებით. მოვიტანოთ ტექსტი ორივე ენაზე:

მხეცი რამ იყო ბატონი ჩვენი,
ერთი აჯამი, გულქვა, რეგვანი.
იმას კაცებრი გული არ ჰქონდა,
რომ მამაჩემი შეპბრალეზოდა.
რა გაეგბრძელო, თავადის-შვილი

კარგი რა არის, ავი რა იყოს?!
და მამანემი გულმოწყვეტილი
ეახლა ამგვარს უხამსსა ბატონს.

Подлинно был лютостью отмечен
Гордый князь. Он был упрям и зол,
И неистов, и бесчеловечен, —
К просьбе старика не снизошел.
Многого и лучший князь не стоит,
Что распространяться о дурном!
Князь простых сердец не успокоит,
Не оплатит за добро добром.

ამ თარგმანში აშკარად ყალბად ქდერს „гордый князь“ და გაუგებარია სტრიქონები „Князь простых сердец не успокоит; Не оплатит за добро добром“.

ამგვარი რამ დედანში არ არის და არც შეიძლება იყოს, რადგანაც სრულიად ეწინააღმდეგება ბატონყმობის ფსიქოლოგიას და აზროვნებას. არ ვარგა „Князь простых сердец не успокоит“. ეს წინადადება სრულიად უფუნქციოა და აშკარაა, რომ მისი გამოჩენა ვერსიფიკაციული სირთულეების დაძლევის წარუმატებელი ცდის შედეგია.

ილია ჭავჭავაძემ თავის მძაფრ სოციალურ ნაწარმოებს წაუმძღვარა შოთა რუსთაველის ცნობილი სიტყვები: „მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები. მიღეწიან, მომიგონებენ, დამლოცვენ, მოვეგონები“. არსენი ტარკოვსკიმ გამოიყენა ნ. ზაბოლოცკის თარგმანი, ოღონდაც ტაუპიდან აიღო არა ორი სტრიქონი, როგორც ილია ჭავჭავაძემ, არამედ სამი:

Ты раздай богатство бедным, возврати рабам свободу,
Надели сирот несчастных, обреченных на невзгоду. —
Пусть я буду и по смерти, дорог нашему народу.

როგორც ვხედავთ, მთარგმნელმა აღადგინა ის სტრიქონი (მე-3), რომელიც ავტორმა გამოტოვა („შენ გაამდიდრე ყოველი ობოლი, არას მქონები“). ილია ჭავჭავაძის მიერ ამ სტრიქონის გამოტოვება უნდა აიხსნას დანაგრულის გან-

თავისუფლების დიდი სიკეთითა და განთავისუფლებულის მხრიდან დიდი მადლიერების ურთიერთ დაკავშირების სურვილით (გამოტოვებული სტრიქონი ამ ორ აზრს შუა არის მითავსებული და ერთგვარად აშორებს მათ). მთარგმნელის ასეთი მიდგომა ტექსტისადმი გვაფიქრებინებს, რომ ზაბოლოცკის თარგმანი არ აკმაყოფილებდა არსენი ტარკოვსკის და ამიტომ მოეწილი ერთი სტრიქონით განაწილდა ნაწარმოების ეპიგრაფი.

ისე კი სჯობდა, პოემის ეპიგრაფი დარჩენილიყო ორ-სტრიქონიანი და სათანადო სიზუსტის მისაღწევად ლოკალურად თარგმნილიყო ეს ორი სტრიქონი. ეს დასაშვებია არის და შესაძლებელიც.

კიდევ ერთი დეტალი, რომლის განენაშვიც ბრალი უნდა მიუძღოდეს უფრო რედაქტორს, ვიდრე მთარგმნელს. დედანში ყველგან იხმარება „ბატონი“. ამ სიტყვას ხმარობს პერსონაჟიც და ავტორიც. თარგმანში კი მის ადგილას გამოყენებულია „князь“. რატომ? ეს არსებითი სტილისტური და აზრობრივი უზუსტობაა. ნაწარმოებში ხაზი აქვს გასმული პიროვნების არა სოციალურ წოდებას, არამედ მდგომარეობას – ერთი ადამიანი მეორის ბატონია და ამით ბოროტად სარგებლობს. გამწარებული ყმა მტარვალ ბატონსა კლავს და არა თავადს (князь). ამ князь-ის ნაცვლად თარგმანში კარგად გაიქვლებოდა господин, ან барин, რაც ქართული „ბატონის“ თითქმის სრული ეკვივალენტია, მაგრამ სტრიქონის გადაკეთება გახდებოდა საჭირო, მარცვალთა რაოდენობრივი განსხვავების გამო.

ქართული კლასიკური ლიტერატურის რუსული (და არა მხოლოდ რუსული) თარგმანების კითხვისას იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ თარგმანებს აკლია პროფესიონალი ლიტერატორისა და რედაქტორის მორუნველი ხელი და თვალი, აკლია პასუხისმგებლობის გრძნობა თარგმანის ღონეზე, მის აზრობრივ და მხატვრულ-ესთეტიკურ ინტერპრეტაციაზე. სხვანაირად ვერ აიხსნება დაშვებული (თუ გაპარული) პრიმიტიული, უხეში ზედაპირული თუ სიღრმისეული შეცდომები. და ეს გაგრძელდება იქამდე, ვიდრე თარგმანის ხარისხზე პასუხს აგებენ მხოლოდ დაქირავებული

მთარგმნელი და შემთხვევით, ალაღბედზე დანიშნული რედაქტორი, რომლებიც დაინტერესებული არიან ნაბეჭდი თაბახის რაოდენობით და არა გააკეთებული საქმის ხარისხით. ამიტომ უნდა დაკანონდეს თარგმანის ლიტერატურული რეცენზირება და ვილაცის პერსონალური (პირადი ან ორგანიზაციული) პასუხისმგებლობა თარგმანის აუხეც და კარგეც.

თარგმანთმცოდნეობაში არის დებულებები, რომელთა ჭეშმარიტებაც ერთნაირად არის აღიარებული ყველა თეორიულ მიმდინარეობაში, იქნება ეს ადეკვატური, ტოლფასოვანი, ზუსტი, რეალისტური, ეკვივალენტური, სრული თუ სხვაგვარი — ეს არის თარგმანის დედანთან მაქსიმალური სიახლოვე და შესაბამისობა. ყველა მკვლევარი მომხრეა, რომ თარგმანი უნდა იყოს *верный и полный* (ზუსტი და სრული), როგორც მოითხოვს ა. ფიოდოროვი. კამათი, და თანაც დღემდე გადაუწყვეტელი, იწყება იქიდან, თუ ვის როგორ ესმის ეს მოთხოვნა პრაქტიკულად, როგორი უნდა იყოს თარგმანი, რომ „ზუსტისა“ და „ტოლფასოვანის“ შეფასება დაიმსახუროს, მართალია გ. გაჩეჩილაძე, როდესაც ბრძანებს, რომ „თარგმანის ადეკვატურობის განსაზღვრა არის მხატვრული თარგმანის თეორიის ძირითადი ამოცანა“.¹ ამ შემთხვევაში პრიმიტიულ შეცდომებზე კი არ არის ლაპარაკი (როდესაც, ვთქვათ, *лесенка* „პატარა ტყედე“ არის თარგმნილი, ზოლო *„улышние баны“* „დარღიმანდ დედაკაცებად“ იქცნენ), არამედ ისეთ გადაცდენებზე, რომლებიც არსებითად ამახინჯებენ ნაწარმოების შინაარსობრივ და მხატვრულ სტრუქტურას, თუშეცა ეს გადაცდენები შეიძლება არც იგრძნობოდეს თარგმანის კითხვისას.

მხატვრული ნაწარმოები დედანშიც კი ხშირად განსხვავებულად ესმით და განსხვავებულ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე. ეს დამოკიდებულია ეპოქის სულისკვეთებაზე, გაბატონებულ იდეოლოგიაზე, მკითხველის ინტელექტზე, განათლებაზე, გარემოზე, სადაც იგი ყალიბდება და ცხოვრობს. შემონახულია ცნობები, თითქოს „დონ კიხოტის“ კითხვისას

¹ გვი გაჩეჩილაძე. მხატვრული თარგმანის თეორიის საკითხები. თბ., 1958, გვ. 80.

ხალხი ბეირდებოდა სიცილისაგან. დღეს ეს ნაწარმოები ხარხარს კი არა, ჩაღრმავებულ ფიქრებს იწვევს. სათანადოდ შეიკვალა მთავარი პერსონაჟისადმი დამოკიდებულება (და რომანის კითხვისას). მისი უცნაური საქციელი უკვე სისულელედ კი აღარ გვეჩვენება, არამედ რაღაც უფრო დიდ, მნიშვნელოვან და აღამიანებისათვის ძალიან საჭირო მოვლენად. განსხვავებულმა გაგებამ შეიძლება თარგმანშიც იჩინოს თავი. ამის საუკეთესო მაგალითია თუნდაც 'მალვა ნუკუბიძის მიერ შესრულებული „აბდულჩესიას“ რუსული თარგმანი, ან რუსთაველის აფორიზმის „ლეკვი ლომისა სწორია – ძუ იყოს, თუნდაც ხვადია“-ს შ. ნუკუბიძისეული და გ. ცაგარლისეული თარგმანები. და მოგწონს თუ არა, მაინც გამოდის ისე, რომ თარგმანი დედნის ვარიანტია, ოღონდაც თავისებური, სხვაენოვანი ვარიანტი მაშ რა მიმართებაში არიან: „ვეფხისტყაოსნის“ რუსული თარგმანები ერთმანეთისადმი და ყველანი ერთად – დედნისადმი? ვარიანტობის გარდა, სხვა მოდელი არ ჩანს.

ერთგვარ ეტალონად არის მიჩნეული თარგმანი, რომელიც მკითხველზე ისეთივე ზემოქმედებას მოახდენს, როგორსაც დედანი. მაგრამ შესაძლებელია კი ასეთი ოცნების განხორციელება? შეუძლებელს ხომ არ მოვითხოვთ მთარგმნელისაგან? სტიქიისა და აზრის ისეთი ტიტანები, როგორებიც იყვნენ დანტე, სერვანტესი, პუმპოლდტი და სხვა მრავალთა ავტორიტეტი, სრულყოფილ თარგმანს არარეალურ, აუხდენელ ოცნებად თვლიდნენ. მოტივიც ძირითადად ერთი იყო – ენათა, სხვაობის გამო აზრთა და გრძნობათა გადმოცემის ვერბალური სერხები იმდენად განსხვავებულია, რომ ზუსტი, სრულფასოვანი შესატყვისების დაძებნა შეუძლებელია მათი არარსებობის გამო. ასე მაგალითად, დანტე ალიგიერი კატეგორიულად აცხადებს: „ყველამ უნდა იცოდეს, რომ არაფერი, რასაც ლექსის მუსიკალური საფუძვლები შეიცავენ პარამონიის მიზნით, არ შეიძლება ითარგმნოს ერთი ენიდან მეორეზე ისე, რომ არ დაირღვეს მთელი მისი პარამონია და

სიმშვენიერე“.¹ გამოსენილი ლინგვისტი და ენის ფილოსოფოსი ვილჰელმ ჰუმბოლდტი ცხოველი ინტერესით კვიდებოდა თარგმანის პრობლემებს. ოღონდაც ამ საკითხს იგი უღვებოდა ენის რაობის შესახებ საკუთარი თეორიის პოზიციებიდან. როგორც ცნობილია, ჰუმბოლდტს ენები მიაჩნდა ისეთ სისტემებად, რომლებიც ერთმანეთს ნაკლებად ემთხვევიან, რადგანაც ისინი ასახავენ ხალხების მიერ სამყაროს განსხვავებულ ხედვას, აღქმას. ამ განსხვავების მიზეზებს მეცნიერი ენათა იდიომატურობით ხსნიდა და ამიტომ ენათა შორის ეკვივალენტობის შესაძლებლობას თითქმის გამორიცხავდა, უამისოდ კი სრულფასოვანი თარგმანი შეუძლებელია. ვ. ჰუმბოლდტი დარწმუნებული იყო, რომ სრულფასოვანი თარგმანი მიუღწეველი და შეუსრულებელი ამოცანაა, ხოლო მთარგმნელი თუ დედანს უერთგულებს, ამას გააკეთებს საკუთარი ენისა და ხალხის ხარჯზე, თუ ანგარიშს გაუწევს საკუთარ ენასა და ხალხის გემოვნებას, იგი უღალატებს დედანს. ამიტომ მარცხი გარდუვალია. რაღაც შუალედურის მოძებნა არა თუ ძნელია. არამედ შეუძლებელიაო,² - ამტკიცებდა ვ. ჰუმბოლდტი. ნებისმიერ ენაში, რა თქმა უნდა, ბევრი რამ არის იდიომატური ანუ ისეთი, რაც სხვა ენაში არ არის და ამიტომ ეკვივალენტის ძებნაც უნაყოფო იქნებოდა. მაგალითად, ქართულ ზმნებში: შემოეხარჯა, შემოაცვდა, შემოაკვდა, შემოელანძლა და სხვა, არის აზრის ისეთი ელფერი, რასაც მრავალ ენაზე ერთსიტყვიანი შესატყვისი არა აქვს. ამგვარი თავისებურებანი ყველა ენაშია, მაგრამ ასეთი მოვლენების აბსოლუტირება და ამის საფუძველზე ენათა შორის ეკვივალენტობის სრული გამორიცხვა გაუმართლებელია. ყველაზე განსხვავებულ ენებსაც კი მოეძებნებათ იმდენი საერთო რამ, რომ ნიჭიერმა და მცოდნე მთარგმნელმა სრულად ან თითქმის სრულად გადაიტანოს თარგმანში დედნის მხატვრულ-ესთეტიკური თვისებები და ამით უზრუნველყოს სათანდო ეფექტი.

¹ ციტატა ნათარგმნია ა. ფიოდოროვის წიგნიდან „Основы общей теории перевода“, М., 1983, стр. 26.

² ციტატა ნათარგმნია ა. ფიოდოროვის წიგნიდან „Основы общей теории перевода“, М., 1983, стр. 31.

მთარგმნელობით პრაქტიკაში იმდენი მაღალმხატვრული თარგმანია ცნობილი, რომ ვერავითარი თეორიული ნაბიჯი ვერ გააბათილებს მათ არსებობას.

უფრო ნაყოფიერად უნდა ჩაითვალოს საკითხისადმი შექმდენად მიდგომა: თარგმანში, ისევე როგორც ორიგინალურ შემოქმედებაში, გამოირიცხული არ არის შეცდომები და ჩავარდნები. ეს ეხება სიტყვის ხმარებასაც, წინადადების აგებასაც და მხატვრული სახის შექმნასაც. დედნისეული უზუსტობანი ჩვეულებრივ ნაკლებად შესაძინევი, რადგანაც ისინი მეტწილად ავტორის ენის თავისებურებად კვალიფიცირდება, მთარგმნელის მიერ დაშვებული ხარვეზები კი დედნის ფონზე თვალში საცემად ჩანს და არავითარი გამართლება არა აქვს.] ერთ მოთხრობაში ვკითხულობთ: წვიმისაგან შექმნიებული წიწილები ბუჩქის ქვეშ შექუქულიყენნო. აშკარაა, რომ უნდა ყოფილიყო „შეყუქულიყენნ“, რადგანაც ძირი „ჟუჟუა“ მუსრის გაელებას, ხოცვას, ჟელტას¹ ნიშნავს და ზმინსწინი შე- ამ მნიშვნელობას არ უცვლის. „შეყუჟუა“ კი თავის შეფარებაა, თანაც სწორედ წვიმის დროს. ასეა ცნობილი ეს სიტყვა და ასევეა განმარტებული ლექსიკონში.² კრიტიკამ შენიშნა ეს უზუსტობა, მაგრამ ავტორმა არ მიიღო შენიშვნა და თავი იმართლა იმით, რომ იმ კუთხეში, სადაც ამბავი ხდება, ასე ლაპარაკობენო. თარგმანის გარჩევისას ასე ვერ იმართლებ თავს, ვერ იტყვი, რომ ქართული „ათასი თუშანი“ რუსულად იქნება *сотня шершней*, როგორც ეს „კაცი-ადამიანი?“-ს თარგმანშია.

სუსტი თარგმანების წინააღმდეგ მიმართული პათოსი სულაც არ არის საერთოდ თარგმანის შესაძლებლობის უარყოფა. თარგმანში, როგორც ყველაფერში, არსებობს ხარისხის გრადაცია ძალიან კარგიდან ძალიან სუსტამდე და აქ არაფერია გასაკვირი. ასევე იყო ძველ საუკუნეებშიც, თუნდაც იმავე დანტესა და ჰუმბოლდტის ეპოქებში.

სრულფასოვანი თარგმანის შესაძლებლობის აღიარება აუცილებელი წინაპირობაა ასეთი დონის თარგმანის

¹ ქველ - ტ. 6, გვ. 337.

² ქველ - ტ. 7, გვ. 1293.

მიღწევისათვის ოღონდაც სრულიად ცხადია, რომ საჭიროა ობიექტურად დადგინდეს, რა უწყობს ხელს უკარიგისი თარგმანის შექმნა-გამოწინას და რა კრიტიკერიუმებით შეიძლება ასევე ობიექტურად შეფასდეს თარგმანის აკარგვიანობა. ამ ამოცანის წარმატებით გადაწყვეტისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს მთარგმნელის სტილისტურ მომსაღებას - არა აქვს მნიშვნელობა, როგორ არის შექმნილი ეს ცოდნა - მიზანდასახული სწავლებით, თვითგანათლებით თუ ბუნებით მომადლებული ნიჭით. [შთავარია, მთარგმნელს ზუსტად ესმოდეს სიტყვის მნიშვნელობაც, ჟღერადობაც და სხვა სიტყვებთან მისი კავშირის სემანტიკური და სტილისტური შესაძლებლობებიც. ტექსტის სტილისტური ჟღერადობის უშეცდომო აღქმა, როგორც ჩანს, არის ის უმთავრესი გასაღები, რომლის გარეშეც შეუძლებელია სრულფასოვანი თარგმანის ცხრაკლიტულში შეღწევა. ამის საილუსტრაციოდ გავარჩიოთ კონკრეტული მაგალითები.

მსოფლიოს მხატვრულმა პროზამ ბევრი არ იცის ისეთი დახვეწილი სტილის მწერალი, როგორც ჩეხოვია, თხრობის ლაკონიურობა, არაჩვეულებრივად გამჭვირვალე და ყოველგვარი დარღვევებისაგან თავისუფალი, როგორც იტყვიან, აბსოლუტურად გამართული და, ამავე დროს, უზარმაზარი ზემოქმედების მქონე ენა ქმნის იმ შთაბეჭდილებას, რასაც გრძნობს მკითხველი, თუნდაც იგი არასრულყოფილად ფლობდეს რუსულ ენას. ჩეხოვის თხრობაში ზედმეტი, უფუნქციო სიტყვა არ არსებობს, ამიტომ თუნდაც ერთი სიტყვის დაკარგვა, გაუფრთხილებლად შეცვლა ან იგნორირება არა მარტო არღვევს მხატვრული თხრობის ფაქიზ ქსოვილს, არამედ რაც რჩება, იმისაც უკარგავს ფერსა და ჟღერადობას. ხდება რაღაც დალტონიზმის მსგავსი რამ, როდესაც სურათის ასლის გადაზღვები ვერ არჩევს ერთმანეთისაგან წითელსა და მწვანე ფერს, გაზაფხულის ხასხასა ბლახს წითლად ფერავს, ხოლო ბუხარში მოგიზგიზე ცეცხლს მწვანე ენებით ამკობს და თანაც ჯიქტად ამტკიცებს, დედანი სწორედ ასეთიაო. დაახლოებით ასეთი რამ დაემართა ა. ჩეხოვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოთხრობის „Кривошійка“ ქართულ თარგმანს. მოთხრობა დიდი ფილოსოფიური, ზნეობრივი და სოციალური დატვირთ-

ვის მატარებელია და გამოქვეყნებისთანავე მიიტაცია მკითხველისა და კრიტიკის დიდი ყურადღება. ამ მოთხრობის თარგმნა ძალიან ძნელია სწორედ იმის გამო, რომ ტექსტი საიუველირო საქმის დიდოსტატის ხელით ნაჭედ ჰურჭელს ჰგავს. ამ ტექსტში სიტყვას მარტო მნიშვნელობა კი არა აქვს — იგი მუსიკაც არის, ასრიც, ფიქრიც, განცდაც, პროტესტიც, სიყვარულიც და სიძულვილიც, შუქიც და სიბნელებიც. თითქოს სუნიც კი ასდით იმ საგნებს, რაზედაც ღაპარაკია. სამწუხაროდ, დიდად სამწუხაროდ, მთარგმნელმა ან ვერ დაინახა ტექსტის ყველა კომპონენტი, ან, თუ დაინახა, ვერ მოყვრია და ზოგი რამ გამოტოვა, ზოგი შეცვალა, ეკვივალენტობის დაძებნაში აჩქარება თუ ერთგვარი დაუღვევრობა გამოიჩინა. შედეგად მივიღეთ ნაწარმოები, რომელშიც თითქოს ყველაფერია, მაგრამ დედნისას ძალიან ცოტათი თუ წააგავს, ზოგჯერ კი სრულიად საწინააღმდეგო ფეჟეტს ქმნის. აი მაგალითები:

„...поезд, который издали похож на ползущую гусеницу“ „ლოდვით მიმავალი მატარებელი“

„Иван Иванович и Буркии были проникнуты любовью к этому полю, и оба думали о том, как велика, как прекрасна эта страна“ „ორივეს სულით და გულით უყვარდა ამ წუთს ეს მინდორი, ეს უზარმაზარი ღამაზი ქვეყანა“.

ძალიან დიდი მიკერძობებაა საჭირო, რომ ქართული ტექსტი რუსულის ეკვივალენტად ჩაითვალოს. დედანშია: думали о том, თარგმანშია: უყვარდათ. დედანშია: как велика, как прекрасна эта страна, თარგმანშია: „უყვარდა ეს უზარმაზარი, ღამაზი ქვეყანა“. დედანში ავტორი გადმოგვცემს პერსონაჟების ფიქრებს, თარგმანში ეს ფიქრები ავტორს მიეწერება.

Нам нужно укрыться куда-нибудь, — сказал Буркии, — Пойдемте к Александру. Тут близко. სადმე უნდა შევეფაროთ. ისევე აღიობინს მივადგეთ. აქედან ახლოა, — თქვა ბურკინმა.

აქამდე ალიოხინი არსად ნახსენები არ არის და არც ყოფილან მასთან მოთხრობის გმირები. მაშ რატომ ისევ? და შივადგეთ? ეს ხომ ისეთი ინფორმაციაა, რომელიც კონკრეტულ სიტუაციაში უაზრობაა და არც ავტორისაა.

Их встретила... горничная, иван ивановна да ბურკინს молодая женщина, такая იმისთანა ლამაზი ყმაწვილი красивая, что они оба разом მოახლე გამოეგებათ, ორივე остановились и посмотрели სახტად მიანერდა ერთმანეთს. друг на друга.

ამ თარგმანში თითქოს ყველაფერი რიგ'სეა, მაგრამ მხოლოდ თითქოს. Молодая женщина არ არის ყმაწვილი, სახტად მიანერდა – უვარგისი ქართულია. სახტად იხმარება მხოლოდ ერთ სიტყვასთან – დარჩენასთან: სახტად დარჩა (დავრჩი), სახტად დარჩენა. ასეა დადასტურებული ყველა ლექსიკონში, ასეა ცოცხალ მეტყველებაში და მხატვრულ ლიტერატურაში. Оба разом остановились и посмотрели друг на друга არ არის „ორივე სახტად მიანერდა ერთმანეთს“. რუსულ ტექსტში გაკვირვების გამომხატველ წინადადებას წინ უძღვის სიტყვა красивая. სწორედ ქალის სილამაზემ გააკვირვა სტუმრები. ქართულ თარგმანში ეს დეტალი დაკარგულია, რადგნაც განცვიფრება „გადანაწილებულია“ ლამაზზე და ყმაწვილზე. აკი ეფექტიც შესუსტდა. ალბათ უკეთესი იქნებოდა: ივან ივანისა და ბურკინს გამოეგებათ ახალგაზრდა მოახლე, რომელიც ისეთი ლამაზი იყო, რომ ისინი შედგნენ და ერთმანეთს შეხედეს. ამ მოახლე ქალის სილამაზესა და სულიერ სიმშვიდეს ხშირად უსვამს ხაზს ავტორი და ალბათ ეს შემთხვევითი არ უნდა იყოს. მთარგმნელმა კი რატომღაც შეკეცვა ავტორის მიერ მრავლჯერ გამოვრებული красивая Пелагея. დასანანი დანაკარგია. დასანანი და გაუგებარია ისიც, რომ თარგმანში აქა-იქ გამოტოვებულია წინადადებები, რომელთაც ტექსტში მკაფიოდ გამოხატული აზრობრივი და ემოციური დატვირთვა აქვთ. მაგალითად, დედანშია: „Красивая Пелагея, такая деликатная и на вид такая мягкая, принесла простыни и

мыло...“ თარგმანშია: ღამაშია პელაგიამ შესამშრადლებელი და საპონი მოიტანა. ქალის დახასიათება, თანაც მეტად მნიშვნელოვანი, დაიკარგა. „Уходить из города, от борьбы, от житейского шума, уходить и прятаться у себя в усадьбе – это не жизнь, это эгоизм, лень, это своего рода монашество, но монашество без подвига“.

თარგმანშია: „დატოვო ქალაქი, გაექცე ყოველდღიურ ორომტრიალს, გამოემწყვდიო შენს მამულში – ეს სიცოცხლე კი არა, თავგერძობა და სიზარმაცეა. ეს იგივეა, ბერად შედგე“. ბოლო ყრაზის თარგმანი არ არის სრული და ამიტომ აზრი დამახინჯდა. ა. ჩეხოვი მორწმუნე იყო და დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა რწმენას ადამიანის ზნეობრივ ფორმირებაში. ამავე დროს დიდი პუმანისტი საკმაოდ მომთხოვნი იყო ეკლესიის მსახურთა მიმართ, რომელთა მიწიერი ცხოვრებაც ხშირად განსხვავდებოდა მათი ქადაგებებისაგან. დუთის უანგარო სამსახური მწერალს მიაჩნდა თავგანწირვად, უდიდესი საქმისადმი ერთგულებად და ერთგვარ უჩუქმარ, უპრეტენზიო გპირობად. ამიტომ ასე მკაცრად გმობს монашество без подвига-ს, ანუ ბერად შედგომას თავდადებისა და მსხვერპლის გაღების გარეშე. თარგმანში კი გაკიცხულია საერთოდ ყოველგვარი ბერობა, რაც ეწინააღმდეგება დედნის სულისკვეთებას.

ისიც უნდა ითქვას, რომ монашество без подвига იშვიათი შესიტყვებაა და. სათარგმნელადაც ძნელია, განსაკუთრებით подвиг-ის თავისებური სემანტიკის გამო. მთარგმნელისათვის გაძნელდა ქართული შესატყვისის მოძებნა ღამაში პელაგიას დახასიათებისთვისაც: такая деликатная и на вид такая мягкая. მართლაც, როგორ უნდა ითარგმნოს ეს დახასიათება, რომ თარგმანიც გამოვიდეს ასეთი деликатный და мягкий? – დელიკატური და რბილი? არ უღერს. მაშ როგორ? ცალკეული დეტალები: драли лыко არ არის „წნელებისათვის ქერქის გაძრობა“ (ქართულისთვისაც გაუგებარია „წნელებისათვის ქერქის გაძრობა“). ეს არის ხის ტანზე ლაფნის ძრობა. „ნაბანევი“ – არის ქართულში ასეთი სიტყვა? თუ „დაბანილი“ („умытыи“)?

ა. ჩეხოვი იუმორისტული 'გვარებისა და გეოგრაფიული სახელწოდებების უდიდესი ოსტატია. მწერლობაში ცნობილია და ეფექტური გმირის დახასიათებისა და მოვლენის არსის გახსნისათვის ისეთი გვარების, სახელებისა და გეოგრაფიული სახელწოდებების შეთხზვა, რომლებიც რაღაც დამატებით ინფორმაციას აძლევენ მკითხველს, ქმნიან განწყობილებას პერსონაჟისადმი. ჩეხოვის ამ მოთხრობაშიც არის გამოყენებული ეს სტილისტური ხერხი. ეს არის ძმების გვარი Чимша-Гималайский, რომელსაც მოთხრობელი თვითონ უწოდებს несообразная-ს (უგვანო, უშნო და სასაცილოს), რადგანაც მეტისმეტად უაზროდ ქლერს რუსეთის რომელიღაც მიყრუებული სოფლის გვარში უდიდესი მთების პიმალაის სახელწოდება, რომელიც აშკარად მიტმასნებულია მდაბიურ ჩიმშასთან, თარგმანში უნდა დარჩენილიყო გიმალაისკი, როგორც რუსულად ქლერს, და არა პიმალაისკი, როგორც თარგმანშია. მეტყველი სახელების დანიშნულებიდან გამომდინარე, გამართლებულად უნდა ჩაითვალოს იუმორისტული ტოპონიმების თარგმნის მცდელობა: Чумбаровкова пустошь, Гималайское тож – ჩუმბაროკლის უშენი ანუ „იგივე პიმალაისკი“. ოღონდაც გაპარულია უზუსტობანი, რომლებიც აუფერულებენ ირონიას. დედანში ოთხივე სიტყვა, თანაც შუაში მიძიმით, ერთ სახელწოდებას წარმოადგენს, ხოლო ბოლო ორი სიტყვა (Гималайское тож) სრული უაზრობაა ენობრივადაც და აზრობრივადაც – ეს ქმნის სწორედ ირონიას. ქართულად კი ეს უაზრობა „გასწორებულია“ მიძიმის ადგილას ჩართული „ანუ“-თი და „იგივეს“ წინ გადმოტანით. გამოდის საკმაოდ გამართული ორი სინონიმური ტოპონიმი – ჩუმბაროკლის უშენი ანუ იგივე პიმალაისკი. აქ წააგო თარგმანმა – შეგნებულად შექმნილი უაზრობის „გააზრიანებაში“ დაშალა დიდებული იუმორისტული შტრიხი.

დაახლოებით ასევე დაემართა კოზმა პრუტკოვის ცნობილ მხიარულ აფორიზმს Единжды солгавши, кто тебе поверят. ქართული თარგმანი – ერთხელ თუ იცრუე, ვინღა დაგიჯერებს – აზრობრივად სრულიად მართებულია. მაგრამ აფორიზმის მიმზიდველობა ამ ტრივიალურ შეგონებაში კი არ არის, არამედ მის არაჩვეულებრივ ენობრივ სტრუქტურაში.

რომელიც ისეა შეფარული, რომ რუსულენოვან პიროვნე-
ბებსაც ბევრს არ ესმით. ეს არის (დრასწორად აგებულ
წინადადებაში სწორი აზრის ჩადება. თანაც ისე მოხდენილად,
რომ ეს შეუსაბამობა არა ჩანს, მაგრამ ქვეცნობიერად
ძალუმიად იგრძნობა და განსაზღვრულ განწყობილებას ქმნის.
თითოეული ეს დეტალი თითქოს დიდი არაფერია, მაგრამ
ერთად თავმოყრილი იმდენად ცულის ტექსტს, რომ, როგორც
სერვანტესი თავისი დონ კიხოტის პირით ამბობს, თარგმანი
ემსგავსება ფლანდრიული ხაღიჩის უკულმა პირს, სადაც
ნახატების კონტურები შენარჩუნებულია, მაგრამ იმდენი
კვანძი და უსწორმასწორობაა, რომ წინა პირის ნახატისა
აღარც ელვარება ჩანს და აღარც ფერთა შეხამება. ამ შე-
ღარების სისწორეს „Крыжовник“-ის ქართული თარგმანის
ანალიზიც ადასტურებს.

ახლა დავსვათ კითხვა: შეიძლებოდა კი ამ დარღვევების
თავიდან აცილება? ვფიქრობთ, შეიძლებოდა. ამისთვის
საჭირო იყო მეტი ენობრივი და ლიტერატურული ერუდიცია.
ესე იგი იმის ცოდნა, რაც თვით ტექსტში არ არის წარ-
მოდგენილი, მაგრამ რის გარეშეც ნაწარმოების მართებულად
გაგება შეუძლებელი აღმოჩნდა. ამას ფონურ ინფორმაციას
უწოდებენ. და კიდევ – სურვილი იმის გაგებისა, თუ რა არის
ნათქვამი ტექსტის იმ ნაწილებში, რომლებსაც მთარგმნელმა
თავი ვერ გაართვა და ამიტომ მათი „ამოყრა“ ამჯობინა.

ასეთივე ანალიზის და არა ნეგატიური კრიტიკის ასპექტით
განვიხილოთ „ეფუხისტყაოსნის“ რამდენიმე აფორიზმის
რუსული თარგმანი. აფორიზმის, თანაც პოეტური აფორიზმის
თარგმნა ურთულესი პრობლემაა. ცნობილი აფორიზმის ისე
თარგმნა, რომ ბრძნული აზრიც შევინარჩუნოთ, პოეტურობაც,
აფორისტულობაც და ტექსტთან ორგანული კავშირიც,
მთარგმნელის წინაშე თითქმის დაუძლეველ სიძნელებებს ქმნის.

ერთი წმინდა ფსიქოლოგიური მომენტი: ყოველი
მთარგმნელი გულში დარწმუნებულია, რომ მან მოახერხა,
შეძლო თავის ენაზე ნამდვილი ეკვივალენტის მოძებნა და
დედნის სრულფასოვანი ამიტყველება. ეს კარგად აქვს შენიშ-
ნული თარგმანის ცნობილ თეორეტიკოსს ვ. კომისაროვს, რი-
მელიც ამბობს: „Текст перевода “переключает” на то, что он

полностью репрезентирует текст оригинала, что он и есть оригинал, "только" на ином языке; такая "претензия" внешне выражается в сохранении за переводом имени автора оригинала, например: "Собрание сочинений Ч. Диккенса на русском языке".¹

ეს განწყობილება ყველა მთარგმნელს ახასიათებს, მიუხედავად იმისა, აღიარებს ამას თუ არა.

ახლა შევადაროთ ერთმანეთს ერთი აფორიზმის რამდენიმე რუსული თარგმანი და ვცადოთ დავადგინოთ, რომელს უფრო აქვს ეკვივალენტობის პრეტენზია.

რუსთაველი ამბობს: სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი. ამ ნათქვამს დედანში, ცხადია, ვარიანტი არა აქვს – მისი ლექსიკური, ენობრივ-სტილისტური და აზრობრივი სტრუქტურა ერთია და მუდმივი. კ. ბალმონტის თარგმანი ასეთია:

Лучше смерть, но смерть со славой, чем
в постыдной жизни жить

ზ. ნუცუბიძემ იგივე აფორიზმი ასე თარგმნა:

Недостойной жизни лучше достославная кончина

პ. პეტრენკოს აქვს:

Жизнь покрытого позором горше смерти смельчака.

ბ. საბოლოოცკიმ თარგმნა, როგორც:

Лучше славная кончина, чем постыдное спасенье.

გ. ცაგარლის თარგმანი კი ასე ჟღერს:

Лучше смерть, но смерть со славой, чем бесславных
дней позор.

ეს არის ერთი ცნობილი აფორიზმის ხუთი რუსული ვარიანტი, რომლებიც არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ისმის კითხვა, მათგან რომელი უფროა რუსთაველის? ესე იგი რომელი სჯობია? ცხადია, წარმოდგენილი სახით არც

¹ В. Комиссаров. Слово о переводе. М., 1973, стр. 20.

ერთი არ არის რუსთაველისა. შედარების მიზანია, დაეადგინოთ, რომელი მთარგმნელი უფრო მიუახლოვდა დედანს. ამის დადგენა იქნებოდა პასუხი კითხვაზე, რომელი თარგმანი სჯობია. მაგრამ აუცილებელი გახდება იმისი ახსნაც, რატომ, რა ნიშნების მიხედვით ვამჯობინეთ ერთი თარგმანი მეორეს. ასეთი ნიშნების დაძებნა-დასაბუთების გარეშე უკიდურეს სუბიექტურობას თავს ვერ დაეაღწევთ და მთელი მოხვედრობა დარჩება „მე ასე ვფიქრობ“ და „მე ასე მომწონს“ ფარგლებში. აი, ერთი ასეთი მოხვედრობის ნიმუში. „ვეფხისტყაოსნის“ ნ. ზაბოლოცკისეული თარგმანი უაღრესად მაღალ დონეზე შეაფასა ცნობილმა მწერალმა და მთარგმნელმა კ. ჩუკოვსკიმ. ეს შეფასება ორჯერ დაიბეჭდა: კრებულში „Мастерство перевода“, 1962 და „Литературная газета“-ს 1960 წლის 19.X ნომერში. კ. ჩუკოვსკის ბევრი რამ დაეფიქრება, მაგრამ შეუძლებელია დაეთანხმო მის ნათქვამს „Поэму Руставели переводили несколько раз и до Н. Заболоцкого, но труд Заболоцкого пересеркинул все сделанное раньше, и теперь, в следующий раз Руставели будут переводить не скоро, — разве когда русский язык изменится“.¹

აკადემიკოსმა ა. ბარამიძემაც და პროფესორმა გ. წიბახაშვილმაც მაღალი შეფასება მისცეს ნ. ზაბოლოცკის თარგმანს, მაგრამ არ დაეთანხმენ იმ აზრს, რომ ახალი თარგმანი საჭირო აღარ იქნება, „ვიდრე რუსული ენა არ შეიცვლება“. „Е. Заболоцкий допускает излишние вольности и нередко значительные отклонения от текста оригинала. А афоризмы просто не удались. Нет, перевод Заболоцкого превосходит, но он далеко еще не предел“.²

აქვე უნდა ითქვას, რომ ნ. ზაბოლოცკის თარგმანის მიმართ გამოთქმული შენიშვნები საკმაოდ დასაბუთებული იყო კონკრეტული ფაქტებით და შემდგომში გაზიარებულიც.

თარგმანის აეკარგიანობის საიმედო ნიშნების ძებნისას ერთმანეთს ეჯახებოდნენ ობიექტური და სუბიექტური

¹ Сб. „Мастерство перевода“, 1962, М., 1963, стр. 13.

² А. Барамидзе, Г. Цибыхашвили. Слово о Николае Заболоцком, газ. „Вечерний Тбилиси“, 24.03.75 г.

ფაქტორები - ის, რაც შეიძლება დაკადგინოს ლოგიკური მსჯელობის წესით, და ის, რაც მხოლოდ შემოფასებლის ერუდიციითა და გამოცნებით იზომება და სხვა, ყველასათვის გასაგები კრიტერიუმებით ვერ მოწმდება. ოღონდაც ალბათ ლოგიკურია, რომ თვით სუბიექტურ შემოფასებასაც უნდა აქონდეს რაღაც ობიექტური საყრდენი თუნდაც შემოფასებლის აღიარებულ ავტორიტეტისა და შრომების სახით, შრომებისა, რომელთა თეორიული და პრაქტიკული ღირებულება საზოგადოებამ მიიღო და სათანადოდ შეაფასა.

დავუბრუნდეთ ისევ რუსთაველის იმ ერთს აფორიზმს ხუთ თარგმანს, - რომელს რა ნაკლი აქვს და რა ღირსება და რამდენად შესაძლებელია ამ ნაკლის ან ღირსების ფაქტით დადასტურება. აღმოჩნდა, რომ თვით სპეციალისტებიც ვერ შეთანხმდნენ ამ ხუთი თარგმანიდან საუკეთესოს და უარესის დადგენაში. ბევრის აზრით, საუკეთესოა შ. ნუცუბიძის თარგმანი - ყველაზე ახლოს არის დედანთანო, - ასეთია არგუმენტი. ლიტერატურის მცოდნე რუს მკითხველთა შორის უმეტესი პოპულარობით სარგებლობს გ. ცაგარელის თარგმანი, რომლის ორი ვარიანტია ცნობილი - პირვანდელი და საბოლოო. პირვანდელი ასე უღერს:

Лучше гибель, но со славой, чем бесславных дней позор.

საბოლოოდ მიღებული:

Лучше смерть, но смерть со славой, чем бесславных дней позор.

ეს მეორე ვარიანტი, ცხადია, უკეთესია, რადგანაც უფრო ენერგიულია, მეტყველი და, რაც მთავარია, უფრო ზუსტი. ეს სიზუსტე მოდის სიტყვა *гибель*-ის შეცვლით სიტყვით *смерть*. დედანში ხომ არის „სიკვდილი“ და არა „დაღუპვა“, რომელიც არც აზრობრივად, არც სტილისტურად არ შეიძლება „სიკვდილის“ ეკვივალენტად ჩაითვალოს. ერთი ეგ არის, მეორე ვარიანტში თანხმდებიანთა ისეთი თაემოყრაა, რაც ხელს უშლის ლექსის მუსიკალობას (ამ მხრივ *лучше гибель, но со*

სლანიი¹ გაცილებით უღერადი და მუსიკალურია). შეიძლება ისიც ვივარაუდოთ, რომ გ. ცაგარელს მაინცდამაინც არ ეხალისებოდა მთელი ნახევარსტრიქონის ბალმონტისეული თარგმანის გამეორება, მაგრამ ფაქტი ფაქტია – ეს მოხდა.

შ. ნუცუბიძემ და ნ. საბოლოცკიმ „სიკვდილის“ შესატყვისად იხმარეს „кончина“, რაც მძიმე სტილისტური გადაცდენაა, რომელიც ერთგვარი კომპრომისია ლექსის ზომასთან და კატრეხულ რაზმასთან ჭიდილში. მაგრამ, როგორც ცნობილია, შეცდომის ახსნა არ ნიშნავს მის გამართლებას. სრულიად განსხვავებული არაპოეტური სტილის სიტყვა და აფორიზმის დინამიკის ანელებს უედსართავი სახელიც достославная შ. ნუცუბიძის თარგმანში.

საერთოდ ამ თარგმანებში ბევრი რამ იწვევს უკმაყოფილებას. თუნდაც ისეთი სიტყვების შემოტანა, როგორიცაა кончина, достославная, смельчак, спасенье. მთავრი კი ალბათ ის არის, რომ ამ თარგმანებში მოშლილია ანტონიმია – სიცოცხლე – სიკვდილი, – აფორიზმის ღერძი და ძარღვი და იგი შეცვლილია არაანტონიმური წყვილებით живая – кончина, смерть – позор.

მიგვანინა, რომ აღნიშნულ თარგმანთა ეს მოკლე ანალიზი დასაბუთებულია სიტყვის სემანტიკური და სტილისტური ანალიზით. ვინმეს კი, შეიძლება, ეს ლინგვისტურ გადამეტებად მოეჩვენოს და გაიმეოროს პროფ. გ. განენილაძის ნათქვამი: „მხატვრული თარგმანის თეორია უნდა არსებობდეს როგორც დამოუკიდებელი დისციპლინა და მისი სფერო უნდა დაიწყოს იქ, სადაც თავდება ლინგვისტური მსჯელობა თარგმანზე“.² ჩვენ პატივსა ვცემთ ამ აზრის ავტორს, მაგრამ არგუმენტირებული, დასაბუთებული ენობრივი ანალიზი ხომ კეთილ სამსახურს უწევს თარგმანის ფილოლოგიური შეფასების საქმეს? მაშ რატომ უნდა ავითვალწუნოთ ტექსტის ლინგვისტური ანალიზი? მაგალითად, кончина – смерть –

¹ სწორედ ეს ვარიანტი შეიტანა ე. გოგუამ კრებულში Шота Руставели. Афоризмы и высказывания, Тб., 1979, стр. 48.

² გივი განენილაძე, მხატვრული თარგმანის თეორიის საკითხები, თბ., 1958, გვ. 86.

ჩვენს რომ არატოლფასოვანი ლექსიკური და სტილისტური ერთეულებია და განხილული თარგმანების შეფასება მათი ლექსიკური მასალით უნდა დაეიწყოთ, განა ეს სადავოა? ეს ხომ სტილის საკეანძო პრობლემაა, სტილი კი მხატვრული ქსოვილის ძირითადი ელემენტია.

იქნებ ესეც სადავოა?

თარგმანის ისტორია რომ დამოუკიდებელი ფილოლოგიური დისციპლინაა, ამაში ეჭვი აღარავის ეპარება. მაგრამ ეჭვგარეშეა ისიც, რომ ამ დისციპლინის არსებობა წარმოუდგენელია ენათმეცნიერებასთან და ლიტერატურათმცოდნეობასთან მჭიდრო კავშირის გარეშე, რადგანაც თარგმანის საკითხებში უდიდესი მნიშვნელობა აქვს სტილისტიკას, რომელიც ასევე დამოუკიდებელი დისციპლინაა, მაგრამ ფესვები ენათმეცნიერებაში და ლიტერატურათმცოდნეობაში აქვს გადგმული.

ეს ფაქტი აღიარებულია ევროპულ თარგმანთმცოდნეობაშიც, სადაც იმაზე კი არ კამათობენ, თარგმანი ლინგვისტური დისციპლინაა თუ ლიტერატურათმცოდნეობითი, არამედ იმაზე, თუ რომელი დარგის მონაცემები როგორ გამოიყენება თარგმნის პრაქტიკაში და ამის შემდგომ როგორ აისახება ყველაფერი ეს თეორიაში. მაგალითად, თარგმანის ცნობილი სპეციალისტი და თეორეტიკოსი (რომელსაც ჩვენთან ლიტერატურათმცოდნეობის კონცეფციის მომხრედ მიიჩნევდნენ) იუჯინ ნაიდა, წიგნში „Toward a Science of Translating“ (რუსულად თარგმნილია, როგორც „К науке переводить“. ჩვენ ესარგებლობდით რუსული თარგმანით) წერს: „При соблюдении формально эквивалентности внимание концентрируется на самом сообщении, как на его форме, так и на содержании. При таком переводе необходимо переводить поэзию поэзией, предложение предложением, понятие понятием.“

С позиций такой формальной ориентации необходимо стремиться к тому, чтобы сообщение на языке перевода как можно ближе соответствовало различным элементам языка-источника. А это, в частности, означает, что сообщение на культурном фоне языка перевода постоянно сравнивается с

სოფშიემ ნა კულტურნომ ფონე იზიკა ორიგინალა, ს ცელი ოპრედელი კრიტერიი ტოჩნოსი ი პრავილნოსი“¹ (მარტალია, ციტატა ცოტა ვრცელი გამოვიდა, მაგრამ სამაგიეროდ ი. ნაიდას პოზიცია სრულიად გარკვეულად არის წარმოსენილი).

ჯონ კ. კეტფორდი უფრო კონკრეტულია: „Теория перевода исследует определенный тип отношений между языками и, следовательно, ее можно рассматривать как один из разделов компаративной лингвистики“² იქვე ჯ. კეტფორდი სრული კარტეგორიულობით აცხადებს, რომ „თარგმანი არის ერთენოვანი ტექსტობრივი მასალის შეცვლა მეორენოვანი ტექსტობრივი მასალით“³

ეს მაგალითები (ასუთები მრავალია) ჩვენ მოგვყავს არა იმიტომ, რომ რომელიმე კონკრეტულ პოზიციები განვამტკიცოთ, არამედ იმ მიზნით, რომ თავი ავარიდოთ უკიდურესობებს მსჯელობაში და მხატვრული ნაწარმოების ყველა კომპონენტს სათანადო ადგილი მოვეუბნოთ თეორიის რთულ სისტემაში.

მთარგმნელობითმა პრაქტიკამ კი დიდი ხანია დაამტკიცა, რომ ცოცხალი საქმისაგან მოწვევტილი თეორიული დისკუსიები არაფერს მატებენ მეცნიერებას. უფრო მეტიც – ხელს უშლიან, აბნევენ პრაქტიკოს-მთარგმნელებს, რომლებიც თავისი მოღვაწეობის შედეგებით ერთგვარად მაგალითს აძლევენ თეორეტიკოსებს, როგორ უნდა შეხამდეს სხვადასხვა მოსახრებათა პრაგმატული მიღწევები, რათა მკითხველმა მიიღოს სრულფასოვანი თარგმანი, რომელიც მაქსიმალურად ახლოს იქნება დედანთან და ნაკლებად გამოჩნდება ის „მესამე პირი“ – მთარგმნელი, რომლის სამსახურის აუცილებლობას განაპირობებს თვით თარგმანის ბუნება. ამ სადავო საკითხზე მსჯელობა გვინდა დავამთავროთ ვ. კომისაროვის ნათქვამით: „Фактически сущность перевода состоит и

¹ Сб. „Вопросы теории перевода в зарубежной лингвистике“, М., 1978, стр. 118-119, перевод Л. Черняховской.

² Сб. „Вопросы теории перевода в зарубежной лингвистике“, Джош К. Кэтфорд, Лингвистическая теория перевода, стр. 91.

³ იქვე.

ობსდინენიი двух актов речи на разных языках в одиом акте общення“.¹

ამ ურთულესი ფსიქოლოგიური პროცესის მექანიზმის გამოკვლევა ძალიან წაადგებოდა მთარგმნელობითი საქმიანობის ყველა უბანს – თეორიასაც და პრაქტიკასაც.

და აქ გარდაუვლად წისმის კითხვა: როგორი მთარგმნელი უფრო შემოქმედებითია და, მაშასადამე, ნიჭიერი, – რომლის ნაღვაწიც ყოველ წუთს გვაგრძნობინებს, რომ უცხოენოვანი მწერალი ჩვენ მისი პირით გვესაუბრება, თუ ისეთი, რომელიც თარგმანში თითქმის არა ჩანს და მკითხველს ექმნება ილუზია, თითქოს უცხოენოვანი მწერალი. – მას ესაუბრება უშუალოდ ისეთ ენაზე, რომელიც ორივეს კარგად ესმით? ჩვენი ღრმა რწმენით, იდეალური მთარგმნელი სწორედ ასეთი „გაუჩინარებელი“ უნდა იყოს და ამგვარი „განზე დგომა“, მწერლისა და მკითხველის ურთიერთკონტაქტში ჩაურეკლობა უნდა ჩაუთვალოს მას წარმატებულ შემოქმედებით მოღვაწეობად. მაგრამ ასეთი იდეალი მიუღწეველია. თარგმანის პროცესის მრავალმხრივობა და სირთულე ფაქტობრივად გამორიცხავს ამგვარი ჭარმონიის მიღწევას. ენათა და გამოთხატველ საშუალებათა განსხვავება ძალაუნებურად განაპირობებენ თარგმანის მეტ-ნაკლებ დაცილებას დედნისაგან. რაც ნაკლებია დაცილება, მით უკეთესია თარგმანი და მით ნაკლებად ჩანს მასში მთარგმნელის პიროვნება, რაც მეტად სცილდება თარგმანი დედანს, მით უფრო თვალშისაცემია მთარგმნელის „შუამაელობა“ და, მაშასადამე, მით უფრო აგებს თარგმანი. ეს უდავოა. მაშ, რომელი მთარგმნელია ნამდვილად შემოქმედი, ვინც დედანი სხვაენოვან მკითხველამდე მინიმალური დანაკარგებით მიიტანა, თუ ვინც შეგნებულად ანდა უილაჟობის გამო ნაწარმოებში შეიტანა მისთვის უცხო ელემენტები.

საკითხი ისმის მკაცრად: თუ მთარგმნელმა შეგნებულად შეცვალა დედნის ტექსტი, რა უფლება აქონდა? თუ ცვლილება მოხდა მთარგმნელის ერუდიციის, ოსტატობის, გემოვნების არასაკმარისობის გამო, უნდა მოვეშვათ ამბიციებს

¹ В.Е. Комиссаров. Слово о переводе. М., 1973, стр. 56.

„შემოქმედებითი უფლებების“ შესახებ, ვაღიაროთ ჩავარდნები და ამით არ დავახშოთ პერსპექტივა და ინიციატივა, რომ სხვამ უკეთესად მოუაროს საქმეს.

მთარგმნელის მიერ ტექსტში შეტანილი სიახლენი მხატვრული თვალსაზრისით შეიძლება მალალი დონისაღ იყოს, მაგრამ ახალი ასრი ან სახე, თუ ის დედნისეული არ არის, მთარგმნელს წარმატებად კი არა, ნაკლად უნდა ჩაეთვალოს, რადგანაც ეს სახე ან ასრი მისია და არა ნაწარმოების ავტორისაჲ ა. პუშკინის ცნობილი ლექსის – „Зимний вечер“, სტრიქონები: „Или дремлешь под жужжание своего предмета“ ერთ-ერთ თარგმანში ასეა გადატანილი: „თითისტარზე ართავ ფიქრებს“. „თითისტარზე ფიქრების დართვა“ მშვენიერი პოეტური სახეა, მაგრამ ეს ხომ პუშკინის მიერ არ არის შექმნილი, ეს მთარგმნელის ნიჭის ნაყოფია, რომელიც ქართველ მკითხველს პუშკინის სახელით შევაპარვთ.

რა შეფასება უნდა მიეცეს ასეთ თარგმანს. – დადებითი თუ უარყოფითი? და რატომ? რა ნიშნის მიხედვით? ან ვის ნაწრომს ეაფასებთ, მთარგმნელისას თუ ავტორისას? ამბიცოურად გაგებულნი „შემოქმედებითი თავისუფლება“ იოლად გადადის თვითნებობაში, რომელიც ხელ-ფეხს უხსნის არამცოდნესა და ამართლებს დაუდევრობას, უპატივეცემლობას ან, რაც უფრო უარესია, ნაწარმოების შეგნებულ ხელყოფას. ისტორიამ ასეთი ფაქტი ბევრი იცის. სანიმუშოდ შეიძლება დავასახელოთ ვასილ ბარნოვის ოთხი რომანის, საერთო მოცულობით 1500 გვერდის „დაჟვანა“ 400 გვერდამდე და მათი ერთ წიგნში „ჩატევა“. ამ ფაქტზე მსჯელობისას მთარგმნელმა საკმაოდ მოურიდებლად გაამართლა თავისი საქციელი – დედანი მეტისმეტად ჭარბსიტყვიანია, ამიტომ იკითხება ღუნედ, მოსაწყენად. შემოკლებამ კი ტექსტს დინამიკა შემატა და მიმსიდველი გახადაო. სინამდვილეში ამგვარი „ოპერაციის“ ჩატარების მიზეზი სხვა რამ უნდა იყოს: ვასილ ბარნოვს მართლა უყვარს სინონიმების მთელი მძივის ასხმა, თანაც ზოგი მათგანი ავტორისეულია, ნეოლოგიზმია და სათარგმნელად მეტად ძნელი. აი, ამ სიძნელეს გაექცა მთარგმნელი, მაგრამ არ აღიარა, რომ მწერლის ლექსიკა მისთვის დაუძლეველი აღმოჩნდა. ამ მწერლის სტილსა და

მანერას შეიძლება მართლაც ჰქონდეს რაღაც ხარვეზები (იხილ - გაანჩია, ვისი თვალსაზრისით), მაგრამ ეს მთარგმნელის „გამოსახალორებელი“ საქმე არ არის; ხარვეზი, თუ მართლა არის, თარგმანშიც უნდა გადავიდეს. შექსპირის დრამატურგობაც იმდენად ჭარბიტიყვიანია, რომ სცენაზე ერთი ნაწარმოების გათამაშებას შეიძლი საათი მაინც დასჭირდება. ცხოვრების თანამედროვე დინამიკა კი ამის საშუალებას არ აძლევს არც თეატრსა და არც მაყურებელს. ამიტომ შექსპირის ტრაგედიებისა და კომედიების სცენური ვარიანტები ყოველთვის შემოკლებულია, მაგრამ წიგნებად გამოცემული თარგმანები სრული უნდა იყოს და არის კიდევაც:

დასკვნა მიგვანჩია, რომ მხატვრული ტექსტის შემაღვენიელი ყველა კომპონენტის ლოგიკურად და მატერი-ალურად დაღვენი სრულიად შესაძღვებულია, ასევე შესაძღვებულია ამ კომპონენტების თარგმანში გადატანისა და ასახვის მაღალი დონე და ხარისხი. თარგმანის აეკარგიანობის დაღვენი უნდა ხღვებოდეს ნაწარმოების კომპონენტთა და მათი ეკვივალენტების ურთიერთშეღარების გზით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დეტალის როლი როგორც დედანში, ისე თარგმანში. ყველაფერი ეს რეალიზებულია ენობრივი მასალით, მაშასადამე, წარმატებაც და მარცხიც ენობრივი მასალის ანალიზით უნდა დავიწყოთ და არა იმიტომ, რომ სხვა კომპონენტები ნაკლებად მნიშვნელოვანია, არამედ იმიტომ, რომ ყველაფრის პირველწყარო სიტყვაა, რომლის მეშვეობითაც იქმნება სტილიც, სახეც, განწყობიღვებაც, რომელსაც ახღვენს მკითხველზე ნაწარმოები და რომელსეღაც ამღვენს ლაპარაკობენ თარგმანის თეორიასა და პრაქტიკაში.

შრამეოლოგიური ერთეუღვები ღა მათი თარგმნის საკითხები

შრახეოლოგიშმეები ენის განუმეორებელი, უნიკალური სიმღიდრეა. ისინი არამარტო აზრის მხატვრულად, ემოციურად გამოთქმის მაღალეფექტური საშუაღვებაა. მათში დაფიქსირებულია ხალხის ისტორია, განცღვები, გემოენება, ცხოვრების ავისა და კარგის გაღვების კრიტერიუმეები. მა-

გალითად, განმითქმა „ეურებსე ხახვი არ დამაჭრა“ ასახავს ქართული ეოფის იმ ეპოქას, როდესაც გაქცეულ და ძალით უკან დაბრუნებულ ყმებს მებატონეები სასტიკად სჯიდნენ (მაგრამ არა სიკვდილით, რადგანაც მუშახელი სჭირდებოდათ) – ეურებს უსერავდნენ და ჭრილობაზე ხახვს აჭრიდნენ. „ნაიღურის წყალი დალია“ ნიშნავს „საბოლოოდ, უიმედოდ დაიკარგა“ და შეგვახსენებს იმ დროს, როდესაც თუ დაძრბევი ღეკეები მოტაცებულ საქონელს მდინარე ნაიღურს გააცდენდნენ, დევნას აზრს აღარ ქქონდა, იქიდან უკვე დაკარგულის დაბრუნება შეუძლებელი იყო. ასეთი „ისტორიული“ ფრაზეოლოგიზმები ქართულში (როგორც ყველა ენაში) მრავლადაა და მათი ცოდნა არამარტო ენის ცოდნის მანეენებელია. „სამართალმა პური ჭამა“ დღეს ნიშნავს „სიმართლემ გაიმარჯვა“. ძველად ქართულ სოფელში მესობლები რომ რაიმე დავას მოაგვარებდნენ და დასაუდებოდნენ, შერიგების ნიშნად მოდავეები შუაკაცებთან ერთად საერთო სუფრას შლიდნენ – პურსა სჭამდნენ და ერთმანეთის მტრობაზე უარს აცხადებდნენ. სწორედ ამასე იყო ნათქვამი, სამართალმა პური ჭამაო.

სოგი ფრაზეოლოგიზმის აზრი დღეს გაბუნდოვანებულია იმის გამო, რომ მასში ხსენებული რეალიები დღეს მივიწყებულია და აღარ გვესმის. მაგალითად, „ტოლს არ უდებს“ დღეს ნიშნავს „სხვაზე ნაკლები არ არის“. გაქმთქმა შოდის ცხოვრებისეული გამოცდილებიდან: თუ უდელში შებმული ხარებიდან ერთი საგრძნობლად უფრო ღონიერი იყო, უდლის გაწყისას იგი ნაგრავდა მეორეს, თავისზე სუსტს. ასეთ შემთხევეაში კარგი პატრონი ღონიერი ხარის მხარეს უდელს ვიოზე აბამდა დამატებითი თოკით, რომ ურმის ტარების სიმძიმე სუსტის სასარგებლოდ გადანაწილებულიყო. ასეთი თოკის ნაბმას ეძახდნენ „ტოლის დადებას“ ანუ სუსტისათვის რაღაც შეღავათის მიცემას. თუ ასეთი რამ საჭირო არ იყო, ნიშნავდა, რომ ხარები ერთმანეთს „ტოლს არ უდებდნენ“, ე.ი. თანასწორნი იყვნენ.

ქართულში საკმაოდ მოიძებნება სხვა ენებიდან გადმოღებული ფრაზეოლოგიზმებიც. ეს განსაკუთრებით ითქმის ბერძნულიდან მომდინარე გამოთქმებზე, რომლებიც ქართულში

საეკლესიო წიგნების თარგმნამ განაპირობა. ამით აიხსნება ის მდგომარეობაც, რომ ქართულსა და რუსულ ენებში ბევრია აბსოლუტურად ერთი მნიშვნელობისა და ერთნაირი სიტყვებით გამოხატული ფრაზეოლოგიზმები. მაგალითად:

Дареному коню в зубы не наизуять ცხენს კბელი არ ესინჯვისო.

Глас вопиющего в пустыне. ხმა მღალადებლისა უდაბნოსა შინა.

Бречь как зеницу ока. თვალის ჩინიით გაყრთხილება

Новая мегла хорошо метет. ახალი ცოცხი კარგად ჰკვის და სხვა.

ფრაზეოლოგიზმები თავისი შინაარსით, ისტორიითა და ენობრივი თავისებურებებით მთელი სამყაროა, რომელსაც საგანგებოდ სწავლობს ენათმეცნიერება შეფასებისა და კლასიფიკირების ლინგვისტური კრიტერიუმებით. თარგმანთ-მცოდნეობას კი მათდამი საკუთარი, თავისებური მიდგომა აქვს.

მსატერულ ნაწარმოებში ფრაზეოლოგიზმები ძალიან ხშირად იხმარება, რაც ნათქვამს ანიჭებს ხალისს, ემოციურობას, მშვენებებს, ფერადონებას. მაგალითად, ქართული პროზის შედეგრი „ოთარაანთ ქერივი“ პირდაპირ შემკულია ფრაზეოლოგიური გამოთქმებით, მათ გარეშე ტექსტი გაუფერულდებოდა, მოდუნდებოდა, დაკარგავდა მსატერულობასა და მიმზიდველობას. და თუ თარგმანში ფრაზეოლოგიზმები დაიკარგებოდა ან სუსტად ითარგმნებოდა, მკითხველი ეერც მიხედებოდა, რატომ არის ეს მოთხრობა ასე დაფასებული, რატომ ითვლება იგი მაღალმსატერულ ნაწარმოებად. სამწუხაროდ, ასეთი ხარვეზები ბევრია როგორც ქართულიდან რუსულად, ისე რუსულიდან ქართულად ნათარგმნ ლიტერატურაში.

ფრაზეოლოგიური გამოთქმების გადაჭანა სხვა ენაზე ძნელია, რადგანაც ხშირად იკარგება ის ეროვნული კოლორიტი, სურნელება, რითაც ისინი ხასიათდებიან და ფასდებიან. Vეს განსაკუთრებით შეეხება ფრაზეოლოგიზმების უმთავრეს სახეობას – იდიომებს. მდიომების მთავარი ნიშანი ის არის, რომ მათი აზრი არ აიხსნება ნახმარი სიტყვების მნიშვნელობით. მაგალითად, არის გამოთქმა – კული აქვია. ამას იტყვიან ადამიანს, რომელსაც რაღაც ცუდი აქვს ჩადენილი, იგი მალავს თავის საქციელს, მაგრამ ვიდაცამ გადაკრული სიტყვით შეახსენა ავკაცობა, იმან კი თავი ვერ შეუკავა, შეშფოთდა და ამით გასცა თავისი თავი.

რევას ინანიშვილის ერთ მოთხრობაში აღწერილია ასეთი სცენა: ერთ მარტოხელა დედაბერს ღამით მწიფე ბალი ჩამოუკრიფეს. დილით შარაზე გამოსულმა მოზარდებმა დაინახეს, როგორ მწარედ ტიროდა მოხუცი და თვითონაც კახურად დაუწვეს გინება ამ საქმის ჩამდენს. ერთმა ბიჭმა ვეღარ მოითმინა და ამხანაგებს შეუტია, გვეოფათ მაგდენი გინებო.

– რა ექნა, შენ რა კული აგეწვა? აღბათ შენი ნახელავი იქნებო, – შენიშნა ერთმა.

ამ გამოთქმაში არც „კულია“ მნიშვნელობის მქონე და არც „აქვია“, თუნდაც იმიტომ, რომ ადამიანს კული არა აქვს და იმიტომ ვერ აეწვება; ამ გამოთქმის პირენდელი მნიშვნელობა უნდა მოდიოდეს მეცხვარე მწყემსების ამჟამად დავიწყებული წესიდან: წუწკი ძაღლის თავიდან მოცილება რომ უნდოდით, მაგრამ მოსაკლავად არ ემეტებოდით, კულზე პატარა მეგუზაღს მიაბამდნენ, ბეწვს ცეცხლი მოედებოდა, ძაღლს კული აეწვებოდა, იწყებდა წკმუტუნს და გაიქცეოდა. მეგუზაღს იგი სადმე მოიცილებდა, მაგრამ იშვიათად ბრუნდებოდა უკან, იმ ადგილზე, სადაც ასეთი რამ შეემთხვა.

ასეთი გამოთქმის სიტყვა-სიტყვით თარგმნა, ცხადია, უაზრობა იქნება, რადგანაც რაც გასაგებია ქართველისათვის, ის სრულიად გაუგებარი იქნება არაქართველისათვის. იმიტომ მთარგმნელმა რაღაც უნდა იფიქროს, რომ არც ასეთი ცოცხალი გამოთქმა არ დაკარგოს და არც სხვაენოვან მკითხველს გაუხსნლოს ტექსტის გაგება და მხატვრული სახის აღქმა.

ავიღოთ ცნობილი ხალხური ლექსი:

კიდევაც დაისრდებიან
აღგეთს ლექვები მგლისანი,
ისე არ ამოსწყდებიან,
ჯაერი შეჭამონ მტრისანი.

აღამიანის მგელთან შედარება საერთოდ უარყოფითი დახასიათებაა და პიროვნების გაუმაძღრობაზე, სიხარბეზე, გაუტანდლობაზე მიუთითებს, მაგრამ ვაჟკაცობის გამომხატველ პოეტურ სახეებში დადებით ელფერსაც იძენს. შეუპოვარი, ამიყი ვაჟკაცების შედარება აღგეთის მგლების ლექვებთან თავისთავად უძლიერესი მხატვრული სახეა, რომელიც ვაჟკაცობის ესთეტიკურ სასომადაც არის წარმოდგენილი.

ეს ოთხსტრიქონიანი ლექსი უაღრესად აზრტევადი, ხატოვანი და მეტაფორულია და მისი ყველა ელემენტი გულში ჩაჩვენდომად ქართულია, კოლორიტული და ამიტომ ძალიან ძნელად სათარგმნი, რადგანაც თუ მეტაფორულობას შეეწირაუთ აზრს, იკარგება პოეზია, მეტაფორულობა კი პირდაპირ არ ითარგმნება, რადგანაც, იგი ფრანსუოლოგიზმების გამოყენებით არის შექმნილი. „აღგეთის მგელი“ (ვარიანტი: „თრიალეთის მგელი“) ქართულ ხალხურ ცნობიერებაში ძალის, შეუპოვრობისა და დაუნდობლობის სიმბოლოა და მეტწილად საღანძღავად გამოიყენება. მოტანილ ტექსტში ეს თვისებები წარმოდგენილია როგორც სრულიად აუცილებელი, რომ მტერს საკადრისი პასუხი მიეგოს. ამ ხასიათის გამოსატყობი არის რუსულშიც — тамновский волк, брянский волк. თითქოს ეკვივალენტი მოძებნილია, მაგრამ — არა. რუსული тамновский (брянский) волк აღამიანის შეფასებისას ყოველთვის უარყოფითი შეფერილობისაა, „აღგეთის მგლების ლექვები“ კი ამ კონტექსტში შურისმაძიებლობის, გმირობის აღიარებაა და, ამიტომ, დასაფასებელი, თავმოსაწონი თვისებაა. მაშასადამე, тамновский (брянский) волк არ გამოდგება „აღგეთის მგლის“ ეკვივალენტად, ან საჭირო გაჩდება იმდენად ვრცელი კომენტარი, რომ თარგმანს დაირდილავს. უფრო ძნელია ფრანსუოლოგიზმის „ჯაერი შეჭამონ მტრისანი“-ს თარგმნა. „ჯაერის შეჭმა“ წყენის, შეურაცხყოფის მორჩილად

და ღირსების დამამკვირებელი მოთმინებით ატანას ნიშნაყდა. შეადარე: „სირცხვილის ჭამა“, „წყენის გადაყლაპვა“. გავის-სენოთ „ამირანის“ ეპოსიდან: „სანამ ვყავი, ბევრი ეხოცე, არ შევჭამე ჯავრი მტრისა“.

მოყვანილი ტექსტის სიტყვა-სიტყვით თარგმანი ალბათ ასეთი იქნება:

Еще не раз вырастут
В Алгетт щенки волков.
И так не переведутся,
Чтобы обиду от врага проглотить (стерпеть)

ან ასეთი

Еще не раз в Алгетском ущелье
Волчицы вспоют таких волчат,
Которые прагам коварным
Сполна воздадут за кровь и обиду.

მეორე ვარიანტში მეტი პოეტურობა და სახეობრივი ემოციურობაა. არაქართული მკითხველისათვის მინიშნებულია ტოპონიმ „ალგეთის“ ხასიათიც (ущелье). ერთგვარად მინიშნებულია დედის როლიც შეუპოვარი „ღვივების“ დასრულაში („დაიზრდებიან“, ე.ი. დედა დასრდის). ორივე აწკარუდოდან შეიძლება ნამდვილი პოეტური თარგმანის გაკეთება. თუმცა, სწენი აზრით, მეორე ვარიანტი მეტ შესაძლებლობასაც შეიცავს. რაც შეეხება ფრაზეოლოგიზმს – „ჯავრი შეჭამონ მტრისანი“, აწკარუდს სასურველია დაერთოს როგორც მისი აზრის, შინაარსის ახსნა, ისე მისი მაღალი პოეტურ-ემოციური დატვირთვის განმარტება. დანარჩენი უკვე მთარგმნელის ნიჭსა და გემოვნებაზეა დამოკიდებული, მის მიერ ხალხური საგმირო პოეზიის აღქმისა და საკეთარი ენით გადმოცემის უნარზე.

✓ ფრაზეოლოგიზმების თარგმნის ერთ-ერთი ხერხია მათი სიტყვა-სიტყვით თარგმნა ანუ კალკირება. ხატოვანი გამოთქმის კალკის გადაღების წესი ძველთაგანვეა ცნობილი და დამკვიდრებული. ეს ხერხი გაჩნდა და ჩამოყალიბდა საეკლესიო ლიტერატურის თარგმნის პროცესში, როდესაც ტქსტიდან

თუნდაც ოდნავ გადახვევას შეეძლო აზრის ისეთი დამახინჯება, რაც სრულიად მიუღებელი იქნებოდა აღიარებულ დოგმათა მომხრეებისათვის. სწორედ ამ პირობებში განიდა ლექსიკურად და აზრობრივად ერთნაირი ფრაზეოლოგიზმები ისეთ განსხვავებულ ენებში, როგორცაა, მაგალითად, ქართული და რუსული. კალკირებას აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. კარგია, რომ ამ გზით შემოსული სიტყვები და გამოთქმები ხშირად საშუღამოდ რჩებიან ენაში და ამღიდრებენ მის ლექსიკას, ტერმინოლოგიას. მაგრამ სიტყვა-სიტყვით გადმოღებულმა გამოთქმამ შეიძლება შეაფეროვოს ან სულაც განდევნოს ამ ენის საკუთარი გამოთქმა.

გამოთქმის კალკირება გამართლებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მთარგმნელ ენას არ გააჩნია დედნის შესაფერისი ხატოვანი გამოთქმა და ამავე დროს კალკი არ ეწინააღმდეგება ამ ენის ნორმებს. მაგალითად, არ შეიძლება წარმატებად ჩაითვალოს რუსული „Скрасить нашу страну жемчужинам“-ის ქართულად თარგმნა, როგორც „ჩვენი ნაცრისფერი ცხოვრების გაღამაზება“. „Серых“ ქართულად ზოგჯერ კი არის „ნაცრისფერი“ (ვთქვათ, ტანსაცმელი), მაგრამ серая жемчужина იქნება არა „ნაცრისფერი“, არამედ „უფერული“, „უღიმღამო“, ხოლო „серых халат“ იმდენად უთარგმნელი გამოდგა, რომ ქართულში დამკვიდრდა რუსული „სერი“ („სერი პური“). „რუხი პური“ არ მიიღო ენამ, „ნაცრისფერი“ – მით უმეტეს. „Серых“-ის მიმართება პურის ფერთან იმდენად ძნელად დასადგენი აღმოჩნდა, რომ მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოცემულ რუსულ-ქართულ ლექსიკონებში ამ მაგალითს საერთოდ ავლილი აქვს გვერდი. თუმცა სწორედ ასეთ შემთხვევებს უნდა ექცეოდეს ყურადღება, რომ საფუძველი გამოვაცალოთ ბარბაროზმების ხმარებას („სერი პური“).

ოდესღაც კალკირებული ფრაზეოლოგიზმები სხვადასხვანაირად ეგუებიან მსესხები ენის ნორმებს – ზოგი საფუძველიანად „შინაურდება“ და საკუთარის სტატუსს იღებს, ზოგი მალე იკარგება ან პასივში გადადის, ზოგი კი არქაიზმის ელფერს ვერ იცილებს და ამიტომ მისი სტილისტური შესაძლებლობებიც შეზღუდულია. მაგალითად, დიდი სამამულო ომის წლებში რუსულ ენაში ახლებურად აუღერდა და

ყოველდღიურ სახმარად იქცა ისეთი ბიბლიური გამოთქმა, როგორიცაა: Кровь за кровь, смерть за смерть. ამ გააქტიურებას ხელი შეუწყო არა მხოლოდ გამოთქმის აქტუალობამ, არამედ მისმა ლექსიკურ-სტრუქტურულმა სისხარტემ და ენობრივი ნორმების თანადროულობამაც. ხოლო ამ გამოთქმის ქართული ვარიანტი – „სისხლი სისხლის წილ და სიკვდილი სიკვდილის წილ“ – თავისი არქაული ელფერის გამო ხაკლეზად აქტიური გამოდგა, თუმცა აზრობრივად აბსოლუტური შესატყვისია და თარგმანის პროცესში სხვა ეკვივალენტი არ მოიძებნება.

ერთნაირი აზრითა და სტილისტური ღირებულებებით დამკვიდრდა ორივე ენაში ასევე ბიბლიური წარმოშობის გამოთქმა „თყალისწინებით გაფრთხილება“ და „беречь как зеницу ока“; ეს წყვილი სრული და იდეალური ეკვივალენტუბაა, თუმცა ამ გამოთქმების ლექსიკური კომპონენტების აქტუალობა განსხვავებულია. Око და зеница თანამედროვე რუსულისთვის ცოტა მოძველებულად ეღერს, ქართული „თყალი“ და „ჩინი“ კი სრულიად თანადროულია. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ფრაზეოლოგიუმის ხმარებისას პიროვნება მის საერთო მნიშვნელობას ეურდნობა და ნაკლებად ფიქრობს (ან სულაც არ ფიქრობს) გამოთქმაში შემავალი ცალკეული სიტყვების მნიშვნელობაზე. ქართულენოვანი პიროვნება ადვილად და დროულად იტყვის „აინუნშიც არ მომდისო“, თუმცა ათასიდან ერთმა თუ იცის, რა არის „აინუნი“ და „აინუნში მოსვლა“. ქართულია ენამ დიდი ხანია გადმოაქართულა ეს გამოთქმა – „თყალში არ მოსდის“, მაგრამ აზრობრივად ისინი ერთმანეთს უკვე არ ფარავენ. ჩატარდა ასეთი ექსპერიმენტი. სტუდენტთა ჯგუფს დაუსვეს კითხვა: თქვენმა თანამოსაუბრემ გითხრათ: „თავი დამანებე, გული ნუ გამიწვალეო“. რა რეაქციას გამოიწვევს თქვენში ეს ორი შესიტყვება? ყველამ უკლებლივ ხაზი გაუსვა ნათქვამის შინაარსს, მის ტონს, ერთგვარ უხეშობას და ა.შ., მაგრამ არაფინ მიაქცია ყურადღება თვითონ სიტყვებს „თავი“, „დანებება“, „გული“, „გაწვალება“, რადგანაც მოლაპარაკის შეგნებაში სიტყვებს ცალ-ცალკე არავითარი მნიშვნელობა არა აქვთ – მთავარია ის აზრი, რომელსაც ისინი ერ-

თობლიობაში გამოხატავენ. სამაგიეროდ კარგად იგრძნობა მეტყველების ტონი (თავაზიანი ან უხეში და აზრობრივი ნიუანსები).

ფრაზეოლოგიის, როგორც საერთოდ სიტყვის მნიშვნელობა, კონკრეტულობა ტექსტში, სხვა სიტყვითა გარემოცვაში. ეს ჩვეულებრივი ამბავია და მთარგმნელმა სწორედ ამ გარემოებას უნდა გაუწიოს ანგარიში, ანუ კონტექსტის აზრს, შინაარსს. მაგალითად, რუსული „Разговор в пользу бедных“ ნიშნავს უსაგნო ყბედობას, რომლის მიზანია მსმენელთა მოტყუება, გაბრუება ღამისი სიტყვებით. გამოთქმა რუსულ პრესაში გამოჩნდა XIX საუკუნის 70-იან წლებში, როდესაც მომრავლდა საქველმოქმედო საზოგადოებები, სადაც პოპულარობის მაძიებლები უხვ დაპირებებს იძლეოდნენ გაჭირვებულთა დასახმარებლად, მაგრამ რეალურად თითქმის არაფერს აკეთებდნენ. ამ ფრაზეოლოგიის ქართულში პირდაპირი შესატყვისი არა აქვს, მისი კალკირებაც არ ვარგა (როგორც ეს ერთ კინოსერიალში გააკეთეს – „ეს ღარიბთა სახარებლო ღაპარაკიაო“), რადგანაც ქართული თარგმანი სულაც არ იძლევა ფრაზეოლოგიის დედნისეულ აზრს. გამოსავალი ერთია – უნდა მოიძებნოს ქართული ფრაზეოლოგიის მი (ან თუნდაც ანდაზა), რომელიც აზრობრივად და სტილისტურადაც მიუდგება რუსულს. ვთქვათ: ტკბილი სიტყვა კარგიაო, თუ საქმესაც არგიაო; სიტყვამ დამათრო და ვერ გამაძღო; მიესადაგება: Это – разговоры в пользу бедных – მიიერს დალოცვა ვერ გააძღობსო. ორივეში ტონი ცოტა კადნიერია, ოდნავ დამცინავი და, რაც მთავარია, ორივე გამოთქმა ვარგისია იმისათვის, რომ უარყოფითად შეაფასო (იქნებ შეაწყვეტინო კიდევაც) ვიღაცის მაღალფარდოვანი, მაგრამ უსაგნო ღაპარაკი. ამ თარგმანში თითქოს ყველაფერი ადგილზეა – აზრი, ემოციური შეფარდება, მხატვრული სახეობრიობა. მაგრამ აკლია ერთი ელემენტი: რუსულში საქმე გვაქვს ფრაზეოლოგიის მი, რომელშიც არის ე.წ. „უფუნქციო სიტყვები“ – в пользу бедных. ეს შესიტყვება რუსულში ერთგვარი კოდია, პირობითია, რომლის მნიშვნელობაც უნდა იცოდეს, რომ გაიგოს მისი აზრი. ქართულში ჩვენ მის შესატყვისად გამოვიყენეთ ანდაზა, რომლის აზრიც

სრულიად გამჭვირვალეა ყოველგვარი კოდისა და პირობითობის გარეშე, რადგანაც თითოეული სიტყვა თავისი პირდაპირი მნიშვნელობით არის ნახშირი: მშვიერს დალოცვა ევრ გააძღობსო. იქნებ სხვა უფრო ზუსტი ეკვივალენტიც არსებობს, ენის ლექსიკური სიმდიდრის ღრმა ცოდნაა საჭირო. ეს ცოდნა სრულიად აუცილებელია მთარგმნელისათვის. ასევე აუცილებელია მოძებნილი ფრაზეოლოგიზმის სწორი ლექსიკური და სტილისტური შეფასება, რადგანაც ლექსიკური ერთეულის მცდარი შეფასება იწვევს მის მცდარ გამოყენებას, რაც საბოლოოდ თარგმანის დასიანებით მთავრდება.

ფრაზეოლოგიური გამოთქმა ტექსტის უნიკალური, განუმეორებელი სამკაულია. მისი დაკარგვა ან დამახინჯება თარგმანში იოლია, შენარჩუნება კი - ძნელი: ცოდნა და გემოვნებაა საჭირო. თარგმანის აეკარგიანობის შეფასება უნდა ხდებოდეს არა მხოლოდ სუბიექტური „მომწონს - არ მომწონს“ პრინციპით, არამედ ენის სიმდიდრის გათვალისწინებით, მისი კანონებისა და სტილისტიკის ღრმა ცოდნითა და დახვეწილი გემოვნებით. მხატვრული ნაწარმოები ობიექტური რეალობაა და ამატომ მისი შეფასების ობიექტური კანონებიც არსებობს. ამ კანონების ცოდნა აუცილებელია.

ონომასტიკური ლექსიკის ენიდან ენაში ბალბანის თავისებურებანი

1. ანთროპონიმები

პიროვნებათა ერთმანეთისაგან განსხვავებისათვის მიღებულია სახელდების ისეთი ფორმები, როგორიცაა გვარი, სახელი, მამის სახელი, ფსევდონიმი, მეტსახელი. სიტყვათა ამ ჯგუფს ეწოდება ანთროპონიმია (ბერძნ. ანთროპოს - ადამიანი, ონომა - სახელი). ასევე ეწოდება ენათმეცნიერების იმ დარგს, რომელიც ადამიანის სახელდების ლექსიკას შეისწავლის.

ონომასტიკური ლექსიკა საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა და ისტორიულად ცვალებადია. ყველა ხალხს რაღაც თავისებური აქვს. თუმცა ისტორიული ურთიერთობის

შედგებად ამ სიტყვების, განსაკუთრებით საკუთარი სახელების სუსხებაც – ანუ ერთი ენიდან მეორეში გადასვლაც ხდებოდა.

აღაძიანის სახელდების ფორმულები სხვადასხვანაირია სტრუქტურულად, აზრობრივად და ოდენობრივად. ასე მაგალითად, სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ხალხებში გვხვდება ერთი ხმოვნისაგან შემდგარი გვარები: უ, ი, ო, ძალიან გაყრცელებულია ერთმარცველიანი სახელები ან გვარები: ჰაე ი, ტან უ, სინ ო, ღუ სინ, მათ ძე დუნ, კიმ რე სინ და სხვა. ყველაზე გრძელი სახელდებები დაფიქსირებულია არაბულ სამყაროში და ესპანელ არისტოკრატთა შორის. მაგალითად, ცნობილ მხატვარ პაბლო პიკასოს მსოფლიო იცნობს ამ ორი სიტყვით. სინამდვილეში მისი სრული სახელია: პაბლო დიეგო ხოსე ფრანცისკო დე პაულა ხუან ნეპომუსენო მარია დე ღოს რემედოს სიპრიანო დე ღა სანტისიმო ტრინიდარ რუის პიკასო. ხოლო ერთი არაბულენოვანი ქვეყნის ხელმძღვანელის ჰაჯი აჰმად შაჰის სრული სახელია: სულთან ჰაჯი ახმად და შაჯ აღ-მუსტაინ ბილლაჰ იბნ აღ-მარჰუმ სულთან აბუ ბაქარ რალიატუდინ აღ-მუჰამამ შაჰ. წინეთის იმპერიის უკანასკნელი დედოფლის სახელი გათხოვებისას იყო ი. დედოფლად გახდომის შემდეგ ყოველ დაბადების დღეს მის სახელს ახალი სიტყვა ემატებოდა (მეტწილად ყვავილის სახელი) და 35 წლისთავე მას მიუღოცეს როგორც: ი ცი-სი-დუჟან-იუ-კანი ჩუაო-იუი-ნაცუან-ჩენ-ჩუუ-გუნ-ცინ-სიან-ჩუნ-სის. ქართული ტრადიციული სახელდება იოლად „მოსახმარია“. იგი შედგება, როგორც წესი, სამი სიტყვისაგან. ეს არის გვარი, სახელი, მამის სახელი. აქ საყურადღებო ის არის, რომ ამ სამი სიტყვიდან თითოეულს თავისი, განსხვავებული ფუნქცია აქვს და ისინი ერთმანეთს კი არ იმეორებენ, არამედ პიროვნების შესახებ ინფორმაციას ავსებენ ახალი მინიმუმებით.

ასეთივე სამწევრა სახელდებაა ისტორიულად ჩამოყალიბებული რუსულ ყოფაში. ოღონდაც მცდარია აზრი, თითქოს მამის სახელის ხმარება საქართველოში რუსულენოვანი დოკუმენტაციის გავლენის შედეგად გავრცელდა. პიროვნების მოხსენიება მამის სახელის გამოყენებით ორივე ენაში ხანდაზმული ფაქტია და თუ საიდანმე გადმოღებაზე ვილაპარაკებთ, ეს ალბათ ბერძნულენოვანი სამყარო უნდა იყოს,

სადაც პიროვნების მოხსენიება მისი მამის მითითებით უძველესი დროიდანვე გვევლინება. ხულ სხვა საქმეა პიროვნებისადმი მიმართვა სახელითა და მამის სახელით. ეს მართლაც საკუთრივ რუსულია, მშვენივრად ჟღერს თავის ადგილას, მაგრამ ქართულ სამეტყველო ეთიკასთან არაფერი აქვს საერთო და ამიტომ ქართულ მეტყველებაში მისი გამოყენება მულაპარაკის ენობრივი კულტურის დაბალი დონის მანიფესტებელია და ამავე დროს ქართულისადმი უპატივცემლობა.

პიროვნების სახელდების ქართული და რუსული სისტემების მსგავსება აადვილებს თარგმნისას მათდამი მიდგომას. პრობლემები წნდება სახელების გადატანისას. ქართულშიც და რუსულშიც ადამიანთა საკუთარი სახელების დიდი რაოდენობა უცხოენოვანი წარმოშობისაა; დასავლური ენებიდან მოსული სახელები თითქმის ერთნაირი რაოდენობითაა დამკვიდრებული ორივე ენაში, ოღონდაც ოდნავ განსხვავებული ფონეტიკური ვარიანტებით: პეტრე – Петр, ფილიპე – Филипп, მართა – Марфа, ბესარიონ – Виссарион, გიორგი – Георгий, Юрий, Егор. ეს ფონეტიკური განსხვავებები ვიდაციის მიერ დაშვებული შეცდომები კი არ არის, არამედ იმის მანიფესტებელია, როგორ გამოითქმებოდნენ ეს სახელები წყარო-ენაში სესხების ეპოქაში. ცვლილებები ხდებოდა ნასესხები სახელის ადაპტაციის პროცესშიც, რაც ხშირად საკმაოდ აშორებდა ერთმანეთს ერთი სახელის სხვადასხვაენოვან ვარიანტებს. ამის კლასიკური მაგალითია ძველებრადული „იოჰანან“-იდან ხანგრძლივი „მოგ'საურობით“ მიღებული იოჰან-იოან-იუხან-ხუან-ჟან-ჯონ-ივან-ივანუ-ოვანეს-ჯანი-იან-იოან და ვინ იცის კიდევ რამდენი ფორმა.

და აქ ისმის მთარგმნელისათვის თავსაგეხი კითხვა: ყველა ეს ფორმა ერთი სახელიდან მოდის, მაგრამ დღეს ეს ერთი და იგივე სახელია თუ სხვადასხვაა? ასევე ითქმის გიორგი-ჯორჯ-იორჟ-ხორხე-დიერდ-გეორგ-ის შესახებ. ასეთი მაგალითი ძალიან ბევრია, ხოლო დავა გაუთავებელი. ამჟამად ხულ უფრო მყარად იკიდებს ფეხს შემდეგი ტენდენცია:

რუსულ-ქართულ და ქართულ-რუსულ მთარგმნელობით პრაქტიკაში:

1. თუ ხაერთო წარმოშობის მქონე სახელის მატარებელი ისტორიული ან რეალურად არსებული პირია, მისი სახელი გადადის მთარგმნელ ენაში დადგენილი ნორმების შესაბამისად: Петр - პეტრე, Федор - თევდორე, გიორგი - Георгий, მარია - Мария, Павел - პავლე, ნოე - Нои, აკაკი - Акакий, ილია - Илья და სხვა.

2. თუ ამ ტიპის სახელის მატარებელი ლიტერატურული პერსონაჟია, მისი სახელი თარგმანში უკეთესია გადავიდეს დედნის ქვერადობით, რაც უზრუნველყოფს ეროვნული კოლორიტის შენარჩუნებას: Григорий - გრიგორი, ივანე - Иване, ბესარიონ - Бесарион, Елена - ელენა და სხვა. აქვე ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ამ წესში იმდენი გამოწვევის გვეხდება, რომ ფაქტობრივად წესი აღარც რჩება. ამ საქმეში მნიშვნელოვანია მთარგმნელის გემოვნება, მისი ცოდნის, ერუდიციის დონე.

ქართული სახელების რუსულად გადაცემის როლს პროცესში ხშირად გვეხდება ერთი გავრცელებული შეცდომა, რომლის დაცვის მიცდელობა უვიცობის დემონსტრაციაა მხოლოდ. ღაპარაკია ქართული თანხმომავნეუქიანი სახელების გადატანაზე Нодари, Гурами, Левани, Зураби და სხვ. ამ ტიპის სახელებში ბოლოკიდური ი სრულიად ზედმეტია, რასაც თვით ქართული ენა ამტკიცებს. გვაქვს: ნოდარ დუმბაძე, გურამ რჩეულიშვილი, ლევან სანიკიძე, სურაბ ქაფიანიძე. ამ სახელების საწყისი ფორმა სწორედ ასეთია და ასევე უნდა გადავიდეს სხვა ენაზე: Нодар, Гурам, Леван და იბრუნოს კიდევაც Нодара, Нодару, Нодаром და ა.შ.

მოსაგვარებელია ქართული გვარ-სახელების რუსულად დაწერის საკითხებიც. მაგალითად Данелиა, Шонია, Тускია თუ Дanelия, Шония, Туския? გრაფიკული ვარიანტი - ია შემუშავდა და დამკვიდრდა XIX საუკუნეში, ვარიანტი - ია განნდა XX საუკუნის შუა წლებში პროფ. ს. დანელიას გახმაურებული წერილის შემდეგ. ამ ვარიანტის მომხრეთა არგუმენტია ის, რომ „ასე იწერება ქართულში“ და ამიტომ ასევე უნდა იწერებოდეს რუსულშიც - Дanelия. სადავო აქ თითქოს არაფერია, მაგრამ ერთი დეტალი დარჩა უპასუხოდ - როგორ

გადავცემო რუსულად - აია დაბოლოების მქონე გვარები: როდონაია, ცხაკაია, შურღაია და მისთანანი - Родонана, Цхакана, Шургаи; Родонана, Цхакана, Шургани; Родоная, Цхакая, Шурганя? რა თქმა უნდა, პიროვნებას შეუძლია თავისი გვარი ან სახელი წეროს ისე, როგორც მოეხურებოდა. მაგრამ უკეთესია რაღაც კანონზომიერების დადგენა და მისი გათვალისწინება იმ სიტუაციის თავიდან ასაცილებლად, რომელიც დაფიქსირებულია თუნდაც ფილმ „დათა თუთაშხიას“ ტიტრებში. ხშირად ნნდება კითხვა: უნდა იბრუნებოდეს თუ არა ქართული გვარ-სახელები რუსულად? გვარები - არა. ეს უკვე წესად იქცა. თუმცა „ხორავა“ ტიპის გვარებს ხშირად აბრუნებენ - Хоравы, Хораве, Хораву... ამას აკეთებს ისეთი ავტორიტეტული ჟურნალიც, როგორიცაა „Вопросы языкознания“. აქ საგანგაშო არაფერია, რადგანაც ეს ფაქტი არ ეწინააღმდეგება რუსული ენის ნორმებს. ისეთი ქართული სახელები, როგორიცაა ნუნუ, ეთერი, ცოტნე, ონისე (ხმოვანფუძიანები), ცხადია, არ იბრუნვის, ხოლო ისეთი სახელები, როგორიცაა შალვა, ბიძინა, მამუკა, (ასევე ხმოვანფუძიანები, რომლებიც ფონეტიკურად რუსულ I ბრუნებას მიესადაგებიან), უკეთესია ვაბრუნოთ, რადგანაც ეს აძლიერებს და აზუსტებს სახელის კონტექსტუალურ როლს. მაგალითად: Мамуки, Мамуке, Мамуку. ასევე მიზანშეწონილია იბრუნეოდნენ ქალის სახელები: მზია, ჟუჟუნა, მაყვალა, ციალა, მოფარისა და მისთანანი.

ფსევდონიმები არ ითარგმნება, რადგანაც ისინი გვარის მაგივრობას ეწევიან, გვარი კი არ ითარგმნება.

მეტსახელი უნდა ითარგმნოს, რათა შენარჩუნებულ იქნეს ის ინფორმაცია, რასაც იგი შეიცავს პერსონაჟის დასახასიათებლად. ასეც არის დამკვიდრებული პრაქტიკაში.

მხატვრულ ლიტერატურაში ხშირად გვხვდება დამატებითი ფუნქციის მქონე ანუ „მოლაპარაკე“ სახელები, რომლებიც არა მხოლოდ ასახელებენ პიროვნებას (ივანე, პეტრე, ხატია, ეთერი), არამედ რაღაც დამატებით ინფორმაციასაც იძლევიან მის შესახებ. (ცისკარა, ნაცარქექია, საღამურა, მუნჯაძე, მკლავეძე).

ამგვარი ანთროპონიმებისადმი მიდგომა თარგმნის პროცესში სხვადასხვანაირია. თუ „მოლაპარაკე“ სახელი ტექსტში ნამდვილი გვარის სახით არის წარმოდგენილი (მუნჯაძე – გლეხი, რომელსაც ჩაგრავენ, მაგრამ ხმა ვერ ამოუღია, მკლავაძე – ჩხუბისთავი, სულ მკლავსე რომ იყურება, ფულავა – ფულის კეთებით გატაცებული კაცი), ასეთი გვარების თარგმნა უაზრობაა, რადგანაც ნაწარმოების ეროვნული სახე იცვლება მოლიანად. ასე მოხდა, მაგალითად, ა. ნეხოვის ცნობილი მოთხრობის „ცხენური გვარი“ („Лошадина фамилия“) ქართულად თარგმნისას. ამბავი იუმორისტულია, კბილის ტკივილით შეწუხებული კაცის შინაურები ეძებენ „ცხენურ“ გვარს. რომელიც აქვს კბილის ექიმს: Кобылин, Жеребилов, Лошаков, Жеребчиков, Лошадинин, Лошадник, Корсников, Пристяжкин, Жеребковский, Конявский, Коренко, Рысистый, Пидов, Мерилов და კიდევ სხვა მრავალი. ხუმრობის მარილი იმაშია, რომ ექიმის გვარი იყო Овсов, რაც ვერ ჩაითვლება „ცხენურ“ სიტყვად (овес – შერია). მოთხრობის არსი რომ გაიგოს, მკითხველი უნდა ჩაწვდეს გამოგონილი გვარების „ცხენურობას“ – უამისოდ ხუმრობა იკარგება, ქრება. მოთხრობა ქართულად სამჯერ ითარგმნა. პირველ თარგმანში გვარები რუსულად უღერდა: გნედოვი, მერინოკი, კონიაესკი და ა.შ. ეფექტი დაიკარგა იმ მკითხველისათვის, ვისაც რუსული არ ესმოდა. მეორე თარგმანში ყველა გვარი გაქართულებულია: კეციანი, ძუაძე, ლურჯაძე, უნაგირაშვილი, იორლაშვილი, ფლოქვაძე და მისთანანი. იუმორი გასაგები გახდა, მაგრამ შეიქმნა სხვა უხერხულობა: მოთხრობის წაკითხვის შემდეგ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს შუა რუსეთის რომელიღაც მიყარდნილ სოფელში სულ ქართველები ცხოვრობენ. გარდა იმ ერთი კაცისა, რომელსაც კბილი ასტკივდა. ეს უკვე თარგმანი აღარ არის, ეს გადმოკეთება უფროა და სწორედ ასეც დაერქვა ერთ-ერთ თარგმანს.

თუ „მოლაპარაკე“ სახელის მფლობელი ლიტერატურული გმირია, ხოლო თვით სახელი მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია, ასეთი სახელი უნდა ითარგმნოს. ასე მიუღდა

მთარგმნელი ა. სულდაკაურის (ცნობილ ზღაპარს „საღლაძეურას თაყვადასაჟალი“ (მიდი მოადე - Bei Hejauic, ბუერა - Одуваиуик, ალე ჰოპ - Але-Топ, სირბილა - Бегун, კვანტი დაუდე - Подпожжа და სხვა). ასეთ შემთხვევაში საკამათო შეიძლება გახდეს თარგმანის დონე, ხარისხი და არა პრინციპი. მიდგომა მართებულია - „მოდლაპარაკე“ სახელი თარგმანშიც უნდა ლაპარაკობდეს.

2. ტოპონიმები

ორიენტირებისა და მინიშნების გასაადვილებლად ადამიანებმა გეოგრაფიულ ობიექტებს სახელები შეარქვეს: მტკვარი, თბილისი, კავკასიონის ქედი, შავი ზღვა, მინიგანის ტბა. სახელები აქვთ შერქმეული ციურ სხეულებს - მსუ, მთვარე, მარსი, სატურნი. ამ სახელთაგან ბევრი სრულიად პირობითია და არაფითარი აზრობრივი დატვირთვა არა აქვს (მარსი, ვენერა, ირმის ნახტომი, დათვის ვარსკვლავედი), ზოგი - ობიექტის საერთო ნიშანზე მიუთითებს. მაგალითად: მდინარის სახელწოდება „დონი“ ნიშნავს წყალს, „რიო გრანდე“ - დიდი მდინარეა, „რიო დე ჟანეირო“ - იანერის მდინარე, „ხუანხე“ - ყუითელი მდინარე და სხვა.

მრავალი ტოპონომი თავისი სიძველის ან უცხოენოვანი წარმოშობის გამო დღეს გაუგებარია (რიონი, მტკვარი, კავკასია, მოსკოვი, ვოლგა, სომხეთი, საბერძნეთი და სხვა).

მეოცე საუკუნეში სწავრთველოში (როგორც საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე) ინტენსიურად მიმდინარეობდა ახალი, სოციალურად დატვირთული ტოპონიმების დანერგვა. ეს ხდებოდა ორი გზით. პირველი: ძველი ისტორიული ტოპონიმები იცვლებოდა ადამიანთა გქარებით ან სოციალური შინაარსის მქონე ზოგადი სიტყვების საკუთარ სახელებად გადაქცევით: ორჯონიკიძე, ცხაკაია, შრომა, გამარჯვება; მეორე: იქმნებოდა ახალი დასახლებები და მათ სახელებიც ახალი ეძლეოდათ: მსიური, სამშო, ვარკეთილი, იმათა წყარო და სხვა.

ტოპონიმების ენიდან ენაზე გადაცემის საქმეში მრავალი სირთულე და გადაუჭრელი საკითხია, რაც გამომდინარეობს

თქით სათარგმნო მასალის სიტყვულ-სირთულიდან. მაგრამ მრავალსაუკუნოვანმა პრაქტიკამ, ისტორიისა და ტარდიციების გათვალისწინებამ შესაძლებელი გახადა ზოგადი პრინციპების გამოიშუშავება. ეს პრინციპები, უფრო კი ტენდენციები, ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს.

1. ტოპონიმს მეორე ენაში აქვს ისტორიულად დადგენილი შესატყვისი. რომელიც მთარგმნელმა უნდა იცოდეს და გამოიყენოს: მაგალითად, საქართველოს აღმოსავლურ ნაწილში აქვია გურჯისტან, დასავლურ ნაწილში გეორგია (წარმოთქმის ვარიანტებით), რუსულად – გრუსია, მეხოხელ სომხურ ენაში კი ვრასტან, რაც არც ქართული ძირის გამეორებაა და არც დასავლურის ან აღმოსავლურისა. ასევეა პირიქითაც: ქართველები შაიხების ქვეყანას უწოდებენ „სომხეთს“, რაც არც „შაი“ ძირს უკავშირდება და არც დასავლურ „არმენ“ ძირს. ქართული „საბერძნეთი“-ც არ გამომდინარეობს არც ბერძნული „ელადა“-დან და არც „გრეკი“ – „გრიკი“ ძირიდან, რომელიც გაფრცელებულია ევროპულ ენებში.

2. იხმარება საყოველთაოდ გაფრცელებული ტოპონიმი: იტალია, ბრაზილია, ამერიკა, ნიგერია, იაპონია, ტაილანდი, კანადა.

3. ენას აქვს უცხოენოვანი ძირიდან საკუთარი გრაფიკული საშუალებებით ნაწარმოები ტოპონიმი, რომელსედაც ვერ იტყვით გადაჭრით – ნასესხებია თუ საკუთარი: საფრანგეთი, ინგლისი, ფინეთი, ჩინეთი, რუსეთი, მოსკოვი, ესპანეთი, პოლონეთი, თურქეთი, სპარსეთი და სხვა მრავალი.

4. ორ (სამ) სიტყვიანი ტოპონიმის განსაზღვრებითი ნაწილი ითარგმნება, ძირითადი – არა: ჩრდილო ამერიკა, სამხრეთ ამერიკა, ახალი ზელანდია,

5. ორ (სამ) სიტყვიანი ტოპონიმი ითარგმნება მთლიანად: სპილოს ძეგლის ნაპირი, კეთილი იმედის კონცხი, აღდგომის კენძული, მწვანე კონცხი, კლდოვანი მთები.

ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა აქვს ტრადიციას, რომელიც ყოველთვის ლოგიკური როდია. ასე მაგალითად, ითარგმნება „წმინდა ელენეს კუნძული“, „აღდგომის

კენბული“, მაგრამ „ტრინიდადი“, რაც სამებას ნიშნავს, რატომღაც არ ითარგმნა.

თარგმნილ ტოპონიმებში არის აშკარა შეცდომებიც, რომლებიც ისე დამკვიდრდნენ, რომ გასწორებაზე ფიქრიც კი აღარა ღირს. მაგალითად, რუსული Красная площадь უნდა თარგმნილიყო როგორც „ლამაზი მოედანი“, მაგრამ დამკვიდრდა „წითელი მოედანი“, „კუს ტბა“ მართლაც არის „Черепашье озеро“, ხოლო „Лицье озеро“ – „ლისის ტბა“ შეცდომაა, მაგრამ ესეც დამკვიდრდა.

ქართული ტოპონიმების ადაპტაციამ (შეხამებამ) რუსულ ენაში სამი ეტაპი გაიარა. 1. ძველი დროიდან XVIII საუკუნის ჩათვლით, როდესაც ქართული გეოგრაფიული სახელების ჩაწერაში ბევრი რამ სტიქიურად ხდებოდა და ჩამწერის ადგილზე და სმენაზე იყო დამოკიდებული: Кахети, Кахеты, Кахет, Кахетия, Картлия, Карталиния, Мингрелия, Свания, Сванет და სხვა. 2. XIX საუკუნეში ამ მოვლენას მიეცა ერთგვარად სისტემური ხასიათი აშკარად გამოხატული რუსიფიკატორული ტენდენციებით (ასევე ექცეოდნენ ქართულ გვარებსაც). 3. XX საუკუნის 30-იან წლებში ოფიციალურად დაკანონდა ქართული (და საერთოდ არარუსული) ტოპონიმების რუსულად გამოთქმვა დაწერაში დედნისეული ჟღერადობის მაქსიმალური შენარჩუნება. მაგრამ ენათა შორის ფონეტიკური და გრაფიკული არსებით განსხვავებების გამო მრავალი კონკრეტული საკითხის გადაწყვეტა გაჭიანურდა, განსაკუთრებით მათი რუსულად დაწერის საკითხები (Саирме თუ Саирма), მახვილის ადგილი ნასესხებ ტოპონიმებში და მათგან ზედსართავი სახელის წარმოება: Сагареджойский თუ Сагареджинский და სხვა. ეს დაეა არ არის უსაგნო და არასერიოზული. ქართული ლიტერატურის, ისტორიისა და გეოგრაფიის სხვა ხალხებთან მიტანის წარმატებაში ანთროპონიმიკური და ტოპონიმიკური ლექსიკის როლი საკმაოდ მნიშვნელოვანია.

იშვიათი არ არის შემთხვევა, როდესაც მხატვრულ ლიტერატურაში ტოპონიმს, ადგილის დასახელების გარდა, დამატებითი ფუნქციაც აქვს და ამ დამატებითი ინფორმაციის შენარჩუნება თარგმანში მიზანშეწონილია. ერთ მაგალითზე ა. ჩეხოვიდან უკვე ვისაუბრეთ, მოვიყვანთ კიდევ ერთ მაგალითს.

ა. სულაკაურის ცნობილ ზღაპარში „საღამურას თავეგადასავალი“ ტოპონიმები ისევე „მოლაპარაკეა“, როგორც ანთროპონიმები: ქვეყანას ჰქვია ქონდარეთი, მდინარეს – ჩქაფუნა. მთარგმნელმა ბ. გასმა ქვეყანას უწოდა СНОГОТОК, მდინარეს – ПЕИИСТАЯ. СНОГОТОК ნიშნავს ფრჩხილის ტოლა, ცეროდენა. ასე მთარგმნება ცნობილი გამოთქმა МУЖИКОК С НОГОТОК – ცეროდენა ბიჭი. ქონდარეთი დასახლებული იყო ქონდრისკაცებით. ქართულად ქონდრისკაცს უწოდებენ ძალიან პატარა ტანის ადამიანს, ცეროდენას. ასეთი გააზრებით მთარგმნელმა ქონდარეთი როგორც СНОГОТОК.

ეს მთარგმანები შეიძლება მოვიწონოთ ან დავიწუნოთ, მაგრამ მიდგომის პრინციპი სწორია. მდინარე ლენას ციმბირში ადგილობრივი ხალხი უგრიუმ-რეკას უწოდებს. УГРИОМЫЙ პირქუშს ნიშნავს (ბუნება იქ მართლაც მკაცრია). ეს სახელწოდება მოლიანად ქართულად იქნებოდა პირქუში მდინარე. УГРИОМ-РЕКА უწოდა ვ. შიშკოვმა თავის ცნობილ რომანს. ქართულად მთარგმნისას ეს სახელწოდება რატომღაც ასე აუღერდა „უგრიუმ-მდინარე“. ასეთი ნახევრად მთარგმანის გამართლება საკმარისი ძნელია. ალბათ ან „უგრიუმ-რეკა“ უნდა ყოფილიყო, ან „პირქუში მდინარე“. წიგნის სათაურს ორი მნიშვნელობა აქვს – პირდაპირი (მდინარის აღნიშვნა) და სიმბოლური (მძიმე ცხოვრების დინება). ტოპონიმის ორივე ნაწილის მთარგმანი ინარჩუნებს ორივე მნიშვნელობას. სხვა ყველა ვარიანტი მოისუსტებს.

ხალხური მღაპარი როგორც მთარგმნის ობიექტი

სამთარგმნი მასალის შერჩევის კრიტერიუმების შესახებ

ხალხური ზღაპარი კაცობრიობის სულიერი ცხოვრების დასაწეისი, მისი აზრისა და გრძნობის გამოხატვის უძველესი ნიშნულია. ხალხურმა სიტყვაკაზმულობამ სხვა ჟანრებიც იცის (ანდაზები, ხუმრობები, შეგონებები, ლეგენდები, თქმულებები და სხვა) და ყველაფერი ეს მარად ცოცხალი და წარუვალი სიმდიდრეა. ცხადია, ყოველი ეპოქა და თაობა თავისებურად

კითხულობს ფოთკლორულ ნაწარმოებს და თავისი ინტერესების შესაფერისი დასკვნები გამოაქვს, მაგრამ უცვლელი რჩება მისი მთავარი დანიშნულება - ხალხის, მოზარდი თაობების სულიერი აღზრდა, მათი სწავლისა და მენტალიტეტის ჩამოყალიბება. ამ დიდ ეროვნულ და სოციალ-აკოვობრივ საქმეში ხალხურ ზღაპარს განსაკუთრებული ადგილი უკავია.

რაც უნდა დიდი და ღრმა ლიტერატურა მქონდეს ვერ, რაც უნდა გენიოსები ამშვენებდნენ მის კულტურას, ხალხური ზღაპარი ნებისმიერი ლიტერატურის თავფურცელია, მისი გვირგვინი და მასაზრდოებელი დედა-ფეხეი. ამ ფეხებიდან ამოდის აზრიც, ოცნებაც, ზნეობაც, ესთეტიკაც, სამყაროს სიღრმეებში წვდომაც, ჭიდილიც ბოროტსა და კეთილს შორის. ამიტომ თამამად შეიძლება ითქვას, რომ პომეროსიც, დანტეც, რუსთაველიც, შექსპირიც, პუშკინიც, ვაჟა-ფშაველაც ხალხურ ზღაპარში გამჟღავნებული ეთნოსის გენიის გაბრწყინებაა.

ზღაპარი, ეს უაღრესო და უთარილო ფენომენი, ხალხის მიერ საუკუნეების განმავლობაში იქმნებოდა, იხვეწებოდა და ინახებოდა ჭირსა და ღვინში, გლეხის ქოხში და ბატონის სასახლეში, მეორდებოდა და ცოცხლობდა დახვეწილი და პრიმიტიული ვარიანტებით, დალაგებულად და არუელად, კაშკაშა თქითა და ძნელად გასაგები ბლუკუნით.

და მაინც მოდიოდა ხალხთან ერთად, როგორც მისი სული, სიცოცხლე, მისი არსებობის დადასტურება. გაუძლო დევნას, დაეიწყებას, გაყალბებას, მტრობას, უგუნურობასა და უეცრობას და მოვიდა ჩვენამდე როგორც ხალხის თვალთ დანახული სამყარო.

ამავე დროს ხალხური ზღაპარი სრულიად უნიკალური, განუმიყრებელი ეროვნული ფენომენია და ერთგვარი სავიზიტო ბარათი სხვა ხალხთა წინაშე წარდგომისათვის.

ზღაპარი იბრძოდა და ზღაპარს ებრძოდნენ. ამას საუკუნეების მანძილზე მოსდევდა განსაზღვრული ცვლილებები, შენიღბვისა და შესამების ელემენტები. და მაინც ხალხური ზღაპარი უკვდავია და უბერებელი. იგი ეროვნულობის ერთ-

ერთი უმთავრესი მანევრებელია, ამიტომ მას გაფროთხილება ცუნდა და პოპულარიზაცია ც.

საუკუნეების მანძილზე ქართული ხალხური ზღაპარი ადამიანთა ცხოვრების აუცილებელი ნაწილი იყო. მას ინახავდა ზეპირსიტყვიერება, მას ჰყავდა აქტიური მთქმელები, მსმენელები, დამფასებლები. ზღაპარს ჰქონდა ფუნქცია. ხალხს სჭირდებოდა იგი ყოველდღიურად, როგორც სასმელ-საჭმელი, ბინა, დასვენება, შრომა. ამან გადაარჩინა იგი დავიწყებასაც და მტრობასაც. დღეს ხალხურ ზღაპარს ეს ფუნქცია აღარ აკისრია. ეს ასუსტებს მის სიცოცხლისუნარიანობას და მის გადასარჩენად საჭიროა ჭირისუფალთა დიდი ზრუნვა. ამ ზრუნვაში შედის ზღაპრის შენახვა, შესწავლა, თანამედროვეობის შესაბამისად მისი გაცოცხლება და თარგმნა სხვა ენებზე, რათა ღირსეული ადგილი დაიკავოს მსოფლიოს ხალხთა სულიერ საგანძურში.

ქართული ხალხური ზღაპრის სხვა ენებზე თარგმნა მისი გადარჩენის ერთ-ერთი საუკეთესო ფორმაა, ოღონდაც სრულფასოვნად თარგმნა. თარგმანი ორმხრივი აქციაა და ორმხრივი დაინტერესების საგანია. ერთ მხარეს სურს მიიღოს და შეითვისოს სხვის მიერ შექმნილი აზრების, ემოციებისა და ესთეტიკური სრულყოფის სამყარო, მეორე მხარე კმაყოფილია მისი დამსახურების აღიარებით, მაგრამ სურს, რომ მისი ნაღვაწი უცხოენოვან მკითხველთან მივიდეს ყოველგვარი შებღალვის გარეშე, რადგანაც ნაწარმოების თარგმნა თავისებური წარდგენაა ერთი ხალხისა მეორის წინაშე. თუ სწორია ერთი კრიტიკოსის მიერ შედარება თარგმნილი ნაწარმოებისა გათხოვილ ქალთან, რომელიც სხვა ოჯახში შევიდა და არსებობის ახალი ფორმა შეიძინა, მაშინ ისიც უნდა ითქვას, რომ ქალის მშობლები, თუ ისინი ნორმალურები არიან, ვერ დარჩებიან გულგრილნი შევილის სეკდრისადმი ახალ გარემოში. ანუ შედარებას რომ შევეშვათ, სვენოვის სულ ერთი არ უნდა იყოს, როგორი სახით აქედრდა ქართული მხატვრული სიტყვა და მიეწოდა სხვაენოვან მკითხველს, მაშასადამე, რა შთაბეჭდილება დაამკვიდრა თარგმანმა ქართული კულტურისა და ინტელექტის შესახებ. ამით აიხსნება ის დიდი ეურადლება, რომელსაც თანამედროვე

საზოგადოება იჩენს თარგმანისადმი სათარგმნი ტექსტის შერისუქიდან დაწვებული. გამოცემის პოლიგრაფიული ღონით დამთავრებული.

ამჯერად ჩვენ გვინტერესებს ხალხური ზღაპრის თარგმნის პრობლემები, რასაც მრავალი თავისებურება აქვს, რისი არცოდნა და გაუთვალისწინებლობა ცუდ სამსახურს უწვევდა და უწევს ამ დიდი ეროვნულ-კულტურული მნიშვნელობის საქმეს.

რაში გამოიხატება ეს სპეციფიკა და საიდან მოდის იგი? ეს არის ხალხური ზღაპრის, როგორც მხატვრული ნაწარმოების თავისებური აგებულება, ტექსტის ხასიათი და განმეორებადი ატრიბუტები. რაზეა ლაპარაკი?

1. ხალხური ზღაპრის არსებითი ნიშან-თვისებაა სიტყვიერი მასალის არამდგრადობა და არაერთგვარობა. ეს განსხვავება ხშირად მოქმედების განვითარებასა და პერსონაჟთა სუსხაშიც გეხვდება. ამის მიზეზი მარტივია და ადვილად გასაგები: ხალხურ ზღაპარს იმდენი ზეპირი ვარიანტი აქვს, რამდენიც მთხრობელ-მომყოლია. ზღაპრის ტექსტის კონკრეტულ ვარიანტად ქცევა ხდება მისი ჩაწერიდან ანუ წერილობითი ფიქსაციიდან — ქაღალდზე გადატანიდან. მხოლოდ ასეთი დაფიქსირებული ტექსტი შეიძლება გახდეს თარგმნის ობიექტი.

და აქ თავს იჩენს ერთი გარდუვალი კითხვა: როგორია იმ ვარიანტის ლიტერატურულ-ენობრივი ღირსება და დონე, რომელიც მთარგმნელს მიეცა სხვა ენაზე გადასატანად და რომელმაც კულტურათა შორის ელჩის როლი უნდა შეასრულოს?

ფოლკლორის შესწავლის ისტორიამ მრავალი შემთხვევა იცის, როდესაც ჩამწერის ერუდიცია და მხატვრულ-ენობრივი გემოვნება თავიდანვე განსაზღვრავდა ახლად დაფიქსირებული ზღაპრის წარმატებას თუ წარუმატებლობას. თუ ჩანაწერი სრულყოფილია და მთარგმნელიც კარგი შეხვდა, წარმატება უზრუნველყოფილია, სუსტი ჩანაწერიდან კარგ თარგმანს (თარგმანს და არა გადაკეთებას) ვერავინ გააკეთებს, მაგრამ კარგი ჩანაწერი სუსტმა მთარგმნელმა

შეიძლება ისე უფერულად და უგემურად გადაიღოს სხვა ენაზე, რომ მას სამუდამოდ დაუყვართხოს მკითხველი.

ხალხურმა სიტყვიერებამ დიდი ხანია მიიქცია განათლებულ ადამიანთა ყურადღება. ქართული ხალხური ზღაპრების წყნამდე შემონახული პირველი ჩანაწერი შესრულებულია XVII საუკუნის მეორე ნახევარში და ეკუთვნის იტალიელ მისიონერს ბერნარდო ნეაპოლიტანელს. ეს ჩანაწერები (სულ 12 ზღაპრისა) დიდი ხნის განმავლობაში ინახებოდა კაპუცინების მონასტერში Torre del Careco საერთო სახელწოდებით Favole giorgiane. ისინი აღმოაჩინა ცნობილმა მოღვაწემ მიქელ თარხნიშვილმა და ზოგიერთის ტექსტი გადმოიწერა. თარხნიშვილის ჩანაწერებიც სადღაც არქივებში წაიკარგებოდა, რომ არა ელენე ვირსალაძის ყურადღება, რომელმაც შეისწავლა ისინი და გამოაქვეყნა სათანადო კომენტარებით 1948 წელს.¹

XVIII საუკუნეში ფოლკლორის ნიმუშების დაფიქსირება და კრებულებში თავმოყრა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. იწერდნენ ანდაზებს, გამოცანებს, შელოცვებს, სიმღერებს და, ცხადია, ზღაპრებსაც. ერთი კია: ეს ჩანაწერები ხშირად მოკლეა და აზრის, სიუჟეტის, სქემის გადმოცემას წარმოადგენს.

დიდი დეაწლი მიუძღვის ქართული ფოლკლორული მასალის შეგროვებაში პოეტ გრიგოლ ბაგრატიონს, რომლის ჩანაწერებიც, როგორც მკვლევრებს მიაჩნიათ, საკმაოდ მაღალ დონეზეა შესრულებული.

ხალხური საუნჯის დიდი მოტრფიალენი და მოამაგენი იყვნენ პლატონ იოსელიანი, დავით ნუბინაშვილი, თეიმურაზ ბაგრატიონი, ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანი და სხვა გამორჩენილი პირები.

XIX საუკუნის მეორე ნახევარი ილია ჭავჭავაძისა და მისი თანამებრძოლების გენიის შუქით არის განათებული. ილიას ნიჭი, ყურადღება და ენერჯია ქართულ ხალხურ სიტყვიერებასაც დაეძგო.

¹ იხ. მასალები ქართული ფოლკლორის ისტორიისათვის. ლიტერატურული მოუბანი, IV, 1948.

ილია ჭავჭავაძემ თვითონ ჩაიწერა და დაბეჭდა ბევრი ნიმუში ხალხური შემოქმედებისა, ყოველმხრივ უწყობდა ხელს იმათ, ვინც იღვწოდა ქართული სიტყვიერი სიმდიდრის შესაგროვებლად, გამოსაქმევენებლად და შესასწავლად. ერის მოძღვარს კარგად ესმოდა ხალხური სიბრძნის მნიშვნელობა თაობების აღზრდის, ხალხის ისტორიული მეხსიერების დახვეწის და თვითმყოფადობის შენარჩუნების საქმეში.

ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა, იაკობ გოგებაშვილმა, ვაჟა-ფშაველამ მთელი კონცეფცია და პროგრამა ჩამოაყალიბეს იმის თაობაზე, თუ რა მნიშვნელობა აქვს ერის ცხოვრებაში სუბირსიტყვიერებას და როგორ უნდა იხრუნოს ხალხმა ამ თავის სიმდიდრეზე. გაჩნდა დასაბუთებული მოთხოვნა ფოლკლორული ნაწარმოების ჩაწერისა უესტად ისე, როგორც მოქმედი ჰყვება და არა ჩამწერის მიერ თვითნებურად გადაკეთებული სახით. ეს პრინციპი ედო საფუძვლად ფოლკლორის ისეთი დიდი მოღვაწეების საქმიანობას, როგორებიც იყვნენ პეტრე უმიკაშვილი, თედო რაზიკაშვილი, სამსონ ღონდაძე, რაფიელ ერისთავი, ვახტანგ კორტეტიშვილი, ალექსანდრე ღლონტი, მიხეილ ჩიქოვანი და სხვები, ყველას ჩამოთვლა შეუძლებელია.

ქართული ფოლკლორის მეცნიერულ კვლევას მიუძღვნეს თავიანთი შრომები ალ. ღლონტმა, მ. ჩიქოვანმა, ქ. სიხარულიძემ, ე. ვირსალაძემ, ალ. ჭინჭარაულმა, ვახ. კორტეტიშვილმა, თ. ქურდოვანიძემ, ს. კიკნაძემ და მრავალმა სხვამ.

„უესტად ჩაწერის“ პრობლემა უმთავრესად უღაპარს ეხებოდა, რადგანაც ეპოსის შემდეგ უღაპარი ყველაზე დიდი მოცულობის ჟანრია, მისი დადგენილი ტექსტი ფაქტობრივად არ არსებობს – იგი ხელახლა იქმნება ყოველი ახალი მოყოლის დროს. და განსხვავება შესამჩნევია არა მარტო სხვადასხვა მთხრობელთა შორის, არამედ ერთი პიროვნების თხრობაშიც – მეუღაპრეს დასუპირებული კი არა აქვს რაღაც ვარიანტი, არამედ მისი მონაყოლი შემოქმედებითა და ვარიანტობრივი. აქ უკვე წინა პლანზე გამოდის მთხრობელის მხატვრული ალღო, მოყოლის უნარი და უღაპრის სიუჟეტისა და შინაარსის შინაგანი ერთიანობის გრძნობა. ამიტომ იყო, რომ იაკობ გოგებაშვილი მტკიცედ მოითხოვდა, ჩამწერებს

მთხრობელებად შეერჩიათ ისეთი პირები, რომელთაც „ზღაპარიც იკოდნენ და ენაც უჭრიდათ“.

ცხადია, საუკეთესო იქნებოდა ის ვარიანტი, რომელსაც ასეთი მცოდნე და ენაშტევერი კაცი მოჰყვებოდა.

სხვა ენაზე სათარგმნელადაც სწორედ ასეთი ვარიანტი უნდა იყოს რეკომენდებული.

ფოლკლორის შესწავლის ისტორიამ იცის, თუ რა ძნელია იდეალური მოქმელისა და ზღაპრის იდეალური ვარიანტის მოძებნა. ვარიანტები მეტ-ნაკლები მხატვრული ღირებულებისაა, მაგრამ ჩაწერილი ტექსტის სერიოზული ანალიზი ყოველთვის გამოავლენს რაღაც ნაკლს და რაღაცის სემანტიკობას ან მოქმედების განვითარებაში დაშვებულ უზუსტობას. ამან მისცა ბიძგი ხალხური ზღაპრის ტექსტის შეგნებული დახვეწა-დაწმენდის იდეას.

თავისდათავად ასეთი იდეის განხორციელება საფრთხილო საქმეა, რადგანაც ხალხური ქმნილება შეიძლება ერთი სუბიექტის თვითნებობის მსხვერპლი გახდეს.

ამავე დროს ისტორიამ იცის ისეთი ფაქტებიც, როდესაც უმაღლესი განსწავლულობის სპეციალისტები არა მარტო აფიქსირებდნენ სივრცის ნათქვამს, არამედ აქტიურად ერეოდნენ ხალხური ზღაპრის ენობრივ და სტილისტურ სტრუქტურაში და თავისი დახვეწილი გემოვნებითა და ლიტერატურული ნიჭით ახალ ბრწყინვალეებასა და მიმზიდველობას მატებდნენ ხალხურ ნათქვამს და ერთგვარად თხრობის ეტალონადაც კი აქცევდნენ. ამგვარად დამუშავებული ზღაპარი ხშირად რჩებოდა ერთადერთ ვარიანტად და მხოლოდ ამ სახით გადადიოდა თაობიდან თაობაში. ამის ბრწყინვალე ნიმუშია გერმანული ხალხური ზღაპრების ძმები გრიმების მიერ შექმნილი ვარიანტები.

ეს ამბავი კარგად არის ცნობილი. ძმებმა იაკობ და ვილჰელმ გრიმებმა, XIX საუკ. პირველი ნახევრის გამოჩენილმა ენათმეცნიერებმა, ლიტერატორებმა და ფოლკლორისტებმა, სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა პირების მიერ ჩაწერილ გერმანულ ხალხურ ზღაპრებს მისცეს ბრწყინვალე ლიტერატურული ფორმა, მეცნიერული სიზუსტითა და სიღრმით გამოართეს მათი სიუჟეტები, ონომასტიკური ლექსიკა და

ფრაზეოლოგიური მასალა, მოაცილეს უფუნქციო გამეორებები, დაურთეს მკაფიო კომენტარები და ამ სახით კვლავ შესთავაზეს ხალხს. ცდამ დიდებული შედეგი გამოიღო – გრიშების მიერ წარმოდგენილი ვარიანტები ერთნაირი მოწონებით მიიღო ხალხმაც, სკოლამაც, ეკლესიამაც, გამოცემლობამაც. სწორედ ეს ვარიანტები ითარგმნა სხვა ენებზეც დასურათდა მხატვრების მიერ და შთაქაგონებულ წყაროდ იქცა მწერლობისათვის, თეატრისათვის, კინოსათვის. მეცნიერი ძმების ღვაწლი იმდენად დიდი აღმოჩნდა, რომ ხალხური ზღაპრების ამ ორტომეულს მთელ მსოფლიოში „ძმები გრიშების ზღაპრების“ სახელით იცნობენ, თუმცა ყველა ზღაპარი ხალხურია ამ სიტყვის ყველაზე ზუსტი გაგებით. მეოცე საუკუნის „შუა წლებში, როდესაც ხალხური ზღაპრის მეცნიერული შესწავლის ახალი ეტაპი დაიწყო, თაყი იჩინა გრიშების საქმიანობის შეფასების გადასინჯვის ტენდენციამ. კრიტიკული პათოსი წარიმართა შემდეგი დოგმით: ორმა კაცმა, თუნდაც ბრწყინვალე ფილოსოფებმა, ერთ ყაიდაზე და ერთ სტილში გადაამუშავეს მთელი ხალხური ზღაპრები, რის გამოც მათ აღარ შერჩათ ხალხურობის ელფერი, მთქმელთათვის დამახასიათებელი კოლორიტი და განუმეორებლობა. ამგვარი დამუშავების შედეგად ზღაპრებმა შეიძინეს ინდივიდუალურ-ავტორისეული ნიშნები. ამიტომ ეს ზღაპრები ხალხური აღარ არის. ეს არის ლიტერატურული გადაამუშავების პროდუქტი, თავისთავად დიდებული, მაღალმხატვრული და მაღალწესობრივი, მაგრამ უკვე არახალხური.

უნდა ითქვას, რომ გრიშებს ეს სერიოზული „ბრალდება“ წაუყენეს არა გერმანელებმა, არამედ სხვა ხალხთა ზღაპრების მკვლევრებმა.

ამ „ბრალდებას“ პასუხიც მალე მოეძებნა: ხალხური ზღაპრის მოყოლის უფლება აქვს ნებისმიერ პიროვნებას და აკეთებს ამას თავისი გემოვნების, აზროვნებისა და ენის ფულობის ფარგლებში. ასეთივე უფლება პქონდათ გრიშებს, როგორც გერმანელებს. და მათ მოუთხრეს გერმანიას მისივე ზღაპრები ისე, როგორც მათ შეეძლოთ. ხალხმაც და ისტორიამაც მოიწონა მათეული თხრობა და მადლობის ნიშნად

კრებულს „გრიმების ზღაპრები“ შეარქვეს. რა არის აქ მიუღებელი? XIX საუკუნის შუა წლებში იაპონელი ლიტერატორები დაინტერესდნენ ხალხური შემოქმედების მხატვრულ-ესთეტიკური ღირებულებით. ძირითადად: ეს გააკეთეს იმათ, ვინც ევროპულ კულტურას ეხიარა და ზღაპრისადმი მიდგომის ახალი კრიტერიუმები აითვისა. მწერალმა იყაია საძანაძიმ პირველმა ჩაიწერა ხალხური ზღაპრები, ჩათვალა, რომ მათი მწირი ენობრივი ღონე არ შეეფერებოდა მათ უსარმაზარ შემეცნებით მნიშვნელობას, თავისი გემოვნების მიხედვით მხატვრულად გადაამუშავა ისინი და ამ სახით გამოსცა. გამოცემას არნახული წარმატება ხვდა და დღემდე მეორდება როგორც „იაპონური ხალხური ზღაპრები“ („ნიხონ ნუკასი ბანასი“). აღექსანდრე პუშკინი მოხიბლული იყო რუსული ხალხური ზღაპრების მხატვრული ღირსებებით. 1824 წელს ძმისადმი მიწერილ წერილში იგი აღტაცებით ამბობდა: „Что за прелесть эти сказки! Каждая есть поэма“.

და პოეტის ნიჭმა, რომელიც ასევე ხალხის გენიის ნაწილია, ახალი ბრწყინვალეობა შესძინა ხალხურ ქმნილებას.

ერთმა კრიტიკოსმა პოეტს სიცოცხლეშივე უსაყვედურა – ხალხური ზღაპრები მითვისაო. პ. სტრუგოვშიკოვმა განცვიფრება გამოთქვა ამ ბრალდების გამო: „Как можно присвоить народную сказку, которую знают и рассказывают миллионы? Видимо, не все понимают, что народная сказка имеет сотни разносказаний и все они равноправны“.¹

არც ქართული ზღაპრებია მხოლოდ ერთ ვარიანტში წარმოდგენილი. ასე მაგალითად, ცნობილი ზღაპრის „კომბლეს“ ტექსტი სხვადასხვა გამოცემებში საკმაოდ განსხვავებულია. ერთგან დასაწყისში ახსნილია, რატომ ერქვა ამ კაცს კომბლე: „კომბლებს სთლიდა, ჭერში აწყობდა და ვინც მის ცხვრებს შესჭამდა, თავში ჩასცხობდა“. ამ მუქარას მოერიდნენ მელია და დათვი, მგელმა კი საკუთარ თავზე იწვნია, რომ კომბლე არ ხუმრობდა. სხვა გამოცემაში პერსონაჟის სახელისა და საქციელის ახსნა გამოტოვებულია. ამიტომ გაუგებარი ხდება კომბლეს სახელიცა და, რაც მთავარია,

¹ Перевод – средство взаимного сближения народов, М., 1987, стр. 256.

მელიასა და დათვის სიფრთხილევ. დაკარგულია ხაღხური ზღაპრის სიუჟეტის შეკერვის მთავარი ძალა - საგნისა და მოქმედების მოტივაცია. ასეთი დანაკლისი თვალში საცემია დედანშიც და თარგმანშიც. ამკარაა, რომ ეს მეორე ვარიანტი ნაკლებია. მასში გამოორჩენილია პერსონაჟის სახელის მოტივაცია. ქართულმა ონომასტიკამ „კომბლე“ - ასეთი სახელი არ იცის. ზღაპრის პერსონაჟის ასეთი სახელი ფუნქციურია და მისი დაკარგვა გაუმართლებელია, რადგანაც მისი შემწეობით იხსნება პიროვნების ბუნება: 1. „კომბლებსა სოლის და ჭერში აწყობს“, 2. „ვინც მის ცხვრებს შესჭამს, თავში ნასცხობს“. ამ იმედით მიდიან ცხვრები საიყოარსზე, ეს არის ბოროტების გარდაუვალი დასჯის პირობა. ზღაპრის ვარიანტი, სადაც ეს არსებითი მნიშვნელობის რგოლი გამოორჩენილია, ამკარად სუსტია, ლოგიკურად გაუმართლებელი და ამიტომ დამაჯერებლობას მოკლებული. მელიამ და დათვმა იმიტომ აიცდინეს ხიფათი, რომ მათ იცოდნენ, ვინ იყო კომბლე და ცხვრებსაც მოურიდნენ. მგელს სიბრიყვემ და სისარბემ წასძლია და აკი წააგო კიდევაც. ასეთი ტექსტის თარგმნა. სხვა ენაზე გაუმართლებელია.

ანალოგიური ხასიათის ნაკლია „ნაცარქექიას“ იმ ვარიანტში, რომელიც, სამწუხაროდ, ითარგმნა რუსულად ნ. დოლიძის მიერ და არაერთხელ დაიბეჭდა. სახლიდან გამოდებელი ნაცარქექია მიადგა დიდ მდინარეს, რომელში შესვლისაც შეეშინდა. არადა გასულა აუცილებელია. ამ დროს მდინარის მეორე ნაპირს შოადგა დევი. ადამიანს მისიც შეეშინდა. მაგრამ ეშმაკობით სცადა დევის არა მარტო შეშინება, არამედ დამორჩილებაც და უბრძანა, გამოდი და გაღმა გამოიყვანეო. აქედან იწყება სუსტი, მაგრამ ეშმაკი ადამიანისა და ძლიერი, მაგრამ ბრიყვი დევის ერთგვარი დუელი. დევი განრისხდა, ეს რა გამიბედეო, რიყეზე სირბილი დაიწყო და ფეხქვეშ დამსხვრეულ ქვას მტვერი აადინა. არც ნაცარქექიამ გაიტეხა იხტიბარი და სახლიდან გუდით წამოღებული ნაცრის ბუქი დააყენა. დევეს მაინც არ სჯერა ადამიანის ძალიან და კვლავ ამოწმებს მას - ხელის მოკერით რიყის ქვას ფშენის და ნაცარქექიასგანაც მოითხოვს, შენც დაფშენი, თუ მართლა ძლიერი ხარო. როგორც ცნობილია, ნაცარქექიამ

კველს წყალი გაადინა. ამან გააოგნა და დათრგუნა დევი. და აკო შეისვა კიდევ კაცო კისერზე. ნადირის უკანასკნელი გაბრძოლება იყო ნაცარქექიას მიერ სადგისის გამოყენების ამბავი. ადამიანმა აქაც ჭკუით აჯობა მხევს და გამარჯვებაც მოიპოვა. ასეთია ზღაპრის ამ ეპიზოდის არსი.

ზღაპრის იმ ვარიანტში, რომელიც ითარგმნა, მოვლენათა ეს შინაგანი ლოგიკა დარღვეულია და წააგო კიდევ ნაწარმოებმა.

მიემართოთ სათარგმნელად აღებულ ტექსტს:

მძიმე მდგომარეობიდან გამოსაყვალს ნაცარქექია ასე გულუბრყვილოდ ეძებს: „იფიქრა, იფიქრა და, ბოლოს, ეს მოიგონა, აბა, გაევიღი და მტვერს დაეაყენებო.

ნაცარქექიამ გუდას სადგისი უჩხვლიტა. გახვრიტა და რომ გაიარ-გამოიარა, საშინელი მტვერი დადგა“ (მწირი ენაა, სადგისის ერთი ჩხვლეტიოა და. გავლა-გამოვლით გუდიდან „საშინელი მტვერი“ არ დადგებოდა).

„დევი გაოცდა, შეშინდა კიდევ, ქვა აიღო და გამოსაჩხა: – აბა, ამ ქვას წყალი გამოადინეო“.

ამ ვარიანტში რამდენიმე უსუსტობაა, რომლებიც ანგრევენ მოქმედების დინამიზმსა და შინაგან ლოგიკას:

1. არ არის მოტივირებული, რატომ გადაწყვიტა ნაცარქექიამ, „გაევიღი და მტვერს დაეაყენებო“.

2. არ არის მოტივირებული, დევი რატომ მაინცდამაინც ქეიდან წყლის გამოდენა მოსთხოვა ნაცარქექიას. ეფექტი კი სწორედ იმაშია, რომ დევი წყლის გამოდენას არ მოელოდა. სტილისტური უსუსტობაც არის: წყალზე არ ამბობენ „თქრიანლით გამოადინაო“.

ნინო დოლიძის თარგმანი კეთილსინდისიერად მისდევს დედანს, ამავე დროს მთარგმნელი გრძნობს შინაგან წინააღმდეგობებს და ზოგჯერ აზუსტებს კიდევაც: „Думал, думал и придумал: А ну, пройдуся и подниму пыль. Проколот шилом мешок и стал ходить, потряхивая им. Посыпалась зола, поднялась страшная пыль. Удивился Дэв, испугался и говорит: - Эй, ты! А ну, если можешь, выдави из этого камня воду, и бросил Золодуву камень“.

ადვილი შესამსწევია, რომ მთარგმნელისეულმა ჩამატებებმა „потряхивая им“, „посыпалась зола“, „присил Золотувы камень“ ერთგვარად დააზუსტეს და გააძლიერეს მოქმედების განვითარების დინამიკა, მაგრამ დედნისეული ალოგიკურობა მაინც დარჩა.

უნდა ითქვას, რომ მთარგმნელის დახვეწილი გემოვნება ბევრგან წაადგა ამ ზღაპარს, თუმცა უხეში შეცდომები ვერ გასწორდა.

მაგალითად, დედანში ნაცარქექია ასე ხასიათდება: „მაზლი საშინელი ზარმაცი და ზორბა ტანისა იყო; არაფრის გაკეთება არ შეეძლო, სულ ბუხართან იჯდა, ხელში ჩხირი ეჭირა და ნაცარს ქექავდა“. აქ გაუგებრობას იწვევს ნაცარქექიას „ზორბა ტანი“ (დევი კიდევ ეუბნება, – რა მსუბუქი ხარო) და ამ ზორბა ტანის კაცს „არაფრის გაკეთება არ შეეძლო“. (არ შეეძლო, თუ არ სურდა?).

მთარგმნელმა აქაც სასიკეთოდ გააკრა ხელი თხრობის სტილს; „Деверь был лентяй, бездельник, ничего не хотел делать. Целые дни сидел он у очага, дул на золу да копался в ней. Прозвали его за это Золотувом“.¹

შუუთავსებელი „ზარმაცი და ზორბა ტანისა იყო“ გადატანილია, როგორც „был лентяй и бездельник“, „არაფრის გაკეთება არ შეეძლო“ თარგმნილია: „ничего не хотел делать“. მთარგმნელის მიერ ჩამატებულია дул на золу იმ მიზნით, რომ გაამართლოს სახელი Золотува, თუმცა ნაცრის ბერვა არ არის პერსონაჟის საქმე, იგი იქექება ნაცარში. ზოგჯერ ამბობენ, მთარგმნელი დაშორდა დედანსო. ამ შემთხვევაში ეს „დაშორება“ გასაოცრად ზუსტი და სასარგებლო აღმოჩნდა, ოღონდაც არა დედნის ტექსტისათვის, არამედ ნაწარმობისათვის მთლიანად. მისი შინაარსისა და სიუჟეტის მართებულად გადატანისათვის სხვა ენაზე იქნებ ვინმემ იკითხოოს, არსებობს ასე იდეალურად გამართული ვარიანტი? მთლად უსადო – არა, მაგრამ თარგმნილზე უკეთესი თურმე არსებობს. იგი წარმოდგენილია წიგნში „ხალხური სიტყვიერება“.

¹ Грузинские народные сказки. Сто сказок. Перевод Н. Долдзе. Под редакцией М. Чиковани, Тб., „Мерანი“, 1971, стр. 244.

„შემდგენლები - ქ. სისარულიძე და ფ. ზანდუკელი. გამომც. „ნაკადული“, 1972 წ. და ყოველმხრივ გამართულია „ნაკადულის“ სერიაში: „ქართული ხალხური ზღაპრები“, „ნაცარქექია“.

და კიდევ ერთი დეტალი. „ნაცარქექიას“ ტექსტის ჩამწერად ზოგ გამოცემაში თედო რაზიკაშვილია დასახელებული, ზოგან ჩამწერი საერთოდ არ არის მითითებული. ეს ფაქტი ინტერესს იწვევს იმით, რომ გაუგებარია, ვის ეკუთვნის ვარიანტული სხვაობა - ჩამწერს (ჩამწერებს), თუ გამომცემლებს.

ვარიანტული განსხვავებები გეხვდება რუსულ ზღაპრებშიც. აქვე ვიტყვი, რომ, თუ განსხვავება მხოლოდ რედაქციულ-სტილისტური ხასიათისაა, არაფერი საგანგაშო არ არის. მაგრამ თუ სხვაობა ჩანს ზღაპრის როგორც მხატვრული ნაწარმოების ფუნქციური კომპონენტების მეტნაკლებობაში, ეს უკვე დამაფიქრებელია. ასე, მაგალითად, თუ გზად მიმავალმა პერსონაჟმა სამი ან ხუთი არსება (აღამიანი, ფრინველი, ნადირი, მცენარე, - ყველაფერი, რაც შეიძლება ზღაპარში მოქმედებდეს) გამოიხსნა გასაჭირიდან, უკან დაბრუნებისას, ან როცა გაუჭირდება, ყველამ უნდა გაუწიოს გმირს რაღაც ისეთი სამსახური, რომელიც პერსონაჟს დაეხმარება მიზნის მიღწევაში. საკმარისია ერთი მათგანი დაიკარგოს ან გადაადგილდეს, რომ ზღაპრის მთლიანობა დასარღვევად ან სულ მოიშლება.

ამგვარ არასასურველ ფაქტებს კი, სამწუხაროდ, საკმაოდ ვხვდებით ქართული ზღაპრების რუსულ თარგმანებში, რაზედაც ნაწილობრივ უკვე ითქვა.

ხალხური ზღაპრის როზორს მხატვრული ნაწარმოების საეტიმოლოგიური ნიშნები

მოყვანილი მაგალითები გეჭირდება არა ჩამწერთა და გამომცემელთა გასაკრიტიკებლად, არამედ იმ აზრის დასახაზუთებლად, რომ სათარგმნელად უნდა შეირჩეს ყველაზე სრულყოფილი ვარიანტი, ის, რომელიც მთლიანად წარმოაჩენს ზღაპრის როგორც მხატვრული ტექსტის სტრუქტურ

რას, შინაარსის განვითარების ლოგიკურ შესაბამისობას და მორალის, შეგონების დამაჯერებლობას. ზღაპარი ხომ ყოველთვის შეგონება, ზნეობის ახსნა და დაცვაა. ოღონდ აღუგორიულ-მხატვრული ხერხებით.

ხალხური ზღაპრის მკაფიოდ გამოხატული სპეციფიკური ნიშანია ვერეთ წოდებული ეროვნული კოლორიტის მატარებელი ნიშნების სიუხვე. ამ მხრივ სიტყვიერი ხელოვნების არც ერთი ჟანრი და სახე არ არის ისე ეროვნული და უნიკალური, როგორც ხალხური ზღაპარი. ეს ნიშნებია: ანთროპომიმიკული და ტომომიკური ლექსიკა, ანდაზები, გამოცანები, ფრაზეოლოგიური მასალა, დიალექტიზმები, სხვადასხვა რეალიები, წყევლისა და ლოცვის ფორმულები, სამეტყველო ეტიკეტი, ფერთა აღქმის სიმბოლიკა, ბოროტი და კეთილი საწყისების მატარებელი ძალების სახელდება, რწმენისა და ცრურწმენის სიტყვებით და მოქმედებით გამოხატულება, სილამაზისა და სიმახინჯის პირობითი ნიშნები და შეფასებები, ერის ისტორიის აღზევებისა და დამდაბლების ანარეკლი და სხვა მრავალი.

ყველაფერ ამას მთარგმნელ ენაში, როგორც წესი, ეკვივალენტი ან სულ არ დაეძებნება, ან არის რაღაც, რაც ასევე სპეციფიკურია სხვა ხალხისათვის და ამიტომ მხოლოდ შორეულად და ისიც პირობითად შეიძლება ჩაითვალოს რაღაცის შესატყვისად. ასე მაგალითად, ქვეერი, როგორც სამეურნეო ჭურჭელი, რუსი ადამიანის ყოფაში არ არსებობს. ამიტომ ვერც მოეძებნება მისაღები შესატყვისი რუსულ ენაში. ყველა აღწერითი თარგმანი კი, ჯერ ერთი, ჭარბსიტყვიანია, მოუქნელი და მაინც სისუსტეს მოკლებული, და მეორე, აღწერით თარგმანში სრულიად იკარგება მხატვრული სახე, იძირება და უფერულდება ამ „მიახლოებითი შესატყვისების“ სემანტიკურ შეეთავსებლობაში. ამ უხერხულობამ მძაფრად იჩინა თავი „ნაცარქექიას“ თარგმანის იმ ადგილებში, სადაც ნახსენებია ქვეერი, კეცი, თავხე და სხვა ყოფითი რეალიები.

ამიტომ ზღაპრის სათარგმნი ვარიანტის შერჩევის შემდეგ არსებით მნიშვნელობას იძენს იმის კარგად გაგება და გააზრება, თუ რა არის ტექსტში სპეციფიკურ-ეროვნული, რისი თარგმნაც გაჭირდება პირდაპირი ეკვივალენტების

არარსებობის გამო. ამას ღედნის ენის კარგი ცოდნა სჭირდება და კიდევ იმ ყოფისა და სამყაროს ხედვისა, რაც სლაპარში აისახა.

თხრობის სტილი. შეიძლება სხვადასხვა ენებზე მომუშავე დიდი მწერლების სტილში დაიძებნოს თანხვედრილი მომენტები. რემინისცენციები, ასოციაციები, მხატვრული სახეები და ახრთა ანალოგიებიც კი, მაგრამ ხალხურ სლაპრებში ეს გამორიცხებულია — აქ ყველაფერი განუმეორებელია, უნიკალურია, ერთადერთია. ეს უნიკალურობა ზოგ რამეში აშკარად ჩანს და ყველა ადვილად ამჩნევს, სოფჯერ კი მოვლენა იმდენად სიღრმისეულია, რომ ბევრისთვის შეუმჩნეველი რჩება და იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ყველა სლაპარი ერთმანეთს წააგავს და მხოლოდ ენობრივი ბარიერი განასხვავებს მათ. აი, ამისი ერთი გასაოცარი მაგალითი.

ქართველი ნაცარქექია ყველასათვის ცნობილია. მაგრამ თურმე მისი ტყუპისცალი იაპონელებსაც პყლიათ. ისიც უსაქმურია, ზარმაცია, ცულღუტია, მასაც უყვარს ცეცხლთან ჯდომა და ნაცრის ქექვა. ასეთი დამთხვევების შემდეგ იქმნება ილუზია, რომ იაპონური სლაპრის ქართულად თარგმნისას პერსონაჟის სახელი იქნება „ნაცარქექია“. მაგრამ ისმის კითხვა, — რამდენად გამართლებული იქნება ასეთი მიდგომა? თუ დარჩეს იტიკარო-სო, რაც ნიშნავს „ნაცრის ქექვაე“, „ნაცარს რომ ქექავს“.

სლაპრული ტექსტის სპეციფიკას წარმოადგენს მისი დასაწყისი და დასასრულიც, რომლებიც კლიშეების სახით მრავალ სლაპარში მეორდებიან, თუმცა შინაარსობრივი კავშირი არც ერთ მათგანს არა აქვს. დასაწყისი ერთგვარი მოსამზადებელი შესავალია, განწყობის შემქმნელი რიტუალია, რომელიც ადამიანს ამზადებს მოსასმენად. თავისთავად დასაწყისი არავითარ უცნობ ინფორმაციას არ შეიცავს და რაღაც დალოცვის ხასიათს ატარებს.

ასევე სრულიად მოწყვეტილია სლაპრის შინაარსს მისი ტრადიციული დასასრული, რომლის ფუნქციაც სრულიად რეალურია და საკმაოდ პროზაული, — თხრობა დამთავრდა, დაძაბულობა მოიხსნა, ახლა საჭიროა მსმენელთა განმუხტვა, გაჩხიარულება, ჩვეულებრივ ხასიათზე დაყენება. და კიდევ

ერთი ყოფითი მომენტი — მეზღაპრის, მთხრობელის გარჯის არდავიწყება, მისი გამასპინძლება და იქნებ დაჯილდოება(კ).

ნათქვამი ისე არ უნდა გაეგოთ, თითქოს დასასრულდასაწყისი ზღაპრის უბრალო დანამატი ყოფილიყოს. არა, ამ თავისებურ წინათქმა-ბოლოთქმას ორი მკაფიოდ გამოხატული ფუნქცია გააჩნდა და სწორედ ამან გადაარჩინა და საუკუნეებში გამოატარა ეს ტრაფარეტად ქცეული და 'ზოგჯერ' უკვე შინაარსობრივად გაბუნდოვნებული ფორმულები. ეს არის:

1. დასაწყისი ფორმულის წარმოთქმა, თანაც თავისი განსაკუთრებული ინტონაციით, მკვეთრად მიჯნავდა ჩვეულებრივ ლაპარაკს იმისაგან, რაც შემდგომ უნდა თქმულიყო. ამით მეზღაპრეს თავისი მსმენელები გადაჰყავდა ახალ სამყაროში, სადაც ყურადღებაც იყო საჭირო, ერთგვარი თავშეკავებაც, მოწიწებაც და ნათქვამის დაჯერების განწყობილებაც. დროებით, მაგრამ ყველაფერი გადადიოდა თითქმის ირეალურ განზომილებებში, სადაც შესაძლებლად წარმოისახებოდა სასწაულიც, ცხოველთა ადამიანურ ენაზე ლაპარაკიც, მთებისა და ზღვების განენა და გაქრობაც, უზარმაზარი სივრცეების თვალის დახამხამებაში გავლაც, ერთგულებაც, ბოროტებაც, სიყვარულიც, სიძულვილიც და სხვა შესაძლებელიც და შეუძლებელიც.

ამგეარად, ზღაპრის დასაწყისი კარი იყო, რომელსაც მეზღაპრე უღებდა მსმენელებს და შეჰყავდა რაღაც თვალისმომჭრელი შუქით განათებულ სამყაროში მოკლე ხნით სამოგზაუროდ.

ზღაპრის დასასრულის დანიშნულება საპირისპირო იყო: მოსმენილით მოჯადოებული ადამიანისათვის ხიბლის მოხსნა, ასე ვთქვათ, უცხო სამყაროდან ყოველდღიურ რეალობაში დაბრუნება, სადაც სულ სხვა ურთიერთობები და შესაძლებლობები არსებობს და მეზღაპრეც ისეთივე ადამიანად იქცევა, როგორც მისი მსმენელები. დასასრულს, მოსმენის შემდეგ კაცი თავის ყოველდღიურ საქმიანობასა და მოვალეობებს უბრუნდებოდა. თუ შეიძლება ასე ვთქვათ, ეს იყო „თეატრიდან შინ დაბრუნება“.

2. ზღაპრის დასაწყისს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია ეკისრებოდა. ეს იყო მოსასმენი ამბის „გასხვისების“

კარგად გააზრებული ხერხი. ცნობილია, რომ ხალხურ ზღაპარში ბატონები, ვაჭრები, კულტის მსახურნი და საერთოდ „ძლიერნი ამა ქვეყნისანი“ ძალიან ხშირად უარყოფითად არიან წარმოდგენილი. ეს იყო უსამართლობითა და ძალადობით გაწამებული ხალხის თავისებური შურისძიება. დაუნდობლეებისა და მატყუარების დასჯა თუნდაც დროებით, სიტყვიერად და ამით გულის მოფხანა და სამართლიანობის გამარჯვების იმედის ჩანერგვა.

ზღაპრებს უსმენდნენ და სათანადო დასკვნებს აკეთებდნენ ისინიც, ვისაც მეზღაპრე აკრიტიკებდა, და, რამდენადაც შეეძლოთ, სდევნიდნენ ასეთ ზღაპარს და მის მთხრობელს. ამიტომ მეზღაპრე სოციალური შინაარსის ზღაპრის მოყოლისას ყოველთვის რაღაც რისკზე მიდიოდა – მისთვის შეიძლება ბოდა დაებრალეზინათ უფროსების, ეკლესიისა და მის მსასურთა უპატივეცემლობა და თვით ღმერთის წინაშე მკრეხელობაც. ასეთი მძიმე ბრალდებისაგან თავის დასღვევის მიზნით მეზღაპრე წინასწარ აფრთხილებდა მსმენელს, რომ ზღაპრად მოსმენილი ამბავი ან მოხდა, ან არა, რომ მასში მოქმედი პირები შეიძლება არსებობდნენ, შეიძლება – არა, და, რაც მთავარია, თუ ასეთი რამ მოხდა და ასეთი ბოროტი ძალები არსებობენ, ეს „აქ“, ჩვენს ირგვლივ კი არა, არამედ სადღაც ცხრა მთის იქით, სადაც მეფეც სხვაა, ბატონიც, ხეცეხიც და, შეიძლება, ღმერთიც კი. ამიტომ მთქმელი ჰყვება გაგონილს და არავეითარ პასუხს არ აგებს ნათქვამის ნამდვილობაზე, რომ იტყვიან, გინდ დაიჯერე, გინდ არაო.

„გასხვისებისა“ და მსმენელთა წინაშე ერთგვარი პირმოთნეობის დამადასტურებელია ზღაპრის დასასრულის ყველაზე გაერცელებული ვარიანტი:

ჭირი იქა, ღზინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.

ამ „იქა“-ს და „აქა“-ს დაპირისპირებაში „აქა“ გასაგებია – სადაც მთხრობელიც და მსმენელიც იმყოფებიან. მაგრამ ვის იმეტებს მეზღაპრე „ჭირისა და ქატოსათვის“, სად არის ეს „იქა“? ეს ის შორეული ქვეყანაა, სადაც მეზღაპრის მტკიცებით, შეიძლება მომხდარიყო მოყოლილი ამბავი. ამ აზრის

უტყუარი დადასტურებაა ქართული ზღაპრის ყველაზე გაერ-
ცვლებული დასაწყისი – „იყო და არა იყო რა, ღვთის
უკეთესი რა იქნებოდა. იყო შაშვი მგალობელი, ღმერთი –
თქვენი მწყალობელი. ღმერთს – ღიღება, თქვენ – მიშვილობა“.

ამ დასაწყისში ღმერთი სამჯერ არის ნახსენები და ცნო-
ბილი რიტუალის მიხედვით, ღმერთის ყოველ ხსენებაზე, ესე
იგი სამჯერ, მსმენელებს პირჯვარი უნდა გადაესახათ. ესეც
მეზღაპრის პოსიციის განმტკიცების ცდაა, თანაც ძალიან
მოხდენილად გაკეთებული.

აქ განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს დასაწყისის
მეორე კომპონენტი – „ღვთის უკეთესი რა იქნებოდა“. ქარ-
თული ზღაპრების გერმანულად მთარგმნელმა ვერა ნოვაკმა¹
სულ გამოტოვა შესაგელის ეს ნაწილი და სამეცნიერო კონ-
ფერენციაზე ასეთი მიდგომა აჩხნა იმით, რომ გერმანელი
მკითხველი „ვერ გაიგებს“, რატომ ბედავს ადამიანი ღმერთის
შეფასებას („ღვთის უკეთესი რა იქნებოდა“).

ეს გამოთქმა მართლა უცნაურად უღერს. რას ნიშნავს
„ღვთის უკეთესი რა იქნებოდა“? რატომ გაუჩნდა მეზღაპრეს
სურვილი, ხაზგასმით აღენიშნა, რომ „ღმერთზე უკეთესი
არაფერია“? ეტყობა, იყო დრო, როდესაც ამის მტკიცება მო-
ეთხოვებოდათ ხალხში ისეთ პოპულარულ პირებს, როგორც
ბიც მეზღაპრეები იყვნენ: ეს ალბათ, მონოთეიზმის იდეის
დამკვიდრების მძიმე პროცესის ანარეალია. გამოთქმულია
მოსაზრება, რომ შესიტყვება „ღვთის უკეთესი“ შედარებით
გვიანდელი, ქრისტიანობის დამკვიდრებასთან დაკავშირებული
მოკლენაა და წარმართულ ხანაში უნდა ყოფილიყო „მისი
უკეთესი“. აქ გარკვეული ლოგიკაცაა: მრავალღმერთიანობის
პირობებში მორწმუნე ადამიანი აღიარებს ერთ-ერთი ღვთაე-
ბის უზენაესობას, ამ შემთხვევაში – მზისას.

წარმართობის დამხოვამ მრავალღმერთიანობის ცნებაც
უარყო და ერთღმერთიანობა ყველასათვის სავალდებულო
გახდა. ასე ჩაენაცვლა ზღაპრის დასაწყისში „ღმერთი“
„მზეს“. მით უმეტეს, რომ ამ ორი სიტყვის ფორმები ნათესაო-
ბით ბრუნვაში „მზის“ – „ღვთის“ პარმონიულად, თხრობის

¹ Der Schlangenknaab. Georgische Volksmärchen, Moskau, 1977.

რიტმისა და მელოდიკის ყოველგვარი დარღვევის გარეშე ენ-
აცვლებიან ერთმანეთს.¹

აქვე ვიტყვი, რომ ეს ვარაუდი ლოგიკურად დამაჯერებე-
ლია და მიმზიდველი ჩანს. მაგრამ მას ერთი მეტად სერიოზ-
ული ნაკლი აქვს — მისი დამტკიცება და მეცნიერულ დე-
ბულებად აღიარება ძნელდება, რადგანაც ჯერჯერობით არ
მოგვეპოვება, არსად არ არის დადასტურებული ე.წ.
„წარმართული“ „მისის უკეთესი“ — არც სუპირ მეტყველებაში,
არც წერილობით დაფიქსირებულ მასალებში.

ხალხური ზღაპრის დასაწყისისა და დასასრულის
კლიშეების გამიკვობისა და ადვილად დამახსოვრების ერთ-
ერთი მიზეზია მათი რიტმულობა, მუსიკალურობა და ზოგ-
ჯერ პოეტურობაც. ეს განსაკუთრებით ითქმის დაბოლოებუ-
ბზე, სადაც რითმიანი ლექსის ფორმით არის გადმოცემული
მთქმელის ხუმრობა, ქილიკი და მხიარული განწყობილების
შექმნის სურვილი. მაგალითად, ყველასათვის ცნობილი:

ჭირი იქა, ღზინი — აქა,
ქატო იქა, ფქვილი — აქა.

ან კიდევ:

ელასა — მელასა,
ჭიქა მეკიდა ყელასა,
მთქმელსა და გამგონებელსა
ღმერთი გეწყალობდეს ყველასა.
(ეარიანტი: „ჯვარი გეეწეროს ყველასა“).

ან კიდევ:

კარგი სიტყვა, კარგი მთქმელი,
კარგი ღვინო, კარგი მსმელი.

ეს ზღაპრის ეროვნული კოლორიტის ერთ-ერთი არსებითი
ნიშანია და თარგმანში მისი დაკარგვა, გაუფერულება იოლად
შეიძლება. ამიტომ ეს თითქოსდა უბრალო ტექსტი ძალიან
ძნელი სათარგმნია. თუ სიტყვა-სიტყვით გადავიღებთ, აბსურ-

¹ იხ. გ. წიბახაშვილი. მსოფლიოს მეზღაპრენი სტუმრად ქართველ ბავშვებ-
თან. აღმანახი „საყმაწვილო ლიტერატურა“, 1974, წიგნი მეთორმეტე.

დაძლე მივდივართ, თუ სხვაენოვან მასალას ჩაეუნაცკლებოთ. ზღაპარი კარგაგს თავის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მახასიათებელს. მთარგმნელის მოვალეობაა მოძებნოს რაღაც შეუადგლერი, რომელშიც ეროვნული კოლორიტიც შეინახება, თხრობის საქილიყო ტონიც და ამავე დროს – აზროვნების აზრობრიობაც. ამით აიხსნება, რომ ქართული ზღაპრების რესულთარგმანებში საანალიზო მასალა სხვადასხვანაირად ითარგმნება – მთარგმნელები ეძებენ უკეთეს ვარიანტს, რა თქმა უნდა, უკეთესს საკუთარი გემოვნებიდან გამომდინარე. (ამაზე ვრცლად და კონკრეტულად – შემდეგ).

ფრიად საინტერესოა თარგმნის პროცესში ზღაპრის მითოლოგიური ასპექტი. ფანტასტიკურ არსებათა სახელწოდებები, ხასიათები, ფუნქციები, სხვადასხვა ხასიათის რეალიები და მათი ვერბალური გამოხატვის საშუალებები. ეს ინტერესი აიხსნება იმით, რომ ყველაფერს უნიკალურს და წმინდა ეროვნულს მეორე ენაზე ვერბალური საშუალებების დაძებნა სჭირდება, რაც ხშირ შემთხვევაში ან ძნელად მისაღწევია, ან სულაც არ ხერხდება ეკვივალენტის არარსებობის გამო.

მოვიყვანო რამოდენიმე მაგალითს.

პერსონაჟთა ფუნქციური სახელები; ესე იგი ისეთი სახელები, რომლებშიც პიროვნების ნომინაციის გარდა, მისი ხასიათის გახსნაც ხდება – ქცევის, საქმიანობის, გარეგნობის, გონებრივი დონის და სხვა ნიშნების მიხედვით. ნაცარქუქია. პერსონაჟი ნაცარში იქექება, რაც უსაქმურობის ტოლფასია. ორხანჯალა – კაცი, რომელიც ორი ხანჯლით არის შეიარაღებული – ვაჟკაცობის მანიფესტელია.

ფუნქციური სახელი, როგორც წესი, უნდა ითარგმნოს, რათა შენარჩუნებულ იქნეს პიროვნების ხასიათის ნიშანი. ასეთ შემთხვევაში მეორე ენაში ეძებენ შესატყვისს და თუ არ არის ასეთი, მთარგმნელი თხზავს სიტყვას, რომელიც ენაში შეიძლება არც არსებობდეს, მაგრამ თავისი სემანტიკური შესაძლებლობით კარგად ეხამებოდეს კონტექსტს. მაგალითად, ივანე ცისკარა – Иванъ-Заря, ორხანჯალა – Двакинжала, ოქროსთმიანი დალი – Златокудрая Дали.

მაგრამ ისეც ხდება, რომ მთარგმნელი ენა ასეთ შესაძლებლობებს არ იძლევა. ასეთი შემთხვევაა „ნაცარქუქიას“ მა-

გალითიც. ნ. დოლიძემ შექმნა სიტყვა *Золодув*, რომელიც რუსულ ენაში არ არსებობს, თუმცა სრულიად გასაგებია. უკეთესის არქონამ ეს სიტყვა დაამკვიდრა, თუმცა იგი აშკარად მცდარია – ზღაპრის პერსონაჟი ნაცარს კი არ უბერავს (*луть в золу*) არამედ ქექავს (*копается в золе*). ნაცრის ბერვა საკმაოდ უსიამოვნო საქმიანობაა და უსაქმურიც არ იკისრებს ასეთ რამეს. ამით უნდა აიხსნას, რომ რუსულ გამოცემებში ზღაპარს ხან „*Нацаркекиа*“ ჰქვია, ხან „*Золодув*.“ არათანმიმდევრობა სოფჯერ კურიოსამდე მდის. კრებულში „*Грузинские народные новеллы*“ („*მსრანი*“, *Тбилиси*, 1974) ზღაპრის სათაურია *Нацаркекиа*, ტექსტში კი ყველგან ნახმარია *Золодув*. ახსნა სქოლიოშია „*Нацаркекиа (груз.) – Золодув*“. ზღაპრის სახელწოდებისა და პერსონაჟის სახელის ასეთი გათიშვა წამგებიანია თარგმანისათვის.

„*წიქარა*“. ესეც პერსონაჟის სახელია, ოღონდაც ამჯერად ხარის – ადამიანის ერთგული მეგობრისა. ასე ჰქვია ზღაპარსაც. ამ სიტყვის ეტიმოლოგია ქართულშიც ბუნდოვანია. ერთნი მას წითელ ფერს უკავშირებენ. მეორენი – ქარზე წინ, უსწრაფესად რბოლას ვარაუდობენ. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში დ. ჩუბინაშვილზე მითითებით ახსნილია სიტყვა „*წიქი*“, რაც „საღამოს ბინდს“ ნიშნავს, თან ახლავს დასუსტება „*ძვ.*“ ესე იგი ცნობილი ლექსიკოგრაფის დროსაც ეს სიტყვა უკვე მოძველებული ყოფილა. ხარის ფერის „საღამოს ბინდთან“ მიმსგავსება ლოგიკურიც არის და პოეტურიც. მაგრამ აუხსნელი რჩება, საიდან და რატომ გაჩნდა სიტყვაში ელემენტი „-არა“. ამავე ლექსიკონში „*წიქარა*“ „წითელი ხარის სახელად“ არის მიჩნეული. ეტყობა, ამ განმარტებამ მოახდინა განსაზღვრული გავლენა მთარგმნელზე, რომელმაც „*წიქარას*“ შესატყვისად შეთხზა რუსული „*Краснух*“. სიტყვა ხელოვნურია, წითელ ფერთან არის დაკავშირებული, მაგრამ არაფერი აქვს საერთო ცნობილ სიტყვასთან *краснуха*.

„*წიქარა*“ კარგი გემოვნებით ნათქვამი და ჩაწერილი ზღაპრია. ამ ვარიანტის მაღალმა ლიტერატურულმა ღირსებამ დიდად შეუწყო ხელი თარგმანის მაღალი დონის მიღწევას.

საერთოდ მხატვრული ნაწარმოების სათაურის თარგმნის პრობლემა არც ახალია და არც საბოლოოდ გადაწყვეტილი. პრობლემა უკავშირდება სათაურის სემანტიკურ და სტილისტიკურ ხასიათს. მაგალითად, ლევ ტოლსტოის „Война и мир“ ქართულად ჯერ ითარგმნა როგორც „ომი და ზავი“. ი. აგლაძის თარგმანს კი ჰქვია „ომი და მშვიდობა“; რომელიც თითქოს ზუსტ თარგმანად არის მიჩნეული. მიუხედავად ამისა, მაინც არის საკითხავი: სიტვა „мир“-ს რუსულში ორი მკვეთრად განსხვავებული მნიშვნელობა აქვს. ამ ორ მნიშვნელობას ძველი რუსული ორთოგრაფიით განასხვავებდა: თუ სიტყვა იწერებოდა ასე „мир“, ნიშნავდა სიმშვიდეს, მტრობისა და ომის არარსებობას; მაგრამ თუ ეს სიტყვა იწერებოდა „мир“, უკვე სამყაროს, ქვეყანას, ცხოვრებას აღნიშნავდა.¹ ეს განსხვავებები ენაში დაფიქსირდა სხვადასხვა გამოთქმაში. 1918 წლის ორთოგრაფიული რეფორმის შედეგად ასო і ამოღებულ იქნა რუსული ანბანიდან და მას ჩაენაცვლა ასო „и“. ლიტერატურულ კრიტიკას ჯერაც ვერ დაუღვენია, რას გულისხმობდა ავტორი რომანის სათაურში, რა უპირისპირდებოდა ომს – მშვიდობა თუ საზოგადოება. აქედან ადვილი გასაგებია, რომ თუ ნაწარმოების სათაური დედანშიც არ არის მთლად გასაგები, თარგმანის სიზუსტეზე ლაპარაკი გაძნელებოდა.

უფრო ძნელი გამოდგა რუსულად თარგმნა ისეთი სათაურებისა, როგორებიცაა „კაცია-ადამიანი?“, „ოთარაანთ ქერივი“ და თვით „ვეფხისტყაოსანი“.

ხალხური ზღაპრის სათაურის, ე.ი. სახელწოდების თარგმნას სხვა სირთულეები ახლავს. ზღაპარს სათაური ეძლევა სხვადასხვა ნიშნების მიხედვით:

1. მთავარი მოქმედი პირის სახელი იქცევა ზღაპრის სახელწოდებად („კომბლე“, „ნაცარქექია“, „ივანე-ციცკარა“, „ოქროსთმიანი დალი“, „წიქარა“ და სხვა მრავალი).
2. ზღაპრის სათაური დგინდება იმის მიხედვით, თუ რაზეა ლაპარაკი თვით ზღაპარში („სიკვდილის ჩამოსვლა დედამი-

¹ Владимир Даль. Толковый словарь живого великорусского языка, т. 2.

წახე“, „დედინა(კვალი და გერი“, „ამბავი ხელმწიფის შეილისა“ და სხვა მრავალი).

3. სათაურში წარმოდგენილია ორი ან სამი მოქმედი პირი, ოღონდაც არა სახელებით, არამედ საქმიანობის, საზოგადოებაში დაკავებული ადგილის მიხედვით („მეყე და ღარიბი გლეხი“, „ვაჭარი და გლეხი“, „ქოსატყეულია და ხარბი“, „მეცხეარე და ცხერის ქურქი“ და ასე შემდეგ).

აქ მოყვანილი მეორე და შესამე ჯგუფის სათაურები სათარგმნელად შედარებით იოლია, რადგანაც ინფორმაციულად მარტივია და ამიტომ ლექსიკური ეკვივალენტის დაძებნა არ ძნელდება.

სამაგიეროდ გაცილებით რთულია იმ სათაურების თარგმნა, რომლებშიც მოქმედი პირები სახელებით არიან წარმოდგენილი. ამგვარი სათაურები შინაარსობრივად ორგვარია: 1. პერსონაჟის სახელი მხოლოდ სახელდებაა, ნომინაციაა პიროვნებისა, 2. პერსონაჟის სახელი უფრო ზედწოდებაა, მეტსახელია და, გარდა ნომინაციისა, აქვს კიდევ ერთი – იქნებ მთავარიც – დანიშნულება – პერსონაჟის ხასიათის გახსნა რაღაც ნიშნის მიხედვით. სწორედ ამ ტიპის სათაურების თარგმანში ჩნდება სირთულეები. თუ ზედწოდებას ვთარგმნი, ესე იგი გავხსნით მის ფუნქციურ მნიშვნელობას, მკითხველს ვაძლევთ საჭირო ინფორმაციას, მაგრამ ერთგვარად ვაუყურებთ კოლორიტს, ხოლო თუ ამგვარ სახელებს ტრანსკრიფციის წესით გადავიტანთ თარგმანში, ისინი კარგავენ დამატებით ფუნქციებს და უბრალო ნომინაციის საშუალებად წარუდგებიან მკითხველს. კართული ზღაპრების რუსულად მთარგმნელებიდან სოგი ერთ ხერხს ირჩევს, სოგი მეორეს. ეს არათანმიმდევრობა ზოგჯერ ერთ კრებულშიც იხენს თავს და ერთი მთარგმნელის ნაღვაწშიც. ნათქვამია, კაცია და გუნებაო, მაგრამ ხომ არსებობს მკაფიო და ყველასათვის მისაღებ-გასაგები აზრი სახელის ორმაგი ფუნქციის შესახებ? მაშ, რატომ დაუყუარგოთ მკითხველს ის ფრიად საჭირო და ადვილად აღსაქმელი ინფორმაცია, რომელსაც ზედწოდება შეიცავს? დასკვნა მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს – ფუნქციურად მნიშვნელოვანი სახელები (ზედმეტი სახელი, ზედწოდება) უნდა ითარგმნოს. სხვა საკითხია, როგორ, მა-

გრამ უნდა ითარგმნოს. ამიტომ მართებულად უნდა წაითვალოს ნ. დოლიძის მიერ ნათარგმნი *Пары Несмеян* (გაუცინარი ხელმწიფე) *Иван-Варя* (ივანე ვისკარა) *Этаким и хуже такого* (ისეთი და ისეთ'სე უარესი), *Оборвашка* (კონკიულარუნა) და სხვა. ამგვარი მიდგომის მართებულობა განსაკუთრებით იგრძნობა, თუ თარგმანი გაშიხნულია ფართო მკითხველისათვის, რომელსაც, გულახდილად რომ ითქვას, ნაკლებად აინტერესებს თეორიული ბატალიები და უპირატესობას ანიჭებს მკაფიო ენით შესრულებულ ინფორმაციულად სრულ თარგმანს.

სოფი ფუნქციური მნიშვნელობის მქონე სახელი საკმაოდ ძნელი სათარგმნია. „ნაკარქექიაზე“ უკვე ითქვა. ასეთივე ხასიათისაა ნოველისტური შინაარსის ზღაპრების პერსონაჟი ქოსა-ტყუილა. ეს სახელი მრავალნაირადაა გადატანილი რუსულად: *Лжец, врун, обманщик, пройдоха*. ამ შემთხვევაში, როგორც ჩანს, მხოლოდ სიტყვის მეორე ნაწილია თარგმნილი (ტყუილა), ხოლო „ქოსა“, ეს მეტად კოლორიტული დაზუსტება, დაკარგულია. ცნობილია, რომ ეს პერსონაჟი ქართულ ზღაპარში აღმოსავლური ფოლკლორიდან არის შემოსული, რისი ერთ-ერთი მანქვენებელია თვით სიტყვა „ქოსას“ არაქართულობა. ქოსას უწოდებენ მამაკაცს, რომელსაც წვერულვაში არ ამოსდის. აღმოსავლური წარმოდგენების მიხედვით, ეს ამბავი მამაკაცთათვის სერიოზული ნაკლი და დაცინვის საბაზი იყო. ხალხურმა ეტიკეტმა მატყუარობა – ეს მკვეთრად უარყოფითი ადამიანური თვისება – ფიზიკურადაც არასრულყოფილ ინდივიდს მიაწერა. ასე გაერთიანდა ერთ ფუნქციურ სახელში პიროვნების ორი უარყოფითი თვისება – ქოსაობა და მატყუარობა, ყალთაბანდობა.

რუსულმა ხალხურმა სიტყვიერებამ ასეთი ტიპი არ იცის და რუსულ ენაში არც „ქოსას“ შესატყვისი სიტყვა არსებობს. ამკარა იყო, რომ ერთსიტყვიანი თარგმანები (*Лжец, врун* და სხვა) არ შეიცავდა საჭირო ინფორმაციას. თარგმნა კი საჭირო იყო, მით უმეტეს, რომ ეს ტიპი გვხვდება აზერბაიჯანულ, უზბეკურ, თურქულ, თურქმენულ და სხვა ხალხურ ზღაპრებშიც. ასე განჩნდა ორსიტყვიანი თარგმანი „*неверодым и обманщик*“, „*плешивый обманщик*“. თარგმანს რაღაც ინფორ-

მა(ცია კი მიემატა (მატყუარა, რომელსაც არა აქვს წვერი ან მელოტი), მაგრამ იგი მაინც არ არის „ქოსა“, განსაკუთრებით „плешивый“, რაც თმის უქონლობას ნიშნავს თავზე და არა პირსახეზე.

ქართული ზღაპრების რუსული თარგმანებიდან ჩანს, რომ მთარგმნელებს ჯერ ვერ მოუძებნიათ „ქოსა-ტყუილას“ ოპტიმალური რუსული შესატყვისი.

ქართული ზღაპრები რუსულად მრავალჯერ გამოცემულა – (ვალ-ვალკე და კრებულის სახითაც. ერთი ეგ არის, რომ თარგმანების განახლება და დახვეწა იშვიათად ხდება – ერთი და იგივე თარგმანები თავისი ხარვეზებით ხან ერთ კრებულში აღმოჩნდებიან, ხან – მეორეში; საჭირო კია, რომ ყოველი ახალი კრებულის გამოცემისას ვილაცამ პასუხისმგებლობის გრძნობით ერთხელ კიდევ გადახედოს თარგმანებს და გაწმინდოს ისინი გაპარული აზრობრივი თუ სტილისტური უზუსტობებისაგან.

რას მოგვითხრობენ მსოფლიოს მღვდაპრეები

(გოგინათი შენიშვნა მსოფლიოს ხალხთა მღვდაპრების ქართული თარგმანების ბამო)

ზღაპარი ბავშვისათვის ყველაზე დიდი და საინტერესო სინამდვილეა. და არა იმიტომ, რომ ბავშვს სჯერა ზღაპარში მოთხრობილი ყველა საოცრება: ჯადოსნური გარდაქმნები, 'სებურებრივი ძალები, ცხოველთა და ფრინველთა მოქმედება და მეტყველება. არა, დღევანდელმა ოთხი-ათი წლის მოზარდმა უკვე ნამდვილად იცის, რომ მელიას ლაპარაკი არ შეუძლია, ცოტა მოგვიანებით კი იმასაც გაიგებს, რომ არავითარი დევი ან კუდიანი დედაბერი ქვეყნად არ არსებობს. ამ მხრივ ჩვენი დროის საბავშვო ბაღის აღსაზრდელს გაცილებით მეტი და სწორი ინფორმაცია აქვს სამყაროს შესახებ, ვიდრე პირველყოფილი ადამიანების ყველაზე ბრძენ უხუცესებს.

მაშ რით იხილავს ზღაპარი ადამიანს? მოზრდილთათვის ეს არის, დიდი საბაბს განმარტება რომ ყიხმაროთ, სიბრძნე სიჯრუისა.

პატარუბისათვის? რა მოსწონს ბავშვს ზღაპარში? რატომ არის, რომ ასე გატაცებით, ასეთი შეუწყნებელი ინტერესითა და გულისყურით უსმენს და კითხულობს ზღაპარს, თუნდაც მრავალჯერ წაკითხულსა და მოსმენილს?

აღბათ, იმიტომ, რომ ზღაპრის ყველაზე დიდი სიბრძნე სიკეთის უძლეველობის რწმენაა. ბავშვი კი თავისი ბუნებით კეთილია და ამიტომ სიკეთისა და სამართლიანობის უდიდესი ქომაგია. მას ჭკუშიმარიტ კმაყოფილებას ანიჭებს კეთილის გამარჯვება ბოროტზე. ეს მარტო ცისკარას გამარჯვება კი არ არის — ეს მისი საკუთრი გამარჯვებაცაა.

შემდეგ, ბავშვის აზროვნებას არ უყვარს ჩახლართული სვლები და წინააღმდეგობები. ზღაპარში ავი და კარგი, მოსაწონი და დასაწუნი კარგად ჩანს, თითქმის დასაწყისშივე გარკვეულია მკითხველის სიმკათისა და ანტიკათის მისამართები. ადვილი გასაგებია მოქმედების მოტივებიც: მეგობს შია, ყურცკვიტას ეშინია ან სცივა და ასე შემდეგ. ზღაპრის პერსონაჟები ბავშვის აზრთა და გრძნობათა ხორცშესხმული განსახიერებაა, მისი წყენისა და სიამოვნების, გახარებისა და გაბრაზების უშუალო გამოვლინებაა. დავეუმატოთ ისიც, რომ ხალხური ზღაპარი გამოირჩევა სიუჟეტის დახვეწილობითა და მოქნილობით, ძარღვიანი, ცოცხალი ენით, გრძნობათა სიფაქიზით და გაუხუნარი მხატვრული ღირსებებით, ხალასი თქმორით და ადვილად გავიგებთ, რაშია ზღაპრის მიმსიდველობის ძალა.

ზღაპრის როლი მრავალნაირია. იგი აძლევს განსაზღვრულ ინფორმაციას, ცოდნას და უვითარებს ესთეტიკურ ჩვევებს. მაგრამ მისი მთავარი დანიშნულება ადამიანზე მორალური ზემოქმედებაა, ადამიანის შეხედულებათა ჩამოყალიბებაა. ეს კი დიდი სოციალური და საზოგადოებრივი ფუნქციაა. აი, რატომ არის, რომ ზღაპარს სიამოვნებით ისმენდნენ მრავალი ათასი წლის წინ, ტექნიკისა და მეცნიერების გამოჩენამდე დიდ ხნით ადრე, ესმენენ და კითხულობენ აქამადაც — ელექტრონიკის, ატომისა და კოსმონავტიკის ეპოქაში.

ზღაპარი ახალგაზრდობის მორალური და ესთეტიკური აღზრდის მძლავრი საშუალებაა. ამიტომ არის, რომ ცნობილ გენიოსთა ნაშრომების გვერდით ითარგმნებოდა და ითარგმნება უსახელო გენიოსების — ხალხური მოქმედების მიერ შექმნილი და შემონახული ზღაპრები. ეს თარგმანები გვიცნობენ არა მარტო ზღაპრის შემქმნელი ხალხის ცხოვრებას, სულისკვეთებას, მისწრაფებებს. თარგმანი ამდიდრებს ჩვენს ლიტერატურას, ჩვენს ხელოვნებას, ხელს უწყობს ლიტერატურული ენის დახვეწას.

მსოფლიოს ხალხთა ყოლკლორის ათასამდე საუკეთესო ნიმუში ამეტყველდა ქართულ ენაზე და საპატიო ადგილი დაიკავა „წიქარასა“ და „ნაცარქექიას“, „ფასკუნჯისა“ და „ცხრა ძმის“ გვერდით. ამიერიდან ეს ზღაპრები ჩვენი, ქართული კულტურის განუყოფელი ნაწილია. ზანგი ან იაპონელი პატარა ობოლი მოჯამაგირის გულისტკივილი ჩვენი გულისტკივილია, ხოლო მისი გამარჯვება თავის მტარვალ ბატონზე ჩვენი შეიღების გამარჯვებაა უსამართლობასა და სისასტიკეზე აღარაფერს ვამბობთ იმ უზარმაზარ და ნაირფეროვან ინფორმაციაზე, რომელსაც მკითხველები ზღაპრებიდან იღებენ. ზღაპარი ხომ მართლაც ჯადოსნური სარკეა, რომელშიც მოსიანს უკიდევანო მსოფლიო მთელი თავისი წარსულით, აწმყოთი და მომავალზე ოცნებებით, ამოცნობილი და ამოუცნიობი საოცრებებით, მომხიბლავი სილამაზითა და ამაზრზენი სიმახინჯით. ზღაპრის კითხვა დაუეიწყარი მოგზაურობაა უცხო მხარეებში, სტუმრობაა უცხო ხალხებთან და ჩვენთვის, მოზრდილთათვის, სულერთი არ არის, საით გაემგზავრა ჩვენი შვილი, ვის ესტუმრა, რა ნახა იქ და რა წამოიღო უკან დაბრუნებისას (ხომ ვიცით, სამწუხაროდ, რომ თანამედროვე მოგზაურობიდან სშირად ბრუნდებიან არა იმ ბაგაჟით, რომელიც ჩვენს საზოგადოებას ეგზომ სჭირდება).

ზღაპარი მოზარდი მკითხველისათვის არის ნაგულისხმევი და, უპირველეს ყოვლისა, უნდა პასუხობდეს იმ მოთხოვნისებებსა და ამოცანებს, რაც მოზარდი თაობის აღზრდა-განათლებასთან არის დაკავშირებული. აქ რამდენიმე საკითხი იწინის თავს, მათ შორის უმთავრესად მიგვაჩნია:

1. როგორ არის შერსკეული თარგმნილი ზღაპრები? შეესაბამება თუ არა შემოთავაზებული ზღაპრების შინაარსი, განწყობილება და საერთო ხელისკეობა მკითხველის ასაკს?

2. როგორია თარგმანის დონე, ჩანს თუ არა მასში დედნისეული სახეები. ენობრივი თავისებურებანი, თხრობის ტონი, კოლორიტი და ზღაპრისათვის დამახასიათებელი ნიშნები (დასაწყისი, დასასრული, გამეორებები და სხვა)?

3. როგორი ქართულით არის თარგმნილი ზღაპარი? უნერგავს თუ არა თარგმანის ენა მკითხველს მაღალ ენობრივ კულტურას. მშობლიური ენისადმი სიყვარულსა და პატივისცემას? და ბოლოს: ემსახურება თუ არა თარგმანის ენა ქართული ენის ლექსიკური, ფრაზეოლოგიური, სინტაქსური და სტილისტურ-ინტონაციური სიმდიდრისა და შესაძლებლობების გამოვლინება-განვითარებას?

სათარგმნი ზღაპრის შერჩევისას გასათვალისწინებელია არა მარტო მისი დიდაქტიკური ღირებულება, არამედ თხრობის ფაქტობრივი მასალაც, ე.ი. კონკრეტული შინაარსი, მოყოლილი ამბავი და მისი დეტალები.

უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ კრებულები არ სცოდავენ: ზღაპრები მართლაც საბავშვოა როგორც შინაარსით, ისე თხრობით, როგორც ეტყობა, სარედაქციო კოლეგიისა და მთარგმნელების მუშაობას ამ მიმართულებით ხელი შეუწყო იმანაც, რომ მათ ხელთ ჰქონდათ ადრე რუსულ ენაზე გამოცემული კრებულები. ბევრი ზღაპარი ცნობილია და გასინჯული ადრე გამოსული კრებულებით ან ჟურნალ-გაზეთებიდან. ისე რომ, შერჩევის მხრივ თითქოს საპრეტენზიო არაფერია. მხოლოდ ერთი რამის გათვალისწინება ხომ არ იყო საჭირო: ბევრი ზღაპარი გასაოცრად ემთხვევა ერთმანეთს სიუჟეტით, შინაარსითა და დიდაქტიკური მნიშვნელობით. ღირდა კი ასეთი „ტყუპების“ გამეორება თუნდაც იმის გათვალისწინებით, რომ ერთი ზღაპარი, ვთქვათ, იაპონურია, მეორე – სლოვაკური, მესამე კი – გერმანული?

თარგმანის დონე. რამდენიმე საკითხი იქცევა აქ ყურადღებას, მათგან მთავარი დედნისა და თარგმანის იდენტურობაა. იდეალურ თარგმანს წარმოვიდგენთ როგორც ერთ ენაზე შექმნილი ტექსტის მეორე ენაზე ამეტყველებას დედნის

ყველა ნიშნის – შინაარსის, სიუჟეტის, სახეების, სტილის, კოლორიტის, ენობრივი თავისებურებების, თხრობის ტონის შენარჩუნებით. მაგრამ ეს წარმოდგენა მხოლოდ იდეალურია. პრაქტიკულად ასეთი თარგმანი მიუღწეველია. თარგმანის პროცესში ყოველთვის რაღაცას კარგავს დედანი, რაღაცა აკლდება, როგორღაც სხვანაირდება, იცვლება. ასეთი „ხარჯი“ ნაწილობრივ გარდაუვალია და გამოწვეულია დედნისა და თარგმანის ენების განსხვავებით. მაგრამ არის სუბიექტური „ხარჯებიც“, ანუ ისეთი ხარვეზები, რომლებიც მთლიანად მთარგმნელის ცოდნასა, ნიჭსა და ოსტატობასეა დამოკიდებული. განსხვავება პროპორციულად იზრდება, თუ თარგმანი შესრულებულია თარგმანიდან, ვთქვათ, იაპონური ზღაპრების ქართული თარგმანი შესრულებულია რუსულიდან. თარგმნა რთული და წინააღმდეგობრივი შემოქმედებითი მუშაობაა და რუსმა მთარგმნელმა იგი შეასრულა ისე, როგორც მას შეეძლო და ესმოდა. ქართულ თარგმანს პირველწყაროდან ფაქტიურად მოაქვს მხოლოდ მისი ზოგადი ნიშნები: შინაარსი, სიუჟეტი, საკუთარი სახელები და კიდევ ზოგი რამ ლექსიკიდან. შეიძლება ეს ელემენტებიც არ იყოს წამოღებული მთლად ზუსტად (არ არის გამორიცხული შემოკლება, გადაკეთება, სახელების შეგნებული ან უნებლიე გადასხვაფერება, რაც პირველ თარგმანში მოხდა). ენობრივი მასალა კი სრულიად სხვა არის – რუსულია. ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც მხატვრული სახეების თავისებურება და სიახლე ორგანულად არის დაკავშირებული ენასთან, მის გამომხატველობით შესაძლებლობებთან. ყველაფერი ამის გამო თარგმანის ანალიზისას ფაქტიურად უაზრობაა ვილაპარაკოთ მეორე თარგმანისა და პირველწყაროს ურთიერთმიმართებაზე. ასეთი მიმართება სინამდვილეში არ არსებობს. მხოლოდ შინაარსისა და კიდევ ზოგიერთი ელემენტის (სახელები, ყოფის რეალიები, ისტორიული ცნობები და სხვ.) ზეგავლენით ჩვენ გვექმნება ილუზიები, თითქოს ვკითხულობთ იაპონურ, ან ინდურ, ან ავსტრალიურ – სულერთია – ზღაპრებს. ნათქვამი ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს თარგმანის თარგმანს არავითარი ღირებულება არა აქვს. არა. ღირებულება აქვს, მაგრამ გაცილებით ნაკლები, ვიდრე უშუ-

აღსად პირველწყაროდან შესრულებულ თარგმანს. ასეთ შემთხვევაში პირველი თარგმანი გამოდის უანგარო თარგმნის როლში და მადლობის მეტი რა გვეთქმის მის მიმართ.

ზღაპრის ტექსტს აქვს კიდევ ერთი თავისებურება. იგი, იშვიათის გამოკლებით (მაგალითად, გრიმების ზღაპრები), არ არის კანონიკური, ე.ი. ერთვარიანტოვანი: თვით დედნის ენაზე შეიძლება ზღაპარს რამდენიმე ვარიანტი ჰქონდეს (სხვადასხვა ჩაწერა, დამუშავება და სხვა). მაგრამ მთარგმნელი თარგმნის ერთ რომელიმე ვარიანტს და ამდენად შესაძლებელი ხდება თარგმანის სიზუსტე-უსუსტობაზე მსჯელობა. ასეთი მსჯელობა კანონზომიერად უნდა ჩაითვალოს მაშინაც, როდესაც ვაფასებთ თარგმანის თარგმანს. ამ შემთხვევაში შედარება ხდება პირველ თარგმანთან იმ ცნობების გამოყენებით, რაც გაგვანია პირველწყაროს შესახებ.

თარგმანის აეკარგიანობაზე, მის დედანთან სიახლოვეზე რომ ვლაპარაკობთ, უნდა გავითვალისწინოთ მისი შესრულების მიზანდასახულობაც. მოზარდთათვის გამიზნული თარგმანი ბევრ დათმობაზე მიდის მკითხველის წინაშე: თხრობა არ უნდა იყოს დამძიმებული დედნის ენიდან უთარგმნელად გადმოტანილი დექსიკითა და სინტაქსური კონსტრუქციებით. ფრაზეოლოგიური გამოთქმების გადმოტანა უნდა ხდებოდეს მხოლოდ სათარგმნი ენისათვის მისაღებ ფორმებში.

თუ გადავხედავთ ამ დიდ შრომას, საერთო შთაბეჭდილება კარგია. თარგმანები შესრულებულია გამართული და მსუბუქი ქართულით, რომლის გაგებაც მკითხველს არ უჭირს. მაინცდამაინც არ იგრძნობა სტილის სიჭრელე. თუმცა ბევრი კრებული რამდენიმე კაცის ხელითაა შესრულებული. მაგრამ არასასურველია, როდესაც მეტისმეტად ერთნაირია ენისა და თხრობის მიხედვით სხვადასხვა ხალხისა და სხვადასხვა ჟანრის ზღაპრები. პირველ რიგში შეიმჩნევა ხატოვნებისა და იუმორის ნაკლებობა. აშკარად იგრძნობა კიდევ ერთი გარემოება: გაცილებით უკეთესადაა შენარჩუნებული ენობრივ-სტილისტური თავისებურებანი იმ ზღაპრებში, რომელთა მთარგმნელებსაც ხელი მიუწვდებოდათ პირველწყაროზე. სანიმუშოდ შეგვიძლია დავასახელოთ სპარსული ზღაპრები

(მთარგმნელები ჯ. გიუნაშვილი, ნ. ბექაური, კ. ტაბატაძე, ი. კალაძე), ძმები გრიშების გერმანული ზღაპრები (მთარგმნელები: ნ. ლორთქიფანიძე, ნ. კალანდარიშვილი, მ. გომართელი, ჯ. ქარსხაძე და დ. წერეთლიანი). აფხაზური ზღაპრები (მთარგმნელები ს. ზუხბა, ა. წერეთელი, რ. ჯანაშია, ნ. ოქროპირიძე) და სხვები. აქ იგულისხმება არა მარტო დედნის ენის გაგება, არამედ იმ ხალხის ისტორიისა, კულტურისა და სულიერი სამყაროს რიგიანი ცოდნა, ვინც ზღაპრები შექმნა.

ყველა კრებულისა და ყველა თარგმანის ანალიზი შეუძლებელია. ამიტომ შევეხებით სოციალურ ფაქტს, რომლებსაც, სენი აზრით, პრინციპული მნიშვნელობა აქვთ.

გერმანული (გრიშების) ზღაპარი „ჰენსელი და გრეტელი“ (მთარგმნელი ნ. კალანდარიშვილი) გავრცელებულ თემაზეა შექმნილი. უნებისყოფო მამა – ბოროტი დედინაცვალი – დანაგრული გერები. ამ ზღაპრის სიუჟეტი საკმაოდ ერთგვარია ყველა ხალხთან: ბოროტი დედინაცვალი ვერაგულ ხრიკებს იგონებს გერების თავიდან მოსაშორებლად და ბავშვების უნებისყოფო მამასაც იყოლიებს ამ არაადამიანური გეგმების განხორციელებისათვის. მერე იწყება უთანასწორო ორთაბრძოლა ავ დედაკაცსა და უმწეო ბავშვებს შორის. ამ ბრძოლაში ყველაფერი კეთილი (ბუნების ძალები, მხეცები, ფრინველები, მცენარეები) ბავშვებს ეხმარება. ბოროტი ძალები კი დედინაცვლის მხარეზეა. (კუდიანები, ტყიურები, ქაჯები, ეშმაკები და სსვა). ბოლოს, ცხადია, სიკეთე იმარჯვებს – ბავშვები უვნებლად გამოდიან ამ განსაცდელიდან და უერთდებიან თავიანთ უნებისყოფო ან მოტყუებულ, მაგრამ მოსიყვარულე მამას.

საშავიეროდ ფაბულაა სხვადასხვა. ყოველი ხალხი ამბავს აკებს და აცოცხლებს თავისებურად, საკუთარი წარმოდგენებისა და ცხოვრებისეული გამოცდილების. საფუძველზე. სხვადასხვაა ყოფის დეტალები, ხრიკები და მათგან თავის დაღწევის ხერხები. მაგრამ საერთოა ერთი რამ – მოვლენათა შინაგანი მთლიანობა. და თანმიმდევრობა. ბოროტისა და კეთილის ბრძოლაში ერთმანეთს უპირისპირდება გონებათა მთლიანობა, მოსაზრება და მოხერხება. ეს არის თავისებური დეტალები, ძველისძველი ხალხური დეტალები, რომლებშიც

ყოველ დეტალს თავისი ადგილი აქვს, ყოველი წვრილმანი მნიშვნელოვანია და მათი გამოტოვება, გადაადგილება, შეცვლა არღვევს მოვლენების განვითარების შინაგან კავშირსა და თანმიმდევრობას, ნაწარმოებს უკარგავს იმ აუცილებელ ელემენტს, ურომლისოდაც იკარგება ყოველი მომდევნო მოქმედების აზრი და დინამიკის უწყვეტობა. პენსელი და გრეტელი დედინაცვაელსა და მამას მიჰყავთ უღრან ტყეში, საიდანაც ისინი უელარ გამოიგნებენ გზას. ბავშვებმა ეს ჯერ კიდევ წინა ღამეს შეიტყვეს (არ ეძინათ და უფროსების ღაპარაკი მოისმინეს) და პენსელმა ასეთ სერხს მიმართა: მან ჯობით თან წაიღო სპეციალურად მოგროვებული ბრტყვიანა კენჭები, რომლებიც მთვარის შუქზე ღაპლაპებდნენ. დედანშიც და რუსულ თარგმანშიც ნათქვამია, რომ ტყეში მიმავალი პენსელი უფროსებისათვის შეუმჩნეველად ყრიდა ამ კენჭებს გზაზე და შემდეგ ღამით, მთვარის შუქზე, ბავშვებმა სწორედ მათი მეშვეობით მოძებნეს უკან დასაბრუნებელი გზა. აქ სამი მოქმედებაა კენჭებთან დაკავშირებული: მათი შეგროვება და ჯობით წაღება, ტყის გზაზე მათი მოფანტვა და მათი დახმარებით შინ დაბრუნება.

ქართულ თარგმანში გამოტოვებულია მეორე მოქმედება – ტყეში მიმავალ გზაზე კენჭების დაყრა. ამან აზრი დაუკარგა: 1. ბიჭის მიერ კენჭებით ჯობეების გასვებასა და თან წაღებას; 2. მის სიტყვებს დის მიმართ: „ახლა დამწყდებით იძინო“; 3. მთარგმნელის მტკიცებას, მთვარის ამოსვლის შემდეგ ბავშვები „კენჭებს გაჰყენენ“.

გზაზე კენჭების დაყრის ამბავი მექანიკურად კი არ არის ამოგდებული, არამედ თარგმნილია სრულიად გაუგებრად და მოქმედების განვითარებისათვის გაუმართლებლად: „პენსელი მართლა კატას კი არ გასცქეროდა, მისკენ აღაპლაპებულ კენჭებს დაჰყურებდა“. აქ არაფერ შუაშია „მისე“ და „დაჰყურებდა“. უკან მობრუნების დროს პენსელი კენჭებს უყურებდა გზაზე. ეს უნდა თქმულიყო თარგმანში. ეს სჭირდება მოქმედების განვითარებას.

სლაპრის ბოლოში ერთი დეტალია, რომელიც გრეტელის დახასიათებას ემსახურება. ბავშვები იხვია უნდა გადაიყვანოს მდინარის მეორე ნაპირზე. ძმა შეაჯდა იხვს სურგისე და

დასაც იგივე შესთავაზა, მაგრამ გრეტიელმა უპასუხა: არა, იხვი ცოდლია, ორივე ერთად რომ შევასხდეთ, ჯერ შენ გადაგიყვანოს, მერე მეო. თარგმანში რატომღაც ეს დეტალი დაკარგულია და შვიდი სტრიქონი მოქცეულია ერთში: „იხვი მოცურდა. შეასხდნენ პენსელი და გრეტიელი ზურგზე და მშვიდობიანად გავიდნენ გაღმა“ (56), „კულად თერძში“ (თარგმ. ჯ. ქარსხაძისა და დ. წერუდიანისა) მეფის სასახლის მსახურები წააწყდნენ მძინარე თერძს, წაიკითხეს მის ქამარზე გამოყვანილი წარწერა: „ერთი დარტყმით მოვკალ შვიდი“. გაუკვირდათ და წამოიძახეს: რა უნდა ამ მძლევთამძლე მეომარს ჩვენს მშვიდობიან ქვეყანაშიო. ასეა დედანში და რუსულ თარგმანში. ქართულში კი გკითხულობთ: „ასეთი ვაჟკაცი ამ მშვიდობიან დროს ნეტა რამ მოიყვანაო“. ცვლილება თითქოს ოღნავია, ძლივს შესამჩნევია, სინამდვილეში კი განსხვავება საგრძნობია: ერთ შემთხვევაში: მშვიდობიან ქვეყანაში რა უნდა უცხო მეომარსაო, მეორეში კი – მშვიდობიან დროს რატომ მოვიდაო. სლოვაკურ ზღაპრებში არის ასეთი: „ნაცარქექიას ბინა კერია არისო“ (თარგმ. ლ. ერისთავისა). თარგმანი საერთოდ კარგია, მაგრამ სათაურის კონსტრუქცია იწვევს შენიშვნას. დედანში და რუსულ თარგმანში სათაურად გამოყენებულია მთავარი მოქმედი პირის მეტსახელი. ეს მეტსახელი კარგად არის გადმოქართულებული („ნაცარქექია“). ოღონდაც ქართულად ზღაპრის სათაური აღწერითია, ხოლო პერსონაჟს ტექსტში მთარგმნელი ყველგან „უქნარას“ უწოდებ. დასანანია, რომ კარგად მიგნებული „ნაცარქექია“ მხოლოდ სათაურში დარჩა.

„წინასწარმეტყველში“ (სლოვაკური ზღაპრები) ცოლი ბაზარში წასულ ქმარს აბარებს: купи мне юбку – хоть какую нуньду укую, ე.ი. ცოლი ეხვეწება: „ერთი ვიწრო კაბა მაინც მიყიდეო“ (ვიწრო კაბას განიერზე ნაკლები ქსოვილი სჭირდებოდა, ამიტომ იაფიც ღირდა) ქართულად კი ასეა: „რაიმე მიყიდე, თუ გინდა, ბანტით იყოსო“ აქ, ცხადია, თხოვნის აზრი და მოტივი შეცვლილია. მართალია, მთარგმნელს „ბანტი“ დასჭირდა, რათა აეგო სიტყვის თამაში „ბატთან“, მაგრამ ხუმრობას გაიოცვალა საფუძველი.

ესტონური ზღაპრის „აღის ქმრის“ (მთარგმნელი ს. ქეთუ-
ლაური) ქართულ თარგმანში მოღაღ დაკარგულია მოქმედუ-
ბის მოტივაცია. სრულიად გაუგებარია, რატომ აუკრძალა
აღმა თავის ქმარს ცოლისთვის თვალყურის დევნება ან რა-
ტომ გახდა ჭაბუკისთვის საბედისწერო ხუთშაბათს ცოლის
ოთახში შეჭერეკტა, სადაც მისი ცოლი მოახლეუბის დახმარე-
ბით ტანს იბანდა? მოტივაცია დაიკარგა იმის გამო, რომ
თარგმანში გამოტოვებულია შემდეგი დეტალი: აღი ჭაბუკთან
ქალის სახით ცხოვრობდა, საიდუმლო ოთახში ტანის დაბან-
ვისას კი ის აღი იყო და ქმარს არ უნდა ენახა ამ სახით,
ასეთი იყო პირობა, რომელიც ვაჟმა დაარღვია და რომელმაც
იმსხვერპლა ჭაბუკის უსრუენეელი ცხოვრება. დაკარგულია
სხვა დეტალიც: განცხრომით ცხოვრებაში და უღამა'სესი
ქალის აღერსში ჭაბუკმა დაკარგა დროის გრძობა, იგი არ
ბერდებოდა. და მხოლოდ მარცხის შემდეგ თავის სოფელში
დაბრუნებულმა გაიგო, რომ სახლიდან წასვლის შემდეგ
სამასმა წელმა განელო. ამისი გაგება და მისი სიკვდილი
ერთი იყო. ეს ზღაპარი თავისი ფილოსოფიური არსით ძლიერ
წააგავს ქართულ ზღაპარს „მიწა თავისას მოითხოვს“, რომ-
ლის რუსულ თარგმანშიც კარგად არის შენახული მისი
დედააზრი: ბუნების, სიცოცხლის კანონებს ვერსად გაექცევა
კაცი და თუ ეცდება, მისი აღსასრული უფრო მძიმე იქნება,
რადგანაც იგი მარტო არსებობის დასასრულად კი არა, სას-
ჯელადაც მოველინება.

ზღაპართა სიუჟეტებისა და ხასიათების დიდი მრავალ-
ფეროვნების მიუხედავად, ყველა ხალხს გამომეშავებული
აქვს რამდენიმე შტამპი, რითაც იწყება ან მთავრდება ზღა-
პარი. მიგვაჩნია, რომ თარგმნისას ზღაპრის დასაწყისი და
დასასრული კი არ უნდა შეიცვალოს ან დაიკარგოს, არამედ
უნდა ითარგმნოს, ითარგმნოს ისეთი მხატვრული ძალით, რომ
უცხო მკითხველმაც გაიგოს დასაწყის-დასასრულის ორ-
განული მთლიანობა და მეზღაპრის ფილოსოფიური მრწამსი,
მისი დამოკიდებულება საკუთარი თხრობისადმი, ცხოვრების-
ადმი. ზღაპრის დასაწყის-დასასრული ლიტერატურული
ხერხია, რომელშიც მის მხატვრულ ფუნქციასთან ერთად
კარგად ჩანს მეზღაპრის სიფრთხილე: ცხოვრების მანკიერი

მხარეების კრიტიკისათვის შეიძლება მას პასუხი მოსთხოვონ ძლიერთა ანა ქვეყნისა. ამიტომ მოთხრობილი ამბავი: „იყო და არა იყო რა...“, „ერთ სახელმწიფოში“ და სხვა – ამბის „გასახეების“ ეს ლიტერატურული ხერხი მეზღაპრისათვის თავდაცვის, საშუალებაც იყო. ზღაპრის დასასრული. კი თითქმის ყოველთვის სახალისოა, იუმორისტული და დამლოცავი. მისი ფუნქციაა მსმენელის გამოყვანა ზღაპრული სამყაროდან და ვნებათაღელვის დაცხრომა, დამშვიდება, გაქარწყლება, ხუმრობაში გატარება. „მსოფლიოს ხალხთა ზღაპრებში“ ზოგან შემონახულია ზღაპრისთვის დამახასიათებელი დასაწყის-დასასრული. იაპონური ზღაპრებიდან: „ამ ზღაპრის მოქმელს კი საჩუქრად ტკბილი მარწყვის კუნწულა ერგო“; „აი, რა მოხდა დიდი ხნის წინათ“. „ეს ამბავი ათასი წლის წინათ მოხდა ცხრა პროვინციის მხარეში“. სლოვაკური ზღაპრებიდან: „აღბათ ახლაც ცოცხლები არიან, თუკი ჯერ არ დახოცილან“. სპარსული ზღაპრებიდან: „ჩვენმა ზღაპარმა დასასრულს მიაღწია. ყუაჰმა კი ბუღეს ვერ მიაღწია“. „მადლა აკელი – ფქვილი იყო, ჩამოვედი – ცომი იყო, ჩვენი ზღაპარიც ეს იყო“. „ეს ზღაპარი სხვამ ჩვენს ნაცნობს უთხრა, მან კი ჩვენ მოგვითხრო. ჩვენ თქვენთვის ქალაღლზე გადაეწერეთ, რომ წაიკითხოთ და მერე სხვებსაც უამბოთ“. „როგორც ჩვენი ზღაპრის გმირებს აუსრულდათ სურვილები, ისე შენ აგისრულდეს საწადელი, ჩემო მსმენელო“. და სხვა მრავალი, საერთოდ, ამ მხრივ სპარსული ზღაპრები ყველაზე ფაქიზად და კარგად არის ნათარგმნი.

აღბათ არ არის საჭირო იმისი მტკიცება, რომ ამგვარ სიტყვიერ ფორმულებს დიდი მხატვრულ-ესთეტიკური და შემეცნებითი ღირებულება აქვს. ასევეა რუსულ, ლიტერურ, ბრაზილიურ, ესტონურ და სხვა მრავალ ზღაპარში.

მაგრამ, როგორც ჩანს, ქართული „იყო და არა იყო რა“ ნამეტანი მაცდუნებელია. ამ დასაწყისს იყენებენ ხშირად სრულიად სხვადასხვა ხალხისა და ხასიათის ზღაპრის თარგმნისას. მიგვაჩნია სრულიად დაუშვებლად, როდესაც გერმანული ზღაპრის ქართული თარგმანი მთავრდება წმინდა წელის ქართული „ზღაპარიყო, ზღაპარიყო...“-თი, ხოლო

იტალიური - ქართული „ჭირი იქა, ღხინი აქა, ქატო იქა, ფკვილი აქა“-თი.

ჩვენ გვესმის ის დიდი სიმწველები, რომელთა გადაღახვაც უხდებათ მთარგმნელებს ფრა'სეოლოგიურ ერთეულებად ქცეული დასაწყის-დასახრულების სხვა ენა'სე გადატანისას. მაგრამ ეს საჭიროა და უნდა კეთდებოდეს. ქართული ზღაპრის ატრიბუტების მიწებება უცხო ზღაპრისათვის აღვილია, მაგრამ არასასურველია როგორც მკითხველისათვის, ისე ზღაპრისათვის.

ზღაპრების თარგმნისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია პერსონაჟთა სახელების გადმოცემა. ეს საერთოდ მეტად რთული და წინააღმდეგობრივი საქმეა. რამდენი წერ-ილი და გამოკვლევა დაწერილა, რამდენი დისკუსია ჩატარებულა, რამდენი არგუმენტი და კონტრარგუმენტი მოგვისძენია პერსონაჟთა და გეოგრაფიულ სახელთა სხვა ენა'სე გადატანის თაობა'სე და მინც რამდენი რამ არის სადავო და გაურკვეველი. საკითხის გადაწყვეტას ხშირად ხელს უშლის სუბიექტივიზმი და სახელთა ფუნქციებისა და სტილის უგულებელყოფა.

მნიშვნელობის მიხედვით სახელები ორ დიდ ჯგუფად იყოფა. არის სახელები, რომელთა დანიშნულებაც მინიმალურია - პერსონაჟს მხოლოდ განასხვავებს სხვებისაგან და მეტს არაფერს არ გვამცნობს მის შესახებ. ასეთებია ჩვეულებრივი სახელები: ივანე, პეტრე, მარიამი და სხვა.

მაგრამ მხატვრულ ნაწარმოებში, კერძოდ, ზღაპარში, ხშირად გვხვდება ე.წ. ფუნქციური მნიშვნელობის სახელები. ასეთი სახელები არა მარტო განასხვავებენ ერთ პერსონაჟს მეორისაგან, არაჲედ შეიცავენ მის დახასიათებას. ეს მეტად მნიშვნელოვანი ელემენტია. მაგალითად, წიქარა მხოლოდ სახელია, ნაცარქექია კი სახელიცაა და დახასიათებაც. ასეთი ფუნქციური სახელები ყველა ხალხის ზღაპრებში გვხვდება. მათი უმეტესობა შექმნილია საზოგადო ლექსიკის მასალა'სე, ანდა ჩვეულებრივი სახელების ემოციური სუფიქსებით გამდიდრების გზით. მაგალითად, პეტრე, პეტრიკა, პეტრიკელა; ბლეკუნა, სლეკუნა, ვიცია, არვიცია, ქონდრისკაცი, ბაჟბაჟდევი და მისთანანი. ამგვარ სახელებს ზღაპრებში შეიძლება

(ცხოველები და ფრინველები ატარებდნენ: მეღია-კუდიგრძელა. ია. კურდღელი-ყურებ(კან(კარა, ნიშა ხარი, ლურჯა ცხენი.

ფუნქციური სახელების თარგმნა მეტად რთული და ფაქიზი საქმეა. ეს თარგმნა კი არა, გადმოქართულებაა, რადგანაც ქართულად უნდა შეიქმნას მისი შესატყვისი ასეთივე მნიშვნელობის მქონე სახელი.

სახელების ფუნქციური ღირებულება ზღაპრებში მაქსიმალურია, ე.ი. მხოლოდ ამ სახელით ვეცნობით მოქმედ პირს და ამავე სახელის მეშვეობით ვიგებთ მის ხასიათს, საქმიანობას, ჩვევებს და სხვა თვისებებს.

როგორ არის თარგმნილი სახელები მსოფლიოს ხალხთა ზღაპრებში? საერთო პრინციპი არ არსებობს. სხვადასხვა კრებულში სხვადასხვანაირადაა გადაწვეტილი ეს საკითხი: ზოგან აშკარა გადმოქართულების ტენდენცია იგრძნობა, ზოგან სახელების ტრანსლიტერაცია ხდება მხოლოდ. გადმოქართულებას უმეტესად ვხვდებით იმ შემთხვევაში, როდესაც პერსონაჟის სახელი მთარგმნელისათვის შინაარსობრივად „გამჭვირვალეა“ (ან დედნის ენა იცის, ან შუალედ თარგმანში ასეა გაკეთებული): Иванушка-дурочок – ივანე სულელი, леший – ტყიური და სხვა. ტრანსლიტერაციას მიმართავენ იმ შემთხვევაში, როდესაც სახელის შინაარსი არაფრის მთქმელია მთარგმნელისათვის და არა აქვს ფუნქციური მნიშვნელობა (შეიძლება ან მართლა არა აქვს, ან აქვს, მაგრამ მთარგმნელმა არ იცის, ან საჭიროდ არ მიიჩნია ამ მნიშვნელობის გადატანა თარგმანში).

ფუნქციური მნიშვნელობის სახელი ყოველთვის უნდა ითარგმნოს. გადმოკეთდეს, ოღონდ, ტექსტში კარგად უნდა ჩანდეს როგორც ამ სახელის მოტივაცია (რატომ უწოდებენ პერსონაჟს ასე), ისე მისი როლი ხასიათის გახსნაში და ზოგჯერ მოქმედების განვითარებაშიც. იაპონურ ზღაპრებში არის ასეთი – „საბურო-გატეხილი ჯამი“. საბურო ნამდვილი სახელია, „გატეხილი ჯამი“ – მეტსახელი. ასე შეარქვეს დაცინვის იმის გამო, რომ საბურო მთელი სამი წელიწადი ვიღაც დედაბერს ერთგულად ემსახურა და ამ დაულაღავი შრომის გასამრჯელოდ დედაბერმა მხოლოდ ერთი გატეხილი ჯამისცა. საბურომ გაიგო, რომ ეს ჯამი არ არის უბრალო და

სულ თან დაქონდა. ამიტომ საბუროს მეტსახელად „გატეხილი ჯამი“ შეარქვეს. ეს იმდენად მნიშვნელოვანი ელექტონია, რომ ზღაპარს სათაურადაც ესა აქვს. მაგრამ როგორც რუსულ, ისე მისგან შესრულებულ ქართულ თარგმანში ეს მოტივაცია გამოტოვებულა, რაც აბუნდოვანებს ხალხური იუმორის შინაგან არსს.

გერმანულ ზღაპარში „ფრაუ პოლე“ (თარგმ. ნ. კაღან-დარიშვილისა) პოლე (Holle) ჯადოქარი დედაბრის ფუნქციური სახელია. Holle აქ ნიშნავს ქარბუქს. გოგონა ტყეში შეიკედლა ქალბატონმა ქარბუქმა, რომელსაც უმხო დედაბრის სახე აქვს, მაგრამ კეთილი გულისაა. დავალებასაც ასეთს აძლევს იგი გოგონას: საწოლი ისე უნდა გამიბერტყო ხოლმე, რომ ბუმბული ჰაერში ისე ტრიალებდეს, როგორც თოვლი ეფინება ქვეყანასო. თან იქვე უმატებს: მე ფრაუ პოლე ვარო. დედანში დედაბერი თავისი სახელით ხსნის თავის სურვილებს და სახელისა და სურვილის ურთიერთკავშირი გასაკებია. ეს მომენტი, როგორც ჩანს, მნიშვნელოვანია ზღაპრისთვის. ამ ადგილს თვით ძმებმა გრიმებმა ასეთი შენიშვნა დაურთეს: „როდესაც თოვს, პესენში ამბობენ, ქალბატონი პოლე თავის საწოლს აბერტყინებსო“. თუ ამას ყველაფერს გავითვალისწინებთ, უკეთესი იქნებოდა ზღაპარს ქართულად „ქალბატონი ქარბუქი“ დარქმეოდა.

სვეულებრივ, ადამიანურ სახელებს ზღაპარში, როგორც ცხოველებში, ხშირად სხვადასხვა კნინობით-მოჭერებითი მნიშვნელობის სუფიქსები აქვთ. როგორ უნდა მოიქცეს მთარგმნელი, მაგალითად, რუსული *Иванушка*-ს, *Алинушка*-ს ან გერმანული *Schneiderlein*-ის ქართულად გადმოსაცემად? პასუხი, ალბათ, სხვადასხვა იქნება იმისდა მიხედვით, თუ ვისთვისაა და რა მიზნით არის შესრულებული თარგმანი – მკვირვლოვანთათვის, მოზრდილთათვის თუ ეს მეცნიერული გამოცემაა. მაგალითად, რუსულ ხალხურ ზღაპრებში განსახლებულ ცხოველებსა და მხეცებს მუდმივი სახელები აქვთ, დათვი – მიხაილო ტოპტიგინია (топтать – ტყეპნა, თეღვა), ან უბრალოდ მიშკა; მელია – ლისა პატრიკეენა (სიტყვა-სიტყვით: მელია პატრიკეის ასული), კატა – ვასილი, ვასკა ან კოტოფეი კოტოფეევიჩი; თხა – კოზა-დერეხა; ქათამი

- კუროსკა-რიბა და სხვა. მეცნიერული გამოცემისათვის აღბათ უკეთესი იქნება ამ სახელების დედნისეული ფორმით გადმოტანა ხათანადო შენიშვნებითა და კომპენტარებით. მაგრამ პროკლარულ საბავშვო გამოცემებში ტოპტიგინი, პატრიკეენა ან კოტოფეი კოტოფეევისი მკითხველს არაფერს ეუბნება, ტექსტის გაგებას კი ამხელებს, ამიტომ გამართლებულად უნდა წაითვალოს ამგვარი უცხო სახელების გაქართულება: დათვი - დრუნა, ბურდლუნა, ბაჯბაჯა; მელა - მელაკუდა, მელა-კუდიგრძელია; თხა - წვერცანცარა და ა.შ.

ზღაპრის თარგმნის ერთ-ერთ სერიოზულ სიძნელეს მისი შემქმნელი ხალხის ყოფის რეალიების აღნიშვნა, მათი სახელწოდებების თარგმნა წარმოადგენს. ამ საქმეში ორი უკიდურესობაა მოსალოდნელი: მთარგმნელმა შეიძლება ყველაფერი ისე გააკეთოს, რომ დედნის კოლორიტისა არაფერი დატოვოს. ასეთი მიდგომის შედეგად ყველა ზღაპარი ქართული იქნება, წაიშლება მათ შორის ყოველგვარი განსხვავება და დაგერჩება მხოლოდ ცარიელი სახელწოდებები: „ბრაზილიური“, „იტალიური“, „ესტონური“ და ა.შ. მეორე უკიდურესობაა თხრობის გადატვირთვა და დამძიმება დედნიდან უთარგმნელად გადმოტანილი სიტყვებით. ამ ორ უკიდურესობათა შორის დიდი მანძილია და მცოდნე, დახელოვნებული მთარგმნელი ყოველთვის მიაგნებს იმ ზომიერებას, რომელიც ქართულად აქლერებულ ტექსტს შეუნარჩუნებს დედნისეულ ხატოვნებასა და სურნელს.

ზღაპრული არსებების სახელების გადმოცემა. ზღაპრული არსებები - კეთილი და ბოროტი ძალები - მარტო მოთხრობათა პერსონაჟები არ არიან. ისინი ხალხის უძველესი წარმოდგენების ნაყოფია და ზღაპრებში მერე გადასახლდნენ. ზღაპრის „გაქართულების“ მიზნით უცხო საწყაროს შეცვლა ქართულით არ მიგვაჩნია გამართლებულად. ასე მაგალითად, დევი ქართული (და აღმოსავლური) ზღაპრის პერსონაჟია და მისი „გადასახლება“ გერმანულ ზღაპარში არღვევს ხალხთა ძველი წარმოდგენების მთლიანობას. ასეა „ტულად თერძში“. გერმანულად ამ არსებას der Riese ჰქვია. რაც ნიშნავს გოლიათს, ბუმბერაზს. რუსმა მთარგმნელმა მას великан უწოდა. ქართველმა კი „დევი“.

იაპონურ ზღაპრებში არის ასეთი პერსონაჟი – ტენგუ, რაც ქართულად დაახლოებით მაცდურს, მაცდუნებელს ნიშნავს. ეს არის პატარა არსება (რაც ვშმაკის მსგავსი), რომელსაც ძალიან გრძელი და აპრეხილი ცხვირი აქვს. მას ხელში უჭირავს ჯადოსნური მარაო, რომლის მეოხებითაც სხვადასხვა სასაცილო მდგომარეობაში აყენებს ყველას, ვინც მას აიყვება. ტენგუზე ზღაპრების მთელი ციკლი არსებობს. ტენგუს მსხვერპლი ყოველთვის ზარმაცი, ბუნწი, ხარბი, მატყუარა და სხვა ამგვარი კაცი ხდება. ქართულ თარგმანში (როგორც რუსულშიც) დატოვებულია „ტენგუ“, რაც სახელის შთაბეჭდილებას ტოვებს და ერთგვარ კოლორიტსაც ქმნის. ჩვენ ეს დადებით მოქმედებად მიგვაჩნია.

მიუღებელი უნდა იყოს გერმანული Aschenputtel-ის (რუსული Золушка) ქართულად „ნაცარქექიად“ მონათვლა. მართალია, ეს სიტყვასიტყვით ნამდვილად ნაცარქექიას ნიშნავს, მაგრამ ქართულ ენასა და შეგნებაში ნაცარქექია მამაკაცია, თანაც ზარმაცი და უქნარა, ფიზიკურად სუსტი, მაგრამ მოხერხებული და გაქნილი. ამით სჯობნის ის თავისზე ბევრად უფრო ძლიერ მტრებს და ჩვენი სიმპათიები მის მხარესეა მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ატყუებს და აბრიალებს ბოროტ ძალებს: დეეებს, მეფეებს, მდიდრებს, ვაჭრებს; Aschenputtel (Золушка) კი სულ სხვა სახეა. ეს არის დედით ობოლი გოგონა, უაღრესად მშრომელი და დაუზარელი, ოდონდაც ბოროტი დედინაცვლის ხელში დაზარეული. ამ კეთილ გოგონას კეთილი ძალები ეხმარებიან მძიმე საქმეების გაკეთებაში. ბოროტი დედინაცვლისა და სათნო გერის უთანასწორო ბრძოლაში იმარჯვებს სათნოება და პატიოსნება. რაც ჯილდოდება მშვენიერი უფლისწულის უმწიკვლო სიყვარულითა და ბედნიერი ცხოვრებით. ამ გოგონას სახელად „ნაცარქექია“ არ ვარგა. სხვა რამ იყო საჭირო. ქართულ ზღაპრებში ასეთ პერსონაჟს სხვადასხვა სახელი ჰქვია. Золушка-ს მსგავსი კი არ შექმნილა. მოხერხებულია რუსულ-ქართულ სამტომიან ლექსიკონში მოცემული შესატყვისიც: გერია, თხუპნია, გოგონა. თუშცა „ნაცარქექიას“ მაინც სჯობია, რადგანაც ქართულ ზღაპარში ნაცარქექია იმდენად პოპულარული და შეუცვლელი პიროვნებაა, რომ არ შეიძლება მისი სახელით

სხვა გმირი გამოჩნდეს, თანაც ქალი. სწორედ მოიქცნენ სლოვაკური და ესტონური ზღაპრების მთარგმნელები, როდესაც „ნაცარქექია“ დაარქვეს პერსონაჟებს, რომლებიც საქმიანობითაც და აღწერითაც ქართული ნაცარქექიას ტყუპისცალები არიან: ზარმაცობენ, კერიასთან გორაობენ და ნაცარში იქექებიან. თავიანთ შურიან ძმებსა და ძლიერ მტრებს კი მოხერხებითა და ეშმაკობით სჯობნიან. ერთი დეტალი: ქართული „ნაცარქექია“ რუსულად ითარგმნება როგორც Золотуха. აქ Золотуха-ზე ფიქრიც კი ზედმეტია.

სლოვაკურ ზღაპრებში ხშირად გვხვდება სიტყვა „კოსტელი“. წიგნის ბოლოს შენიშვნებში ეს სიტყვა განმარტებულია, როგორც „რომაულ-კათოლიკური ეკლესია“. მაგრამ ისმის კითხვა: რა საჭირო იყო ამ სიტყვის ხმარება? რუსულ ენაში იგი ცნობილია და მთარგმნელმაც იხმარა. ქართულისთვის კი სრულიად უცხოა. მას არავითარი განსაკუთრებული როლი არ აქვს რა ტექსტში. ეს მხოლოდ ეკლესიაა და მეტი არაფერი. და ასეც უნდა თარგმნილიყო. ამავე წიგნში ნახმარია სიტყვა ვეშუნი (ჯგობს ეს საქმე მე მომანდო, მე ხომ ვეშუნი ვარ – იქნებ შეეძლო და მზის რაში დაეიბრუნო“). შენიშვნებში კი ვკითხულობთ: „ვეშუნი (ვეშტეცი) – კაცი, რომელსაც შეუძლია წინასწარ განჭვრიტოს მოსაგალი, წინასწარმეტყველი“. ამ განმარტებიდან კარგად ჩანს, რომ რუსული beautyh ყოფილა სლოვაკური ვეშტეცის შესატყვისი. ქართულად beautyh იქნება არა წინასწარმეტყველი (ეს სხვა სტილის სიტყვაა და ზღაპარში იგი არ იხმარება). მას აზრობრივადაც და სტილისტურადაც სუსტად შეესატყვისება „გულთმისანი“, რომელსაც საბა ასე განმარტავს: „გონებით შეჩტეობი, გლეხურად“ უკეთესის მოძებნა შეუძლებელია. სწორედ ეს იხმარება ქართულ ზღაპრებშიც.

გერმანულ ზღაპარში „ფრაუ ჰოლდე“ გოგონა „მიადგა თონეს“, „ჩავიდა გოგო თონეში და ამოჰყარა შოთები“. ეს თარგმანი რამდენიმე შენიშვნას იწვევს. 1. გერმანული ყოფისათვის „თონე“ უცხოა, იქ არის Backofen (ღუმელი). 2. თონეში არ ჩადიან. თონიდან პურს სპეციალური შამფურით იღებენ, დედანში კი „ღუმელიდან ნიჩბით გამოიღო გოგონამ პური“. 3. შოთი ქართული ყოფის ისეთი დეტალია, რომლის

გერმანულში გადატანა უხერხულია. თუ მანცდამანც „დექლი“ არ მოგვეწონებოდა, ქართულს აქვს სხვა სიტყვა — ფურნე, რომელიც ზუსტად გამოგვეყენოს Backofen-ის აზრს. არც „საჭაპური“ უნდა იყოს გერმანულ ზღაპრებში — ეს მეტისმეტად ქართულია. არც „მაქარმოყრილი ბლინები“ — ეს მეტისმეტად რუსულია (სხვათა შორის, რუსულ თარგმანშია оладьи). ქართველმა მთარგმნელებმა რატომღაც ერთი რუსული საჭმლის დასახელება შეცვალეს მეორეთი.

იაპონურ ზღაპრებში ვკითხულობთ: „იხმო მთავარმა ძირო და ორ კილომეტრზე ხიდან მსხლის ჩამოგდება უბრძანა... ძირო სიხარულით დათანხმდა... ისროლა ისარი და ჩამოაგდო მსხალი“. ჯერ ერთი, იაპონურ ზღაპარში რა უნდა „კილომეტრს“, მეორე: ორ კილომეტრზე ისრის ტყორცნა შეუძლებელია (ამ შემთხვევაში არ არის ზღაპრული გასვლა-დგება). „საბურო — გატეხილი ჯამის“ რუსულ თარგმანში ნათქვამია На расстоянии в сто кэлов. კენი სიგრძის იაპონური ზომაა და უდრის 1,82 მეტრს. ასი კენი იქნება 182 მეტრი. ეს უკვე ისეთი მანძილია, რომელზედაც ისრის მიზანში ტყორცნა შესაძლებელია, მაგრამ მაგარი მკლავი და გამკრიახი თვალია საჭირო. სწორედ ამით მოაქვს თავი მსროლელს და ზღაპარიც ამას უსვამს ხაზს. ორი კილომეტრი კი მართლაც ზღაპარია.

აშკარა უზუსტობაზე ნაკლებ საზიანო როდია ტექსტისათვის „ოდნაყი გადახრები“, რომლებიც ზოგჯერ საგრძნობლად ცვლიან თხრობის ხასიათს და ქვეტექსტს. მაგალითად, რუსულ ზღაპარში მეფე მიმართავეს ბოიარს: „ბრძანე, ბოიარო, ბრძანე!“. აქ მთარგმნელმა ვერ გაითვალისწინა სამეფო კარის ენობრივი ეტიკეტი: ბოიარი მეფეს ეტყვის ბრძანეო, მეფე კი „ბრძანეს“ არ ეტყვის ბოიარს: „თქვი“, აი, რა იქნებოდა აქ უფრო ზუსტი.

„გულად თერძში“ გლეხის ქალი ყიდის ხილის ფაფას (Gut Mus feil! — გაიძახის იგი). რუსულ თარგმანში Mus თარგმნილია როგორც варенье. ქართულში იგი შეცვლილია თაფლით. მკითხველთან ამბის მიახლოების თვალსაზრისით შეიძლება ეს გამართლებული იყოს, მაგრამ ზღაპარმა დაკარგა მისი შემქმნელი ხალხის ყოფის დეტალი (რომ ხილის

ყაფას ქუჩა-ქუჩა ყიდდნენ). თურძი ცერცეტი კაცია. იგი ამბობს: „ახლა ეს ხილის ფაფა მე ძალახა და სიმტკიცეს მომცემსო“. თარგმანში ეს ადგილი ღოცვად იქცა: „ღმერთო, დალოცე ეს თაფლი, ძალა და სიმტკიცე შექმატაო!“ აქ განსხვავება ის არის, რომ ამგვარი ღოცვის წარმოთქმა შეუძლო დინჯ და ბრძენ კაცსაც, თერძის სიტყვები კი მისი ჭკუის სიმნატის მანყენებელია.

იტალიურ ზღაპარში „ბრაფის წვერი“ ანდაზაა გამოყენებული. რუსულ თარგმანში ეს ორსტრიქონიანი ლექსია, სულ ცხრა სიტყვისაგან შედგება და თავისი ლაკონიზმითა და მხატვრული ღირსებით მართლაც იძენს ანდაზის ღირებულებას. ქართულ თარგმანში კი მის ადგილას გუაქეს ოთხსტრიქონიანი და ოცდახუთსიტყვიანი სიტყვაჭარბი და მდარე სარისხის ლექსი, რომელსაც ანდაზობისა არაფერი შერჩენია.

შეუძლებელია და არცაა საჭირო ყველა წიგნიდან ყველა უზუსტობის ამოწერა და შედარება პირველწყაროსთან. ეს ძალიან შორს წაგვიყვანდა. ჩვენ მოვიყვანეთ მაგალითები ზღაპრის თარგმნის სხვადასხვა პრობლემებთან მიმართებით. ყველა ტიპის მაგალითისათვის შეიძლებოდა მიგვემატებინა კიდევ მრავალი მისი მსგავსი, მაგრამ ახალს ვერაფერს ვიტყვოდით. ამიტომ უკვე შეგვიძლია ზოგიერთი დასკვნის გაკეთება:

1. მსოფლიოს ხალხთა ზღაპრების თარგმანში მონაწილეობს მთარგმნელთა დიდი კოლექტივი, მათ შორის არიან მხატვრული სიტყვის გამოჩენილი ოსტატები და ნაკლებად დახელოვნებული ლიტერატორები. ეს აისახება თარგმანთა ხარისხზე. არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რამ: მხატვრული ტექსტის, კერძოდ, ზღაპრის, სხვა ენაზე თარგმნის სოგადი პრინციპები საკმარისად არ არის ჩვენთან დამუშავებული ან ყველა მთარგმნელი არა თვლის თავს ვალდებულად ანგარიში გაუწიოს ამ პრინციპებს. ამით უნდა აიხსნას აშკარა შეუსაბამობანი, რომლებსაც ვხვდებით პერსონაჟთა სახელების, ყოფის რეალიების, სახელწოდებათა და კოლორიტის ელემენტების გადმოცემაში.

2. თარგმანებში ვხვდებით ორ უკიდურესობას. ერთია ე.წ. თავისუფალი თარგმანი, თითქმის გადმოკეთება. მეორეა დედ-

ნისადმი გაუმართლებელი „ერთგულება“. პირველი მეტის-
მეტად აქართულებს უცხო ხალხის ცხოვრებიდან აღებულ
აზრებს და უკარგავს მათ საკუთარ სახეს, ელფერს, ჟღერა-
დობას. ეს შლის განსხვავებას ქართულ და არაქართულ
ზღაპარს შორის, რაც არასასურველი მოვლენაა. ქართველ
მკითხველს მარტო ამბავი, სიუჟეტი ან გმირის
თავგადასავალი კი არ უნდა მივაწოდოთ, არამედ ისიც, თუ
როგორ გვიყვება ამ ამბავს უცხო მეზღაპრე. ეს სუბიმიწვენი
საჭირო და მნიშვნელოვანი პირობაა ზღაპრის თარგმნისას.
მეორე უკიდურესობა (პირველწყაროსადმი გადამეტებული
ერთგულება) უარესია. დედნიდან მომდინარე ლექსიკისა და
სინტაქსური კონსტრუქციების დიდი რაოდენობით გადმორტანა
ამძიმებს თარგმანს, გაუგებარსა და უინტერესოს ხდის მას,
ზიანს აყენებს როგორც პირველწყაროს პრესტიჟს, ისე
თარგმანის მკითხველის ინტერესებს. მაგრამ ყველაზე დიდ
ზარალს განიცდის თარგმანის ენა, ე.ი. ამ შემთხვევაში ქარ-
თული ენა.

ცნობილია, რომ თარგმანის განვითარება დიდ გავლენას
ახდენს ქართული ენის შემდგომ დახვეწა-სრულყოფაზე. ეს
გავლენა დადებითი უნდა იყოს და არის კიდევაც. არასოდეს
ქართული ენა არ ყოფილა ისე მოქნილი, მდიდარი, დახ-
ვეწილი და მეტყველი, როგორც დღესაა. ნებისმიერი ძველი
და ახალი მეცნიერების ყველაზე ღრმა და ორიგინალური
აზრი, აზრის ელფერი, ოდნავი ნიუანსი სუსტად შეიძლება
გამოიხატოს დღევანდელი ქართულით; გრძნობისა და გან-
წყობილების უნატიფესი და უმცირესი მოძრაობაც კი მთელი
სისრულით გამოითქმის, თუკი მოქმედი სათანადოდ იყენებს
ქართული ენის მდიდარ შესაძლებლობებს. ქართული ენის ამ
სიმაღლემდე აყვანაში უდიდესი როლი შეასრულა თარგმანმა
— მსატერულმა და სამეცნიერომ, — რომელიც ვითარდებოდა
საუკუნეების მანძილზე და მოჰქონდა ქართულ კულტურასა
და ქართულ ენაში ფასდაუდებელი სიმდიდრე და სიასლე.
ამას აკეთებდა კარგი თარგმანი. ცუდი „ნათარგმანები“ კი
ანგრევდა და ანგრევს საუკუნეებისა და თაობების მიერ დიდი
სიყვარულითა და შრომით ნაგებ-ნაჭირნახულევს.

მაგრამ რაც უფრო ინტენსიურად მიმდინარეობს მთარგმნელობითი საქმიანობა და რაც უფრო მეტ ფუნქციებს აკისრებს მას საზოგადოება, მით უფრო მეტი სიფრთხილე და ეურადღებაა საჭირო, რათა კარგთან ერთად არ შემოგვეპაროს სიკეთისა და სიბრძნის ნიღაბს ამოფარებული წუნი და არარაობა. ამიტომ ქართული ენის სიწმინდის საკითხი ერთ-ერთი უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი ნაწილია უცხო ენებიდან ქართულად თარგმნის დიდი საქმისა.

რისი თქმა შეიძლება ამ მხრივ მსოფლიოს ხალხთა ზღაპრების თარგმანთა შესახებ? აქაც სიტყვლეა. დიდებული ქართულის გვერდით (მაგალითად, ნიკო ლორთქიფანიძის, მ. ლებანიძის, ჯ. გიუნაშვილისა და სხვათა თარგმანებში) ზოგჯერ გვხვდება წუნიც. მაგრამ ყველაზე დამაფიქრებელი ის უფერული სიმრავლეა, რომელსაც ვერაფერში ვერ წაუდავები, თითქოს ყველაფერი რიგზეა, თითქოს აზრიც ზუსტადაა გადმოცემული, სახეებიც არის და ა.შ. მაგრამ მაინც ღარიბია ტექსტი. მას აკლია მხატვრულობა და ემოციურობა, აკლია იმიტომ, რომ მთარგმნელმა რაღაცაში შესცოდა ქართული ენის წინაშე.

მოვიყვანო მხოლოდ ორიოდე მაგალითს.

Ведьма კუდიანია და არა ჯადოქარი (იტალიური ზღაპრები, გვ. 182). კუდიანი, როგორც ведьма, ყოველთვის ბოროტია, ჯადოქარი კი კეთილიც არის. რუსულად волшебник-ია.

სლოვაკურ ზღაპრებში (გვ. 308) „არმიაკის“ განმარტებაში ნათქვამია: „სქელი მუნდირისგან შეკერილი მამაკაცის ზედა სამოსი“, მაგრამ მუნდირი ხომ თვითონ არის სამოსი? სპარსულ ზღაპრებში (გვ. 180) ყკითხულობთ: „ცოტა იარეს თუ ბევრი, ერთ წყაროს მიადგნენ. წყარო იქვე, პატარა კორომიდან იღებდა სათავეს“. კორომიდან თუ კორომში? ან შეიძლება კი იმისი თქმა, რომ წყარო „იღებს სათავესო? წყარო ხომ თვითონ არის სათავე, წყლის დინების დასაწყისი? ინდური ზღაპრები. „ნაიარიში კი გალაგნის წვერზე დაეცა და სასიკვდილოდ დაშავდა“ (გვ. 30). „გალაგნის წვერზე“ არ ვარგა. გალაგანი რაიმე შენობის ირგვლივ შე-

მორტყმული კედელია და მას წვერი ან წვეტი; თანაც ბასრი, არა აქვს. „ხმის კანკალით თან ლოცვას ღუღუნებდნენ, თან სკივრს თოკი მოსდეს და ხიდზე ამოათრიეს“ (გვ. 45). „ხმის კანკალით“ თუ „აკანკალებული ხმით“. „ხმის კანკალით თან...“, თუ „თან ხმის კანკალით“. „თავი შეკლა‘სე უფრო ღამაზ ქათმად მიაჩნდა, სხევებს მალლიდან „დაჰყურებდა“ (გვ. 21). „მალლიდან დაჰყურებდა“ სხვა ენის გავლენა ხომ არ არის? „ქედმალღურად“ ხომ არ აჯობებდა? „ბღარტაბღურტი“ მალლიდან დაბლა წამოცვენის (რამდენიმე საგნის) ხმის გამოჩნატეელია და „ბღარტაბღურტით უღრან ტყეს შეერიო“ არ უნდა იყოს გამართული ნათქვამი (რუსული ზღაპრები, გვ. 149). „მეფემ ხელი გაასავსა“ (იქვე, გვ. 164). ასავსავენ ხელებს და არა ხელს. მეორეც: „ხელების გასავსავენა“ სტილისტურად სუსტია მრისხანე უარის გამოსახატავად. ასევე სუსტია „ბოიარები... ტყეებსა და ბუნქებში იმალებიან“ (გვ. 166) – მეტისმეტად უტილო ცნებებია „ტყეები“ და „ბუნქები“.

თარგმანებში ზოგჯერ თავს იჩენს ქართული სინტაქსის ერთი მოუგეარებელი საკითხი. ეს არის ქვემდებარისა და შემასმენლის რიცხვში შეთანხმება. აშკარა შეცდომაა და ადვილი დასაგმობია ასეთი კონსტრუქცია: „ივანე და გვიდონის. ფალავანი ორ მთასავით ეძგერა ერთმანეთს“ (რუს. ზღ., გვ. 167). მაგრამ რა ეუყოთ ზღაპრებისათვის მეტად დამახასიათებელ თვისებას – უსულო საგნების გასულიერებას, მათი მოქმედების გაცოცხლება-გააქტიურებას? ტყეში ხეებმა რწევა დაიწყო და კენწეროები მიწამდე დახარა (რუს. ზღ., გვ. 166). თუ „დაიწყეს“ და „დახარეს“? „გამშორდი აქედან, აღარ დაგინახოს ჩემმა თვალებმა!“ (გვ. 139) თუ „დაგინახონ“?

საერთოდ შეინიშნება, რომ თარგმანების ერთ ნაწილში ღარიბადაა წარმოდგენილი ქართული ენის ფრაზეოლოგიური სიმდიდრე, ე.წ. მყარი გამოთქმები. ზღაპრის ენა კი განსაკუთრებით მდიდარია ხატოვანი სიტყვა-თქმებით. ჩვენ კარგად გვესმის თარგმნილ ტექსტში ფრაზეოლოგიური მასალის გამოყენების დიდი სირთულე. მაგრამ სიფრთხილე არ უნდა დავიდეს გვერდის ავლამდე და სულ არ ვარგა, როდესაც

ქართული ფრაზეოლოგიური ერთეული არასწორადაა ნახ-
მარი, დარღვეულია მისი შემადგენლობა. შეცვლილია მისი
აზრი. აი, ორიოდე მაგალითი ასეთი უზუსტობისა „ესტონურ
ხლაპრებში“:

„მოადგა ეშმაკი ზღვას და დაიწყო წყევლა-კრულვა.
ისეთი ამბავი გაქონდა, კაცს ეგონებოდა, ჭექს და ქუხსო“
(გვ. 72). „ამბავი გაქონდა“ არ ვარგა. „შეუდგნენ საქმის
და მაგრადაც იმუშავეს, ზურგზე სულ აღმური აიღინეს“
(გვ. 66). ჯერ ერთი, აღმურზე იტყვიან „ავარდა“, „მოედო“.
მეორეც, ამის თქმა ბუჯითი მუშაობის გამოსახატავად არ
არის მიღებული. „ისევ გაახურეს მუშაობა. ისევ აიღინეს
ზურგზე ბოლი“ (გვ. 67). აქ უფრო სერიოზული შეცდომაა
დაშვებული. „ზურგზე ბოლის ადენა“ მაგრად ცემას,
მიბეგვას ნიშნავს და არა გახურებულ მუშაობას. მით
უძეგვს შეუძლებელია, რომ კაცმა თვითონ აიღინოს ზურ-
გზე ბოლი.

ისიც სათქმელია, რომ თარგმანთა ენის ხარვეზები ქარ-
თული ენის სტილისტიკის სადღეისო და გადაუდებელ
საკითხებზე მიგვანიშნებს, რადგანაც ამ ხარვეზებისაგან
არ არის დასღვეული არც ერთი მომავალი თარგმანი.

ქართული ხალხური მღაპრის რუსული თარგმანების ანალიზი

ყოველი თარგმანი ნაწარმოების ფუნქციონირების არეალის
გაფართოებაა. ამავე დროს კულტურათა შორის ახალი ძაფე-
ბის გაბმვა. ამ პროცესში თავისთავად იქმნება იმ ლიტერა-
ტურისა და ხალხის ინტელექტუალური ავტორიტეტი, სადაც
შეიქმნა ნაწარმოები. მხატვრული ქმნილების სხვა ენაზე
თარგმნა მიღწევაა, აღიარებაა, პრესტიჟის განმტკიცებაა,
„ხალხში გასვლა და გამოჩენაა“. ეს გრძნობა ერთნაირად
გავრცელებულია დიდ ხალხშიც და პატარაშიც (ტერმინები
„დიდი ხალხი“, „პატარა ხალხი“ ძალიან პირობითია და
რაოდენობრივ მაჩვენებელს უფრო გამოხატავს, ვიდრე თვი-
სობრივს. მცირერიცხოვან ხალხსაც შეიძლება ჰქონდეს დიდი
ლიტერატურა და პირიქით. სამწუხაროდ, უკეთესი ტერმინები

ჯერ არ შექმნილა). განსხვავება ის არის, რომ „დიდი“ ხალხისათვის შეიძლება შეუქმნევდელიც დარჩეს მისი ლიტერატურის რომელიმე ნიმუშის სხვა ენაზე თარგმანა - ახლთ რამეს იგი მისივეულია და დინჯად იყურებს. პატარა ერები უფრო ყურადღებითა და ემოციურად კვიდებიან თუნდაც მცირე წარმატებას ან წარუმატებლობას. ეს გასაგებია. ვთქვათ, შექსპირის რომელიმე სონეტის სუსტი თარგმანი არავითარ ზიანს არ აყენებს ავტორს - შექსპირი შექსპირია და მისი ღირსება ხელშეუხებელია. მაგრამ თუ ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანის“ ინგლისური თარგმანი არაღამაკმაყოფილებელი იქნება, მკითხველის უარყოფითი რეაქცია შეეხება პოეტსაც და მთლიანად ქართულ ლიტერატურასაც. ამიტომ ყურადსაღებია მ. ხუციშვილის მტკივნეული, მაგრამ გაბედული განცხადება: „ევროპული კულტურის მწვერვალებს, თავისი მაღალი ავტორიტეტის გამო, არას უქადის თარგმანის არასრულყოფილება - მსჯელობის საგნად მხოლოდ მთარგმნელის მარცხი თუ გამარჯვება იქცევა, დედნის რეპუტაცია შეულახავი რჩება. ასეთია დიდი ერების და მათი წარმომადგენლების რჩეული ხვედრი. შექსპირის წინაშე შერცხვება მთარგმნელი, ან თავს არ შეირცხვენს, შექსპირის შესახებ აზრი ამ თარგმანზე არა ჰკიდია - ყველამ იცის მისი ადგილი. ქართული პოეზიის არსებობა კი სხვა ენაზე მთარგმნელის ხელთაა, თუმცა იგი არ საჭიროებს შელამაზებას და ხელსაყრელ მიწოდებას მკითხველისათვის. მას სჭირდება სწორი გაგება, სწორი წაკითხვა, ამოცნობა მისი საზრისის“.¹

მ. ხუციშვილის ეს აზრი გაბედულია იმიტომ, რომ იგი საჯაროდ უპირისპირდება იმ მოარულ აზრს, თითქოს ვაჟაფშაველას გენიისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, როგორ თარგმნეს იგი სხვა ენაზე. იგი ღიღია და თუ კისმეს სურს უსიაროს მის მიერ შექმნილ სამყაროს, კეთილი ინებოს და ისე შეისწავლოს ქართული ენა, რომ ვაჟას შედეგებს დედანში გაეცნოსო.

¹ მ. ხუციშვილი. ქართული პოეზიის რუსულ ენაზე თარგმნის პრობლემები. გამომც. „მეტანიერება“, თბ., 1989, გვ. 3.

ეს გარეგნულად მიმზიდველი „თეორია“ არსებითად თვითიზოლაციისაკენ მოწოდებაა. კარგა ხნის წინათ გარდაცვლილი ადამიანისათვის მართლაც არავეთარი მნიშვნელობა არა აქვს, თარგმნეს მისი ნაწერები სხვა ენებზე თუ არა. მაგრამ ქართული კულტურისათვის, ქართული მენტალიტეტისათვის ამას უსარმახარი მნიშვნელობა აქვს. არ შეიძლება ერის სულიერი სიმდიდრე მიწაში დაფლულ ოქროს დაგამსგავსოთ. უცხოელებს რომ გაუჩნდეთ ნამდვილი მეცნიერული და ესთეტიკური ინტერესი ქართული სიტყვაკაზმული ლიტერატურისადმი, საჭიროა მათ მიუაწოდოთ საფუძვლიანი და დამაჯერებელი ინფორმაცია ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ, თუნდაც ისე, როგორც ეს გაკეთდა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ წლებში ნიკო ფიროსმანის შესახებ.

ქართული კულტურის საკაცობრიო არენაზე გატანის საქმეს მხოლოდ აენებს პროვინციული ამბიციები. საჭიროა საქმიანი, კარგად გააზრებული და გათვლილი შრომა, რომ ქართულმა ინტელექტმა ღირსეული ადგილი დაიკავოს მსოფლიო ხალხთა ნააზრვეის საგანძურში. გაგებდავთ და ვიტყვი: ქართული ლიტერატურის სხვა ენებზე თარგმნას ეს მონდომება და პასუხისმგებლობა აშკარად აკლია. დიახ, ვაჟა ისეთი ფენომენია, რომლის ბადალი მსოფლიო პოეზიამ არ იცის, დიახ, „მერანი“ არაფრით ჩამოუვარდება მიცკევიჩისა და ბაირონის ამ ხასიათის თხზულებებს. დიახ, „სიყვისბერი გონა“ მერიმეს „მატეო ფალკონეზე“ მეტი თუ არაა, არც ნაკლებია. მაგრამ ეს იციან ქართველებმა (ისიც – ბევრმა არა). თარგმანია საჭირო, დედნის კონვენიალური თარგმანი, რომ მსოფლიოთაც საკუთარი ყურით მოისმინოს ლექსის მუსიკა და საკუთარი თვალთ დაინახოს ვაჟას მიერ დახატული ბუნება. სხვანაირად ყველაფერი ეს მართლაც „მიწაში დაფლული ოქროა“.

ვინ უნდა გააკეთოს ეს, თუ არა თვითონ ქართველებმა. ვაჟა რომ გერმანელი, ესპანელი ან, ვთქვათ, იტალიელი ყოფილიყო, რობერტ ბერნსზე ან ლონგფელოსე ნაკლებად ცნობილი როდი იქნებოდა, ქართულმა ლიტერატურულმა კრიტიკამ კი თითქოს სამუდამოდ ჩაკეტა იგი თემის ზღუდე

ბში, თუმცა „სტუმარ-მასპინძლის“ ბოლო თავში აღწერილი წმინება ან აღუდა ქეთელაურის მიერ მტრობისა და ძალადობის დაგმობის ძალა და პათოსი თვით დანტეს „ღვთაებრივ კომპლიასაც“ დაამშვენებდა.

პირდაპირ უნდა ითქვას: სამწუხაროდ, ვაჟას თხზულებათა ყველა აქამდე შესრულებული თარგმანი ოდნავადაც ვერ უახლოვდება პოეტის სიტყვის, გრძნობის, სახის, აზრის გრანდიოზულობას. არც გასაკვირია. აწკარედის მიხედვით საიუბილეოდ გაკეთებული თარგმანით კაცის მიერ, რომელსაც აქამდე არავითარი წარმოდგენა არა აქონდა პოეტზე, უკეთესის მოლოდინი გულუბრყვილობა იქნებოდა და ეს იმით კი არა, რომ მთარგმნელებმა შრომა და სიყვარული დააკლეს საქმეს, არა, მეტი ვერ შეძლეს. როგორც იტყვიან, თავს ზევით ძალა არ არისო. ამიტომ სრულიად გარკვევით და ხიამაღლა უნდა ითქვას: ქართული კლასიკური ლიტერატურის რუსული (და არა მარტო რუსული) თარგმანები უნდა თვისობრივად გადაისინჯოს და მალაღმარისხონად დაიბეჭდოს.

საქმე ღირს შრომად და ხარჯებად.

ასეთივე არასახარბიელოა ქართული ხალხური ზღაპრების რუსული თარგმანებიდან გაკეთებული სხვაენოვანი თარგმანები. მოეუხმოს ფაქტებს: .

„რწეილი და ჭიანჭველა“ უადრესად თავისებური ნაწარმოებია. ჟანრობრივად ეს არის პროზაული და რიტმიკულ-მელოდიურად ორგანიზებული ტექსტების მონაცვლეობითი თანამიმდევრობა. ასეთ ტექსტს სპეციალისტები კუმიულაციურს უწოდებენ, რადგანაც სიუჟეტის განვითარებაში ერთი და იგივე რგოლები თანამიმდევრულად მეორდება და ყოველი გამეორებისას იზრდება – თითო ახალი რგოლი ემატება. თანაც გამეორება ბოლოდან დასაწყისისაკენ ხდება. ესე იგი ბოლო რგოლს მოსდევს ბოლოს წინა, მერე – იმის წინა და ასე სულ პირველამდე. თხრობის ამგვარი ინვერსია მარტო პერსონაჟის მოქმედების ახსნას არ ემსახურება, – ეს არის ფრიად ეფექტური ხერხი მონაყოლისაგან მიღებული შთაბეჭდილების გასაძლიერებლად და ამავე დროს თხრობის დინამიკის შესანარჩუნებლად.

ამ ზღაპრის შინაარსი ადვილად გასაგებია: მეგობრის გადასარჩენად რწყილს ბაწარი სჭირდება, რომლის მოყვანაც ძნელი გამოდგა — გაიჭიმა ცხრა რგოლიანი ჯაჭვი და ყველგან, რაიმე რომ მიიღო, რაღაცა უნდა გასცვა. გამონაკლისია ბოლო რგოლი — მინდორი, რომელმაც ყოველგვარი წინაპირობის გარეშე მისცა რწყილს ბალახი და დაიწყო რწყილის წარმატებული უკუსვლა.

ამ სიუჟეტურ ქსოვილში არც იუმორია დავიწყებული, მოვლენათა დამახასიათებელი ნიშნებიც კარგად არის შექმნილი და, რაც მთავარია, ოპტიმისტურად არის დანახული ყოფიერების დიდი და ღრმა აზრი იმის შესახებ, რომ ცხოვრებაში ყველაფერი ერთმანეთსეა გადაჯაჭვული და არაფერი არ მოდის ისე, თუ სამაგიერო არ გაიღე. საინტერესოა, რომ ამ თავისებური გაცვლა-გამოცვლის საბოლოო რგოლი რწყილის პირადი შრომაა — ბალახის გაგლეჯა და ძროხასთან მიტანა. ეს დიდი სნეობრივი შეგონებაა, ოღონდაც ქილიკით გამოთქმული. ასევე სიმბოლურია, რომ მხოლოდ მიწაა (მინდორი) იმდენად გულუხვი, რომ ბალახის სანაცვლოდ არაფერს მოითხოვს — იგი ხომ ყველაფრის დედაა — დედამიწაა.

მთელი ამ არასასიამოვნო ისტორიის მიზეზი კი გახდა ადამიანის უარყოფითი თვისება — იმის დატრიალება, რისი გაკეთებაც არ შეუძლია.

ამ ზღაპარს ადრევე გაუღიმა ბედმა — იგი დიდმა იაკობ გოგებაშვილმა ჩაწერა. თავიდან ბოლომდე იდეალურად არის ყველა დეტალი გათვალისწინებული, არც ერთი უფუნქციო ან არაზუსტად ნახმარი სიტყვა! ენა სადა, გამჭვირვალე და წმინდაა — კუთხური მეტყველების ყოველგვარი მინარევების გარეშე. ეს გასაგებიც არის — ჩამწერი ხომ მოზარდებისთვის აკეთებდა ამ დიდ საქმეს, მათთვის, ვისაც არა მარტო სწავლას ასწავლიდა, არამედ დედაენასაც, რომლის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია ეს მხიარული ზღაპარი.

„რწყილისა და ჭიანჭველას“ ეს მკვირედი დახასიათება დაგუკირდა იმისათვის, რომ განსასიღვრულ პარამეტრებსე დაჟრდნობით ზღაპრის რუსული თარგმანი, მისი შუქ-ჩრდილი შეგვეფასებინა.

ზღაპარი თარგმნა ნ. დოლიძემ და გამოქვეყნდა (ჩნობილ კრებულში „Сто грузинских сказок“. შემდგომ იგივე თარგმანი დაიბეჭდა სხვადასხვა დროს გამოსულ კრებულებში. ამიტომ განვიხილავთ როგორც ამ თარგმანს დედანთან მიმართებაში, ისე მისი გამოქვეყნების სოგიერთ წრდილოვან მხარეებს.

დაეწყეთ ჭიანჭველას წატრახახებით, რომელიც მას ძვირად დაუჯდა.

დედანი:

რწყილმა უთხრა ჭიანჭველას:

– მე გადაეხტები და შენ რაღა გეშველებაო?

– განა მე კი ვერ გადაეხტებიო? – უთხრა ჭიანჭველამ.

თარგმანი:

– Я перепрыгну, а ты?

– А я не перепрыгну! – говорит муравей.

ამ თარგმანში ორი უზუსტობაა: ერთი, ასე ვთქვათ, შეფარული, მეორე – უაზრო.

შეფარული უზუსტობა: რწყილი ეკითხება, შენ რაღა გეშველებაო? კითხვა ისეა დასმული („რაღა გეშველებაო?“), რომ აშკარაა – რწყილმა იცის, რომ ჭიანჭველა ვერ გადაეხტება. ეს აღაშფოთებს მეგობარს. А я не перепрыгну! (ძახილის ნიშნით!) – განწირულის აღიარებაა, რის შემდეგაც ახრი ეკარგება ყველაფერს! – იკარგება მოულოდნელობის ეფექტი და იწყება რწყილისათვის მოულოდნელი საზრუნავი – ძმობილის წყლიდან ამოყვანა.

დედანში ასეთი უაზრობა არ არის. დედანში ჭიანჭველა ტრახახით ამბობს, – განა მე კი ვერ გადაეხტებიო?! მეგობრის ამ დატრახახებამ დაამშვიდა რწყილი და გადაეხტა. ჭიანჭველას მოეწონა, რომ ისიც გადაეხტებოდა და ისკუპა კიდევ. ყველაფერი დანარჩენი ამ წინდაუხედაობის შედეგია. თარგმანის ეს ვარიანტი სხვა კრებულებშიც გამეორდება. რა მოხდა? ნუთუ ეს უმარტივესი ადგილი ასე ძნელი გასაგები აღმოჩნდა? ეტყობა, – არა. აქ უფრო კორექტურულ დაუდეურობასთან გვაქვს საქმე – ძახილის ნიშნის ნაცვლად უნდა იყოს კითხვის ნიშანი. მაშინ ყველაფერი ადგილზეა. ეს შეამჩნიეს 1986 წელს გამოსული კრებულის შემდგენლებმა („Грузинские народные сказки“, изд. „Ганатлеба“, Тб., 1986,

სტრ. 15). ძახილის ნიშნის ნაკველად დასვეს კითხვის ნიშანი და... უაზრობაც გაქრა: ჭიანჭველამ წაიტრაბახა და დაისაჯა კიდევაც. ორი წლის შემდეგ მოსკოვში გამოსულ კრებულში ძველი შეცდომა კვლავ აღდგა.

კიდევ ერთი შეფარული უსუსტობაა ზღაპრის დასასრულშიც.

დედანშია:

„რწყილმა ჯაგრის ბაწარი დაგრიხა და ჩაუგდო წყალში ჭიანჭველას, რომელიც ბაღასს მოსჭიდებოდა. ჭიანჭველა ბაწარზე შეჯდა, რწყილმა ბაწარი გამოხწია, ჭიანჭველა ნაპირს გამოიყვანა და სიკედილს გადაარჩინა“.

მივაქციოთ ყურადღება: ძმობილის გადარჩენის ყველა ეტაპი ბავშვისათვის გასაგები სიცხადითა და თანმიმდევრობით არის დახატული, გარდა ამისა, ხაზგასმულია ისიც, რომ ვიდრე რწყილი თოკის საშოვნელად დადიოდა, ჭიანჭველა „ბაღასს მოსჭიდებოდა“. ესეც ცოცხალი ლოგიკური დეტალია:

თარგმანი:

„Блоха сплела из щетины канат-веревку,
к веревке привязала травку
и бросила в воду.

Муравей взобрался на травку, блоха потянула веревку..
пытаясь своего брата-муравейошку на берег и спасла его от смерти“

სამწუხაროდ, ყველა სხვა გამოცემებშიც გამეორდა ეს უსუსტობა. რაზეა ლაპარაკი? წყალში ჩაუარდნილი ჭიანჭველა მეგობრის მოლოდინში ბაღასს „მოსჭიდებოდა“ – ასე გადაურჩა ის წყლის ტალღებს. ამ ბაღახიდან გადაჯდა იგი რწყილის მიერ ჩაგდებულ თოკზე. თარგმანში კი ამ ლოგიკურად სრულიად გასაგები მოქმედების ნაცვლად გაჩნდა რაღაც ახალი – რწყილმა თოკს ბოლოში ბაღახი მიიბა. ისე გადაუგდო ძმობილს.

ერთი შეხედვით დიდი არაფერი გადაცდენაა, თუ არა ერთი უპასუხოდ დარჩენილი კითხვა, რომელიც დედანში არ არის და განჩენილია მხოლოდ თარგმანის უსუსტობის გამო: რამ გადაარჩინა ჭიანჭველა, ვიდრე რწყილი დაბრუნდებოდა?

რატომ წყალმა არ წაიღო? დედანში ამ კითხვის გაინაცვ გამორიცხულია, რადგანაც მეზღაპრე თვითონვე განმარტავს სიტუაციას - „ბალახს მოსჭიდებოდაო“. ვუპქრობთ, არ იყო საჭირო მთარგმნელის ასეთი „შემოქმედებითი მიდგომა“ ხალხური ზღაპრისადმი.

შენიშვნას იწვევს კუმულატების (აღმავალი გამეორებების) განლაგების საკითხიც. დედანშიც და თარგმანშიც მათი რაოდენობა ერთნაირია - რვა-რვა. ყოველი კუმულატი პატარა ნოველაა - რწყისლას ~~საუბარო-გარიგება~~ სხვა პერსონაჟებთან. რწყილისა და არა მეზღაპრის! თარგმანში რატომღაც პირველი კუმულატი (თხოვნა-საუბარი ღორთან) გაშლილია მთხრობელის ტექსტში, ხოლო ბოლოში დამატებულია ახალი, ყველაზე ვრცელი, პოეტურ სტრიქონებად დალაგებული, მეზღაპრის თხრობა იმის შესახებ, თუ რა მოიმოქმედა რწყილმა პროხასთან გასაუბრების შემდეგ. სწორედ აქ არის მოთავსებული ის უზუსტობაც, რომელსეუდაც უკვე ითქვა.

ბევრია ეს ერთი ნაწარმოებისათვის თუ ცოტა? მიდგომას გაანინა. თუ მხოლოდ სახელდახელოდ გადავხედავთ თარგმანს, ალბათ ვერც შევამჩნევთ „წერილმანებს“. მით უმეტეს, თუ დედანს არ ვიცნობთ, მგრამ თუ ზღაპარს წაყიკითხავთ როგორც ხალხის სიბრძნის ანარეკლს და ასევე მიწვეულებით თარგმანს, „ჩავარდნები“ თვალსაწიწო ხდება, რაც უკვე ხალხის გენიის პრესტიჟს ეხება.

გაგარჩიოთ ერთი ეგრეთ წოდებული ჯადოსნური ზღაპრის თარგმანი.

თვით ხალხური ზღაპრების კლასიფიკაცია მათი შინაარსის მიხედვით და სამი ძირითადი ჯგუფის გამოყოფა - ზღაპრები ცხოველებზე, ჯადოსნური ზღაპრები და საყოფაცხოვრებო - ნოველისტური ფაბულები - მეოცე საუკუნის ამბავია და ფოლკლორისტიკის როგორც ფილოლოგიური მეცნიერების განვითარების შედეგია.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ხალხური ზეპირსიტყვაობა გაცილებით მრავალფეროვანია და კლასიფიკაციის მკაცრ ჩარჩოებში არ ეტევა. ბევრია ზღაპარი, რომლებიც ერთი ნიშნით რომ ჯადოსნურს განეკუთვნებიან, რაღაც სხვა კუთხით წარმოგვიდგებიან, როგორც ზღაპრები ცხოველების შესახებ.

საქმე ის არის, რომ ზღაპარში მოყოლილ ჯადოსნურ მოვლენებში, როგორც წესი, აუცილებლად მონაწილეობენ ცხოველები, ფრინველები, მწერები, მღრღნელები და სხვა ცოცხალი არსებები. ამგვარ სიუჟეტებში გაცოცხლებულები და პერსონიფიცირებულები არიან მცენარეები, ქვები, კლდეები, მდინარეები, ვარსკვლავები, ღრუბლები, ქარი, მსუ, მთვარე და ასე შემდეგ, ესე იგი უკლებლივ ყველაფერი, რასაც შეიძლება მისწყაღს ალაშიანის ხუთი გრძობა, გონება და ფანტაზია.

ტერმინი „ჯადოსნური“ ღანკეულა ქართულ ფოლკლორ-ისტიაში, თუქცა ამ სიტყვის პირვანდელი მნიშვნელოია საკმაოდ დაშორებულ ცნებას შეიცავდა. „ჯადოსნური“ მოდის სიტყვა „ჯადო“-დან. იგი შემოსულია სპარსულიდან და ნიშნავს საგნის რაღაც ბოროტ თვისებას, ძალას, რაც ადამიანისათვის საზიანოა. ჯადოს გამკეთებელს ჯადოსანი (ჯადოს მქონე, მყლობელი) ეწოდება. პარალელურად იხმარებოდა სპარსულიდანვე შემოსული „ჯადოქარი“.¹ აქედან არის ნაწარმოები „მოჯადოებელი“, ე.ი. „ჯადოს“ მოქმედებით შეპერობილი.

ამ სიტყვის რუსული ეკვივალენტი волшебный ცოტა განსხვავებული სემანტიკის მატარებელია. ეტიმოლოგიურად იგი волшеб-ს უკავშირდება. მისგან წარმოიქმნა волшебна (სასწაულის, საოცრების მოხდენა), აქედან კი აგენტიური волшебник და ადიექტივი волшебный. დღევანდელი თვალსაზრისით, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ეს შესატყვისობა დადგინდა და „ჯადოსნური“ და волшебный დღეს ეკვივალენტებად ითვლება.

რა ხასიათის ზღაპრები განეკუთვნება ჯადოსნურს? ეს არის ამბები, რომლებშიც მოქმედებენ რეალურად არარსებული ფანტასტიკური არსებები და ძალები და ვითარდება რეალობაში შეუძლებელი ამბები. ხდება ბოროტ და კეთილ ძალთა უკიდურესად მძაფრი დაპირისპირება. ბოლოს, როგორც წესი, სიკეთე იმარჯვებს, მაგრამ ამ გამარჯვებამდე კეთილი საწყისების მატარებელმა გმირებმა გრძელი და ფათურაკებით სავსე გზა უნდა გაიარონ, რამდენიმეჯერ შეხვდნენ

¹ იხ. ქიკელ, ტ. 8.

სიკვდილს პირისპირ, გამოსცადონ საშინელებათა მოკლე წყება. განიცადონ მარცხიც, გაწბილებაც, მეგობრობის ძალაც და ღალატის სიმწარეც. ბოლოს კეთილმა, სიკეთემ უნდა იხეიძოს და ერთხელ კიდევ განუმტკიცოს ადამიანებს იმედი, რომ სიცოცხლე ღირს იმად, რომ ადამიანმა იბრძოლოს მისთვის.

ზღაპრის მიერ მსმენელზე შთაბეჭდილების მოხდენის ხარისხი ხშირად დამოკიდებულია არა მარტო მონათხრობის შინაარსზე, არამედ მთხრობელის ოსტატობაზეც, სიტყვის გრძობაზე, სიუჟეტის განვითარების მექანიზმის სუსტ შებენებაზეც. სწორედ აქ იხენს თავს ერთი ზღაპრის სხვადასხვა ვარიანტების განსხვავება და აკარგიანობა. სუსტი, სიუჟეტად გაუმართავე ან ენობრივად დაუხვეწავე ვარიანტი არც დედანშია მომგებიანი და თარგმანში ხომ აშკარად წამგებიანია კონკრეტულად ამ ნაწარმოებისთვისაც და საერთოდ ეროვნული ზღაპრის ავტორიტეტისთვისაც.

ჯადოსნური ზღაპრის თარგმანსაც აქვს თავისი სპეციფიკა და სირთულეები. უპირველეს ყოვლისა ეს ეხება ფანტასტიკური სფეროს რეალიებს – წარმოსახვითი ძალების, არსებების სახელწოდებათა ეკვივალენტების დაძებნას. კლიშიოზებული გამოთქმების ისე თარგმნას, რომ მათ არ დაკარგონ ფუნქცია როგორც ზღაპრის სიუჟეტის ეტაპობრივმა ელემენტებმა.

ჯადოსნური ზღაპრის აღქმაში დიდი როლი აკისრია თხრობის ტონს, რომელიც, მომენტის დაძაბულობის შესაბამისად, ხან მიიმდება, ხან კი მსუბუქდება. და ყველაფერი ეს, ცხადია, თარგმანშიც უნდა იგრძნობოდეს.

ამ მხრივ საინტერესო მასალას წარმოადგენს ცნობილი ზღაპარი „სიზმარა“. ისიც უნდა ითქვას, რომ ამ ზღაპრის ორი სრულიად განსხვავებული თარგმანი არსებობს რუსულ ენაზე. ერთი ეკუთვნის ე. ჯალიაშიილს¹, მეორე მ. გრევენსონს.²

¹ ემიოწმებთ გამოცემას „Грузинские народные сказки“. „Ганатლება“, Тб., 1986.

² ემიოწმებთ გამოცემას „Грузинские народные сказки“, в 2-х томах. „Наука“, М., 1988, т. II.

მოსკოვში გამოცემულ ორტიომეულში შესული „სიზმარა“ ამკრად იმ ვარიანტის თარგმანია, რომელიც შეიტანა ალ. ღლონტმა 1986 წელს მის მიერ გამოცემულ კრებულში „ქართული ხალხური ზღაპრები“.¹ ამ ორ თარგმანს შორის ტექსტობრივ განსხვავებებზე ქვემოთ ვილაპარაკებთ. ახლა კი დაუიწყოთ სათაურით.

ზღაპრის სახელწოდებად გამოიჩანილია, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, მთავარი გმირის სახელი – უფრო ზუსტად – მეტსახელი, რომელიც ორი ფუნქციის მატარებელია. ერთი – პერსონაჟის სახელდება, მარკირებაა; მეორე შეიცავს პერსონაჟის დახასიათების ელემენტს: სიზმარა ბიჭია, რომელმაც იმდენად ლამაზი სიზმარი ნახა, რომ სიზმრის წართმევა მოისურვეს ჯერ დედინაცვალით, მერე კი მეფემ.

დედნის ტექსტში არ არის ახსნილი, რატომ ჰქვია ბიჭს ასეთი უცნაური სახელი. მაგრამ სიზმრის ფაქტორი იმდენად მკაფიოდ არის წარმოდგენილი (ორჯერ მოყალა, ორჯერ წართმევის ცდა და ორჯერ დასჯა), რომ ქართველ მსმენელს თუ მკითხველს აღარ ებადება კითხვა, რატომ ჰქვია ზღაპრის გმირს ამგვარი სახელი.

ე. ჯალიბაშვილის თარგმანში პერსონაჟის სახელი უთარგმნელად არის დატოვებული – Сизмара. ასეთი მიდგომა ასატანი იქნებოდა, სადმე, რაიმე ფორმით გახსნილი რომ იყოს სახელის კავშირი სიზმართან. მართალია, წიგნის ბოლოს დართულ პატარა „Пояснительный словарь“-ში მოცემულია ასეთი ახსნა: Сизмара - видевший сон, მაგრამ თვითონ ტექსტს არავითარი მინიშნება არ ახლავს იმის თაობაზე, რომ სადღაც შეიძლება განმარტების ნახვა. კარგია, თუ მკითხველი ერთგვარ უინს გამოიჩენს და გუმანით დაიწყებს ძებნას. თუ არა – რაც უფრო სავარაუდოა, – პერსონაჟის სახელი ფუნქციადაკარგული აღმოჩნდება. ეს ამცირებს ტექსტის ინფორმაციულ ღირებულებას.

¹ იხ. ქართული ხალხური ზღაპრები, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1986 წ.

ბ. გრუენიციას თარგმანში სიზმარა თარგმნილია როგორც Сновидец და ტექსტში ფიგურირებს საკუთარი სახელის ფუნქციით, როგორც დედანში. შესაფერისი პასაჟის თარგმანიც ისეა გაკეთებული, რომ მკითხველისათვის სრულიად გასაგები ხდება, რატომ ჰქვია ბიჭს Сновидец. გერმა რომ მოუთხრო ნანახი სიზმარი, დედინაცვალი დახარბდა:

- Тотчас же отдай мне свой сон.

- Да как же отдать-то, ведь все это мне привиделось!

ორიოდე სტრიქონის შემდეგ იგივე მეორდება მეფესთანაც:

Царю тоже понравился сон, и повелел он:

- Отдай мне твой сон!

- Что же мне вам отдать, ведь все это мне только привиделось и ушло, исчезло.

თარგმანის ეს მონაკვეთი ერთ-ერთი კომპოზიციურად და ენობრივად კარგად შესრულებული და დამუშავებული ადგილია, რომელშიც სიუჟეტის განვითარებაც არის გადმოცემული და ფუნქციური სახელის გახსნაც.

ტექსტის შესახებ. დასავლეთის მეფესთან ჩასიძებული სიზმარა სიამამრის მეტოქესთან - აღმოსავლეთის მეფესთან საომრად გაემართა. გზაში მას შვიდნი დაემგზავრენ: ბელტიყლაპია, ზღვის დამღვევი, კურდღლისჭერია, ყურმახვილა, ცისკენცქერია, მტრელების ფრთების შემცველი, ეკლესიააკიდებული მღვდელი. ახალი პერსონაჟების შემოსვლა ხდება ერთი კლიშირებული ფორმით, როგორც მიღებულია ზღაპრის ფაბულაში. ასევე მიღებული ლიტერატურული კანონის შესაბამისად, შვიდივე ახალმა პერსონაჟმა რაღაც სამსახური უნდა გაუწიოს სიზმარას - ისე მათი გამოჩენა უაზრობა იქნებოდა. ასეც ხდება: აღმოსავლეთის ხელმწიფესთან მოსულებმა (რვა დამპობილებულმა კაცმა) „ხელმწიფეს ქალი სთხოვეს“. მოსულთა ვაკეაცობის შესამოწმებლად მეფე თავის პირობებს უყენებს: ერთიმეორის მიყოლებით აძლევს მათ ურთულეს და უძინელეს დაჯალებებს. ეს დაჯალებები სწორედ ისეთია, რომელთა შესრულებას ზუსტად მოერგო სიზმარას შვიდი მეგობრის უნარ-თვისებები. ესეც ზღაპრის სიუჟეტის გაშლის კანონიზებული და ტრადიციული ხერხია.

ორტომეულში შესული გ. გრუენიციას თარგმანში ზღაპრის ეს პასაჟი მთლიანად შენარსუნებულია და თანმიმდევრულად დაცული.

ე. ჯალიაშვილის თარგმანში კი უცნაური სახეცვლილებაც სიზმარას გზაში შვიდი კი არა, სამი კაცია უძმობილდობა, ფეხმარდი კურდღლისჭერია, სსენამახილი და ხელმარდი, რომელიც მტრედებს შეუძნეველად უცვლის ფრთებს. ბელტი-ელაპია, ზღვისდამლევი, ეკლესიააკიდებული მღვდელი და ცაში ისრის მტყორცნელი სულ არ ჩანან და მათ შესაფერის დაყალუბასაც მეფე არ იძლევა. იმ სამთაგანაც ორი მოქმედებს მეფის ერთი დავალუბის შესრულებისას — ესენი არიან ფეხმარდი და სმენამახილი, რომელიც ფეხმარდს ეხმარება დავალუბის შესრულებაში. ხელმარდის ფუნქცია კი სულ სხვანაირად ვლინდება — ზღაპარში შემოდის ახალი პერსონაჟი — ტყიური დედაბერი „არ ვიცი რა“.

ამგვარი არსებითი განსხვავება ორ თარგმანს შორის შეიძლება აიხსნას ორნაირად: ერთი — ე. ჯალიაშვილს სათარგმნელად შესთავაზეს ზღაპრის განსხვავებული ვარიანტი (კრებული შეადგინა პროფ. მ. ნიკოვანმა, კონსულტანტი — პროფ. ა. ლლონტი), მეორე — მთარგმნელმა გამოიჩინა მეტიმეტი „დამოუკიდებლობა“ და თვითნებურად შეცვალა ზღაპრის ტექსტი. მეორე ვარაუდი ჩვენ არარეალურად მიგვაჩნია. ამ თარგმანში იმდენად ბევრია არსებითად განსხვავებული ადგილები, აზრები და პასაჟები, რომ ამდენს მთარგმნელი ვერ გაბუდაკდა. მაშინ ისმის კანონიერი კითხვა: ამ ორ ცნობილ ფოლკლორისტს ზღაპრის რომელი ვარიანტი მიაჩნდათ ოპტიმალურად? ცხადია, ქართულად ორი კი არა, მეტი ვარიანტის არსებობაც შესაძლებელია და დასაშვები. მაგრამ სხვა ენაზე სათარგმნელად ხომ ერთი — უპირატესი — უნდა შევარჩიოთ, რადგანაც ყველა ვარიანტის თარგმნა — გამოქვეყნება შეუძლებელიც არის და გაუმართლებელიც.

უცნაურად არის წარმოდგენილი ზღაპრის ფინალიც.

დედანში ვკითხულობთ;

„ამ მოგზაურობაში გავიდა ხუთი-ექვსი წელიწადი. სიზმარას ქალ-ვაჟი უკვე დიდები გამხდარიყვნენ. როცა სიზმარა თავის ხელმწიფე სიმამრთან მივიდა, ცოლი ერთ მხარეს

მოისვა, ქალიშვილი – მეორეს. ვაჟიშვილმა აიღო ოქროს სურა, თავის მამას წინ ოქროს ტაშტი დაუდგა და ხელპირი დააბანინა.

– აი, ეს მზეა და ეს მთვარეო! – მოახსენა სიზმარამ და მოხვია ხელები ცოლშვილს,

– აი, ეს კიდევ შუქურვარსკვლავია, ხელ-პირს რომ მბანინებს!“

ასე ხსნის სიზმარა თავის გრძნულ სიზმარს, რომელმაც მას უბედურებაც მოუტანა და ბედნიერებაც.

მ. გრუნციკას თარგმანში კი ასეა:

„Пока длилось это путешествие, прошло пять-шесть лет и сын от первой жены стал уже большим. Пришел Сновидец к своему прежнему тестю и посадил по одну сторону от себя одну жену, а по другую – вторую.

Сын его наполнил водой золотой кувшин, поставил перед отцом золотую чашу и помог ему умыть лицо и руки.

– Вот это – солнце, а та – луна, – молвил Сновидец царю, указав рукою на своих жен, – а вот она, что отмыл мне лицо и руки, сияющая звезда.“

ამ თარგმანში ერთი პრინციპულად მიუღებელი უსუსტობაა: ეს არის სიზმარას მეორე ცოლი. ქართული ზნეობით ორცოლიანობა დაგმობილი იყო და სათაკილო საქციელად ითვლებოდა: ასეთ რამეს ქართულ ზღაპრებში დადებითი, მისაბაძი გმირები (სიზმარა კი სწორედ ასეთია) არ აკეთებენ, არც პირველი ცოლი, შვილი და სიმამრი შეურიგდებოდნენ ასე ადვილად ქმრის, მამის და სიძის საქციელს. მაშ საიდან მოვიდა ზღაპრის ეს უცნაური დასასრული? უნდა ვივარაუდოთ, რომ მთარგმნელმა საკუთარი რისკით გადაწყვიტა ერთი ტექსტობრივი შეუსაბამობა: სიზმარა, უკვე დასავლეთის ხელმწიფის სიძე, აღმოსავლეთის ხელმწიფესთან მიდის საომრად. ხოლო როცა სხვადასხვა თავგადასავლის შემდეგ მივა, იგი ხელმწიფეს ქალსა სთხოვს, შეასრულებს ხელმწიფის ყველა დავალებას და ხელმწიფეც იძულებული ხდება ქალი მისცეს. ოღონდაც დედანში ერთი მოულოდნელი პასაჟია – იქ ნათქვამია, რომ „სიზმარამ მიწის მხენელს მისცა ქალი“. ამით ორცოლიანობის პრობლემა უცბად მოიხსნა.

თარგმანში კი ეს დეტალი რატომღაც გამოტოვებულია. სწორედ ამით უნდა იყოს განპირობებული „ორი ცოლის აქეთ-იქიდან მოსხდომა“, რაც ქართულ „სლაპარს არაქრისტიანულ იერს აძლევს.

ჩვენ ვიტყვით, რომ მთარგმნელის სერიოზულ და ნაყოფიერ შრომას აშკარად აკლია სპეციალისტებისა და რედაქტორების ყურადღება და კონტროლი.

ე. ჯალიაშვილის თარგმანი უცნაურ შთაბეჭდილებას ტოვებს. განსაკუთრებით სლაპარის მეორე ნაწილი, სადაც ისეთი ეპისოდებია ჩართული, რომლებიც „სიზმარას“ სიუჟეტისათვის უცხობა და თითქოს ხელოვნურად მიტმანებული. ამიტომ თარგმანის აუკარგიანობაზე სლაპარაკს ამ შემთხვევაში აზრი არა აქვს. შევხებით მხოლოდ რამდენიმე დეტალს, რაც თარგმანის სფეროს განეკუთვნება.

1. მთარგმნელმა პერსონაჟების საკუთარ სახელებად აქცია ისეთი სიტყვები, როგორიცაა „Мзетунахани“, „Не знаю что“ და სიზმარას ძმობილების თვისებები: Быстродум, Скороход, Острослух, Ловкорук.

2. სიზმარა ყოველ ახალ ნაცნობს უქვებს საქმიანობას, ეუბნება, რომ ძნელ საქმეს აკეთებო. ისინი კი ერთს იმეორებენ: – ძნელი საქმე სიზმარამ გააკეთა – დასავლეთის მეფის ასული ცოლად შეირთო, აღმოსავლეთის მეფეს კი ებრძვისო. ეს სიტყვები რეფრენად გასდევს ახალ ძმობილებთან შეხვედრა-გაცნობის სცენებს. ეს არის სიზმარას ვაჟკაცობის უმაღლესი შეფასება. ე. ჯალიაშვილის თარგმანში კი საერთოდ არ არის ამასზე არც ერთი სიტყვა. „С трудным делом ты справился“, – ეუბნება სიზმარა ახლად გაცნობილს.

„– Да что в этом трудного? С трудным делом Сизмара справился“, – უპასუხებენ მას, მაგრამ არცერთი არ ამბობს, რა საქმეს მოერიდა სიზმარა.

გაუგებარია ამ მნიშვნელოვანი წინადადებების გამოტოვება. რეალიების თარგმნის საკითხი რთულია და რაღაც ერთ წესს არ ემორჩილება. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებაა ხოლმე საჭირო. ეს იმდენად რთული და წინააღმდეგობრივი მოვლენაა, რომ ბევრი გენიოსი ჩაფიქრებულა მასზე. გოეთე ხაზს უსვამდა

ტიქსტის იმ ნაწილებს თარგმნის მნიშვნელობას, რომელთაც მეორე ენაში პირდაპირი ეკვივალენტი არ მოეძებნებათ: „თარგმნისას უნდა ჩაეწვედეთ იმას, რაც არ ითარგმნება. მხოლოდ მაშინ შეიძლება შევიცნოთ სხვა ხალხი, სხვისი ენა“.¹ თარგმნის დიდი ოსტატი და მცოდნე კ. ჩუკოვსკი მოითხოვდა: „სიცილი სიცილით უნდა ითარგმნოს, ღამილი – ღიმილით“.² რა თქმა უნდა, ღიმილისა და სიცილის თარგმნა შეუძლებელია, მაგრამ ჩუკოვსკის მოთხოვნის სიღრმე იმაში მდგომარეობს, რომ არ შეიძლება იმის იგნორირება, რაც ქმნის ეროვნულ კოლორიტს ან პერსონაჟის სახის ინდივიდუალობას. ამის გაუთვალისწინებლობა მარცხის ტოლია.

გასაგებია, ზოგი ისეთი რეალიაა ზღაპარში ასახული, რომ მისი თარგმნა შეუძლებელია. ასეთ შემთხვევაში მთარგმნელს შემოაქვს ოდნავ განსხვავებული ელემენტი, რომელიც შეიძლება საგნობრივად მთლად არ უდგებოდეს დედნის ატრიბუტს, მაგრამ უნდა აუცილებლად უდგებოდეს ფუნქციურად და მართლდებოდეს ლოგიკურად.

ასეთი დეტალის გადმოცემაში წაიბოროტია მთარგმნელმა ეჭვალაა შეიღმა. დედანში ვკითხვლობთ:

„აღმოსავლეთის ხელმწიფემ ახლა მარილის ქვა გამოუგზავნა და შემოუთვალა:

– ამ მარილის ქვას თუ კოპებად დახევე, დაგესნები, თუ არა და შენი ქალი ჩემიაო. სიზმარამ ურჩია:

– ეს მარილის ქვა მამაშენმა უკანვე გააგზავნოს და შეუთვალოს: პირი აართვას, ამ მარილის ქვას როგორ უნდა დახევა – მსხვილად თუ წვრილად“. კოპებად ხევედნენ (ჭრიდნენ) საქონლის დამბალ ტყავს. კოპი წვრილად დაჭრილი ტყავის გრძელი ზოლია, რომლითაც ქალაქების ამოსხმა (შეკერვა) ხდებოდა. ასეთი ოპერაციის ჩატარება მარილის ქვაზე შეუძლებელია. ამაშია მეფის ჩანაფიქრის ვერაგობა. სიზმარამ აქაც აჯობა მეფეს საზრიანობით – კოპებად დახევის დაწყება სთხოვა, – მანვე, რა სიგანისა უნდა

¹ ციტატა გადმოსარგმნილია: Л. Конслев, Гете: Художественные переводы и мировая литература. Сб. "Мастерство перевода", М., 1973, стр. 118.

² Чуковский К., Высокое искусство, М., Советский писатель, М., 1968, стр.

იყოს კოპიო. ქალამანი და კოპი ქართული რეალობაა, რომელიც რუსი მკითხველისათვის იქნებ გაუგებარიც იყოს, რადგანაც რუსულ ეოფაში ასეთი რამ არ არსებობს.

მთარგმნელმა „კოპებად დახევა“ შეცვალა. თარგმანში მეფე მითხრავს „ქვამარილის ბურთულებად დამტკერევას“ („разрубить на шарики кусок каменной соли“). სიზმარა ურჩევს: „Верните каменную соль царю Востока и попросите его показать, на какие шарики разбить – на большие или маленькие“.

ისმის კითხვები: „კოპებად დახევა“ ცხოვრებისეული გააზრებული მოქმედებაა. „ბურთულებად დაყოფა“ უაზრო საქმიანობაა. ქვამარილის კოპებად დახევა საერთოდ შეუძლებელი რამაა, ბურთულებად დაყოფა ძნელად, მაგრამ შესაძლებელია. მაშასადამე, მოწინააღმდეგის ჩიხში მიმწევლევა არ არის გარანტირებული. ეს არსებითი დეტალია.

ამავე ზღაპრის სხვა თარგმანში (მ. გრეენსიცი) ნათქვამია: „Властитель Востока прислал властителю Запада каменную соль с наказом: разделайте, мол, мне ее на сыромятные ремни...“ სიზმარა ურჩევს ქალს, რომ მისმა მამამ უკანვე გაგზავნოს მარილის ქვა და მოქიშპე მუზობელს მოსთხოვოს: „снять с нее верхний слой и сообщить, на какие ремни ее разделать“, – ეს თარგმანი ნამდვილად უკეთესია, თუმცა მასაც წაადგებოდა პატარა განმარტება „კოპებად დახევის“ არსის შესახებ, რათა მკითხველმა მიიღოს საჭირო ინფორმაცია. ამასთან უკეთესი იქნებოდა არა „разделатъ соль на ремни“, არამედ „нарезать соль на ремни“. ეს უფრო გაამკვეთრებდა დაეალების შეუსრულებლობის აზრს. ყველაზე ფანტასტიკურ სიუჟეტშიც კი ხალხის ყოფითი სიბრძნეა ჩაქსოვილი. ასევეა ზღაპრულ გამოცანებში, დავალებებში, პირობებში. ზღაპარში წარმოდგენილი გამოცანა და მასზე გაცემული მახვილგონივრული პასუხი არის თავისებური სკოლა, ერთგვარი სახალხო აკადემია, რომელიც დაინტერესებულ მსმენელებს უსიარებს წინა თაობების გამოცდილებებს. ამგვარი ხალხური გამოცდილების გამართულად თარგმნა კი ამ ხალხის სიბრძნის, ინტელექტის საუკეთესო პრეზენტაციაა. თუ ამ კუთხით მივუდგებით, განხილულ

თარგმანში კიდევ ერთ არასასურველ უზუსტობას შევნიშნავთ. ჯიბრში ჩამდგარმა აღმოსავლეთის ხელმწიფემ დასავლეთის ხელმწიფეს ოთხი ცხენი გაუგზავნა და მოსთხოვა დაედგინა, რომელი იყო მათგან დედა, რომელი – უფროსი, შუათანა და უმცროსი კვიცი. ასეა დედანში, ასეა მ. გრჟენძიცას თარგმანშიც.

სიზმარამ ურნია სასიამოროს, ცხენებისათვის კარგად ეჭმით მარილი და თავლაში ჩაეკეტათ, დილით გამოეშვათ და კარგად დაჰკვირვებოდნენ: წყლის დასალევეად ჯერ გამოევა დედა-ცხენი, მას მოჰყვება უმცროსი კვიცი, მერე – შუათანა და ბოლოს უფროსი კვიცი.

ასეა დედანში, ასეა მ. გრჟენძიცას თარგმანშიც. თავსატეხ გამოცანას მოექებნება მახვილგონიერული პასუხი, რომელიც ცხოვრებისეული გამოცდილებიდან გამომდინარეობს. მოქიშპემ კამათი წააგო. ე. ჯალიაშვილის თარგმანში დეტალები ისეა არეული, რომ გამოცანის არსიც გაბუნდოვანდა და პასუხმაც დაკარგა თავისი მიმზიდველობა.

„Прислал царь Востока четырех кобылиц царю Запада и потребовал: „Угадай, какая из них мать, какая из кобылок старшая, средняя и младшая“.

სიზმარას რჩევაც ამ სტილშია გამოხატული: „На другой день первой к воде устремится мать, за ней побежит младшая, за той средняя, последней пойдет старшая“.

ამ თარგმანში სტილისტურ უზუსტობად მიგვანჩნია ქართული „კვიცის“ შესატყვისად „жеребнок“-ის ნაცვლად „кобылица“-ს და „кобылка“-ს გამოყენება. დედანში ხომ სწორედ კვიცების ასაკის დადგენაზეა ლაპარაკი.

სიზმარამ ყოველმხრივ მოუგო აღმოსავლეთის მეფეს. „დასავლეთის მეფეს გაუხარდა და თავისი ქალი სიზმარას მიათხოვა“, – ნათქვამია დედანში. მ. გრჟენძიცაც თარგმნის: „Обрадовался царь и отдал свою дочь в жены Сновидцу“.

ე. ჯალიაშვილი კი სულ სხვა რამეს სთავაზობს მკითხველს:

„И тут пожалел царь Запада, что не выдал дочь за царя Востока. Не хочется отдавать царевну за безродного парня“.

მერე კი მთლად უცნაური რამ ხდება: წაგებით გამწარებული აღმოსავლეთის მეფე გადაწყვეტს სიზმარას და მის მეგობრებს მოწამლული საჭმლით გაუქმასპინძლდეს და ასე მოიცვილოს თავიდან შიწის მხენელი სიძეც, გამარჯვებით გათამაშებული სიზმარაც და სხვა დაუპატიუებელი სტუმრებიც. მაგრამ სიზმარას მეგობრების მოხერხებულობის წყალობით ეს ვერაგული გეგმაც ჩაეშალა. თარგმანში კი სტუმრების მოწამელის მცდელობა მიწერილი აქვს დასავლეთის მეფეს, ესე იგი იმას, ვისაც სიზმარამ ამდენი სიკეთე გაუკეთა და სამაგიეროდ მეფემ შვილიც სისხარულით მიათხოვა.

გაუგებარია, ვის და რისთვის დასჭირდა ზღაპრის სიუჟეტის ასე დანიხება? ნუთუ იმისათვის, რომ ერთხელ კიდევ დაემტკიცებინათ მეფისა და მდაბიო გლეხის კლასობრივი შეუთანხმებლობის თეორიის მარადიულობა?

თუ საქმე უფრო მარტივადაა – მთარგმნელს სათარგმნელად მისცეს სრულიად დაუმუშავებელი ტექსტი?

„უთარგმნელი“ მასალა და მისი თარგმნის პრობლემები

ნებისმიერ ენაში არის ისეთი სიტყვები, რომელთაც მეორე ენაში არ მოუძებნებათ პირდაპირი შესატყვისი. ასეთ სიტყვიერ მასალას უთარგმნელს, უეკვივალენტოს, ეგზოტიკურს უწოდებენ.¹

ისე, უთარგმნელი არაფერია, ყველაფერი შეიძლება ითარგმნოს, ოღონდაც გააჩნია, რა ღირებულებისა იქნება თარგმანი.

უეკვივალენტო ლექსიკა უხვად გვხვდება ხალხურ ზღაპრებში პერსონაჟების, შითოლოგიურ არსებათა, ადათ-წესების, დღესასწაულებისა, სასმელ-საჭმლის, ტანსაცმლის, იარაღის, საოჯახო ნივთებისა და სხვა რეალიების აღსანიშ-

¹ О. Ахманова. Словарь лингвистических терминов, М., 1966; Лингвистический энциклопедический словарь, М., "Советская энциклопедия", 1990.

ნავად. მათ ტექსტში მნიშვნელოვანი ფუნქცია აქვთ და ამიტომ მათი თარგმნის პრობლემაც მნიშვნელოვანია.

თარგმნის თეაღსაზრისით, უეკვივალენტო ლექსიკა რთული მასალაა სწორედ იმიტომ, რომ მისი პირდაპირი თარგმნა შეუძლებელია, კონტექსტუალური ეკვივალენტის მოძებნა კი – ძნელი. ხოლო თუ ასეთი მასალა თარგმანში დაიკარგება, იკარგება ნაწარმოების ეროვნული კოლორიტი, ფერადოვნება, მეტყველებისა და ემოციების თავისებურება. უამისოდ კი ზღაპარი კარგავს ღირსებებს და იქცევა რაღაც პრიმიტიული ამბის მარტივ თხრობად.

ეროვნული კოლორიტი ზღაპრის მნიშვნელოვანი კომპონენტია, მაგრამ ისიც, როგორც ყველა სხვა ელემენტი, აზრის, იდეის სრულყოფილად გადაცემას ემსახურება. ეროვნული კოლორიტის წაშლის ერთ-ერთი მიზეზია თარგმანის თარგმანი. მაგალითად, აყრიკის ხალხთა ფოლკლორი თარგმნა ინგლისურად, იქიდან – რუსულად, ხოლო რუსულიდან ქართულად. გასაგებია, რამდენი რამ დაიკარგა ამ გრძელ გზაზე. ასევე დაემართათ ქართულ ზღაპრებს, რომლებიც ინგლისურად, გერმანულად და ფრანგულად რუსული თარგმანებიდან ითარგმნენ. ასევე, ინგლისური და რუსული თარგმანების გზით მოვიდნენ ჩვენთან იაპონური ზღაპრები, რომელთაც მკაფიოდ ემჩნევათ ამ ენების ანარეკლი.

ჩვეულებრივ, უეკვივალენტო ლექსიკას მთარგმნელები თარგმნიან რაღაც მიახლოებითი შესატყვისებით, რაც უკვე უზუსტობის იძულებითი დაშვებაა. თარგმანის თარგმანში ეს „მიახლოება“ უკვე საკმაოდ შორსაა დედნისაგან. მაგალითად, ბანტუს ზღაპრებში პიროვნების დიდ შეურაცხყოფად ითვლება, თუ ვინმე მისი ტომის დედას აუგად მოიხსენიებს. ინგლისელმა მთარგმნელმა ტომის დედა თარგმნა როგორც the original matheri, რუსმა მთარგმნელმა გადმოიტანა როგორც праматерь. ქართულად კი – დიდიდედა. ალბათ სადავო არ არის, რომ ამ კონტექსტში „დიდიდედა“ არ უღერს, რადგანაც თავისი კონკრეტულობით სიტყვა არ გამოხატავს იმ დიდ ცნებას, რაც ჩადებულია „праматерь“-ში (ისიც საკითხავია, რამდენად ზუსტი შესატყვისია ინგლისური თარგმანი დედანში ნახმარი სიტყვისა). იქნებ მართლაც „ტომის დედა“

აჯობებდა? ამ კონტექსტში ხომ მოდგმის, ჯიშის, თესლის შეგინებაზეა ლაპარაკი.

ზოგი მთარგმნელი უფრო იოლად წყვეტს საკითხს – ძნელად სათარგმნ ერთუფლს საერთოდ გვერდს უვლის და წინადადებას ისე აგებს, რომ რეალია სულ იკარგება. მკითხველი, ცხადია, ამას ვერ იგრძნობს, მაგრამ ამით მხოლოდ მთარგმნელის უმწეობა მუდგანდება.

ე.წ. „მთარგმნელი“ ლექსიკის თარგმნის პრობლემებს ეხება ს. ვლახოვისა და ს. ფლორინის წიგნი „Непереводимое в переводе“.¹ ავტორები განიხილავენ უეკვივალენტო ლექსიკის სხვადასხვა ჯგუფებს, მსჯელობენ კონკრეტულ მასალაზე და იძლევიან კონკრეტულ საგულისხმო რეკომენდაციებს. მაგრამ მთელი სირთულე იმაშია, რომ ყოველი კონკრეტული მაგალითი, ფაქტი მოითხოვს საკუთარ გადაწყვეტას, მთარგმნელის პასუხისმგებლობასა და ერუდიციას. საქმე ის არის, რომ მთარგმნელი ყოველთვის დიღუძის წინაშეა: რაც უფრო მეტია თარგმანში მინიშნება დამატებითი კომენტარების გარეშე და პირიქით – რაც უფრო გაიოლებულია ინფორმაციის გადმოცემის ენობრივი ფორმები და შემცირებული რეალიების ხვედრითი წონა, მით უფრო უსახური და „უპატრონო“ ხდება ტექსტი, მით უფრო ძნელდება იმის გაგება, თუ რომელი ხალხის ყოფაა ასახული ნაწარმოებში. მთარგმნელი მუდამ მარტოა ამგვარი სიძნელეების წინაშე და მათი დაძლევა უხდება საკუთარი ძალებით, საკუთარი ნიჭისა და ერუდიციის შესაფერისად. ს. ვლახოვი და ს. ფლორინი წერენ: „ეთქვათ, მთარგმნელი მუშაობს ინდური ცხოვრების ამსახველ ნაწარმოებზე და თარგმანის გაგების გაადვილების მიზნით გადაწყვიტა, ყველაფერი გამოთქვას თავისი ენის საშუალებებით: „პაგოდას“ ნაცვლად იხმაროს „ტაპარი“, „სარი“ შეცვალოს „სამოსელით“, „დხოზი“ – „მრეცხავი მამაკაცით“ და ასე შემდეგ. შედეგად მივიღებთ უფერულ, უსახურ, სრულიად კოლორიტდაკარგულ ტექსტს, რომლის წარმომაკვლობის მიგნება შეუძლებელი ხდება.

¹ С. Влахов, С. Флорин, „Непереводимос в переводе“, М, 1980.

კიდევ უფრო უარესია, როდესაც მთარგმნელი ეცხოვნოვან რეალიებს თამამად შეცვლის თავისი ენის რეალიებით, რაც ქმნის სრულ გაუცხოებას და ნაწარმოებს აყენებს სრულიად ვალბ მდგომარეობაში¹. ამგვარი გაუცხოების მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს გერმანული ზღაპრების ქართულ თარგმანში გამოყენებული „ხაჭაპური“, „თონე“, „ჩონგური“, „პეტრიკელა“ და სხვა.

ქართულ ზღაპრებში ასახულია ქართველი ხალხის უძველესი მითოლოგიური წარმოდგენები და ამ სამყაროს ბინადრები: დევეები, ქაჯები, ეშმაკები, ჯადოქრები, კუდიანები, გულთმისნები, მაჯლაჯუნები, ალები, გველეშაპები. ფასკენჯები.

აეილოთ ქართული ზღაპრის ისეთი პოპულარული პერსონაჟი, როგორცაა დევი. იგი ფიზიკურად დიდია და ძლიერი, მაგრამ მუდამ აგებს ადამიანთან ორთაბრძოლას გონებრივი სიძლუნგის გამო. ეს არსება აღმოსავლური ზღაპრებიდან უნდა იყოს მოსული და არც სახელწოდება უნდა იყოს ქართული, რადგანაც სხვა ენებშიც გვხვდება². სლავურ ხალხურ ფანტასტიკას ასეთი ტიპის ზღაპრული არსება არ შეუქმნია, ამიტომ, ცხადია, ტერმინიც არ არსებობს.

ქართული „დევის“ რუსულად გადატანის ცდები XIX საუკუნეში დაიწყო, როდესაც გაცხოველდა ინტერესი ქართული სიტყვიერებისადმი. შესატყვისებად ხმარობდნენ „Див“, „Дивы“, „чудище“ „великий“³. თანდათანობით გაძლიერდა აზრი სიტყვის ტრანსკრიფციის სასარგებლოდ: „деви“ – „дэви“. საბოლოოდ დამკვიდრდა „дэв“. სიტყვა ჩაჯდა რუსული ენის გრამატიკულ ნორმებში, რითაც გაადვილდა მისი ხმარება.

✓ შეიკვივალენტო ლექსიკის თარგმნა სოგჯერ აღწერით თუ ხერხდება. ასე მაგალითად, „ალი“ – საბას ლექსიკონში განმარტებულია ასე: „მშობიერის მაცდურს იტყვიან ტყეილს“ ნიკო ჩუბინაშვილის „ქართულ ლექსიკონში რუსული თარგმანისურთ“ ვკითხულობთ: „ალი – მინდორთა და ტყეთა

¹ С. Влахов, С. Флорин, დასახ. ნაშრომი, გვ. 116.

² იხ. მშია ანდრონიკაშვილი. ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობებიდან, თბ., 1966, გვ. 170.

შინა ავი, მავნე, ქაჯი. леший... იმერნი უხმობენ ჭიშკად“. მისივე „რუსულ-ქართულ ლექსიკონში“ Русалка განმარტებულია ასე: „ძველი სლავენი ესრეთ უწოდებენ ნიძყათა, რომელნიცა წარმართთა შორის შიერაცხებოდნენ ღმერთებად წყალთა და ტყეთა“. ხოლო თანამედროვე რუსულ-ქართულ ლექსიკონში ალი და русалка შესატყვისებად არიან მიჩნეული, თუმცა ამ ენების განმარტებითი ლექსიკონები არ ადასტურებენ მნიშვნელობათა ასეთ თანხვედრას – განსხვავება მეტია, ვიდრე მსგავსება.

ქართული ზღაპრების რუსულ თარგმანებშიც იგრძნობა, რომ ალი და русалка განსხვავებული არსებებია. ამიტომ ზოგი მთარგმნელი ტოკებს ტექსტში ქართულ სიტყვას „ალი“ და ურთავს საკმაოდ მწირ განმარტებას – „мифическое существо“. ისიც უნდა ითქვას, რომ თვით ქართულ ზღაპარში თითქმის არა გვხვდება ალის გარეგნობის აღწერა. საერთო და უდავოა ერთი ნიშანი – ეს არის ლამაზი და მაცდური ქალი.

თარგმანის თეორიაში არის ასეთი ცნება – „ფონური ინფორმაცია“. ასე ეწოდება ისეთ ცნობას, რომელიც სათარგმნ ტექსტში არ არის, მაგრამ აუცილებელია ტექსტის გაგება – თარგმნისათვის. უამისოდ შეცდომა გარდაუვალია. აი ერთი ასეთი მაგალითი. იაპონური ხალხური ზღაპარი. ღარიბ მეზადურს სტუმრად ეწვია მეფე. ძალიან ცხელია და მასპინძელმა სტუმარს შესთავაზა სუფთა წყლით ხელ-პირის დაბანა და უმი თევზი. ასეა ქართულ თარგმანში, რომელიც ზუსტად იმეორებს ზღაპრის რუსულ თარგმანს: „умываться чистой водой из чана и отведать сырой рыбы“.

და ორივეში შეცდომაა. იაპონიის სამხრეთ კუნძულებზე არის ასეთი ყოფითი დეტალი, რომელსაც სანო სირის უწოდებენ. სანო არის კასრი. როცა ძალიან ცხელია, მას ავსებენ წყლით და შიგ იხვენიბენ. ეს შესთავაზა მებაღურმა სტუმარს და არა ხელ-პირის დაბანა. „Сырая рыба“ და „უმი თევზიც“ უზუსტობაა. უნდა იყოს свежая рыба და ახალი თევზი, საქმე ის არის, რომ იაპონელები ერთ სიტყვას ხმარობენ „უმისა“ და „ახლის“ აღსანიშნავად (შეადარეთ:

სტარში - ძველი, ბებერი). მასპინძელმა სტუმარს შესთავაზა რაც გააჩნდა - ახალი თევზი.

შეიძლება ვინმემ თქვას, მერე რა მოხდა, სიცხეში ურიგო არც ხელ-პირის დაბანააო. მართალია, მაგრამ ეს უკვე ისეთი ღებღალაა, რომელიც დედანში არ არის. ლაიკარგა კოლორიტი:

კიდევ ერთი მაგალითი. ა. ჩეხოვის „ტრამაღის“ ქართულად თარგმნისას მთარგმნელმა ვერ გაიგო სიტყვა *лосинок*. ლექსიკონებში იგი არ არის. საშაგიეროდ არის *лосиан* - მღინარის პატარა თევზი. მთარგმნელმა იფიქრა, თუ *лосиан* პატარა თევზია, *лосинок* უფრო პატარა იქნებოაო. და გამოვიდა, რომ კაცმა მდიდარი ვაჭარი გაძარცვასა და სიკვდილს გადაარჩინა, ჯილდოდ კი „ათი პაწაწკინტელა თევზი მიიღო“. სინამდვილეში *лосинок*-ს უწოდებდნენ ოქროს ათმანეთიანს, რომელსედაც მეფის პროფილი იყო ამოტვიფრული. ათი ლობანნიკი გლეხისათვის მთელი ქონებაა და ამით ტრაბახობს იგი და არა „ათი პაწაწკინტელა თევზით“.

ქართული ზღაპარი „ობოლი და მეწისქვილე“. ქართულად: „აგათრიეთ მაღლა სახნის-საკვეთი“. რუსულ თარგმანში „Взгромоздился наверх плуг да соху“. უსუსტობა: *плуг* და *соха* ორივე გუთანია, ოღონდაც ერთი რკინისა, მეორე - ძველებური, ხისა. სახნის-საკვეთი ერთი გუთნის ორი ნაწილია - სახნისი და საკვეთი. სწორი იქნებოდა - „*соху да племех*“. ა. ვინშტეინი ამბობდა, დიდი სამყარო მცირე ნაწილაკებისაგან შედგებაო. ეს მხატვრულ ტექსტზეც შეიძლება ითქვას.

აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც პური კალოზე იღუწებოდა, ფრთამოქცეული ეწოდებოდა კალოს პირას მომრგვალებულად დადგმულ ძნის ზეინებს. „კაცია ადამიანი?!“-ს რუსულ თარგმანში კი ლუარსაბი ტრაბახობს: „Вот посмотрите, сколько молотилок выставлю я нынче на гумно“. Молотилка საღეწი მანქანაა, რომელიც XIX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოში საერთოდ არ იყო, თათქარიძისთანა მფურნეს საიდან ექნებოდა? ვთქვათ, მთარგმნელმა ვერ გაიგო, რას ნიშნავს „ფრთამოქცეული“.

სად იყო რედაქტორი?! სხვათა შორის, 1938 წელს მოსკოვში გამოსულ ე. ლოლობერიძისეულ თარგმანში „ფრთამოქცეული“ არის სტოგ ხოიიონ. გაუგებარია, მერე რატომ იქცა იგი „საღვწ მანქანად“? თუ ახალ მთარგმნელს არ აქონდა წაკითხული ძველი თარგმანი?

ზღაპრის დასასრულის თარგმნა

ქართული ხალხური ზღაპრის დასასრული გაცილებით მრავალფეროვანია, ვიდრე დასაწყისი. დასაწყისის დანიშნულებაა მსმენელის მომზადება ზღაპრის მოსასმენად, ძლიერთა ამა ქვეყნისათა კეთილი განწყობის მოპოვება. შესავალი ერთგვარი საპროგრამო ნაწილია, რომელიც მთხრობელ-მსმენელთა მთლიანობას ქმნის. დასასრული უფრო საღისიანი, ლაღი, გასართობი ხასიათის ნაწილია, მართალია, იგი აზრობრივად არ არის შეკრული ზღაპრის სიუჟეტთან, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ასეთი კავშირი არ არსებობს საერთოდ. დასასრული ფუნქციურად იმ მთლიანობის დაშლას, რომელიც დასაწყისმა შექმნა, ოღონდ ეს მოქმედება ფსიქოლოგიურად მოზომილი და აუცილებელია, რათა მსმენელი გამოვიდეს იმ ხიბლიდან, რომელიც საინტერესო ზღაპარმა შექმნა. ქართული ზღაპრის ყველაზე გავრცელებული დაბოლოებაა:

ჭირი იქა, ღხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.

ეს არის დალოცვის ტიპის ფორმულა, ლექსის ფორმაში ჩასმული და დასამახსოვრებლად მეტად ადვილი. ამ ფორმულით მეზღაპრე თითქოს სამყაროს ყოფს ორ ნაწილად – „იქა“, რომელიც იმდენად უცხო ხალხით არის დასახლებული, რომ „მათვის“ ჭირსაც ადვილად იმეტებს და ქატოსაც, და „აქა“, ესე იგი მოხრობელ-მსმენელთა სამყარო, რომლისთვისაც მხოლოდ ღხინი და ფქვილი (ფქვილი აქ სიმდიდრის სიმბოლოა) ემეტება. „იქა“ და „აქა“ ცხოვრების ორი მოპირდაპირე მხარეა, როგორც „ჭირი და ღხინი“ და მათში კონცენტრირებულია დიდი საუკუნოვანი სიბრძნე და

ქართველი კაცისათვის ისეთი რანგის განზოგადებაა, სადაც „ღხინიც“ და „ფქვილიც“ გაცილებით მეტია, ვიდრე ყოფითი სიხარული და უზრუნველყოფა. ეს სიკეთის ზეიშია, ბრძოლის, კიბილის კეთილი დასასრული და, მაშასადამე, დამშვიდება, კარგად ყოფნის იმედი. ეს ფილოსოფიური ხედვაა, სადაც კონკრეტულმა საგნებმა თითქოს დაკარგეს კონკრეტულობა.

ამ დასასრულის რუსული თარგმანის ყველაზე გაერცვლეუბული ვარიანტია „Мор там, пир здесь“. სხვა ვარიანტები:

Мор там, пир здесь,
Отсв там, мука здесь.

მეორე სტრიქონის ვარიანტები: „Высвки там, мука здесь“, „Зила там, мука здесь“, „Отруби там, мука здесь“. ნ. დოლიძის თარგმანში „зила“-ს გამოჩენა მოტივირებულია დედანში ზოგჯერ ხმარებული „მტვერ“-ით: „მტვერი იქა, ფქვილი აქა“. ოლონდ, თუ „მტვერისა“ და „ფქვილის“ დაპირისპირება გასაგებია, ამას ვერ ვიტყვით „зила“-სა და „мука“-ზე. ერთ ხალხურ სახუმარო სადღეგრძელოში ნათქვამია:

თქვენს ტაბიკზე – აქუური,
სხვის ტაბიკზე – ბაწარი.
თქვენს ბუხარში ნაღვერდალი,
სხვის ბუხარში – ნაცარი.

„ნაღვერდალი“ – „ნაცარი“ გასაგები ანტონიმიცაა, „зила“ – „мука“ – არა.

ზოგ დაბოლოებაში პირველი ორი სტრიქონი გავრცობილია ასე:

ჭირი იქ დავაგდე,
ღხინი აქ მოვიტანე,
ქათო იქ დავეარე,
პური აქ მოვიტანე
(ან: ფქვილი აქ მოვიტანე)

ორსტრიქონიან ვარიანტში კონსტატირებულია „იქ“ რა უნდა იყოს და „აქ“ – რა. ოთხსტრიქონიან ვარიანტში ერთ-გვარად გაძლიერებულია მეზღაპრის როლი. ამ დასასრულის

მისევედვით, მეხლაპრის დამსახურებაა ავისა და კარგის მსმენელთა სასარგებლოდ განაწილება: „მე მოვიტანე სიკეთე აქ და მე დავტოვე სიამე იქაო“, – პირდაპირ ტრადიციას მთხრობელი. ესეც თავისებური სერხია მეხლაპრის შრომის დასაფასებლად. ნ. დოლიძე ამ დაბოლოების თარგმნის ორ ვარიანტს იძლევა:

Там оставил я мор,
Здесь застал я пир,
Там просыпал золу,
А здесь пошел муку.

მეორე ვარიანტში მეოთხე სტრიქონში აღარ არის კავშირი „ა“. ვარიანტული განსხვავება უმნიშვნელოა. შენიშვნას იწვევს თვით თარგმანის არსი, პათოსი. დედანში მეხლაპრე მკაფიოდ სამოთხელის, რა გააკეთა – „რა მოიტანა“ და „იქ რა დატოვა“. აქაც მსჯელობა აგებულია აზრთა დაპირისპირებაზე: „იქ დავტოვე – აქ მოვიტანე“.

თარგმანში ამგვარი დაპირისპირება მოშლილია და მივიღეთ ასეთი აზრი:

„იქ დავტოვე ჭირი, აქ კი ვნახე (застал) ლხინი,
იქ გავფანტე ნაცარი, აქ კი დამხედა ფქვილი“.

როგორც უხედავთ, ნათქვამის აზრობრივი სტრუქტურა შეცვლილია, რაც თარგმანს საკმაოდ აშორებს დედნისაგან. ამიტომ უფრო გამართლებულია და ლოგიკური შემდეგი თარგმანი:

Мор там оставил,
Пир сюда принес,
Отсев там просыпал,
Муку с собой принес

ამ თარგმანში ისევე, როგორც დედანში, მკაფიოდ არის გაცხადებული მეხლაპრის პრეტენზიები თავის დამსახურებაზე.

იმ მუდმივ ორ სტრიქონს ზოგჯერ მოსდევს ხალხური რეჰარცედიანი ლექსის ყაიდაზე გამართული ნამდვილი ლოცვა:

მთას ურემი აეიტანე,
წამოვიდა გორებითა.
აქ სიცოცხლით დამიძეხით,
საიქიოს – ცხონებითა.

ზოგჯერ დასასრული იმდენად „შემოქმედებითად“ არის თარგმნილი და გალექსილი, რომ დედნისაგან ცოტა რამ თუა შემორჩენილი. ამიტომ მათი შედარება ორიგინალთან არაფერს გვაძლევს. ამგვარი თარგმანები საინტერესოა, როგორც ფაქტი, მთარგმნელობითი პრაქტიკის ერთ-ერთი რეალიზაცია, მაგრამ დედანთან მიმართებაში ლაპარაკი ძნელია.

აი ასეთი თარგმანის ორიოდე მაგალითი:

Пусть будут смерть и мор там,
А здесь мир будет пышный!
Пусть будет там отсып,
А здесь – бусы пшеничные.
Пришлось схать в гору мне.
Арба трещала и скрипела,
Здесь вас жизнь насытит сладко,
На том свете благодать!
Осени вас милость божья!

ეს კი მთელი პოემაა:

Горе все я там оставил, радость к вам сюда принес;
Отруби я там рассыпал, а муку сюда принес.
Жил да был один хозяин и имел трех добрых слуг,
Спа вам доброго жслаю да и сам пойдю усну.
Срезал я в лесу колоду – и давай ее копать.
Здесь вас жизнь насытит сладко, на том
свете – благодать.

„ასი ქართული ზღაპრის“ თავისი თარგმანების შესავალში
ბ. დოლიძე სამართლიანად შენიშნავს: „При переводе сказок

на русский язык мы старались сохранить колорит грузинской речи, подчинить язык перевода нормам русского литературного языка, не впадая, однако, в стилизацию русской сказки“.¹

თეითონ ქნი ნ. დოლიძე კი ასცდა სტილიზაციის ცდუნებას, მაგრამ სხვა მთარგმნელებმა, ეტყობა, ვერ გაუძლეს. ეს ეხება იმ თარგმანებს, რომლებიც მოსკოვში გამოცემულ ორტომეულში შევიდნენ.

აი, ორიოდე მაგალითი ამგვარი არასასურველი სტილიზაციისა.

Сестричка, сестричка родная,
Ягодка моя наливная!
Братца милого закалывают.
Кинжал острый натачивают,
Водичку в котлы затаскивают.
И отвечает ему сестра из реки:
Проси царя-батюшку
Кинжал не натачивать,
Водички не натаскивать!

ეს თავისთავად მშვენიერი დიალოგი წმინდა წყლის რუსული კოლორიტია და ქართულთან არაფერი საერთო არა აქვს. როგორც ვხედავთ, კარგიც ყოველთვის კარგი არ არის.

სტილიზაცია მაცდუნებელი ხერხია. კარგი სტილიზაცია ძალიან ჰგავს იმას, რაც ლამაზია, მაგრამ ეს მსგავსება მხოლოდ გარეგნულია და თარგმანს თავის ნამდვილ იერსახეს უკარგავს.

რუსული კარგია, რაც თავისთავადია. ასევეა ქართულიც, მაგრამ ორი ენის თავისთავადობა არ ნიშნავს მათ თანაფარდობასა და ეკვივალენტობას. (თარგმანმა თვისებრივად ახალი რამ უნდა მისცეს მკითხველს და არა უკვე ნაცნობის გამეორება, ოღონდ სხვა ხალხის სახელს ამოფარებული.

¹ Грузинские народные сказки. Сто сказок. Переводы Н. Долидзе, под редакцией проф. М. Чиковани, Изд. "Мерани", Тб., 1971, стр. 14.

თარგმანის ხელოვნებაში ძირითადი დამსახურება ეს არის. ამიტომ ძირითადი სირთულეც ამ ახლის მოძებნაა. სამწუხაროდ, ამ სირთულეს ყველა ვერ ერევა.

ქართული ზღაპრის დასასრულში ხშირად გვხვდება ასეთი სტრიქონებიც:

ელასა, მელასა,
ჭიქა მეკიდა ყელასა,
მთქმელსა და გაჩგონებულსა
ღმერთი წყალობდეს ყველასა
(ან: „ძილი ნებისა ყველასა“).

„ელასა, მელასა“ თანამედროვე ქართულისათვის უკვე გაუგებარი სიტყვებია და აღიქმება აზრისაგან დაცლილ „სიტყვის მასალად“, ღუქსში ცარიელი სტრიქონის შესავსებად და რითმის დასაწყვილებლად („მელასა – ყელასა“). რუსულ თარგმანებშიც იწინა თავი ამ გაუგებრობამ: „Еласа, меласа – восклицание, постоянно встречающсеся в концовках грузинских сказок“ – უხსნიან მკითხველს მთარგმნელები, მაგრამ ეს ახსნა უინფორმაციოა.

მთლიანად თარგმანი კი ასე გამოიყურება:

Еласа, меласа,
Висел кувшин на мне;
Сказителю и слушателю
Сол сладкий вам и мне.

აი, კიდევ ერთი ვარიანტი:

Эласа-меласа,
Висел на шее у меня кувшин,
И сказывающему, и слушающему
По глотку вина из него.
Мор – туда, пир – сюда,
Отсев – туда, муку – сюда.

ამ თარგმანში, ჯერ ერთი, წერია ელასა-მელასა, რაც უთუოდ უფრო მართებულია, ვიდრე ელასა, მელასა; მეორე და მთავარი: висел на шее у меня кувшин („კოკა მეკიდა ყელასა“)

გამართლებულია და მოტივირებულია ღვინის დაღვევის სურვილით, ყოველ შემთხვევაში, მკითხველს რაღაც ინფორმაციას აწვდის. ამას ვერ ვიტყვით ცოტა ზემოთ მოტანილ ნ. დოლიძის თარგმანზე — „висел кубшин на мне“.

სამართლიანი იქნება შენიშვნა, თუ ვინმე თარგმანების ამგვარ უზუსტობებს ახსნის დედნიდან მომდინარე მრავალფეროვნებით. ეს მართლაც ასეა. „ელასა-მელასა“-ს იმდენი გაგრძელება ან ვარიანტი აქვს, რომ ყველას ჩამოთვლა შეუძლებელია. ეს სიტყვულე ალბათ ორნაირად შეიძლება აიხსნას. ერთი: საუკუნეების მანძილზე შეიქმნა ეს ვარიანტები და გადადიოდა თაობიდან თაობებში; ერთი მეზღაპრე ერთ ვარიანტს იმახსოვრებდა, მეორე — მეორეს და ასე შემდეგ.

მეორე: მთხრობელ-მეზღაპრეები განსხვავებული ნიჭის, ალღოსი და გემოვნების ხალხი იყო. ერთი თავის მონაყოლში ცდილობდა აზრი ყოველთვის გასაგები და ცხადი ყოფილიყო. მეორეს შეეძლო რაღაცა მიზეზის გამო ნაკლები სრუნვა გამოეჩინა სხვისაგან გაგონილ-შესწავლილის სიზუსტეზე და საკუთარ თხრობაში ზოგი რამ აერია, გადაესხვაფერებინა ან უბრალოდ — დაემახინჯებინა კიდევ. ჩვენ ზემოთ უკვე ვთქვით: ხალხური ზღაპრის ყველა ვარიანტს აქვს არსებობის უფლება. სწორედ მრავალვარიანტულობაა ხალხურობის უპირველესი მახევენებელი. მაგრამ სხვა ენაზე სათარგმნელად უნდა შეირჩეს ყოველმხრივ გამართული ვარიანტი; თარგმანის მკითხველი ხომ მხოლოდ ერთ ვარიანტს ეცნობა და ერთი ვარიანტით ექმნება შთაბეჭდილება ამ ზღაპარზე. სწორედ ეს გარემოება აძლიერებს წიგნის რედაქტორის როლს. მან, რედაქტორმა, უნდა გაადევნოს თვალი, რა შეირჩა სათარგმნელად, როგორ ითარგმნა და როგორ შთაბეჭდილებას მოახდენს თარგმანი სხვაენოვან მკითხველზე.

თუ რედაქტორი ამას არ გააკეთებს, მაშინ მისი როლი და ფუნქცია სრულიად გაუგებარი ხდება.

მიგვაჩნია, რომ დადგა დრო, ქართული ხალხური ზღაპრების სხვა ენაზე თარგმნის პრობლემები გასცდეს ერთეულთა ერთუზიანობისა და მოხალისეობის ფარგლებს და შეიქმნას რაღაც მუდმივად მომუშავე ორგანოს მსგავსი რამ, რომელიც

საქმის ცოდნითა და პასუხისმგებლობით გააცვილებს ქართულ ზღაპარს საქართველოს საზღვრებს გარეთ.

მასალები პრაქტიკული მუშაობისათვის

„მასალებში“ წარმოდგენილი ტექსტები სამი მიზანდასახულობისაა.

I. დედანი თარგმანითურთ. ეს შესაძლებლობას იძლევა ჩატარდეს ორი ტექსტის აზრობრივი, ლექსიკური და სტილისტური შედარებითი ანალიზი თარგმანის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოსაფლენად. ოღონდ ყოველგვარი შენიშვნა დასაბუთებული უნდა იყოს. ერთი ტექსტის ორი ან მეტი თარგმანის არსებობის შემთხვევაში საჭიროა თარგმანების ერთმანეთთან შედარებაც – რომელი უფრო ახლოს არის დედანთან და რატომ. თუ დაწინებულნი ადგილის (მონაკვეთის) საკუთარ თარგმანს გაეკეთებთ, იმასაც დასაბუთება სჭირდება, რით არის იგი უკეთესი.

II. პატარა ზომის მოთხრობები (იუმორისტული ხასიათისა) დამოუკიდებლად სათარგმნელად (საკუთარი ძალების მოსასინჯად) და შემდგომ კვლავ დედანთან შესადარებლად.

III. დიალოგები: დიალოგური მეტყველების (ტექსტის) თარგმანს თავისი სპეციფიკა აქვს, რისი გათვალისწინებაც საჭიროა (არასრული წინადადებების სიჭარბე, სიტუაციური ფონი, პაუსის მნიშვნელობა, სამეტყველო ეტიკეტის ელემენტების გათვალისწინება და სხვა).

I. ტექსტები თარგმანებითურთ

სოტა რამ ისტორიიდან

მძიმე და გმირული ისტორია აქვს ქართველ ხალხს. მრავალჯერ დასხმია თავს მტერი, დაუნგრევია ქალაქები, დაურბევია სოფლები, დაუხოცია ან ტყვედ წაუყვანია ქალები და ბავშვები. მაგრამ მათ სისასტიკეს ვერ შეუშინებია ქართველი ხალხი. იგი გმირულად იცავდა თავის მიწასა და თავისუ-

ფლებას, უმკლავდებოდა როგორც უცხოელ მტერს, ისე შინაურ მოღალატეებსა და განდგომის მოსურნეებს. მეგობრობაც იცოდა ქართველმა ხალხმა და მტრობაც. მრავალჯერ გაუწვდია დახმარების ხელი გაჭირვებული მეზობლებისათვის და სხვისი მეგობრობაც ღირსეულად დაუფასებია, საკუთარი ღირსებაც შეუნარჩუნებია და არც სხვა დაუმცირებია. მხოლოდ ამით უნდა აიხსნას, რომ საქართველოს ძველ მიწაზე საუკუნეების მანძილზე ცხოვრობენ სხვადასხვა ხალხის შვილები ისე, რომ არც ენა დაუკარგავთ საკუთარი და არც კულტურა.

Трудную и героическую историю имеет грузинский народ. Много раз нападали на него враги, разрушали города, опустошали деревни, убивали или в плен угоняли женщин и детей. Но их жестокость не пугала грузинский народ. Он героически защищал свою землю и свободу, справлялся как с внешними врагами, так и с внутренними предателями и отступниками. Грузины знали цену и дружбе, и вражде. Много раз протягивали они руку помощи попавшему в беду соседу и ценили дружбу. Отстаивали собственное достоинство, не унижая чужое. Только этим можно объяснить, что на древней земле Грузии на протяжении веков живут сыны разных народов и не потеряли ни языка своего, ни культуры.

ბერეპი ღა მონღოლები

თბილისის ჩრდილო-აღმოსავლეთით ოცდაათი ოდე კილომეტრის მანძილზე ტყიანი მთების უღამაზეს წილში მდებარეობს ტაძარი, რომელსაც ღვთაების მონასტერი ეწოდება. იგი დაარსებულია VI საუკუნეში ერთ-ერთი ასურელი მამის, წმინდა ანტონ მარტოიყოფელის მიერ. დიდებული და მდიდარი ბუნება, მრავალსაუკუნოვანი შფოთიანი ისტორია და ხალხის უდიდესი პატივისცემა ხელს უწყობდა მის ირგვლივ ღამაში თქმულებებისა და გადმოცემების შექმნას.

აი, ერთი ასეთი გადმოცემა.

მონღოლების ერთი რაზმი მონასტერს შემოერთება გასაძარცვად და დასარბევად. ამ დროს ოცამდე ბერი წირვაზე იდგა და მათი გალობის გუგუნს მოებიც იმეორებდნენ.

მონღოლთა რაზმის უფროსმა მონასტრის წინამძღვარს დაუფარავად ამცნო თავისი მოხელის მიზანი.

— რა გაეწყობა. თქვენს ძალას წინ ვინ აღუდგება. გემორჩილებით, ოღონდაც ერთს გთხოვთ — მოგვეცით ცოტა დრო დაწყებული წირვა დაეასრულოთ და უკანასკნელი ვალი მოუიხადოთ ჩვენი ღმერთის წინაშე, — სთხოვა წინამძღვარმა.

მონღოლმა დაძვინავი ღიმილით მისცა დასტური, — ენახოთ, რას გიშველით ეგ თქვენი ღმერთიო.

მონასტრის მძიმე კარი ისევ დაიხურა და კვლავ გაისმა ლოცვის მძლავრი გუგუნი.

გავიდა რაღაც დრო და მოთმინებადაკარგულმა მონღოლმა მეთაურმა ბრძანა კარის შემტვრევა. გალობა-გუგუნი უცებ შეწყდა, კარი გაიღო და ანაფორაგახდილი და ხმაილამართული ბერები გააფთრებით ეკვეთნენ მონღოლებს.
